


K 166861
3

ბ. სიმონა

ერეკლე
2020



მ. ნოზია

საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები

№ 166864
3



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1976

615.8(C41)

614.213(47.922)

6 781

მრავალფეროვანია საქართველოს სსრ ბუნებრივი სიმდიდრეები. ჩაიმ, ყურძენმა, ღვინომ, ციტრუსებმა, ნაირ-ნაირმა ხილეულთა, თამბაქომ, მარგანცმა და სხვ. სახელი გაუთქვა ჩვენს რესპუბლიკას. არანაკლებ ცნობილია საქართველო როგორც კურორტების ქვეყანა; ამოუწურავია მისი ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორები, ზალნეოლოგიური და კლიმატურ-თერაპიული რესურსები, რომლის ბაზაზე გაშლილია კურორტებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ფართო ქსელი.

ჩვენი უკიდევანო სამშობლოს ასეულ ათასობით მშრომელი მკურნალობს და ჯანმრთელობას იკაეებს საქართველოს სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში.

წინამდებარე წიგნის მიზანია გააცნოს საზოგადოებას საკავშირო და ადგილობრივი მნიშვნელობის საქართველოს კურორტების თანამედროვე მდგომარეობა, მათი სამკურნალო რესურსები. მკითხველს უთუოდ დააინტერესებს საკურორტო ადგილების შესახებ მოკლე ისტორიული ცნობებიც, კურორტებზე მკურნალობის ჩვენება და წინააღმდეგჩვენება.

წიგნს გვერდს ვერ აუვლიან აგრეთვე კურორტოლოგებიც.

საგვ-2000
შემოწმებულია

50100—278

H ————— 367—76

M 601(08)—76

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976

საქ. ბ. ე. ი. ა.

2012

67

ავტორისაზან

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახსრებსა და ძალ-ღონეს არ ზოგავს საკურორტო ქსელის კიდევ უფრო გაფართოებისა და კეთილ-მოწყობისათვის. ჩვენი ქვეყნის კურორტოლოგებს შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობები ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის და ისინიც დაუღალავად სწავლობენ და იკვლევენ რესპუბლიკის საკურორტო-სამკურნალო ფაქტორებს.

ნაშრომი „საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები“ მიზნად ისახავს დაახასიათოს საქართველოს კურორტული სიმდიდრეები და რესპუბლიკის ბალნეოლოგიური და კლიმატოთერაპიული რესურსები.

მოკლედ მიმოვიხილავთ სამკურნალო ადგილებს, მათ ფიზიკურ-გეოგრაფიულ, კლიმატურ, ჰიდროლოგიურ და სხვა პირობებს, შევჩერდებით აქ არსებულ სამკურნალო ნაგებობებზე, მკურნალობის ჩვენებებსა და წინააღმდეგჩვენებებზე. ჩვენ შევეცადეთ ნაშრომში თავი მოგვეყარა ამ დარგში მეცნიერული, პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობის ოთხი ათეული წლების საკუთარი გამოცდილებისათვის. გამოვიყენეთ მასალა ადრე გამოცემული წიგნებიდან, აგრეთვე გამოქვეყნებული ლიტერატურა იმ ავტორებისა, რომელთაც კურორტოლოგიას მიუძღვნეს მრავალი წელი; ჩვენ ხელთ იყო აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა

და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საარქივო მასალები. რა თქმა უნდა, ავტორს არა აქვს პრეტენზია ამომწურავად გააშუქოს საქართველოს სსრ კურორტული რესურსები, ყოვლისმომცველ წიგნს ამ საკითხებზე ალბათ ქართული კურორტოლოგიების გაერთიანებული ძალები დასჭირდება. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ამ წიგნით ჩვენც წვლილს შევიტანთ იმ დიდ საქმეში, რასაც ქართული კურორტოლოგია, როგორც მეცნიერება ემსახურება. ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა სამართლიან შენიშვნასა და სურვილს.

საქართველოს საკურორტო რესურსები

(მოკლე მიმოხილვა)

რევოლუციამდელ საქართველოში კურორტები თითებზე ჩამოსათვლელი იყო. ბორჯომსა, აბასთუმანსა და გაგრაში საკუთარ აგარაკებზე ისვენებდნენ და დროს ატარებდნენ მეფის გვარეულობა და ერთი მუჭა პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლები. უცხოეთის კურორტებზე აუარებელი ოქრო გადიოდა, ძვირფასი სამკურნალო კურორტები კი თავმინებებული იყო. სამკურნალო მიზნით მათი კეთილმოწყობისა და რაციონალურად გამოყენებისათვის არავინ არ ზრუნავდა. ფართო გეგმიანი საკურორტო მშენებლობა, ქვეყნის უმდიდრესი კლიმატური და ბალნეოლოგიური რესურსების ათვისება საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დაიწყო.

უდიდესი სახსრები დაიხარჯა ძველი კურორტების ძირფესვიანი რეკონსტრუქციისათვის. ისინი აღიჭურვა უახლესი ტექნიკით. წყალტუბო, ბორჯომის ჯგუფის კურორტები, მენჯი, შოვი, საირმე, ბახმარო, ახტალა, ჯავა, ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, რიწა-ავადჰარა, განთიადი, გუდაუთა, ლესელიძე, ბიჭვინთა, სურამი, თბილისის გარეუბნის კურორტები, ცაიში, ლებარდე და სხვ. ჩვენ თვალწინ აშენდა და დამშვენდა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მზრუნველობის შედეგად საკურორტო-სანატორიულმა მშენებლობამ მძლავრი გაქანება ჰპოვა. ფართო საკურორტო დახმარება ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის. მედიცინის მუშაკების უზარმაზარმა არმიამ დიდი შრომა გასწია მკურნალობის მეთოდების სრულყოფისა და

დაავადებათა პროფილაქტიკისათვის, დამსვენებელთა მომსახურების კულტურის გაუმჯობესებისათვის, სამედიცინო მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში ფართო დანერგვისა და მკურნალობის ეფექტიანობის გადიდებისათვის.

პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის თავის დაუცხრომელ მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკურორტო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების რაციონალურად გამოყენებას.

საქართველოს მრავალფეროვან ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ჰიდრომინერალურ და კლიმატურ-თერაპიულ რესურსებს.

საქართველო მართებულად ითვლება საკავშირო ჯანმრთელობის კერად, საბჭოთა კავშირის საკურორტო ცენტრად.

აქ, შედარებით პატარა ტერიტორიაზე, რომლის ორი მესამედი ტყეებითაა დაფარული, აღრიცხულია ასობით მაღალმთიანი, მთიანი და ზღვისპირეთის კლიმატური სადგურები, 2000-მდე თითქმის ყველა არსებული კლასისა და ჯგუფის სამკურნალო მინერალური წყაროები. აღნიშნული მინერალური წყაროებიდან ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მხრივ შესწავლილია ნახევარზე მეტი.

ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოები შეეხო ჯერჯერობით წყაროების საბადოების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს და შესაბამისად გამოვლინებულია მინერალური წყლების საერთო რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილი, რომლებიც დედამიწის ღრმა წიაღშია, დედამიწის ზედაპირზე ამოსული წყაროების საერთო დებიტი დღეისათვის მერყეობს (არაზუსტი გაანგარიშებით) 90 000 000 ლიტრამდე დღე-ღამეში, ამასთან ამ დებიტის ნახევარი მოდის თბილ და ცხელ მინერალურ წყლებზე, საერთო დებიტის 40% — ნახშირმჟავა, და 25%-ზე მეტი — გოგირდწყალბადიან წყლებზე.

ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები მნიშვნელოვნად გაზრდის დღეისათვის არსებულ საერთო დებიტს და გამოავლენს კიდევ ახალ რე-

სურსებს. ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად, ბორჯომის ნახშირმყავა ჰიდროკარბონატ-ნატრიუმის წყაროების დებიტი ბევრად გადიდებულია (ნაცვლად 90 000 ლ/დღ 500000 და მეტი ლ/დღ). უკანასკნელ დროს დიდი მასშტაბით წარმოებულმა ღრმა ბურღვამ წყაროების საბადოების ფართო რაიონში გამოავლინა მინერალური წყლების სულ ახალ-ახალი რესურსები (სადგერი, ვარდგინეთი, ვაშლოვან-ყვიბისი და სხვ.) დღეისათვის საერთო დებიტი ბორჯომის მინერალური წყლების ცენტრალურ უბანში მერყეობს 200 000 ლ/დღ ფარგლებში, ხოლო ბორჯომის გარეუბანში, ვაშლოვან-ყვიბისში — 700 000 ლ/დღ.

თბილისის თბილი და ცხელი გოგირდიანი წყაროების დებიტი გადიდებულია თითქმის ერთისამად (სამ მილიონამდე ნაცვლად 1 200000 ლ/დღ). ღრმა ბურღვის სამუშაოები, რომლებიც აქ გრძელდება, დამატებით ავლენს სხვადასხვა ტემპერატურისა (თბილი და ცხელი) და სხვადასხვა მინერალიზაციის მინერალური წყლების მილიონობით ლიტრს დღე-ღამეში.

თავისი შემადგენლობით უნიკალური ლუგელას წყაროების დებიტი გადიდა 2000 ლ/დღ-დან 23000 ლ/დღ-მდე, ნაბელღავის ნახშირმყავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის წყლების დებიტმა (ბორჯომის ტიპისა) პირველი ჰაბურლილიდან მიაღწია 100000 ლ/დღ-ს ნაცვლად 3500 ლ/დღ. რიწა-ავადჰარას ერთი ჰაბურლილიდან ნაცვლად 3000 ლ/დღ მიღებულია 120000 ლ/დღ, სკურის ქლორიან-კალციუმის წყაროების დებიტი გადიდებულია უფრო მეტად და სხვ.

მინერალურ წყლებს შორის გვხვდება ისეთი ძვირფასი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების წყლები, როგორცაა ბორჯომი, ნაბელღავი (ვიშის ტიპის, საფრანგეთი), ზვარე — ძაუსუარი, ფასანაური (ესენტუკის ტიპისა), ლუგელას ქლორიდულ-კალციუმის წყალი (ქლორიდული კალციუმის 10% ხსნარი), რომელიც ჯერჯერობით უნიკალურადაა ცნობილი. ამავე ტიპს მიეკუთვნება გალის რაიონის ოქუმის მინერალური წყალი რამდენადმე მეტი მინერალიზაციით; საქართველოს სამხედრო გზის რაიონის ნარზანები, რომლებიც 150-ზე მეტ ძირითად წყაროებს ითვლის (ფასანაური, კობი, სიონი, თრუ-

სოს ხეობა ყაზბეგის რაიონში და სხვ.); მათ შორის მხოლოდ ერთი ყველაზე მძლავრი წყაროს „ნარზან-ვოკლიუზას“ დე-ბიტი აღემატება 20,000 000 ლ/დღ; ანალოგიური წყაროებით მდიდარია ზემო სვანეთი, რომელიც მძლავრ ბაზას წარმოადგენს ბალნეოლოგიური და კლიმატური ფაქტორებით სამკურნალო კურორტების მშენებლობის გასაშლელად; საირმის ტიპის წყლები, რომელთაც სახელი გაითქვეს, სსრკ საქართველოს სხვა რაიონებშიც მოიპოვება (მუშაში, ნაბეღლავი, ვაქასწყალი, ლებარდე, ურაველი და სხვ.), რკინა-დარიშხანიანი წყაროები (ზუბი, ვარძია, ავადპარა). განსაკუთრებული ადგილი უკავიათ წყალტუბოს თბილ რადიქტიულ-გაზიან წყაროებს (20 000 000 ლ/დღ-ზე მეტი დებიტით), რომლებიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ვერ თავსდებიან მინერალური წყლების თანამედროვე კლასიფიკაციის ჩარჩოებში, ნოქალაქევის, ტყვარჩელისა და სხვა მეტად რთული შემადგენლობის ჰიპერთერმულ და თერმულ წყაროებს მილიონობით ლიტრის დებიტით დღე-ღამის განმავლობაში. ყურადღების ღირსია აგრეთვე მთელი რიგი ძვირფასი თბილი და ცხელი წყაროები, როგორცაა აბასთუმნის, თბილისის, ციხისჯვრის, ნუნისის, სულორის, თორღვას აბანო, ასპინძა, ზეკარის, სადგერისა და მრავალი სხვაც და აგრეთვე ხრესილის, კურსების, გორისჯვრის, კვერეთის, ოქტომბრიანის, ჩუმათელეთის, ბეჟანთუბნის, ხვედურეთის გოგირდოვანი ცივი წყაროები და მრავალი სხვ.

განსაკუთრებული ადგილი უკავია 1951—1952 წწ. გეოლოგიურ საძიებო მუშაობის შედეგად გამოვლინებულ ცაიშის ცხელ (83°) გაზიან-აზოტურ-გოგირდწყალბადიან რადონის წყაროებს 3,5 მილიონ ლიტრზე მეტი დებიტით დღე-ღამის განმავლობაში (ორი ჭაბურღილი).

მის საბადოზე ზემდგომი ორგანოების დადგენილებით შენდება კურორტი ახალი პროფილით შავი ზღვის ქვიშიან სანაპიროს ახლოს, რკინიგზისა და მთავარი გზატკეცილის გასწვრივ, რომელიც გადაჭიმულია თბილისიდან სოხუმამდე, სოჭამდე და შემდეგ ჩრდილოეთით.

ჰიპერთერმული მინერალური წყლის ჭარბი დებიტის საფუძველზე დააპროექტეს „უკვამლო თბილი კურორტის“ მშენ-

ნებლობა, რომლის განხორციელებას ჯერ კიდევ 1952 წ. შეუდგნენ. უკვე აგებულია სააბაზანო შენობა, სანატორიუმი, პანსიონატი და სხვ. ყურადღების ღირსია ნახშირმყავა-პიდრო-კარბონატურ, ნატრიუმ-კალციუმიან-რკინიანი წყაროები მთის კლიმატურ კურორტზე (წაღვერი, შოვი, უწერა, ლებარდე და სხვ.) და აგრეთვე რკინა-დარიშხანიანი წყაროები (ავადპარა, ზუბი, ვარძია).

სამკურნალო ტალახიდან უნდა აღინიშნოს კუმისის ტბის ნალექი ტალახის დიდი მარაგი, ასევე გლდანის, ჯვრის, ახტალის ფსევდოვულკანური ტალახი, ტორფის ტალახი დასავლეთ საქართველოში და ზოგიერთი სხვა.

რელიეფის სირთულე — მარადთოვლიანი მთის მწვერვალები და მყინვარები, შავი ზღვის სუბტროპიკული თბილი სანაპირო — განაპირობებს კლიმატისა და მიკროკლიმატის მრავალფეროვნებას საქართველოში.

აქ წარმოდგენილია კლიმატის თითქმის ყველა ტიპი, გარდა ტროპიკულისა — მაღალმთიანი, საშუალომთიანი, ტენიანი სუბტროპიკული შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, აღმოსავლეთ საქართველოში ველის კონტინენტური კლიმატი, უმთავრესად დაბლობზე.

რელიეფისა და კლიმატის მრავალფეროვნების გამო საქართველო მდიდარია პირველხარისხოვანი მთის კლიმატური სადგურებით: აბასთუმანი, ბაკურიანი, ციხისჯვარი, ცემი, ლიბანი, საკოჭავი, მზეთამზე, მაჭარწყალი, შოვი, ლებარდე, ბახმარო, კოჯორი, მანგლისი, კიკეთი, ჯავა, რიწა-ავადპარა, ბეშუმი, სურამი, წყნეთი, ქვიშხეთი, ახალდაბა, დაბა, წაღვერი, უწერა და სხვ; უთვალავია ზღვის კლიმატური სადგურები მშვენიერი პლაჟებით, რომლებიც მიკროკლიმატური თავისებურებებით გამოირჩევიან — ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ბათუმი, ანაკლია-თიკორი, გაგრა, ახალი ათონი, სოხუმი, ლესელიძე, გუდაუთა, გულრიფში, ბიჭვინთა, მალთაყვა და მრავალი სხვ.

საინტერესოა შავი ზღვის სანაპირო ანაკლია-თიკორის, მალთაყვა-გრიგოლეთის (ქ. ფოთი) უბნებზე, სადაც ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული ქვიშიანი პლაჟები რბილად დაქანებული ნაპირით, დაბალი სიღრმის ფსკერით ($1/2$ — $1\frac{1}{2}$ მე-



ტრის სიღრმისა), რომელიც ნაპირიდან ას მეტრზე და მეტ მანძილზე გრძელდება. აქ ზღვის წყალი მზის სხივებით მაქსიმალურად თბება და განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია საბავშვო ჯანმრთელობის კერების გასაშლელად, რომლებსაც მომავალში შეეძლებათ კონკურენცია გაუწიონ სახელმომხვეჭილ ზღვისპირეთის საბავშვო კურორტებს.

ბალნეოლოგიური და კლიმატური საკურორტო-სამკურნალო ფაქტორების ტერიტორიული სიახლოვე და ამ ფაქტორების შერწყმა-შევისება, განსაკუთრებით კომბინირებულ დავადებათა მკურნალობისას ისეთ კლიმატურ-ბალნეოლოგიური ან ბალნეოკლიმატური კომბინატების მოწყობის შესაძლებლობას ქმნის, როგორცაა, მაგალითად, თბილისის ბალნეოკლიმატური ჯგუფი, ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კომბინატი, რომელთაც ბადალი არა ჰყავთ ბალნეოლოგიური რესურსებისა და სხვადასხვა სიმაღლის კლიმატური სადგურების სიმრავლითა და ნაირსახეობით.

ამ რაიონში ბაკურიანის საკავშირო სათხილამურო სადგური და მაღალმთიანი ტბები (ტაბაწყური, დაბაძველი და სხვ.) ხელს უწყობს წყალჯომარდობის განვითარებას.

საქართველოს კურორტების უმრავლესობა განლაგებულია რაიონებში, რომლებიც მდიდარია ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიული ძეგლებით. ისინი იზიდავენ მრავალრიცხოვან ტურისტებს, ექსკურსანტებს და ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ტურიზმის ფართოდ განვითარებისათვის.

ამასთან, საქართველოში კარგი პირობებია ალპინიზმის განვითარებისათვის, ათასობით ალპინისტი ყოველწლიურად იღებს გეზს კავკასიონის უმაღლესი მწვერვალებისაკენ (ყაზბეგი, იალბუჯი, უშბა, თეთნულდი და სხვ.).

როგორც ცნობილია, საქართველო საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით ერთადერთი სუბტროპიკული მხარეა. იგი მევნახეობის, მეჩაიეობის, ციტრუსოვანი მეურნეობისა და მაღალხარისხოვანი მეხილეობა-მებაღეობის ძირითად რაიონად რჩება.

აღმოსავლეთ საქართველოს ველის რაიონები მშრალი ჰავის სპეციფიკური ელემენტების წყალობით ხელსაყრელ პი-

რობებს ქმნის თირკმლებით დაავადებულთა მკურნალობისათვის. მეცხოველეობისა და მევენახეობის ეს რაიონი ხელს უწყობს შუა აზიის მსგავსად კუმისით სამკურნალო ბაზის მოწყობას და ყურძნით მკურნალობას.

კურორტებზე დღეს გიგანტი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, სასტუმროები, სააბაზანო შენობები, პოლიკლინიკები, ტურბაზები და სხვა პროფილაქტიკური გამაჯანსაღებელი დაწესებულებებია.

დაულალავ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის საკურორტო რესურსების გამოვლინებისა და შესწავლისათვის, ორგანიზმზე საკურორტო ფაქტორების გავლენის გამოსარკვევად და მათი მოქმედების მექანიზმის დასადგენად, რაც საფუძვლად დაედო კურორტებზე მკურნალობის მეთოდის გამომუშავებას, და აქ სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა ჩვენება და წინააღმდეგჩვენებათა დასადგენად.

30-ზე მეტი შრომათა კრებული, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, პოპულარული ბროშურები მიეძღვნა საქართველოს კურორტებზე მკურნალობის მეთოდისადმი.

საკურორტო მშენებლობის შემდგომი გეგმიანი განვითარებისა და ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ათვისების შედეგად საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის მშრომელების ძირითად გამაჯანსაღებელ ბაზად.

საქართველოს კურორტები

(ზოგადი ცნობები)

საქართველოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, განსაკუთრებით ბალნეო- და კლიმატოთერაპიული რესურსებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის სამკურნალო წყლების თითქმის ერთი მესამედი მომდინარეობს საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიიდან.

საქართველო მთიანი ქვეყანაა. მთელი მისი ფართობის 53,8% მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მ და მეტ სიმაღლეზე, 33,4% — 1000-დან 2000 მ-მდე და მხოლოდ რესპუბლიკის ტერიტორიის 12,8% 200 მ-ზე დაბლაა ზღვის დონიდან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს კურორტები კეთილმოწყობის მხრივ უზადრუკ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ბორჯომი და აბასთუმანი ეკუთვნოდა რომანოვების გვარეულობის დიდ მთავრებს, წყალტუბო ადგილობრივ აზნაურებს — იოსელიანებს, გაგრა — პრინც ოლდენბურგს, თბილისის გოგირდოვანი წყაროები — თავად ორბელიანებს, ბებუთოვებს, მირზოევებსა და სხვებს, ხოლო ახალი ათონი — ბერ-მონაზვნებს.

სოხუმის ტუბერკულოზის კერძო სანატორიუმი „აზრა“ 30 საწოლზე იყო გაშლილი, პანსიონი — 40 საწოლზე. აქ მკურნალობა მხოლოდ მოსახლეობის შეძლებულ ნაწილისთვის იყო ხელმისაწვდომი.

წყალტუბოში უკიდურეს პრიმიტიულ და ანტისანიტარიულ პირობებში მკურნალობდნენ ავადმყოფებს. კურორტზე ვერ

ი. ცავდნენ ელემენტარულ სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებსა და იყო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები. ავადმყოფთა მკურნალობის რაციონალურ მეთოდებზე ლაპარაკიც ხომ არ შეიძლებოდა.

სამკურნალოდ სტიქიურად ჩამოსული გლეხკაცობა ეწყობოდა თავიანთ ურემებზე, ავდრის დროს თავს აფარებდა ფარდულებს.

მენშევიკების უდღეურ ხელისუფლებას არაფერი ხელშესახები არ გაუკეთებია საქართველოს საკურორტო საქმისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. კურორტები სახელმწიფოს, ხალხის საკუთრებად იქცა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების გამგებლობაში გადავიდა. მოეწყო ახალი კეთილმოწყობილი კურორტები, აშენდა სანატორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები. დაიწყო ფუნქციონირება საკურორტო სამკურნალო-პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა წყალტუბოში, მენჯში, საირმეში, შოვში, ახტალაში, სურამში, ჯავაში, ბახმაროში, ლებარდეში, ცაიშში, ბორჯომის (წაღვერი, ცემი ლიბანი, ბაკურიანი) და თბილისის (კოჯორი, მანგლისი, წყნეთი), აგრეთვე აფხაზეთსა და აჭარის (ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ახალი ათონი, გუდაუთა, განთიადი, ლესელიძე და სხვ.) კურორტების ჯგუფმა.

ბევრი კურორტი და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება საბჭოთა წყობილების პირმოა.

ძირფესვიანი რეკონსტრუქცია განიცადა განთქმულმა კურორტმა ბორჯომმა, აბასთუმანმა და ზღვისპირეთის კურორტებმა (გაგრა და ახალი ათონი).

აქ აშენდა კომფორტაბელური სასახლე — სანატორიუმები. ისინი დღეს საკავშირო მნიშვნელობის კურორტებია.

სოხუმი და ბათუმი ზღვისპირეთის ქალაქი კურორტები უმდიდრესი სუბტროპიკული პარკებითა და სამედიცინო პლანტებით საქვეყნოდაა ცნობილი.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში წყალტუბოში აშენდა კომფორტაბელური სასახლე — სანატორიუმები სააბაზანო

შენობებით, პოლიკლინიკებით, პანსიონატებით, დიეტური სა-
სადილოებით, სასტუმროებით, რესტორნებით და სხვ. შექმ-
ნილია მუდმივი სამეცნიერო ბაზა — საქართველოს სსრ კუ-
რორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის ფილიალი. წყალტუბო საკავშირო მნიშვნელო-
ბის სახელგანთქმული კურორტია.

ბალნეოლოგიური კურორტი მენჯი — საქართველოს მა-
ცესტა (ცხაკაიას რაიონი) აშენდა საბჭოთა ხელისუფლების
დროს გოგირდწყალბადოვან-ქლორ-ნატრიუმის წყლის ბა-
ზაზე. დამსვენებლებს ემსახურება სანატორიუმი, სააბაზანო
შენობა, პოლიკლინიკა და საკურორტო-დამხმარე დაწესებუ-
ლებანი. კურორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს საბ-
ჭოთა კავშირში.

მთის (1600 მ) კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი
შოვი კურორტების თვალმარგალიტია. აქ უხვადაა ნახშირ-
მჟავა ჰიდროკარბონატურ-ნატრიუმის — კალციუმის და
რკინის წყაროები. შოვთან ახლო მდებარეობს ბალნეოლო-
გიურ-კლიმატური კურორტი უწერა (1040 მ) ზღვის დონი-
დან), რომელიც ძველთაგანვე განთქმულია თავისი მინერა-
ლური წყლებით (მათ შორის ბორჯომის ტიპის № 1 წყარო)
და საშუალო სიმაღლის ზონის კლიმატით. აქ აშენდა სანა-
ტორიუმი, პანსიონატი პოლიკლინიკით, უწერაში არის სა-
აბაზანო შენობაც.

დაიწყო ფუნქციონირება ბალნეოკლიმატურმა კურორტმა
ჯავამ (1040 მ ზღვის დონიდან) ნახშირმჟავა-ქლორიდ-ჰიდ-
როკარბონატული წყლების (ესენტუკის ტიპის) ბაზაზე.

ამავე წლებში რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტების
რიგში ჩადგა ახტალა, ერთადერთი ბალნეოლოგიური კურორ-
ტი საბჭოთა კავშირში, რომელიც წარმოიშვა ფსევდოვულკა-
ნური ტალახის ბაზაზე. აქ არის სანატორიუმები, პოლიკლი-
ნიკა, ტალახით სამკურნალო და სხვა საკურორტო-დამხმარე
დაწესებულებები.

უკანასკნელ ათ წელიწადში რესპუბლიკური მნიშვნელობის
კურორტებს შეემატა მთის კლიმატური და ბალნეოლოგი-
ური საშუალო სიმაღლის ზონის (750—800 მ ზღვის დონი-
დან) კურორტი სურამი. კლიმატურმა თავისებურებამ დიდი

ხანია გაუთქვა სურამს მალარიის საწინააღმდეგო სადგურის სახელი. შექმნილია სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების საკმაო ქსელი, მოქმედებს სააბაზანო შენობა, საკურორტო პოლიკლინიკა და სხვ.

ამავე წლებში აშენდა პოპულარული მაღალმთიანი კურორტები ბახმარო (1950 მ ზღვის დონიდან), ლებარდე (1600 მ ზღვის დონიდან), რომლებიც საქართველოს სხვა მაღალმთიანი კურორტებისაგან განსხვავდებიან თავისებური ლბილი მთა-ზღვის კლიმატით.

აქ დამსვენებლებს ემსახურება სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პოლიკლინიკები, პიონერთა ბანაკები და სხვ.

სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, სააბაზანო შენობებით და სამედიცინო პლაჟებით დაიფარა საქართველოში შავი ზღვისპირეთის რესპუბლიკური მნიშვნელობის აჭარისა და აფხაზეთის კურორტები. ექსპლუატაციაში შევიდა ბორჯომის ჯგუფის კურორტები (წაღვერი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი), აგრეთვე თბილისის გარეუბნის კურორტები (კოჯორი, მანგლისი, წყნეთი, კიკეთი).

თბილისში თერმული გოგირდოვანი წყლების ბაზაზე აშენებულია კომფორტაბელური სააბაზანო შენობა პოლიკლინიკით, ყველა სახის დიაგნოსტიკური და ბალნეოფიზიო სამკურნალო განყოფილებით და კაბინეტებით.

ამ ტერიტორიაზე აშენდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდა, მაგრამ მეტად პერსპექტიული ბალნეოლოგიური კურორტი ცაიში, რომელიც უძველესი დროიდან ცნობილია მენჯ-მაცესტის ტიპის ვოგირდ-წყალბადიანი, ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლებით. 15-ოდე წლის წინათ აქ ნავთობსა და ნახშირზე ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარებისას საბურღავი ჭიდან 750—800 მ სიღრმიდან ამოხეთქა ჰიპერთერმული წყლის (83°) შადრევანმა (წყალტუბო-მენჯის ნარევი). ამ ძვირფასი (3,5 მლნ ლ/დღ პირველი ორი ჰაბურდილიდან) სამკურნალო წყლის დებიტის ბაზაზე უკვე ფუნქციონირებს სა-

ნატორიუმი — პანსიონატი, პოლიკლინიკა, სააბაზანო შენობა-
გრძელდება მომავალი დიდი ბალნეოლოგიური კურორტის
კაპიტალური ობიექტების საკავშირო მშენებლობა. რესპუბ-
ლიკის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის საკურორტო ბალ-
ნეო- და კლიმატოთერაპიულ დახმარებაში უდიდეს როლს ას-
რულებს ამ წლებში გამოვლინებული ადგილობრივი მნიშვნე-
ლობის მრავალი ათეული კურორტი. ბევრგან მოწყობილია
სააბაზანო შენობები, სანატორიუმები, პანსიონატები, დასა-
სვენებელი სახლები და პოლიკლინიკები. ისინი ძირითადად ემ-
სახურებიან კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა, ჩაის
პლანტაციებსა, ფაბრიკებსა, ქარხნებსა და ქვანახშირის მრე-
წველობაში დასაქმებული მშრომელების ჯანმრთელობის და-
ცვას, მაგალითად, კვერეთი — ჭიათურის მარგანეცის მომპო-
ვებლებს, კურორტები ხრესილი და კურსები, საწირე —
ტყიბულის ქვანახშირის საბადოს, ტყვარჩელი — ტყვარჩე-
ლის ქვანახშირის საბადოს, ასპინძა, ურაველი, ვარძია და
სხვა — ახალციხის ქვანახშირის საბადოს მშრომელებს.

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებიდან განსაკუთ-
რებით აღსანიშნავია ლებარდე, ნაბედლავი, სქური, ნუნისი,
გორისჯვარი, თორღვას აბანო, შაქრიანი, ოქტომბრიანი, ზვა-
რე, ზეკარი, ნაქალაქევი, ბეშუმი, ბია, ციხისჯვარი, ანაკლია,
ვაჟას აბანო, მუშაში, ლესე, ნაგუთნი, რიწა-ავადპარა, ხოვლე,
აერო, გომბორი, ბეთანია, ფასანაური და მრავალი სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამეცნიერო-
კვლევითი მუშაობა საქართველოს საკურორტო ფაქტორების
შესასწავლად წარმოებდა შემთხვევიდან შემთხვევამდე. მხო-
ლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, განსაკუთრებით
კი 1931 წლიდან გაიშალა დიდი მუშაობა საკურორტო ფაქ-
ტორების გეგმიანი და სისტემატური შესწავლისათვის.

ამ სამუშაოს სათავეში ჩაუდგა 1926 წ. დაარსებული კუ-
რორტოლოგიის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინს-
ტიტუტი და მისი ფილიალი სოხუმში, აგრეთვე ამ უკანას-
კნელი 15 წლის წინათ შექმნილი წყალტუბოს ფილიალი თბი-
ლისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრებისა
და კლინიკების და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მო-
ნაწილეობით.




ბორჯომის საკურორტო ფაქტორებს. გავლენის შესწავლას ჯანმრთელ და დაავადებულ ორგანიზმზე მრავალი ნაშრომი (ექსპერიმენტული და კლინიკური) მიეძღვნა. დადგენილია ბორჯომის წყლის მაღალი სამკურნალო ეფექტურობა საჭმლის მომნელებელი ორგანოების ქრონიკული დაავადებების დროს და შემუშავებულია მკურნალობის მეთოდთა დადგენილია ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი. ექიმებისათვის გამოიცა სახელმძღვანელო „ჩვენებანი, წინააღმდეგჩვენებანი და მკურნალობის მეთოდთა კურორტ ბორჯომში“.

გამოცემულია მონოგრაფია „ბორჯომი და მისი ხეობა“ და „კურორტების და სამკურნალო ადგილების ბორჯომის ჯგუფი“. გარდა ამისა, ბორჯომის ჯგუფის კურორტების კადასტრი და შრომების ორი კრებული.

დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაა ჩატარებული წყალტუბოს საკურორტო ფაქტორების ყოველმხრივ (გეოლოგიური, კლიმატური, ექსპერიმენტალურ-კლინიკური და სხვ.) შესასწავლად. გამოირკვა, რომ წყალტუბოს აბაზანები ააქტივებს ქალის სასქესო ჯირკვლებს, კეთილად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებსა და რევმატიზმის რეზიდუალურ მოვლენებზე, ვეგეტატიური ნერვული სისტემის ტონუსზე, ბავშვთა პოლიომიელიტის ნარჩენ მოვლენებსა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებაზე, ხელს უწყობს ორგანიზმში ქანგვა-აღდგენის პროცესების გაძლიერებას. ხელს უწყობს კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადების განკურნებას, კარგი შედეგია მიღებული სხვადასხვა ეტიოლოგიის სახსრების, აგრეთვე ჰიპერტონიული და გინეკოლოგიური დაავადების მკურნალობისას.

დადგენილია დღეში ერთ აბაზანიანი მკურნალობის უპირატესობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ზოგიერთი სხვა დაავადების დროს. გამოიმუშავებულია მკურნალობის მეთოდი და ჩვენებები ამ კურორტზე მკურნალობისათვის. წყალტუბოში ჩატარებული სამუშაოების შესახებ გამოცემულია შრომების სამი კრებული. დიდი ექსპერიმენტული სამუშაოებია ჩატარებული წყალტუბოს აბაზანების მოქმედების მექანიზმის შესასწავლად.

1663861



დადგენილია ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის მაღალი ეფექტურობა კურორტ აბასთუმანში.

ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული ავადმყოფ და ჯანმრთელ ორგანიზმზე საკურორტო ფაქტორების მოქმედების მექანიზმის დადგენისათვის და აგრეთვე ჩვენებათა, წინააღმდეგ-ჩვენებათა და მკურნალობის მეთოდის დაზუსტებისათვის (თბილისის მინერალური წყლები, კუმისი, საირმის, შოვი, მენჯი, ახტალა, ბახმარო, პატარა ცემი, ნაბელავი, ჯავა და სხვ.).

გრძელდება მუშაობა ქვეყნის ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორების ძიებისა და შესწავლისთვის, რესურსების გამოსავლინებლად და დებიტის გასადიდებლად, პირველ რიგში განსაკუთრებით ძვირფასი სამკურნალო მინერალური წყლების, მათი ბალნეოთერაპიულ თვისებათა, საკურორტო ფაქტორების ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმის დასაზუსტებლად, კურორტ წყალტუბოს, ბორჯომის, გაგრისა და სხვათა გენერალური დაგეგმარებისათვის, სამთო სანიტარიული დაცვის ზონების დასადგენად.

ამ პერიოდში შესრულებული და გამოქვეყნებულია 700-ზე მეტი შრომა კურორტოლოგიის სხვადასხვა დარგში. გამოცემულია სახელმძღვანელოები კურორტოლოგიასა და ფიზიოთერაპიაში, აგრეთვე მრავალი მონოგრაფია და ბროშურა.

კვლევის შედეგები დაედო საფუძვლად კურორტების საბოლოო პროფილების დადგენას და მეცნიერულად დასაბუთებულ ჩვენებასა და წინააღმდეგჩვენებებს და რესპუბლიკის კურორტებზე ავადმყოფთა კომპლექსური მეთოდით მკურნალობას.

საქართველოს კურორტები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მზრუნველობისა და ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩადგა.

საქართველოს კურორტების ზოგადი კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური დახასიათება

გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფის ნაირსახეობა და სირთულე — მაღალთოვლიანი მწვერვალები და მყინვარები, შავი ზღვის თბილი სუბტროპიკული სანაპირო, აღმოსავლეთ საქართველოს ველის ვრცელი დაბლობები, მთები, ტბები და მდინარეები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიას სხვადასხვა მიმართულებით კვეთენ, განაპირობებს საქართველოს რესპუბლიკის კლიმატის, მიკროკლიმატის და მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას. დასავლეთიდან საქართველოს ეკვრის შავი ზღვის ფართო სანაპირო, ჩრდილოეთით აღმართულია კავკასიონის ქედი მარადთოვლიანი მწვერვალებით, სამხრეთით — ამიერკავკასიის მთა-გორაკები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ტერიტორია გადადის დაბლობზე.

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავს საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე ყველა ტიპის კლიმატის არსებობას. აქ გვხვდება შავი ზღვის სანაპიროს ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებში ველის კლიმატი.

იმყოფება რა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე, სადაც ზომიერი ღრუბლიანობა იცის, საქართველოს კურორტებს ახასიათებს წლის ყველა დროში რადიაციის დიდი ხანგრძლივობა და ინტენსივობა.

მზის სხივადობის ხანგრძლივობა რესპუბლიკის კურორტებზე წლის განმავლობაში მერყეობს 2000-დან 2500 საათამდე. ზაფხულის თვეებში იგი გრძელდება 9—10, ხოლო ზამთრის თვეებში 4—6 საათი დღე-ღამეში.

საქართველოს მთიანი კურორტების ერთ-ერთ კლიმატურ თავისებურებას წარმოადგენს მზის სპექტრის, განსაკუთრე-

ბით მისი ულტრაიისფერი ნაწილის მაღალი აქტივობა, რომელიც გაპირობებულია მაღალი ადგილიდან მზის სხივადობის ინტენსივობის გაძლიერება.

ზომიერი და სუბტროპიკული განედების ჰაერის ცირკულაციის ზემოქმედების გამო საქართველოში ჰაერის მასების გადაადგილება ხდება ძირითადად დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიემართებიან რა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, შავი ზღვით დატენიანებული ჰაერის მასები აწყდებიან დასავლეთ საქართველოს მთების გრეხილებს, აქ განიტვირთებიან ჰარბი ტენისგან, გამოყოფენ ნალექებს და გადადიან რა სურამის უღელტეხილზე, აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად ტენდაკარგული შემოდინან.

ამგვარად, სურამის ქედი განაპირობებს დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მკვეთრ სხვაობას, იგი ყოფს საქართველოს ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ კლიმატურ ზონად: ზღვის ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის ოლქი დასავლეთ საქართველოში და ზომიერად ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის ოლქი — აღმოსავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთთან შედარებით ხასიათდება გაძლიერებული ტენიანობით, ნალექების დიდი ოდენობით, უფრო თბილი ზამთრით და ჰაერის ტემპერატურის უფრო მცირე ამპლიტუდით.

იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სრულიად განსხვავებული კლიმატის კურორტები არსებობს, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დოც. მ. ო. კორძახიას მიერ მოწოდებული საქართველოს კურორტების ლანდშაფტურ-კლინიკური კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით საქართველოს კურორტები დაყოფილია ცალკეულ ზონებად და ქვეზონებად, აი ეს კლასიფიკაცია:

I. ტენიანი სუბტროპიკული დავაკეხული ზონა ზომიერად თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით (კაიგოროდოვის მიხედვით, ძალიან რბილი ზამთარი და ძალიან თბილი ზაფხული) იყოფა სამ ქვეზონად:

1. ზღვისპირის ქვეზონა, თითქმის მთელი წლის განმავლობაში გაბატონებული ქარებით ზღვიდან და ნალექების უდიდესი ოდენობით შემოდგომასა და ზამთარში.

აჭარის სანაპირო ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლემდე, კურორტები: ბათუმი, მახინჯაური, ჩაქვისთავი (მწვანე კონცხი), ჩაქვა, ციხისძირი, ქობულეთი და სხვ.

2. ქვეზონა კარგად გამოხატული მუსონური ხასიათის ქარებით, წლის ყველა დროის განმავლობაში საკმაო ოდენობის ნალექებით. წლის ცივ ნახევარში აქ გაბატონებულია მძაფრი მშრალი აღმოსავლეთის ქარები ზღვიდან.

რაიონის ველი ზღვის დონიდან 400 მეტრ სიმაღლემდე. კურორტები: მენჯი, ცაიში, წყალტუბო, ნაქალაქევი, ანაკლია, მალთაყვა და სხვ.

3. ზღვისპირის ქვეზონა, სადაც წლის განმავლობაში ჭარბობს ზომიერი სისწრაფის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები ნალექების დიდი მერყეობით სეზონებში.

აფხაზეთის სანაპირო კურორტები: ლესელიძე, გაგრა, გუდაუთა, ახალი ათონი, სოხუმი, გულრიფში.

II. წინამთიანეთის ზონა ზომიერი ცივი ზამთრით და თბილი ზაფხულით (კაიგოროდოვის მიხედვით თბილი ზამთარი და თბილი ზაფხული).

იყოფა შემდეგ ქვეზონებად:

1. მუდმივტენიანი ქვეზონა ნალექების უმცირესი ოდენობით გაზაფხულზე და ზომიერად ცხელი ზაფხულით.

მცენარეულობა: ფართოფოთლოვანი ტყე.

დასავლეთ კავკასიონის სამხრეთის წინამთიანეთი და ჩრდილოდასავლეთის წინამთიანეთი აჭარა-გურიის ქედით 200-დან 700 მ სიმაღლით ზღვის დონიდან. კურორტები: ტყვარჩელი, მუხური, სკური, გორი და სხვ.

2. ზომიერადტენიანი ქვეზონა შედარებით მშრალი ზაფხულით, ფოთლოვანი ტყე.

სურამის ქედის დასავლეთი კალთა 400-დან 700 მ სიმაღლით ზღვის დონიდან. კურორტები: ზვარე, ნუნისი და სხვ.

3. გარდამავალი კლიმატების ქვეზონა ზომიერადტენიანიდან მშრალ სუბტროპიკულამდე, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით. ტყე-ველი.

თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთები და ცივგომბორის ქედის კალთები ზღვის დონიდან 400-დან 700 მ სიმაღლეზე.

კურორტები: ახტალა, თბილისი, მცხეთა, გორისჯვარის და სხვ.

III. შუამთის ზონა თბილი ხანგრძლივი ზაფხულით და თბილი ზამთრით. ზღვის დონიდან 700—900—1000 მეტრის სიმაღლემდე (კაიგოროდოვის მიხედვით, ზომიერად თბილი ზამთარი და თბილი ზაფხულით).

იყოფა ქვეზონებად:

1. მუდმივადტენიანი ქვეზონა, თოვლის გამძლე საბურველით ზამთარში, ფოთლოვანი ტყე.

კავკასიონის და აჭარა-გურიის ქედის კალთები დასავლეთ საქართველოს ფარგლებში.

კურორტები: რიწა, საირმე და სხვ.

2. ქვეზონა გარდამავალი კლიმატით ზომიერ ნოტიოდან მშრალ სუბტროპიკულამდე, ზამთარში არაგამძლე თოვლის საბურველით. ტყე-ველი, ადგილ-ადგილ შერეული ტყე, ქართლ-იმერეთის და თრიალეთის ქედების აღმოსავლეთის კალთები და კავკასიონის ცენტრალური ნაწილის სამხრეთის კალთა.

კურორტები: ახალდაბა, სურამი, ქვიშხეთი, ბეთანია, ოქტომბრიანი, ყანჩავეთი და სხვ.

IV. მთიანი ზონა თბილი ხანგრძლივი ზაფხულით, ცივი ზამთრით, გამძლე თოვლის საბურველით ზამთარში.

სიმაღლე ზღვის დონიდან 1000-დან 1500-მდე (კაიგოროდოვის, ზომიერად თბილი ზაფხული).

იყოფა ქვეზონებად:

მუდმივტენიანი ქვეზონა, ზამთარში ძლიერი თოვლის საბურველით, ტყე შერეული.

მთის კალთები დასავლეთ საქართველოს ფარგლებში.

კურორტები: მესტია, მუაში და სხვ.

2. ზომიერადტენიანი ქვეზონა, მზიანი დღეების დიდი რაოდენობით.

ახალციხის ქედის სამხრეთი კალთა, თრიალეთის ქედის დასავლეთის ნაწილი და კავკასიონის ცენტრალური ნაწილი. ტყე — წიწვიანი, ადგილ-ადგილ ფოთლოვანი.

კურორტები: აბასთუმანი, ლიბანი, ცემი, წალვერი, ტბა, დაბა, ფასანაური, ასპინძა, ბორჯომი და სხვ.

3. ქვეზონა გარდამავალი კლიმატით — ზომიერ ნოტიოდან მშრალ კლიმატამდე, მცირე ხანგრძლივი თოვლის საბურველით და ნათელი, მზიანი დღეების დიდი რაოდენობით.

ტყე-ველი, შერეული ტყე.

კურორტები: კოჯორი, კიკეთი, თეთრი წყარო, გომბორი, წყნეთი, მანგლისი (ადგილობრივი პირობების გავლენით ჰავის ტენიანობა მანგლისში რამდენადმე აწეულია).

V. მაღალმთიანი ზონა არახანგრძლივი თბილი ზაფხულით, ხანგრძლივი თოვლის საბურველით და მზიანი დღეების დიდი რაოდენობით (კაიგოროდოვით, ზომიერად თბილი ზამთარი და ზომიერად გრილი ზაფხული), წიწვიანი ტყე 1500-დან 2000 მ ზღვის დონიდან.

1. ნოტიო ქვეზონა მყარი ხანგრძლივი თოვლის საბურველით 4-დან 6 თვემდე დასავლეთ საქართველოს ირგვლივ შემოჭარული მთების კალთებზე.

კურორტები: შოვი, ლებარდე, ბახმარო, ავადჰარა, შუაგორა, ბეშუმე.

2. ქვეზონა ზომიერად ტენიანი კლიმატით. თრიალეთის ქედის დასავლეთი ნაწილი და კავკასიონის ცენტრალური ნაწილი.

კურორტები: ბაკურიანი, ციხისჯვარი, თორღვას აბანო, ყაზბეგი, კობი, ჯავა.

3. ქვეზონა გარდამავალი კლიმატით ზომიერ ნოტიოდან მშრალზე, ტყე — ველი.

საქართველოს სამხრეთის მთიანეთი.

VI. დაკავებულ ველის ზონა, კლიმატი სუბტროპიკული, კონტინენტური, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ველი აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ნაწილში, სიმაღლე ზღვის დონიდან 300—400 მეტრი.

საქართველოს რესპუბლიკაში ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად მრავალფეროვანია მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ტყეებში, რომელთაც უკავიათ საქართველოს მთელი ტერიტორიის 30%, ხარობს 350 სახის ხეების, ბუჩქების ჯიშები, რომელთა შორის გვხვდება ბევრი განსაკუთრებით ძვირფასი ჯიშები (ბზა, კაკალი, წაბლი, ძელქვა, ელდარის ფიჭვი, ბიჭვინთას ფიჭვი და სხვ.). დასავლეთ სა-

ქართველოს, განსაკუთრებით მისი დაბლობი, ძირითადად დაფარულია ციტრუსების სუბტროპიკული კულტურებით და ტექნიკური მცენარეულობით (ჩაი, თამბაქო, ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, იაპონური ხურმა, ხურმა, ქინაქინის ხე, ზეთის ხილის ხე, არახისი, ტუნგო, რამი, წყავი, ევკალიპტი, დაფნა, ბამბუკი, მაგნოლია, ინდური კომში და მრავალი სხვა).

წარმოდგენა რომ გვქონდეს საქართველოს ნაყოფის მსხმოიარე კულტურებზე საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ ხარობს 400 ჯიშის ყურძნის ვაზი და 200 ხარისხის ვაშლი და მსხალი. ამას გარდა, საქართველოს ბაღებს ამშვენებს უმაღლესი ხარისხის ატმები, გარგარი, ქლიავი, ალუბალი, ლელვი, ბროწეული, კომში და სხვ.

არ შეიძლება თუნდაც გაკვირთ არ აღინიშნოს ცხოველთა სამყაროს ნაირსახეობა; ცხელი ქვეყნების და ტენიანი სუბტროპიკების ბინადარნი აქ, საქართველოში პოულობენ თავშესაფარს და ხელსაყრელ პირობებს გამრავლებისათვის.

საქართველოს კლიმატური და გეოგრაფიული პირობების შესაფერისად აქ ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველთა სამეფო.

რესპუბლიკის წყლებში მოიპოვება თევზის საუკეთესო ჯიშები — კალმახი, ხრამული, ზუთხი და სხვ.

საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების სირთულე და თავისებურება აპირობებს მინერალური წყაროების სიუხვეს და მრავალფეროვნებას. წყაროების ერთი ნაწილი დედამიწის ზედაპირზე გამოდის, უმეტესობა მიწის წიაღშია ჩამარხული.

გეოლოგიური თავისებურებების მიხედვით საქართველოს ტერიტორია ოთხ ოლქად იყოფა.

პირველი — კავკასიონის ქედი და მისი სამხრეთი ფერდია. გეოლოგიურად იგი მაღალმთიან რაიონს წარმოადგენს და აგებულია დანალექი ქანების მძლავრი წყებით, რომელთაც დანაოჭებისა და მაგმური ინტრუზიების შემოჭრის რამდენიმე ფაზა განიცადეს. ისტორიული განვითარების ბოლო ეტაპზე (მესამეულსა და მეოთხეულში) ამ ოლქს ახასიათებდა საერო აზავების (ამოწვევის) ტენდენცია, როგორც მეზოზოური, ისე პალეოზოული ასაკის დანალექი ქანები აქ ძირითადად

ფიზური ფასციებით არიან წარმოდგენილი, ე. ი. ქვიშაღი და მერგელოვანი ფიქლების, ზოგჯერ კირქვების რითმული მორიგეობით. კავკასიონის მთავარ ქედსა და მის სამხრეთ ფერდზე დანალექი ქანების თერმული მეტამორფიზმის შედეგად ჩამოყალიბდა ნახშირმჟავა მინერალური წყლები, რომლებიც განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის ჩრდილო-რაიონებისათვის არის დამახასიათებელი (შოვი, უწერა და სხვ.).

მეორე ოლქს წარმოადგენს მტკვრისა და რიონის დებრესიები, რომელთაც საქართველოს ცენტრალური ნაწილი უჭირავთ. ამ რაიონში მეზოზოური ნალექების გარდა, განვითარებულია კაინოზოური ნალექებიც, რომლებიც ძირითადად თიხოვან ნალექებს წარმოადგენენ. აქ არსებობს ხელსაყრელი პირობები სუსტად სულფიდური მარილიანი წყაროების წარმოშობისათვის, რომლებიც ადგილ-ადგილ ჩნდება ახტალის მსგავსი ტალახის წყაროების სახით.

მესამე ოლქი მცირე კავკასიონია. ეს არის მაღალმთიანი რაიონი, რომელსაც რესპუბლიკის სამხრეთი ნაწილი უჭირავს. აგებულია ძირითადად იურული და ცარცული ასაკის ნალექებით, დანაოჭებულია, ნაოჭებს დაქანების მცირე კუთხეებო ახასიათებს და ამავე დროს დაწყვეტილია რღვევებითა და ნახსლეტებით. აქ ადგილი ჰქონდა ინტენსიურ ვულკანურ აქტივობას, რის შედეგადაც განვითარებულია ბაზალტების მძლავრი განფენები და ტუფების დასტები, რომლებიც თავზე ადევს დანალექი ქანების წყებას. ამ რაიონში არსებობდა ხელსაყრელი პირობები ნახშირმჟავა წყლების წარმოშობისათვის. ეს წყლები დედამიწის ზედაპირს ნაპრალების საშუალებით აღწევენ (ბორჯომი და სხვ.).

მეოთხე ოლქია შავი ზღვისპირეთის ღრმული, რომელსაც საქართველოს დასავლეთი ნაწილი უკავია.

საქართველოს დანალექი ქანები, რომლებიც კავკასიონის ქედსა და მტკვრის და რიონის დებრესიებს აგებენ, დასავლეთისკენ იძირებიან შავი ზღვის დონეზე დაბლა. რიონის შესართავთან შავი ზღვისპირეთის ღრმული ერწყმის კოხეთის დაბლობს და მეოთხეული დანალექების მძლავრი დასტითაა დაფარული. ქვედა და ზედა ცარცის კირქვიან შრეებში შრე-



ებრივი წყლის შემცველი ჰორიზონტები ღრმულის ფერებში წარმოქმნიან გოგირდწყალბადიან და ქლორიდ-ნატრიუმის წყაროთა საბადოებს (მენჯის ტიპის და სხვ.).

ამრიგად, საქართველოში არსებობს ჰიდროგეოლოგიური პირობები, რომლებიც განაპირობებენ ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ, უძვირფასეს სამკურნალო მინერალური წყაროების წარმოშობას.

თბილისის ჯგუფის კურორტები და სამკურნალო ადგილები

მრავალრიცხოვანი ქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის მახლობლად კურორტებისა და სააგარაკო ადგილების არსებობას, რომლებიც თავიანთი სიახლოვის წყალობით ადვილი ხელმისაწვდომია მოსახლეობის ფართო მასების დასასვენებლად და სამკურნალოდ.

ამ მხრივ თბილისი უაღრესად ხელსაყრელ პირობებში იმყოფება. თვით ქალაქში მაღალდებიტიანი ძვირფასი თბილი გოგირდიანი წყლები და ქალაქის მახლობლად მთელი რიგი კურორტები და სააგარაკო ადგილები — კოჯორი, მანგლისი, წყნეთი, კიკეთი, ბეთანია, მთაწმინდა, ოქროყანა, კრწანისი, მარტყოფი, საგურამო, გლდანი, მცხეთა, გომბორი და სხვანი სამკურნალო და პროფილაქტიკური დახმარების დიდ შესაძლებლობას ქმნის.

თბილისის მოსახლეობას განსაკუთრებით ძვირფას სამსახურს უწევს მის მიდამოებში მდებარე კლიმატური სადგურები: მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულიორის პლატო), კოჯორი, წყნეთი, კიკეთი, ოქროყანა, კრწანისი და სხვ., სადაც მოსახლეობას საშუალება ეძლევა დაისვენოს მუშაობისაგან მოუწყვეტლივ მთელი დღე ან დღის გარკვეული ნაწილი მგზავრობის მინიმალური დროის დაკარგვით.

თბილისის ზოგიერთი საგარეუბნო კურორტი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და სამკურნალო თვისებებით არ ჩამორჩება მრავალ სახელგანთქმულ კურორტს. ასეთებს შეიძლება მივაკუთვნოთ პირველ რიგში თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, კოჯორი, მანგლისი, წყნეთი და კიკეთი. სათანადო კეთილმოწყობისა და საკურორტო საქმის რაციონა-

ლურად მოგვარების პირობებში ამ მთის კლიმატურ კურორტებს თავისუფლად შეუძლიათ შეცვალონ და განტვირთონ აბასთუმანი, შოვი, ბახმარო და სხვ. თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს კი თავის განთქმული თერმული გოგირდოვანი წყლებით, უდავოდ, არანაკლები ეფექტით შეუძლია უმკურნალოს ავადმყოფებს და კონკურენცია გაუწიოს წყალტუბოს, მაცესტას, მენჯს, ახტალას და სხვა ბალნეოლოგიურ კურორტებს.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის, მისი საგარეუბნო კურორტებისა და აგარაკების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება ქალაქის მრეწველობისა და მოსახლეობის ზრდასთან. მათი შემდგომი გაფართოების, რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის გრანდიოზული გეგმების განხორციელება სავსებით უზრუნველყოფს თბილისის მოსახლეობის საკურორტო მკურნალობასა და დასვენებას.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი. საქართველოს უძველესი პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ცენტრი თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია.

თბილისი პირველად იხსენიება IV საუკუნის მეორე ნახევრის წერილობით ძეგლებში.

საქართველოს მატთანეს მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვარაზ-ბაკურის დროს 368 წელს სპარსეთის შაჰის პიტიახში თავის რეზიდენციად ირჩევს გამაგრებულ ქალაქ თბილისს, ადმინისტრაციული სამეურნეო და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ყველაზე უფრო ხელსაყრელ ცენტრს და აქედან თვალყურს ადევნებს აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების მოქმედებას; ამ პერიოდში მეფეების რეზიდენცია უძველესი დედაქალაქი მცხეთა იყო.

სახელწოდება „თბილისი“ წარმოიშვა სიტყვიდან თბილი, რაც თავისთავად დაკავშირებულია თბილ გოგირდოვან წყაროებთან, რომლებიც აქ დღესაც არსებობენ ქალაქის უძველეს ნაწილში.

თქმულება გადმოგვცემს, რომ ერთხელ მეფე ვახტანგ

გორგასალი (V ს) ტყეში ნადირობდა, რომელიც იმ დროს ფარავდა თბილისსა და მის მიდამოებს. აფრენილ ხოხობს მიმინო დაადევნა, მაგრამ მალე ორივე დაეკარგა მხედველობიდან. როდესაც მეფე მათ საძებნელად წავიდა, კარგა ხნის სიარულის შემდეგ ორივე მოხარშული იპოვნა ცხელ წყაროში. როგორც ამ წყაროებმა, ისე ახლომდებარე ბუნებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე, ისე მოხიბლა იგი, რომ განკარგულება გასცა ამ ადგილზე აეშენებინათ ქალაქი, და მას ტფილისი უწოდეს. შემდეგში მას აქ გადმოუტანია თავისი რეზიდენცია.

თბილისი, რომელმაც V-დან XVIII საუკუნემდე 16-ჯერ განიცადა ნგრევა-განადგურება, 1795 წელს კიდევ ერთხელ გახდა უმაგალითო სიმკაცრის მსხვერპლი. სპარსეთის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა იცოდა თბილისის გოგირდოვანი მინერალური წყლების მაღალი სამკურნალო თვისებანი, რამდენჯერმე მიიღო ამ წყლების აბაზანები, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ სქესობრივ უნარს იგი ვერ დაუბრუნდება (მაჰმად-ხანი საჭურისი იყო), ბრძანა დაენგრიათ აბანოები.

მეფის თვითმპყრობელობის მთელი პერიოდის განმავლობაში თერმული წყაროები წარმოადგენდა ცალკე პირთა საკუთრებას.

მეცხრამეტე საუკუნიდან თბილისის გოგირდოვანი წყაროები მოინახულეს როგორც ჩვენმა, ისე საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა და მოგზაურებმა (ტურნეფორი, დელაპორტი, პაროტი, დიუბუა და სხვ.).

რუსეთის გენიალურმა პოეტმა პუშკინმა 1833 წელს არზრუმში გამგზავრებისას გავლით ინახულა თბილისის გოგირდოვანი წყლები და იბანავა აქაურ აბანოში. მან ვერ დამალა თავისი აღტაცება: „არსად, არც ოსმალეთში და არც სხვაგან, მე არ მიინახავს არაფერი თბილისის აბანოებზე უმშვენიერესი“.

1866 წელს კავკასიაში მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს განკარგულებით თბილისის მინერალური წყაროების შესწავლას შეუდგა კომისია მსოფლიოში ცნობილი გეოლოგის აკადემიკოს აბიხის ხელმძღვანელობით. კომისიამ შეიმუშავა დადგენილებები, დასკვნები და მითითებანი, რომლებსაც



დღემდე არ დაუქარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. აკადემიკოსი აბიხი სხვათა შორის გამოთქვამდა ვაკვირვებას იმის გამო, მინერალური წყლები სრულიად შეუსწავლელი იყო და რომ მათ მხოლოდ საბანაოდ და სარეცხისთვის იყენებდნენ. ნიკო ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, შედგა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ორგანიზაციის სხვადასხვა ვარიანტი და პროექტი, მაგრამ პროექტის განხორციელება ფერხდებოდა ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველი მიზეზი ის იყო, რომ ქალაქის თვითმმართველობას არ გააჩნდა სათანადო სახსრები ბალნეოლოგიური ზონისა და წყაროების კერძო მესაკუთრეებისაგან გამოსასყიდად და მეორე, მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა ხელსაყრელი არ იყო თბილისის აბანოების კერძო მესაკუთრეებისათვის, რომლებიც ამავე დროს ქალაქის თვითმმართველობის წევრები იყვნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისში ბალნეოლოგიური კურორტი უმოკლეს ვადაში შეიქმნა; ეს საკითხი საბჭოთა მთავრობის წინაშე პირველად დააყენა პროფ. მ. ზანდუკელმა.

1930 წლის პროექტის მიხედვით, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაში შედის ქალაქ თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ეგრეთ წოდებული თათრის მოედნის, ორთაქალისა და კრწანისის ბაღების, ნარიყალას ციხისა და ბოტანიკური ბაღის ფართობი. ეს ბაღები შემდეგში უნდა გადაქცეულიყო ავადმყოფთა დასასვენებელ ადგილად. ამ ტერიტორიას აქვს სიგრძე 2 კილომეტრამდე, ხოლო სიგანე 700—800 მეტრამდე. საკურორტო ტერიტორიის მთელი ფართობი დაახლოებით 400 ჰექტარს შეადგენს.

თბილისის ეს უძველესი ნაწილი მოითხოვდა სასწრაფო ჩარევას ანტისანიტარიისა და გადამდები დაავადებების ბუდის მოსპობის მიზნით. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ რადიკალურ ღონისძიებათა შედეგად იგი ჩვენ თვალწინ გადაიქცა კულტურულ და კეთილმოწყობილ რაიონად ფართო მოასფალტებული ქუჩებით, მწვანე ნარგავებით, ბაღებითა და ყვავილნარით. მის განახლებულ ტერიტორიას უკვე

ამშვენებს კომფორტული სააბაზანო შენობები, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — მომავალი დიდი ბალნეოლოგიური კურორტის პირველი ობიექტები.

ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ოროგრაფია ქმნის თბილისის კლიმატურ თავისებურებებს. თბილისის გეოგრაფიული კოორდინატებია $41^{\circ} 43' 8''$ ჩრდილოეთის განედისა და $44^{\circ} 47' 51''$ აღმოსავლეთის გრძედისა.

თბილისისა და მისი მიდამოების რელიეფი რთულია. ქალაქის ჩრდილოეთით, დაახლოებით 100 კმ მანძილზე, აღმართულია კავკასიონის მთავარი ქედი მარადთოვლიანი მწვერვალებით, თბილისის დასავლეთით მდებარეობს ქარაღ-იმერეთის ქედი (სურამის), რომელიც მთავარ კავკასიონის ქედს აერთიანებს მესხეთის ქედთან და წარმოადგენს შავი და კასპიის ზღვათა წყალგამყოფს. სამხრეთ დასავლეთის მხრივ თბილისის მიდამოები შემოზღუდულია თრიალეთის ქედის შტოვებით, რომელიც იწყება ბორჯომიდან და მთავრდება თბილისთან ორი შტოთი; ერთი მათგანი მიიმართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხეთამდე, მეორე კი სოღანლუღის მთაგრეხილის სახელწოდებით მთავრდება თბილისის ქვემოთ.

თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით პორიზონტი ღიაა: აქ იწყება ყარაიაზის ველი, რომელიც გადადის აზერბაიჯანის ველში და გრძელდება კასპიის ზღვამდე.

ამრიგად, სამხრეთით და ჩრდილოეთით თბილისი დაცულია მაღალი მთებით, დასავლეთით მას აშორებს შავი ზღვიდან შედარებით დაბალი ქართლ-იმერეთის ქედი; აღმოსავლეთით კი კასპიის ზღვის მიმართულებით პორიზონტი სრულიად გაშლილია.

თვით ქალაქი მდებარეობს ქვაბურში, საშუალოდ 440 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მას უშუალოდ გარშემო აკრავს მცირე მაღლობები — აღმოსავლეთით მახათის მთა (655 მ), სამხრეთით — სოლოლაკის ქედი, დასავლეთით — მთაწმინდა (760 მ), ჩრდილოეთით — საბურთალოსა და დიღმის ქედი, რომელნიც შემდეგ თავის მხრივ იხურებიან კავკასიონის ქედის შტოვებით.

თბილისის კლიმატური ელემენტების კერძოდ, ბალნეო-



ლოგიური ნაწილის დასახასიათებლად არსებობს მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემები.

ამ მონაცემების მიხედვით, თბილისის ჰავა ცნობილია, როგორც შედარებით ზომიერი კონტინენტური, ცხელი ზაფხულით და რბილი თბილი ზამთრით, რაც თავისთავად ბალნეოლოგიური ფაქტორებით მკურნალობის ეფექტიანობას კიდევ უფრო უწყობს ხელს.

ცნობები თბილისის თერმული და ჰიპერთერმული (გოგირდოვანი) მინერალური წყაროების შესახებ უძველეს დროს მიეკუთვნება.

930 წელს, არაბეთის გეოგრაფი ალ-ისტარხი აღნიშნავს, რომ „თბილისში არსებობს ცხელწყლიანი აბანოები უცეცხლოდ“.

ფრანგი მოგზაური შარდენი XVII საუკუნის პირველ ნახევარში დაწვრილებით ეხება თბილისის ცხელ გოგირდოვან მინერალურ წყლებს.

მეცნიერი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი XVII საუკუნის მეორე ნახევარში იხსენიებს თბილისის ცხელ წყაროებსა და მათთან მოწყობილ დიდ აბანოებს.

თბილისის თერმული წყაროების პირველი საფუძვლიანი გამოკვლევა ეკუთვნის აკადემიკოსს აბიხს XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მან მოგვცა ადგილის გეოლოგიური აღწერა და აღნიშნა ამ მინერალური წყაროების სამკურნალო მიზნით გამოყენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილება.

შემდეგ ამისა, კავკასიის სამთო სამმართველოს მიერ 1911 წელში ჩატარებულ იქნა მინერალური წყაროების რაიონის გეოლოგიური გამოკვლევა.

თბილისის თერმული წყაროების რაიონში ყოველმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა შესაძლო გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჰიდრომინერალური და ქვეყნის სხვა საკურორტო რესურსების კერძო საკუთრების მოსპობის საფუძველზე.

1932 წლისათვის მინერალური წყლის ბუნებრივი გამოსავალი თბილისში იყო სულ 35-მდე (მათ შორის 5-მდე ცივი წყლის გამოსავალი) საერთო დებიტით 1 300 000 ლიტრი დღე-ღამეში).

ყველა წყარო, გარდა გოგილოსა და ჩითახოვისა, იმყოფება მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სეიდ-აბადის მდინარე-აღმოსავლეთის ფერდობზე, ხოლო ეს ორი წყარო მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

თერმული წყალი პოულობს გამოსავალს ნაპრალებში, რომელთაც ამ რაიონში სხვადასხვა მიმართულება აქვს.

ნაპრალები უმეტეს შემთხვევაში შევსებულია კალციტებით, არის აგრეთვე კაჟი და ცეოლიტები.

პროფ. ი. კაჭარავას მონაცემებით, თბილისის თერმები ვადოზური წარმოშობისაა.

აქ იქმნება პირობები, რომლებიც ხელს უწყობს ზედაპირულ წყლის სიღრმეში ჩადენას.

განსაზღვრულ სიღრმემდე მიღწევისას გამთბარი და მინერალიზებული წყალი ჰიდროსტატიკური წნევის გამო ნაპრალებით ადის ზევით და მდინარე მტკვრის ხეობაში ამოდის თერმული წყაროების სახით.

ამიერკავკასიის გეოლოგიურ სამმართველოსთან ერთად საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1933—1935 წლებში ჩატარებული დეტალური საკვლევაძიებო ბურღვითი სამუშაოების შედეგად მინერალური წყაროების საერთო დებიტი გაიზარდა 500,000 ლიტრით დღე-ღამეში. ამავე დროს სამი ბურღილიდან, რომელთაგან თითოეულის სიღრმე 110 მ აღწევს, ორმა — № 1 და № 2 მოგვცა თვითდენი, რის შედეგადაც აქამდე არსებული მინერალური წყაროების საერთო დებიტი 1 300 000 ლიტრიდან 1 750 000 ლიტრამდე გაიზარდა. № 3 ბურღილს მინერალური წყლის თვითდენი არ გამოუწვევია.

აღსანიშნავია, რომ № 1 და № 2 ბურღილების თვითდენი დებიტი 850 000 ლიტრია დღე-ღამეში, მაგრამ ამავე დროს ბუნებრივი წყაროების დებიტმა იკლო 400 000 ლიტრით დღე-ღამეში, ასე რომ, დებიტმა საერთო ჯამში მოიმატა 450 000 ლიტრი დღე-ღამეში. ამასთან, ერთ-ერთმა ბუნებრივმა წყარომ (ყოფ. ჩითახოვის) სრულიად შეწყვიტა დებიტი.

ახალი ბურღილების ბაზაზე აშენებულია თბილისის მომავალი ბალნეოლოგიური კურორტის შესანიშნავად მოწყობილი სააბაზანო შენობა, რომელიც გაიხსნა 1938 წელს, და



კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

პირველადი სამუშაოებით არ ამოიწურა თბილისის ბალნეოლოგიური რესურსების სათანადო წესრიგში მოყვანის საკითხი. მინერალური წყლის ყველა წყაროდან მხოლოდ ორი მუშაობდა ნორმალურ პირობებში — № 1 და № 2 ბურღილები, რომლებიც მიიღეს 1933—1936 წლებში ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების შედეგად, დანარჩენი წყაროები წარმოადგენდა მინერალური წყლის ბუნებრივ გამოსავალს, რომელთაც ჰქონდათ ძველი ზერელე საკაპტაჟე ნაგებობანი (მიწისქვეშა ხვრელები და სხვ.), რის გამოც ხდებოდა მათი დაბინძურება. ამავ დროს მინერალური წყლის დიდი რაოდენობა იკარგებოდა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მოსახლეობის მინერალური წყლით მომარაგების მზარდ მოთხოვნაზე.

გარდა ამისა, მინერალური წყაროები მიმოფანტული იყო დიდ სივრცეზე და მათ სხვადასხვა ტემპერატურა ჰქონდათ, რაც აძნელებდა მათ მიზანშეწონილ ექსპლოატაციას.

თბილისის თერმული წყაროების რაიონში ჰიდრომინერალური რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი 1945 წელს შეუდგა კვლევითი სამუშაოების ჩატარებას.

ამ სამუშაოების ძირითადი მიზანი იყო ყველა წყაროს წყლის რამდენიმე წერტილში თავმოყრა ღრმა საკაპტაჟო ნაგებობათა საშუალებით, მინერალური წყლის დებიტისა და ტემპერატურის ზრდა და მათი დაცვა ყოველგვარი გაჭუჭყიანებისაგან.

გეგმით გათვალისწინებული ბურღვითი სამუშაოები, რომლებიც დაწყებული იყო 1945 წელს, ძირითადად დამთავრებულია ხუთი ბურღილის გაყვანით სიღრმით 100-დან 250 მეტრამდე თითოეული.

თბილისის მინერალური წყალი თავისი ფიზიკურ-ქიმიური მონაცემებით მიეკუთვნება თერმულ და ჰიპერთერმულ (თბილ და ცხელ) ჰიდროსულფიდურ წყლებს. წყლების უმეტესობის მინერალიზაცია მერყეობს 0,3—0,4 გრამის ფარგლებში ერთ

ლიტრში. ცალკეული წყაროების ტემპერატურა კი — 37,4°C-ს შუა.
46,5°-ს შუა.

ეს სუსტად მინერალიზებული წყლები ანიონებიდან შეიცავენ ქლორს, ჰიდროკარბონატს და სულფატს თითქმის თანაბარი რაოდენობით. კათიონებიდან ჰარბობს ნატრიუმის იონები და აგრეთვე მონაწილეობს კალციუმი და მაგნიუმი.

1945 — 1947 წლებში ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად ერთი ბურღილიდან (№ 6) სიღრმით 250 მეტრიდან (რომელიც გაყვანილია ამ რაიონის ღრმა ჰორიზონტების დაზვერვის მიზნით) მიღებულ იქნა მინერალური წყალი დიდი დებიტით (93,000 ლიტრი დღე-ღამეში). ამ ბურღილის წყალი, დაბალი ტემპერატურის გარდა, დანარჩენი ყველა წყაროს წყლისაგან გამოირჩევა გოგირდწყალბადის შედარებით მაღალი შემადგენლობით (40 მგ/ლ) და მეტი მინერალიზაციით (0,75 მ/ლ); უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წყალს, უთუოდ, ზოგ შემთხვევაში მეტი სამკურნალო ეფექტი ექნებოდა, მაგრამ ამ ბურღილის დებიტი დღეისათვის დაწეულია 6.000 ლ/დღ და მან დაკარგა საექსპლოატაციო მნიშვნელობა.

ტრესტის „ნახშირგეოლოგიის“ მიერ 1951—53 წლებში ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად 4 ღრმა ბურღიდან გოგირდიანი წყლების რაიონში მიღებულია სხვადასხვა ტემპერატურის (30 — 50°) თერმული სუსტი მინერალიზაციის (0,3 — 0,4 გ) წყლები, ნავთლუღის მახლობლად (დემიტროვის სახელობის ქარხანასთან) ორი ღრმა ბურღილით კი გამოვლინებულია ჰიპერთერმული (43 — 48°) სხვა ტიპის (ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიანი) შედარებით მაღალი მინერალიზაციის (3,0 — 4,0 გ/ლ) წყალი.

ამჟამად პირველი ტიპის წყლებს იძლევა (თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე) №№1, 2, 6, 7, 8 ზერელე ბურღილები და №1, №3 (მარჯვენა სანაპიროზე — ბარათაშვილის ხიდის მახლობლად) და № 8 ღრმა ბურღილები (კიევის ქუჩაზე). აგრეთვე ა წყარო და №14 წყარო. აღნიშნული წყლის საერთო დებიტი აღწევს 2.000.000 ლ/დღ.

მეორე ტიპის წყალი მიღებულია, როგორც უკვე მოვიხსენიეთ № 5 ღრმა ბურღილიდან და № 7-დან ა. კ. სამხ. ოლქის



ჰოსპიტალთან. ორივე ბურღილიდან წყლის დებიტი — 350000 ლ/დღ; სულ 710.000 ლ/დღ.

უნდა აღინიშნოს თბილისის თერმული წყლის ზოგიერთი თავისებურება, ნაწილობრივ — რადიაქტივობა, აგრეთვე მასში შემავალი ნიკელის ნიშნები და სტრუვეს მიერ აღმოჩენილი განსაკუთრებული კოლოიდები საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით; ეს კოლოიდებია ეგრეთ წოდებული გლიცერინი ან ბარეჯინი (უკანასკნელ დროს „თბილისინის“ სახელწოდებით ცნობილი); კოლოიდებში შედის სილიციუმი, გოგირდი და მიკროორგანიზმები, რომლებიც მიწის წიაღიდან ზევით ამოდიან და წყლის ბიოლოგიურ აქტივატორების როლს ასრულებენ მისი წარმოშობის ადგილზე.

კოლოიდური ნივთიერება, რომელსაც ბალნეოლოგიაში მაღალი სამკურნალო მნიშვნელობა ენიჭება, აღმოჩენილი იყო ლონგშაპის მიერ ასი წლის წინათ ბარეჯის ცხელ გოგირდოვან წყაროებში.

თბილისის თერმულ (გოგირდოვანი) წყაროებს უძველესი დროიდან იყენებენ ჰიგიენური და სამკურნალო მიზნით. ასეული წლების გამოცდილება მოწმობს მათ მაღალ თერაპიულ ეფექტს რიგ დაავადებათა დროს.

ჩატარებულმა მრავალმა კლინიკურმა და ექსპერიმენტულმა დაკვირვებამ დაადასტურა თბილისის თერმული წყლის უდავო მაღალი თერაპიული ეფექტიანობა და ეს შედეგები საფუძვლად დაედო როგორც მისი სამკურნალო გამოყენების დოზირებასა და მეთოდიკას, ისე მკურნალობის ჩვენებათა და წინააღმდეგჩვენებათა დადგენას.

გამოირკვა, რომ თბილისის მინერალური წყლის აბაზანა შეიძლება დანიშნულ იქნეს დღეგამოშვებით ან ყოველდღე, საშუალოდ 15 წუთის ხანგრძლივობით და 35 — 38° ტემპურატურის ფარგლებში; მკურნალობის საერთო კურსი საშუალოდ 15 აბაზანით განისაზღვრება, დაავადების სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით.

ჩვენებანი: სახსრების ქრონიკული დაავადებანი, (რევმატიული, ინფექციური, ტრავმული, ენდოკრინული, პოდაგრული და აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის ართრალგია);

გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი კომპენ-
საციის სტადიაში;

პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი (სხვადა-
სხვა სახისა და წარმოშობის ნევრიტი (ნევრალგიები);

ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებანი (საშვილოსნოს,
საკვერცხეებისა და მათი დანამატების ანთებითი პროცესები
და სხვ.);

სხვადასხვა წარმოშობის კუნთების, მყესების ანთება
და კუნთების ტკივილები;

მსუბუქი და საშუალო ფორმების ჰიპოტონიური და ჰი-
პერტონიური დაავადებები;

ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი.

თბილისის ზღვა. სამგორის მშენებლობა ითვალისწინებს
80000 ჰექტარამდე უნაყოფო მიწების მორწყვას. ამასთან, თბი-
ლისის ახლო მიდამოებში წყალსაცავის მოწყობას 12000000
კვ. მეტრი წყლის ზედაპირით.

წყალსაცავი, რომელიც მდებარეობს მდინარე მტკვრის პა-
რალელურად, შორეულ წარსულში წარმოადგენდა მის კალა-
პოტს. იგი მიიმართება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-
აღმოსავლეთისაკენ და გარშემორტყმულია მაღლობებით, რომ-
ლებიც შედიან საგურამო — იალიოს ქედის სისტემაში. სამხ-
რეთ-დასავლეთიდან წყალსაცავსა და თბილისს შორის მოთავ-
სებულია 600 — 650 მ სიმაღლის მთაგრეხილების ჯაჭვი, მის
გადაღმა — მდ. მტკვარი.

ჩრდილო-დასავლეთიდან წყალსაცავს საზღვრავს საგურა-
მო-იალიოს ქედის მეორე ტოტი, რომელიც აღმოსავლეთით
თანდათან დაბლდება, გადადის საგურამოს პლატოში და შემ-
დეგ გარე კახეთის ზეგანში. სამგორის წყალსაცავის მოსაზღვ-
რე ტერიტორიის ეს ნაწილი მოქცეულია სარწყავ სისტემაში
და დიდი ნაწილი, გამშრალი და ნახევრად მკვდარი, უნაყოფო
მიწები უკვე გადაიქცა აყვავებულ და კულტურულ ველებად.

სამგორის წყალსაცავის ფსკერი იორის წყლით დაფარ-
ვამდე დაკავებული იყო კუკის, იღუნუიანისა და ავლაბრის
მარილიანი ტბების ჯაჭვით.

იორის წყლით გამტკნარებამდე ამ ტბების წყალი წარმო-
ადგენდა ქლორიდულ — კალციუმიან წყალს 64,9 გ საერთო

მინერალიზაციით ერთ ლიტრზე. გამტკნარების შემდეგ კი წყალი უფრო რთული შემადგენლობისა გახდა (ჰიდროკარბონატულ-სულფატურ კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმთან), ამასთან, საგრძნობლად შემცირდა მისი საერთო მინერალიზაცია. წყლის ტემპერატურა აგვისტოს თვეში აღემატება 27⁰-ს.

ამჟამად „თბილისის ზღვაში“ იორის წყლის რაოდენობა თითქმის 300000000 მ³ აღწევს. ამავე დროს, თუ მხედველობაში მივიღებთ წყლის მოსარწყავად გადაგდებას წლის ვეგეტაციურ პერიოდში და წყლის აორთქლებას, განსაკუთრებით წლის ცხელ სეზონში, უნდა ველოდოთ წყალსაცავის წყლის საერთო მინერალიზაციის მომატებას. ზღვის წყალში ბიოლოგიური პროცესების შედეგად უნდა წარმოიშვას ახალი ქიმიური ელემენტები.

სამგორის წყალსაცავის კლიმატურ-მელიორაციული როლის შესახებ არსებული მასალების მიხედვით შესაძლებელია ზღვის ახლომდებარე მიდამოების კლიმატის ზოგიერთი ცვლილების განვითარება, ძირითადად, ჰაერის ტენიანობის დეფიციტის შესუსტება და ნამით გამდიდრება. ეს ცვლილება ხელს უწყობს წყალსაცავის ნაპირებისა და მის ახლომდებარე ტერიტორიის გამოყენებას ზოგორც სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, ისე მოსახლეობის დასვენებისათვის.

წყალსაცავის სანაპიროების შედარებით ცივი და ტენიანი ჰაერის მასების გავლენით ჰაერის ტემპერატურამ შეიძლება დაიწიოს, ფარდობითმა ტენიანობამ კი მოიმატოს (4—5%). ასეთ ცვლილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ცხელი და მეტად მშრალი ზაფხულისა და ნაწილობრივ გაზაფხულ-შემოდგომის თვეებში.

ბრიზების ხასიათის ადგილობრივი ქარები, რომლებიც აქ წარმოიშვება წყლისა და ხმელეთის ზედაპირის ტემპერატურათა სხვაობის შედეგად, შეიტანენ სიგრილეს და ჰაერის შემარბილებელ ელემენტებს წყალსაცავის სანაპიროებისა და მის ახლო მიდამოების ჰაერში.

წყლის აუზი და მის გარშემო ნარგავთა რკალი ხელს უწყობს ატმოსფეროს ელექტრობის გააქტივებას — უარყოფითად დამუხტული მსუბუქი იონებით ჰაერის გამდიდრებას. უკანასკნელ ხანებში ფიქრობენ, რომ მსუბუქი იონები, და-

დებითად დამუხტული მძიმე იონებისაგან განსხვავებით, კარგად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე.

თბილისის გარეუბნებში არსებული უნაყოფო მიწების მასივების გარშემო მწვანე ნარგავთა ძლიერი რკალის შექმნა მახათის მთის შიშველი სამხრეთი ფერდობების გამწვანებასთან ერთად და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მთელი რიგი კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება უეჭველად გამოიწვევს მნიშვნელოვან კლიმატურ ძვრებს ჰაერის გამტვრიანებისა, სიციხისა და შეხუთულობის შემცირების მხრივ, განსაკუთრებით წლის ცხელ პერიოდში.

„თბილისის ზღვა“ მისი ახლომდებარე მიდამოებით განდება თბილისისა და მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის მშრომელი მოსახლეობის დასვენების საყვარელ ადგილად.

*

კურორტი კოჯორი. თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიდის მიხვეულ-მოხვეული და აღმართებიანი ასფალტირებული საავტომობილო გზა, რომელიც გასცილდება რა თბილისის საგარეუბნო სააგარაკო ადგილებს — ოქროყანას, შინდისს, ტაბახმელასა და სხვ. სულ 30 წუთის მოგზაურობის შემდეგ მიგვიყვანს მთის კლიმატურ კურორტ კოჯორში (1300—1400 მეტრი ზღვის დონიდან). აქედან გზა მიიმართება კიკეთისა და მანგლისისაკენ. აღნიშნული გზატკეცილით მანძილი თბილისიდან კოჯორამდე შეადგენს 18 კილომეტრს, საცალფეხო ბილიკით კი ეს მანძილი 7 კილომეტრია. კოჯორის ასეთი სიახლოვე ისეთ სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრთან, როგორცაა თბილისი, სადაც მოსახლეობა მილიონს აღწევს მას უაღრესად დიდი მნიშვნელობის კურორტად ხდის, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როდესაც თბილისში პაპანაქებაა, კოჯორში ამ დროს სასიამოვნო სიგრილეა.

ძველად, როდესაც თბილისის მოსახლეობა არ იყო მრავალრიცხოვანი, ხოლო მისი მიდამოები მდიდარი იყო მწვანე ნარგავებით — ტყეებით, ბაღებით და ქალაქში ზაფხულობით უფრო გრილოდა, ვიდრე ამჟამად, მოსახლეობა მაინცდამაინც

არ მიისწრაფოდა ქალაქგარეთ. მხოლოდ ქალაქის მცხოვრებელთა შეძლებული ნაწილი გადიოდა საგარეუბნო სააგარაკო ადგილებში. თბილისისათვის ასეთ სააგარაკო ადგილებად მაშინ ითვლებოდა ორთაჭალა, კრწანისის ბაღები, გლდანი, შინდისი, ტაბახმელა, წავკისი, დიდმის ბაღები, ოქროყანა, წყნეთი და კოჯორი. პრივილეგირებული მაშინაც კოჯორი იყო, სადაც საზაფხულოდ მიემგზავრებოდნენ მეფის ნაცვალთა კავკასიაში თავისი მსახურებით და სხვა მაღალი წოდებისა და თანამდებობის პირები.

ქალაქის ზრდასთან ერთად კოჯორშიც დაიწყო მშენებლობა და ზაფხულობით ამ კურორტით სარგებლობდნენ თბილისის მოსახლეობის უფრო ფართო ფენები.

იმ ადგილს, სადაც ახლა კოჯორია გაშენებული, ძველად აგარანი ეწოდებოდა, — ამავე მიდამოებში აშენებულ ციხეს აგარათა ციხე ერქვა. XV ს. ეს ციხე უკვე კოჯორის ციხედ იხსენიება. აქედან წარმოშობილია ამ ადგილის დღევანდელი სახელწოდება — კოჯორი.

ადგილის სახელწოდება „კოჯორი“ თითქოს უკავშირდება სიტყვას „ქოჩორი“, რადგან მაშინდელი კოჯორის პლატო დაფარული იყო ტყეებით და მოგაგონებდათ ქოჩორს, მეორე ვარიანტით, „კოჯორის“ ამოსავალი უნდა ვეძიოთ სიტყვიდან „კოჯორა“ (დაკოჯრებული), რაც ახასიათებს ადგილის რელიეფს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს კურორტის სხვადასხვა უბნის მიკროკლიმატურ თავისებურებას.

კოჯორის პლატოდან თვალწინ იშლება ბუნების თვალწარმტაცი სანახაობა — ლისისა და კუს ტბები, კურორტები ბეთანია და წყნეთი, საგურამოს მთები, ნახშირგორა და მოშორებით კავკასიონის მთავარი ქედი მარადთოვლიანი მწვერვალებით.

კოჯორის დასავლეთ განაპირა მხარეზე, მისგან ორი კილომეტრის მანძილზე ძველი ციხე „ქერ-ოლლი“ გადაყურებს გარემოს.

ციხის სიმაღლიდან იშლება საუცხოო სანახაობა ჩრდილოეთისაკენ, თბილისსა და მის მიდამოებზე, აზერბაიჯანის მთებზე, სამხრეთით მანგლისის მიდამოებსა და აღმოსავლეთით

კუმისის ტბაზე, რომელიც ცნობილია მაღალხარისხოვანი სა-
მკურნალო ტალახის დიდი მარაგით.

ამ რაიონის მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი უძველესი ძეგლებიდან უნდა აღინიშნოს ძველი ტაძარი „უძო“, რომელიც მდებარეობს თანამოსახელე მთის მწვერვალზე; უკანასკნელი კარგად ჩანს თბილისიდანაც. სიტყვა „უძო“ წარმოიშვა სიტყვიდან „უძეო“, რაც უშვილოს ნიშნავს. აქ უძველეს დროში სალოცავად მოდიოდნენ უშვილონი, განსაკუთრებით უშვილო ქალები.

„უძო“ კოჯრიდან 2 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და მასთან დაკავშირებულია კარგი გზით. აქ მოწყობილია ბიონერთა დიდი ბანაკი.

კოჯრის სამხრეთ-დასავლეთით, პატარა მდინარის — ასურეთის წყლის ხეობაში მდებარეობს ქაბენის მონასტერი, რომლის ერთი ტაძარი თამარ მეფის (1184—1212) ეპოქისდროინდელია. ეს ტაძარი (ნანგრევები) წარმოადგენს ძველი ქართული არქიტექტურის საუცხოო ძეგლს.

მეორე ძველი ტაძარი მონასტრის გალავნის გარეთ შენარჩუნებულია ჩვენ დრომდე. ამ ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე დარჩენილია ქართული წარწერა, რომლის მიხედვით მისი მშენებლობა მიეკუთვნება თამარ მეფის ეპოქას.

კურორტი ელექტრონერგით მომარაგებულია 1936 წლიდან ზაპესიდან მაღალი ძაბვის ელექტროხაზით.

საკურორტო სამმართველოს საკმაოდ მნიშვნელოვანი საბინაო ფონდი მაინც ვერ აკმაყოფილებს კურორტის მზარდ მოთხოვნილებას, კოლმეურნეთა საბინაო ფონდიც ვერ სწყვეტს საბოლოოდ საკითხს.

კურორტსა და ქალაქს შორის რეგულარულ კავშირს ახორციელებს საავტომობილო ტრანსპორტი.

კოჯორში არსებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან ყურადღების ღირსია ბავშვთა სანატორიუმი. მუშაობს აგრეთვე ფსიქონევროლოგიური დისპანსერის სტაციონარი. სეზონურად მოქმედებს სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის დასასვენებელი სახლი. კოჯორში მოწყობილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატი. ჩამოთვლილ დაწესებულებათა გარდა, კოჯორში

სხვადასხვა პროფკავშირული, კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაცია ზაფხულობით ხსნის პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს, უმთავრესად ბავშვებისათვის — პიონერთა ბანაკების, ბავშვთა მოედნებისა და სხვათა სახით. თბილისიდან აქ გადმოაქვთ ზაფხულობით საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაგები და სხვ., ასე რომ, კოჯორი განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, ბავშვთა სამეფოს შთაბეჭდილებას ტოვებს.

საკურორტო სამმართველოს მონაცემებით, ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებათა მიერ კოჯორში დაკავებულია დაახლოებით მთელი საბინაო ფონდის 30%-ზე მეტი. საბინაო ფონდის დანარჩენი 60—70% აგრეთვე ბავშვებისათვისაა გამოყოფილი მხოლოდ საკურორტო და კოლმეურნეთა საბინაო ფონდის ფართობის ინდივიდუალურად გამოყენების წესით.

კოჯორში არსებობს პოლიკლინიკა, რომელიც მუშაობს ზაფხულის სეზონში, არის აგრეთვე გარდაბნის რაიჯანგანის ამბულატორია, აფთიაქი, ფიზკულტურის მოედანი, რომელიც მოწყობილია 1936 წელს გახსნილ ბავშვთა სანატორიუმთან (ყოფ. 33-ე აგარაკი); სანატორიუმის შემოღობილი და ფიჭვის ნარგავებით გამწვანებულ ტერიტორიაზე სოლარიუმი.

კოჯორში არის აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფი, სატელეფონო კავშირი თბილისთან, საავტომობილო მიმოსვლის სადგური, სახელმწიფო და კოოპერატიულ-სავაჭრო დაწესებულებათა ქსელი, სამრეწველო საქონლის მაღაზიები, სასადილოები, ჯიხურები და სხვ. კურორტის ბაზარზე ყოველთვის შეიძლება (უმთავრესად ზაფხულის პერიოდში) ხორცის, კვერცხის, რძის ნაწარმის, ფრინველის, ხილის, მწვანილეულობისა და სხვ. პროდუქტების შეძენა.

კურორტის ტერიტორიის მცენარეულობიდან, სადაც წიწვიანი ჯიშები შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი, ყურადღების ღირსია ხეხილის ბაღები. კოჯორის ახალგაზრდა ფიჭვისა და სოჭის ჭალა უძოს გზის მიმართულებით მოწმობს იმას, რომ ამ რაიონში წიწვიანი ჯიშები კარგად ხარობს; ეს გარემოება მნიშვნელოვნად გააადვილებს მომავალში კურორტის რაციონალური გამწვანების ფართო სამუშაოების გან-

ხორციელებას, განსაკუთრებით თბილისის ზოგიერთ საგარე-
უბნო გატიტვლებულ ადგილებზე.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როცა დაიწყო შე-
დარებით ინტენსიური სააგარაკო მშენებლობა, კურორტის
ცენტრად ითვლებოდა ქვედა გზატკეცილი, სადაც მოწყობილი
იყო სასტუმრო. იმ დროს ამ გზატკეცილით დადიოდნენ მან-
გლისში (კიკეთის გავლით — ძველი მანგლისის გზით). ძველი
სასტუმროს რაიონში დღესაც დარჩენილია ქვაფენილის ნაშ-
თი. ზემო გზატკეცილი უფრო გვიან გაჩნდა — ახალი სააგა-
რაკო მშენებლობის შედეგად.

კოჯრის ძველი მკვიდრნი წარსულში უპირატესობას აძლევ-
დნენ ქვედა გზატკეცილის რაიონის კლიმატურ პირობებს,
რადგან იქ ქარები ნაკლებად იცოდა, ჰაერი უფრო „მსუბუ-
ქად“ მიაჩნდათ, ზემო გზატკეცილის რაიონში აღნიშნავდნენ
ძლიერ ქარებს.

ამჟამად კოჯორს უჭირავს 700 ჰექტარამდე მიწის ფარ-
თობი, რომელიც სუსტად არის ათვისებული. საჭიროების შე-
მთხვევაში კურორტის მშენებლობისათვის კოჯორს შესაძლე-
ბლობა აქვს გაადიდოს სამშენებლო ზონა 1000 ჰექტარზე მე-
ტად.

ზაფხულის შუაგულ სეზონში (ივლისი), როდესაც თბი-
ლისში ყველაფერი „იწვის“, მოაგარაკეთა რიცხვი კოჯორში
10000-ს აღემატება.

საზაფხულო საკურორტო სეზონი კოჯორში ჩვეულებრივ
იწყება ივნისის თვიდან და მთავრდება შუა სექტემბრისათვის.

კოჯორი წარმოადგენს მთიან ადგილს მაღალხარისხოვანი
კლიმატური სადგურის საუკეთესო მაჩვენებლებით. ამას
ადასტურებს მუდმივად მოქმედი მეტეოროლოგიური სადგუ-
რის დაკვირვებანი მრავალი წლის განმავლობაში. კოჯრის ჰა-
ვის მაღალ სამკურნალო თვისებებში დარწმუნდნენ როგორც
ექიმები, ისე არაექიმებიც, რომლებსაც დაკვირვება უწარმო-
ებიათ ამ კურორტის მთის ჰავის ხელშემწყობ გავლენაზე ორ-
განიზმის სხვადასხვა დაავადების დროს.

1936 წელს კოჯრის ბავშვთა სანატორიუმში ტარდებოდა
დაკვირვება კურორტის ჰავის გავლენაზე 8—12 წლის ასაკის
ბავშვების ჯანმრთელობაზე.

დადგენილია ლიმფური ჯირკვლების, მეორადი სისხლნაკლებობის, ქრონიკული ბრონქიტისა და მალარიის მკურნალობის დროს თვალსაჩინო ეფექტი.

მრავალი წლის მონაცემები აშკარად ცხადყოფენ ამ კურორტის კლიმატური კომპლექსის მაღალ სამკურნალო თვისებებს. კოჯორი დადებით გავლენას ახდენს სრულსაკოვანთა, მოზარდთა, ბავშვთა ჯანსაღ და დაავადებულ ორგანიზმზე, მაგრამ განსაკუთრებით ეს გავლენა აშკარაა ადრეული ასაკის ბავშვებზე.

როგორც ცნობილია, თბილისში ზაფხულის თვეებში მნიშვნელოვნად იზრდება ბავშვთა შორის კუჭ-ნაწლავის დაავადება; როგორც დაკვირვებიდან ჩანს, ერთ-ერთ რადიკალურ და ძლიერ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს დაავადებულ ბავშვთა მთის კლიმატურ კურორტზე გაყვანა. ამ პრობლემას კოჯორი იოლად წყვეტს. იგივე ითქმის რეკოვალეს-ცენტების შესახებ; მთის კლიმატი ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო ტონუსის აღდგენას და დაავადების მიმართ წინააღმდეგობის უნარის გაძლიერებას. დიდ სამრეწველო ცენტრთან — თბილისთან კურორტ კოჯორის ასეთი სიახლოვე შესაძლებლობას იძლევა სულ ნახევარი საათის განმავლობაში გავიდეთ ქალაქიდან მთის კლიმატურ კურორტზე, რომლის სიმაღლე თბილისთან შედარებით ერთი კილომეტრით არის განსხვავებული. ტემპერატურათა სხვაობა კი შეადგენს 6—8 გრადუსს, განსაკუთრებით ცხელ დღეებში.

ვიღებთ რა მხედველობაში კოჯორის განსაკუთრებულ კლიმატურ-პროფილაქტიკურ მნიშვნელობას და მის მაღალ სამკურნალო ღირსებას, ვიმედოვნებთ, რომ ეს კურორტი გემიანი საკურორტო მშენებლობის გაშლის შედეგად ახლო მომავალში სანიმუშო საგარეუბნო კურორტად იქცევა.

კურორტ კოჯორში დაავადებათა მკურნალობის ჩვენებანი:

ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი, ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზი, ბრონქიტი, პლევრიტი, ბავშვთა კუჭ-ნაწლავის დაავადებანი (უმთავრესად მწვავე ფორმები), მალარია, მეორადი სისხლნაკლებობა, კვების დაქვეითება, ბრონქული ასთმა (არამძიმე ფორმები), რაქიტი, რეკოვალესცენტი

(მწვავე დაავადებათა და მათ შორის ინფექციურ დაავადებებთან გადატანის შემდეგი პერიოდი), ქლოროზი, ნევროზები (მსუბუქი ფორმები).

*

კურორტი მანგლისი. მანგლისი მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 1204 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია $41^{\circ} 42'$ ჩრდილოეთის განედისა და $42^{\circ} 22'$ აღმოსავლეთის გრძედისა. ფიქრობენ, რომ სახელწოდება მანგლისი წარმოიშვა სიტყვიდან „ნამგლისი“, „ნამგალი“, რადგან ეს რაიონი იძლეოდა ხორბლის დიდ მოსავალს, ხორბალს კი მკიდნენ ნამგლით. სხვათა განმარტებით — „მანგლისი“ წარმოსდგება სიტყვიდან „მგელი“, „ნამგლისი“.

თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებით მანგლისმა ძველი დროიდანვე დაიმსახურა ყურადღება. 1823 წელს იგი შეარჩიეს რუსეთის ჯარის ერთ-ერთი ლეგიონის საუკეთესო სადგომად. გასული საუკუნის 90-იან წლებში აქ მოეწყო სანიტარიული ზონა, სადაც იგზავნებოდნენ კავკასიის ყველა ჯარის ნაწილებიდან ფილტვების სისუსტით და პლევრიტით დაავადებულნი.

ამრიგად, ჯერ კიდევ იმ დროს მანგლისი მიჩნეულ იქნა როგორც პროფილაქტიკური კურორტი არა მარტო დიდებისათვის, არამედ სამხედრო უწყების სკოლათა მოსწავლეებისა და მოზრდილებისათვისაც.

1923 წელს მანგლისი ოფიციალურად გამოცხადდა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტად, ამავე წელს მოეწყო ბავშვთა დასასვენებელი სახლი, 1925 წლიდან აქ გაიხსნა ბავშვთა სანატორიუმი, რომელიც დღემდე არსებობს.

კურორტის მთის სანიტარიული ზონის ფარგლებში 200 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს ფიჭვის ტყეს, ამ ტყეში შედის ორი საკმაოდ დიდი, საუცხოო ფიჭვის ჭალა, რომელიც მდებარეობს კურორტის ცენტრში, მათ ირგვლივ კი სააგარაკო უბნებია.

ზაფხულის სეზონში კურორტზე ჩამოსულ ავადმყოფთა

და დამსვენებელთა რაოდენობა 10000 აღწევს. ისინი ძირითადად საცხოვრებლად ეწყობიან კოლმეურნეთა სახლებსა და თბილსაბჭოს საკურორტო სამმართველოს საბინაო ფონდში; საკურორტო სამმართველოს განკარგულებაშია 200-მდე ოთახი, უმთავრესად ქვედა ჭალაში („ნოვი სვეტი“). ამ ოთახებს საკურორტო სამმართველო აქირავებს სეზონურად.

მანგლისი და მისი ახლო მიდამოები მდიდარია საძოვრებით, ამიტომ როგორც კურორტზე, ისე მახლობელ სოფლებში უხვადაა რძის ნაწარმი. ახლომდებარე სოფლების მოსახლეობას გამოაქვს ბაზარზე რძის ნაწარმი, ხორცი, ფრინველი, ბოსტნეული და სხვ.

კურორტი უზრუნველყოფილია ელექტროენერჯითა და წყალსადენით;

აქვს მშვენიერი ბუნებრივი პარკი ფიჭვის ჭალაში. პარკში ეწყობა კონცერტები, წარმოდგენები, საღამოები. არის აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფი, თბილისთან სატელეფონო კავშირი, წიგნის მაღაზიები, ჯიხურები, სამრეწველო საქონლის მაღაზიები, სასადილოები და სხვ.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან აღსანიშნავია ბავშვთა სანატორიუმი, კურორტის პოლიკლინიკა, სოლარიუმი, ფიზკულტურის მოედანი, რაიჯანგანის საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით და პოლიკლინიკით და სხვ. თბილისთან კურორტს აკავშირებს ასფალტირებული საავტომობილო გზა.

მანგლისში მიმავალი გზა ჯერ მიემართება აღმართზე, გაუვლის სააგარაკო ადგილებს — ოქროყანას, ტაბახმელას, კურორტ კოჯორს (1340 მ ზღვის დონიდან), შემდეგ დაეშვება ქვემოთ „სამადლომდე“ საიდანაც ერთი გზა მიდის მარჯვნივ ბეთანიამდე, მეორე — მარცხნივ კურორტ კიკეთამდე. მთავარი მაგისტრალური გზა სამადლოდან ისევ დაღმართზე ეშვება. სოფ. ორბეთი შუა გზაზეა კოჯორ-მანგლისის ხაზზე. მანძილი კოჯრიდან ორბეთამდე 23 კმ-ია. იმდენივეა ორბეთიდან მანგლისამდე; სანამ მანგლისამდე 7 კმ დარჩებოდეს, გაივლით სოფელ დიდ თონეთს, სადაც მუხურის ხიდიდან 60 — 70 მ მოშორებით, ქვემოთ, მდინარე ოძისის მარცხენა



ნაპირზე, ქვის მცირე ნაპრალიდან გამოდის გოგირდ-წყალბადიანი მინერალური წყალი.

მდინარე ალგეთის ხეობასთან, სადაც მდებარეობს მანგლისი დაკავშირებულია არსენა მარაბდელის სახელი; მას აქ ჰქონია თავშესაფარი და აქედან შიშის ზარს სცემდა მებატონეებს.

ახალი მანგლისი დაარსებულა მე-18 საუკუნეში სოფელ ოძისის ნანგრევებზე, რომლებიც დღემდე შენახულია მანგლისის ჩრდილოეთით. თვით სოფელი ოძისი მიწისქვეშა გზით დაკავშირებული ყოფილა უძველეს ეკლესიასთან.

მანგლისიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ მანძილზე, მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, ყურადღებას იქცევს უძველესი გამოქვაბული კლდეში; იქვე მახლობლად ეკლესიისა და ნაგებობათა ნანგრევებია.

მანგლისიდან 10 კმ მოშორებით ეგრეთ წოდებულ „საკრისის მთაზე“ აღმართულია ქვის ჯვარი „მარიამა-ჯვარი“, გოხნარის ეკლესიის ნანგრევების იქით ციკლოპური ქალაქია, რომელიც დიდ ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს.

მანგლისის პლატო ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია მთებით, რითაც აიხსნება ამ რაიონში სუსტი ქარები.

კურორტის ტერიტორიას ჰრის მდინარე ალგეთი, რომელიც იწყება თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარე ფერდობიდან, მთა კლდეკარის მახლობლად. მდინარე და მისი ნაპირები დამსვენებელთა საბანაო და სასეირნო ადგილია.

მანგლისის სპეციფიკური კლიმატური თავისებურებაა მისი ტემპერატურის შედარებით მაღალი მაჩვენებლები. მანგლისის ტემპერატურა ზაფხულის თვეებში აბასთუმანთან შედარებით უფრო მაღალია, დაახლოებით 0,8°-ით, ზამთრის თვეებში კი — 2°-დან 4°-მდე, საშუალო განსხვავება 1,4° აჭარბებს.

მანგლისი და აბასთუმანი თუმცა ერთი და იგივე სიმაღლეზეა, მაგრამ განსაკუთრებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში იმყოფებიან, რის გამოც სულ სხვა კლიმატურ კომპლექსს იძლევა მანგლისი.

მთავარი განსხვავება ის არის, რომ მანგლისი მდებარეობს პლატოზე, აბასთუმანი კი — ვიწრო ხეობაში. პლატო, რომელ-

ზედაც მოქცეულია მანგლისი, გარშემორტყმულია მთებით, რომელთა ფერდობები დაფარულია წიწვიანი ჯიშის ტყეებით. პლატო მაქსიმალურად ღიაა სამხრეთის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს ადგილის ხანგრძლივ გათბობას.

ადგილობრივი ქარების რეგულარული მოქმედება უზრუნველყოფს პლატოს ნორმალურ ვენტილაციას.

მანგლისის რაიონი ხასიათდება ზომიერი ტენიანობით. ზაფხულის თვეებში ფარდობითი ტენიანობა დღის 13 საათისათვის შეადგენს დაახლოებით 65%-ს, დღე-ღამისა კი — დაახლოებით 68%-ს.

ტემპერატურისა და ტენიანობის მერყეობა მანგლისში ნაკლებია აბასთუმანთან შედარებით, რაც იმის შედეგია, რომ მანგლისი პლატოზეა მოთავსებული. მანგლისის ღია ჰორიზონტი უზრუნველყოფს მზის მოქმედების ხანგრძლივობას.

მანგლისისათვის მზის სხივადობის ხანგრძლივობა საშუალოდ წლის განმავლობაში 2000—2100 საათის ფარგლებშია.

მანგლისისათვის შედარებით არახელსაყრელი კლიმატური ფაქტორია ნისლიანობა. აბასთუმანში ეს სრულიად არ გვხვდება.

მანგლისის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური მახვენებლები გვაძლევს უფლებას კურორტს მივანიჭოთ ერთ-ერთი პირველი ადგილი სხვა პირველხარისხოვან მთის კლიმატურ სადგურებს შორის. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სითბოს ბალანსით, ჰაერის სიმშრალით, ქარების ზომიერებით და მზის სხივადობის ხანგრძლივობით მანგლისი უმჯობესია, ვიდრე იმ სამთო-კლიმატური კურორტების უმრავლესობა, რომლებიც მსოფლიოში ზღვის დონიდან ერთსა და იმავე სიმაღლეზე მდებარეობენ.

მანგლისის ჰავის პირობებში მკურნალობის დროს საკურორტო-სანატორიული რეჟიმის დაცვასთან, დიეტურ კვებასთან და სამკურნალო ფიზკულტურასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჰაერისა და მზის სათანადო გამოყენება. ჰაერის აბაზანები (აეროთერაპია) და განსაკუთრებით მზის აბაზანები დოზირებული მზის პროცედურების სახით (ჰელიოთერაპია) სათანადოდ მოწყობილ სოლარიუმებში გამოცდილი სამედიცინო პერსონალის კონტროლის ქვეშ

მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მკურნალობის ეფექტურობას.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი: ფილტვების ტუბერკულოზის დახურული ფორმები კომპენსაციისა და სუბკომპენსაციის პერიოდში;

ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი (დახურულა ფორმები);

მშრალი პლევრიტი (ადგეზიური);

ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზი (არამძიმე ფორმები სათანადო სტაციონარის პირობებში);

ქრონიკული ბრონქიტი, მალარია, მეორადი ანემია;

ბრონქული ასთმა (მსუბუქი ფორმები), რაქიტი;

რეკოვალესცენტი (მწვავე ინფექციურ დაავადებათა გადატანის შემდეგი პერიოდი).

*

კურორტი წყნეთი. წყნეთი მდებარეობს თბილისის ჩრდილო-დასავლეთით 10 კმ მანძილზე და დაკავშირებულია მასთან საავტომობილო გზით. ეს გზა გადაჭრის რა კურორტის ტერიტორიას, გაივლის სამადლოს და უერთდება თბილის-მანგლისის გზატკეცილს. თბილისიდან წყნეთამდე არის აგრეთვე საცალფეხო გზა, რომელიც საგრძნობლად ამცირებს მანძილს კურორტამდე (4—5 კმ). კურორტ წყნეთის სიახლოვე ისეთ მრავალრიცხოვან ქალაქთან, როგორიცაა თბილისი, მნიშვნელოვნად ამაღლებს ამ კურორტის სამკურნალო-პროფილაქტიკურ მნიშვნელობას მთელი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი ცხელი ზაფხულის პერიოდში.

წყნეთის ხეობაში გადის პატარა მდინარე ვერე, რომელიც უერთდება მდ. მტკვარს ქალაქ თბილისის ტერიტორიის შიგნით.

თვით სოფელი წყნეთი, რომელიც კურორტის ტერიტორიის დაწყებამდეც, წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ ადგილს.

წყნეთი ძველი დროიდანვე ცნობილია, როგორც სააგარაკო ადგილი. სააგარაკო მშენებლობა აქ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო.



უკანასკნელ ხანს წყნეთში გამოცოცხლდა კოოპერატიული, საზოგადო ორგანიზაციებისა და კერძო მოქალაქეთა სააგარაკო მშენებლობა. გაიყვანეს ახალი საავტომობილო გზა, წყალსადენი, ელდენი, მოეწყო ბაზარი, სასადილოები, სავაჭრო მაღაზიები, კიოსკები და გაშენდა საკმაოდ კეთილმოწყობილი თბილისის საგარეუბნო კურორტი.

კურორტის გამწვანებამ (წიწვიანი ჯიშებით), რაც ნაწილობრივ განხორციელებულია 1935—1936 წლებში, თვალსაჩინო შედეგი გამოიღო.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან წყნეთში 1938 წლიდან დღემდე არსებობს საკურორტო სამმართველოს საბავშვო პირველი სანატორიუმი 100 საწოლით, რკინიგზელთა პიონერბანაკი, საბავშვო სახლი, თბილისის საგარეუბნო რაიჯანგანის ამბულატორია, აფთიაქი და ფიზკულტურის მოედანი; არის აგრეთვე სატელეფონო კავშირი ქ. თბილისთან. ავადმყოფებსა და დამსვენებლებს აქ საშუალება ეძლევათ შეიძინონ სამრეწველო საქონელი და სურსათი კოოპერატიულ, საკოლმეურნეო, სავაჭრო წერტებში. ადგილობრივ ბაზარზე კოლმეურნეებს გამოაქვთ ხორცი, ფრინველი, თაფლი, ბოსტნეული, კარაქი, რძე, მაწონი, ყველი, ხილი და სხვა.

წყნეთი მდებარეობს პლატოზე, რომლის სამხრეთი ნაწილი ეკვრის მცირედ ამალღებულ მთის ჯაჭვს; როგორც კურორტის ტერიტორია, ისე გარშემორტყმული მთები მთლიანად დაფარულია დაბალი ტყით.

მეტეოროლოგიური დაკვირვებები აქ დაიწყო 1936 წელს თბილისის საკურორტო სამმართველოს მიერ მოწყობილი მეტეოსადგურებიდან. მიღებული მასალების მიხედვით, წყნეთში ზაფხულობით 2,5°-ით უფრო გრილა, ვიდრე თბილისში და 1,2—1,5° მეტი სიგრილეა, ვიდრე მთაწმინდაზე. ზამთრის თვეებში განსხვავება მცირდება, მაგრამ ტემპერატურის მაჩვენებლები წყნეთში მაინც უფრო დაბალია, ვიდრე ხსენებულ ადგილებში.

ზაფხულის სიცხეში წყნეთში მუდამ სიგრილეა, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის მიერ სითბოს გაცემის კომფორტულ პირობებს. სიგრილის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს მარ-

ტო განსხვავება სიმაღლის დონეთა შორის. ჰაერის ტემპერატურაზე გარკვეულ შემანელებელ გავლენას ახდენს ადგილის იდეალური ვენტილაცია, ადგილობრივი ქარების რეგულარული გამაგრილებელი მოქმედება და (მწვანე საბურველი); წყნეთში არსებული ატმოსფეროს მოძრაობის მიმართულება და სიჩქარე ხელს უშლის ჰაერის დაგუბებით მოვლენებს და უზრუნველყოფს მის ნორმალურ ვენტილაციას.

კლიმატური მნიშვნელობა ეძლევა ადგილობრივ ქარებს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ქარის სისწრაფის შედარებით მცირე მაჩვენებლები, რაც აახლოებს მის კლიმატურ კომპლექსს კომფორტულ პირობებთან. ჰაერის ტენიანობა რჩება ზომიერი ციფრების ფარგლებში. კურორტის ზომიერი სიმაღლის (750—1200 მ), ჰორიზონტის და მწვანე საბურველის სიუხვის გამო აქ შედარებით ნაკლები მტვრიანი ატმოსფერო გამოირჩევა გამჭვირვალობით და მზის სხივების ხანგრძლივი მოქმედებით.

მრავალი წლის ემპირიული დაკვირვებები ორგანიზმზე ამ ადგილის ჰაერის გავლენის შესახებ აშკარად მეტყველებს მის მაღალ სამკურნალო ღირსებაზე მთელ რიგ დაავადებათა და განსაკუთრებით ბავშვთა ასაკის დაავადებათა დროს.

დიდია მნიშვნელობა წყნეთის რეკოვალესცენტებისათვის (მწვანე დაავადებათა გადატანის შემდეგი პერიოდი). დასუსტებული ორგანიზმი ძალების აღდგენისათვის მოითხოვს ავადმყოფის გადაყვანას ქალაქგარეთ მთის ჰაერზე; ამ მხრივ წყნეთი დიდ სამსახურს უწევს თბილისის მოსახლეობას.

ვითვალისწინებთ რა კურორტის კლიმატურ-სამკურნალო და კლიმატურ-პროფილაქტიკურ თვისებებს და მის სიახლოვეს დიდ, მრავალრიცხოვან ქალაქთან, წყნეთი მასთან ახლომდებარე ახალდაბასთან ერთად რაციონალური და გეგმიანი განვითარების პირობებში უახლოეს მომავალში გახდება თბილისის პირველხარისხოვანი საგარეუბნო კურორტი.

წყნეთში სამკურნალოდ ნაჩვენებია შემდეგი დაავადებები: ლიმფური ჭირკვლების ტუბერკულოზი (ბრონქოპულმონალური და პერიფერიული ჭირკვლების);

ქრონიკული ბრონქიტი;

ქრონიკული პლევრიტი (განსაკუთრებით ადგილობრივი);

მეორადი სისხლნაკლულობა, კვების დაქვეითება;
მალარია, რაქიტი, ბრონქული ასთმა;
რეკონვალესცენტი (განკურნების პერიოდში გადატანილი
მწვავე დაავადების შემდეგ).

*

კურორტი კიკეთი. კიკეთს თბილისის საგარეუბნო კურორტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი მდებარეობს თბილისიდან 27 კმ მანძილზე, მისგან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით თბილის-მანგლისის გზატკეცილზე; ეს გზატკეცილი გაივლის რა კურორტ კოჯორს, დაბა სამადლოსთან იძლევა სამ განშტოებას (ბეთანიასა და წყნეთისაკენ), აქედან ერთს კიკეთისაკენ. კურორტი იმყოფება 1100—1150 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

კიკეთმა ახლო რაიონების, პირველ რიგში თბილისის მოსახლეობის ყურადღება მიიპყრო თავისი კლიმატური და სამკურნალო თვისებებით, მშვენიერი ბუნებით და ამასთან ერთად დიდ სამრეწველო ცენტრთან, თბილისთან სიახლოვით.

კიკეთში საავარაკო მშენებლობის ტემპი როგორც საკურორტო სამმართველოს, ისე სხვადასხვა უწყებათა და ორგანიზაციათა ხაზით განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

კურორტის საბინაო ფონდი, კოლმეურნეთა და სხვა ადგილობრივ მოსახლეობათა ბინების ჩათვლით, ვერ აკმაყოფილებს იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებს კურორტს ზაფხულის პერიოდში დიდი ქალაქის მოსახლეობა.

კიკეთის ადგილობრივი წყაროები საუცხოო წყლით ამარაგებენ კურორტს. იგი უზრუნველყოფილია ელექტრო-განათებითაც.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან კიკეთში ზაფხულობით მუშაობს საკურორტო სამმართველოს პოლიკლინიკა კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიით. აფთიაქი, ბავშვთა სანატორიუმი, არსებობს აგრეთვე ფიზკულტურის მოედანი და სხვ.

სავაჭრო წერტილებიდან აქ არის სამრეწველო საქონლისა და:

სასურსათო მაღაზიები და სხვადასხვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ჯიხურები.



აქვე მოწყობილია ბაზარი, სადაც დამსვენებლებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ ფრინველი, კვერცხი, რძის ნაწარმი, ხორცი, მწვანილი, ხილი და სხვ.

კიკეთის მოსახლეობა არაა მრავალრიცხოვანი.

ივნისის თვიდან კურორტს ეტყობა გამოცოცხლება.

კურორტს უკავია თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის დაწეული ნაწილი, რომელიც დაფარულია ფოთლოვანი ჯიშის ხშირი ტყით. კურორტის ტერიტორია შეიძლება დავყოთ ორ ზონად; პირველს უჭირავს ჩრდილოეთის ფერდობი, რომელიც ღიაა ჩრდილოეთიდან ატმოსფერული დინებისათვის. ეს ზონა დახურულია სამხრეთის მხრიდან და ამიტომ იგი შედარებით ნაკლებ თბება. მეორე ზონას უჭირავს სამხრეთის ფერდობი და ღიაა როგორც სამხრეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან. მისი დასხივება მაქსიმალურია და გათბობა საკმარისი. ჰავის მხრივ ეს ორი ზონა განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამხრეთ ნაწილში უკეთესი კლიმატური პირობებია, ვიდრე ჩრდილოეთში, რომელიც ჩრდილში იმყოფება დღის პირველი ნახევრის ნაწილის განმავლობაში.

მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების მიხედვით, თერმული რეჟიმის მხრივ კიკეთს უკავია საშუალო ადგილი კოჯორსა და წყნეთს შორის. კოჯორში რამდენადმე უფრო სიგრილეა, ვიდრე კიკეთში, წყნეთში კი საშუალოდ 2 გრადუსით უფრო თბილა, ვიდრე კიკეთში.

კიკეთისა და მანგლისის ტემპერატურული მაჩვენებლები ერთმანეთთან ახლოს დგას, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში; თუ მხედველობაში მივიღებთ სიმაღლეს, მანგლისში კიკეთთან შედარებით უფრო დაბალი ტემპერატურა უნდა იყოს. მანგლისის ღია მდებარეობა სამხრეთიდან მანგლისის უფრო ინტენსიური გათბობის შესაძლებლობას იძლევა, რის გამოც იქ ტემპერატურა უფრო მაღალია.

იმის გამო, რომ კიკეთი გაშლილია ჩრდილოეთისაკენ, იქმნება ხელშემწყობი პირობები ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მთელს რაიონში აქ გაბატონებული ძლიერი ქარების მოქმედებისათვის.

ტენიანობა კურორტის ჩრდილოეთ ნაწილში რამდენადმე მაღალია. კურორტის გაძლიერებული ტენიანობა გამოწვეულია მისი ჩრდილოეთი ნაწილის დაჩრდილვით და ტყის მასივების სიახლოვით.

ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 600 მმ. საერთოდ ამ კურორტზე ნალექები ნაკლებია, ვიდრე კოჯორსა და წყნეთში და მეტია, ვიდრე თბილისში. ზამთარი კიკეთში გამოხატულია მკაფიოდ. 3 თვის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა 0°ზე დაბალია. თოვლის საბურველი მუდმივია დეკემბრის მეორე ნახევრიდან 10 — 15 მარტამდე.

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და კლიმატური მაჩვენებლების საერთო კომპლექსში კიკეთი მთლიანად აკმაყოფილებს მთის კლიმატური სადგურის მოთხოვნებს. კურორტი იმყოფება საშუალო სიმაღლის ზონის ფარგლებში, სადაც სამკურნალოდ და პროფილაქტიკური მიზნით თამამად შეიძლება გაიგზავნოს მრავალრიცხოვანი კონტინგენტი.

ავადმყოფ და ჯანსაღ ორგანიზმზე კიკეთის ჰავის გავლენის შესახებ ჯერჯერობით სამედიცინო ლიტერატურაში არავითარი მასალა არ მოიპოვება. მაგრამ ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ავადმყოფები და დამსვენებლები ხალისიანად და სისტემატურად მიდიან კიკეთში და იქიდან კმაყოფილები ბრუნდებიან. ექიმებიც, რომლებსაც უმუშავიათ კიკეთში, ადასტურებენ ამ კურორტის მაღალ სამკურნალო და პროფილაქტიკურ ეფექტიანობას.

კიკეთი უნდა განვითარდეს, როგორც მთელი წლის განმავლობაში მოქმედი პროფილაქტიკური პროფილის კურორტი, როგორც დასასვენებელი ადგილი თბილისის მოსახლეობისათვის.

ამჟამად კიკეთში მოსახლეობა დასასვენებლად მიემგზავრება ივნისიდან ოქტომბრამდე.

*

კუმისი. სამკურნალო ტალახი უძველესი დროიდან ცნობილია როგორც თერაპიული ფაქტორი მთელი რიგი დაავადებების დროს. ტალახით მკურნალობას დღესაც საპატიო ადგილი უჭირავს სხვა თერაპიულ ღონისძიებათა შორის.

საქართველოში სამკურნალო ტალახის წყაროები და მარაგი ჯერ კიდევ, შეიძლება ითქვას, შედარებით სუსტად გამოვლინებული.

ამჟამად ჩვენ გვაქვს სამკურნალო ტალახის ორი უკვე ცნობილი წყარო — ახტალის ფსევდოვულკანური და კუმისის ტბის ნალექი ან ლამის ტალახი. კუმისის ტბა საქართველოში მაღალხარისხოვანი სამკურნალო ტალახის მთავარი საბადოა. კუმისის ტბა მდებარეობს თბილისიდან 22 კმ მანძილზე, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, შავი ზღვის დონიდან 480 მეტრის სიმაღლეზე. რკინიგზის სადგური კუმისით იგი უკავშირდება საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებს.

ტბის სიგრძე 2 1/4, სიგანე კი — 2 კმ-მდეა. მისი საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 4—4 1/2 კვ. კმ. სიღრმე მერყეობს 2 მ ფარგლებში. ტალახის ზედა ნაცრისფერი ფენა სისქით დაახლოებით 5 სმ-ია და წარმოადგენს ტალახის დაქანვულ ნაწილს. უფრო ღრმად მდებარეობს შავი, სქელი, პლასტიკური, მაღალხარისხოვანი სამკურნალო ტალახი, რომლის ფენა აღწევს 1 მ-ზე მეტ სისქეს, რაც საერთო ჯამში ქმნის ამ ძვირფასი სამკურნალო საშუალების დიდძალ მარაგს.

1936 წელს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა კუმისის ტალახის ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზი, რომელმაც დაადასტურა მისი სამკურნალო ღირსება.

კუმისის ტალახს სამკურნალო მიზნით პირველად შედარებით ნაკლებად იყენებდნენ ახტალის ტალახთან ერთად. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში გოგირდწყალბადით და ტალახით სამკურნალო 1927 — 32 წლებში, შემდეგ კი კუმისის ტალახზე უარი ითქვეს.

აღნიშნული ტალახის მნიშვნელობანი სამკურნალო თვისებების გამო თბილისის საკურორტო სამმართველომ 1936 წელს აღადგინა ამ ტალახით მკურნალობა, იმავე გოგირდწყალბად ტალახით სამკურნალოსა (თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება) და პროფკავშირთა სრულიად საქავშირო ცენტ-

საქართველოს
საბჭოთა კავშირი

რესპუბლიკის ყველა სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში ამ ძვიფასი სამკურნალო ფაქტორის ფართოდ გამოყენებისათვის ტბაზე მოეწყო სპეციალური ესტაკადა ტბის სიღრმეში და კონსტრუირებულ იქნა სპეციალური ხელსაწყო, რომლის მიზანი იყო სიღრმიდან ტალახის ამოღების მექანიზაცია.

ტბის ნაპირზე აშენდა ქვითკირის ორსართულიანი პატარა შენობა. 1935 წელს კუმისის ტბას ესტუმრა სამეცნიერო ექსპედიცია შემდეგი შემადგენლობით: უკრაინის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი პროფ. ე. ბურჭესერი, ცნობილი ბალნეოლოგტალახმცოდნე პროფ. ს. ნალბანდოვი, პროფ. დ. ჯავახიშვილი, პროფ. მ. ზანდუკელი. ექ. ლ. ნაზარეტიანი. ექსპედიციამ აიღო სინჯები ანალიზებისათვის. ანალიზი გაკეთდა უკრაინის (ოდესაში) კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიურ ლაბორატორიაში პროფ. ბურჭესერის ხელმძღვანელობით.

თანახმად ხსენებული ექსპედიციის დასკვნისა და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზების მონაცემებისა, მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ტალახის ფართოდ გამოყენება როგორც თბილისში, ისე თბილისგარე ტალახით სამკურნალოებში. ამავე დროს აღინიშნა, რომ კუმისის ტბაში შემაჯალ წყაროებს კოლმეურნეები იყენებდნენ ნათესებისა და ბოსტნების მოსარწყავად და ტბას ამოშრობა ელოდა. თბილისის საკურორტო სამმართველოს მიერ მიღებული ზომების შედეგად წყლის ნაწილი დაუბრუნდა ტბას, რის შემდეგ ტბის წყლის რეჟიმი აღდგა.

კუმისში ზაფხულობით მნიშვნელოვნად ცხელა და აღინიშნება ატმოსფერული ნალექების უმცირესი რაოდენობა.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კუმისის ტბას იყენებენ ახლო მიდამოების სარწყავ წყლსაცავად, რაც ქმნის ტალახის სამკურნალო თვისებების დაქვეითებისა და სრული დაკარგვის საშიშროებას, თუ არ იქნა მიღებული სათანადო ზომები ტბის რეჟიმისა და ტალახის სამკურნალო თვისებების დასაცავად.

კუმისის ტბის ტალახს იყენებენ იმ დაავადების დროს,

როდესაც საერთოდ ნაჩვენებია ტალახით მკურნალობა; ამასთან მისი გამოყენება შეიძლება არანაკლები წარმატებით ვიდრე ახტალისა და ტამბუკანის ტალახისა. უფრო მეტიც, კუმისის ტალახს აქვს ზოგიერთი უპირატესობა ახტალის ტალახთან შედარებით; ტალახის სქელი კონსისტენცია და ელასტიკურობა ტალახის აპლიკაციებითა და კურორტგარეშე მკურნალობის პირობებში უკეთეს შედეგს იძლევა.

დიდი ხანია, რაც დამტკიცებულია ლამის ტალახის რეგენერაციის (აღდგენის) შესაძლებლობა (ტამბუკანი, ოდესის ლიმანები, და სხვ.), ამ ტალახთა ჯგუფს ეკუთვნის კუმისის ტალახიც. აღვიღოთ მიტანილი და გამოყენებული სამკურნალო ტალახი შეიძლება განმეორებით იქნეს გამოყენებული ყოველ 4 — 6 თვის შემდეგ, თუ ტალახს შევინახავთ სარეგენერაციო სპეციალურ აუზებში, გარკვეული დროის განმავლობაში ხდება მისი პირველადი ბუნებრივი სამკურნალო თვისებებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ტალახის სისუფთავის აღდგენა.

დღესდღეობით ახტალის ტალახის დებიტი საშუალოდ 12 კუბ. მეტრს არ აღემატება დღე-ღამეში. ეს მცირე დებიტი ოდნავ თუ დააკმაყოფილებს კურორტის შინა მოთხოვნილებას, მით უმეტეს, რომ კურორტი შემდეგში იმოქმედებს მთელი წლის განმავლობაში. კურორტი ვერ გასცემს ტალახს კურორტგარეშე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ათეული წლის წინათ კურორტი ამარაგებდა სამკურნალო ტალახით თბილისის ტალახით სამკურნალოებს (თბილისის გორდწყალბად-ტალახით სამკურნალო, კურორტოლოგიის ინსტიტუტის და რკინიგზის საავადმყოფოს ტალახით სამკურნალო განყოფილებები და სხვ., ბათუმის, ბორჯომის, ლენინაკანის სამკურნალოები და სხვ.). უკანასკნელ ხანს ახტალა მხოლოდ სამკურნალო ტალახის მცირე რაოდენობით ამარაგებს სხვა სამკურნალოებს, ამავე დროს ტალახით მკურნალობაზე, როგორც ფრიად ეფექტურ სამკურნალო საშუალებაზე, მოთხოვნილება თანდათან იზრდება. ამრიგად, ტალახით სამკურნალოების დიდი ქსელი ვერ მიიღებს ახტალის სამკურნალო ტალახს და მათი მომარაგება სამკურნალო ტალახით მთლიანად მოხდება კუმისის ტბიდან.

საჭიროა ამ ძვირფასი სამკურნალო „შავი ოქროს“ წყალ-
ქვეშ შენარჩუნების მიზნით რადიკალური ღონისძიებების ჩა-
ტარება. პირველ რიგში უნდა შეწყდეს ტალახის საბადოს გა-
მოყენება სარწყავ წყალსაცავად. საჭიროა აღნიშნული ზონის
ზუსტად დაცვა, როგორც ეს გათვალისწინებულია საბჭოთა
კანონით, ნარგავებისა და მცენარეთა სასტიკი დაცვა საქონლი-
საგან და ამასთან ერთად მთელი მიდამოს გამწვანება სამთო-
სანიტარიული დაცვის ზონის ფარგლებში. ამავე დროს საჭი-
როა სასტიკი კონტროლის დაწესება ტბაში შენაკად წყაროე-
ბის წყალზე. ტალახის მექანიზებული ამოღების განახლება
უფრო სრულყოფილი მექანიზაციის საშუალებით, რაც უზ-
რუნველყოფს ტალახით სამკურნალო დაწესებულებების
დროულ და შეუფერხებელ მომარაგებას.

სამკურნალო ტალახის რაციონალური და ეკონომიური
ხარჯვა მოითხოვს ტალახით სამკურნალო დაწესებულებებში
ტალახის სარეგენერაციო აუზების მოწყობას.

დაისვას საკითხი თვით ტბაზე ტალახით სამკურნალოს მოწყ-
ობის შესახებ.

კუმისის ტალახით მკურნალობის ჩვენებანი: რევმატული,
ინფექციური, ტრავმული, ენდოკრინული და სხვ. წარმოშო-
ბის სახსრების ქრონიკული ანთება (ართრიტები);

პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი, უმთავ-
რესად ნევრიტებისა და ნევრალგიების სახით (იშიასი, ლუმ-
ბაგო და სხვ.);

ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებანი (საშვილოსნოს,
საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ახლო მდებარე ქსოვილების
ანთება, ოპერაციის შემდეგი შეხორცებები და სხვ.; ოვარი-
ალური და ენდოკრინული წარმოშობის მენსტრუაციის მოშლა
და სხვ.);

კანის ქრონიკული დაავადებანი (ფსორიაზი, ეგზემა, ქავანა,
დერმატოზები, ფურუნკულოზი და სხვ.);

ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთება, პე-
რიგასტრიტი, პერიდუოდენიტი და სხვ.;

წვივის ქრონიკული წყლული, ქრონიკული ფლებიტი,
თრომბოფლებიტი და სხვ.

მთაწმინდა (მამა დავითის მთა).

მთაწმინდა თბილისის საგარეუბნო კურორტებიდან და სააგარაკო ადგილებიდან უახლოესი მთის კლიმატური სადგურია. მას ხშირად არასწორად უწოდებენ ფუნიკულიორს (საბაგირო გზის სახელწოდება, რომელიც აკავშირებს თბილისს მთაწმინდასთან). ფუნიკულიორის ქვედა სადგური მდებარეობს ზღვის დონიდან 460 მ სიმაღლეზე, ზედა სადგურის სიმაღლე კი აღწევს 760 მ. თვით ამ საბაგირო გზის (ფუნიკულიორის) სიგრძე უდრის 510 მ. მთაწმინდა უშუალოდ ეკვრება თბილისს — მის დასავლეთ ნაწილს და, არსებითად, შეადგენს ქალაქის განუყრელ ნაწილს. წარსულში მთაწმინდას „განდეგილის“ მთის სახელწოდებით იხსენიებდნენ.

გარდა საბაგირო გზისა გაასფალტებული საავტომობილო გზისა, თბილისიდან მთაწმინდაზე ადის ჰაერის საბაგირო გზა და საცალფეხო გზა.

სანამ მთაწმინდის პლატოზე ამ გზით ავიდოდეთ, ქალაქისაკენ მიმართულ მთის ფერდობზე აშენებულია საქართველოს ძველი მატერიალური კულტურის ძეგლი — მამა დავითის ეკლესია, გასული საუკუნის მეორე ნახევრის და მიმდინარე საუკუნის საქართველოს დიდ მოღვაწეთა და მწერალთა პანთეონი.

პანთეონიდან რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე ყურადღებას იპყრობს აბრა „მწერალთა მუზეუმი“. ჩვენი კულტურის ამ ძვირფას საგანძურში შეკრებილი და გამოფენილია ქართველი მწერლების ხელნაწერები და სხვა ნივთები.

მთაწმინდის მწვერვალზე საკმაოდ მოზრდილი პლატო სუფთა, გრილი ჰაერით, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ პერიოდში, ბევრ თბილისელს იზიდავს.

პლატოზე ფუნიკულიორის ზედა სადგურზე სამსართულიანი პავილიონია, შესანიშნავი ფოიებით, უზარმაზარი ღია ვერანდებით, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებებით, საუცხოოდ გაფორმებული რესტორნით და სხვ.

პლატოს მთელ ტერიტორიაზე გაყვანილია ხეივნები, გზა-

ბილიკები ყვავილნარებით, აგებულია კაფეები, კიოსკები,
მოწყობილია შადრევნები.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ჩატარებულია მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის კეთილმოსაწყობად, საფუძვლად დაედო პლატოს კლიმატური პირობები, რომლებიც განსაკუთრებით კეთილნაყოფიერად მოქმედებს ორგანიზმზე დამსვენებლების აქ სულ ხანმოკლე ყოფნის შედეგადაც კი.

მეტეოროლოგიური დაკვირვებათა მონაცემებით, მთაწმინდაზე ჰაერის ტემპერატურა ცხელი თვეების პერიოდში საშუალოდ 2,1°-ით ნაკლებია თბილისის ჰაერის ტემპერატურაზე.

ზამთრის თვეებში, როდესაც შედარებით დიდი ყინვებია, თბილისში უფრო ცივა, ვიდრე მთაწმინდაზე. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ თბილისი მდებარეობს ქვაბულში და ღია ჰორიზონტის უქონლობის გამო აქ გროვდება ცივი ჰაერი, რომელიც უფრო მეტ ხანს ჩერდება, ვიდრე მთაწმინდის ღია პლატოზე.

ქარების სისწრაფე მთაწმინდაზე უფრო მეტია, ვიდრე თბილისში (სხვაობა აღწევს დაახლოებით 0,5 მ/წ.); ამავდროს ქარები ცოტაოდენ ძლიერდება მთაწმინდაზე საღამოს საათებში (განსხვავება თბილისთან შედარებით აღწევს 1 მ/წ.). ეს არ შეიძლება ჩაითვალოს უარყოფითად, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ თვეებში. აქ გაბატონებული ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარები ხელს უწყობენ ზაფხულის თვეებში ჰაერის სიგრილეს.

მთაწმინდა ხასიათდება ჰაერის შედარებით მეტი ტენიანობით, ვიდრე თბილისი.

პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს მთაწმინდისა და თბილისის სხვა მიდამოების გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის. მთაწმინდის პლატოზე შექმნილია მწვანე ნარგავთა მწ. მწვანელოვანი მასივები და ახლო მომავალში მის ფართო ტერიტორიაზე შესაძლებელი გახდება გაიშალოს მთელი რიგი პროფილაქტიკური დაწესებულებები, მაგალითად, ერთ-ან მრავალღლიანი დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, სასტუმროები, აგრეთვე კულ-



ტურულ-საგანმანათლებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური და
 დამხმარე ხასიათის ობიექტები, რომლებიც აუცილებელია
 დამსვენებელთა მომსახურებისათვის.

*

კურორტი ბეთანია. ბეთანია მდებარეობს თბილისიდან
 დასავლეთის მიმართულებით 30 კმ მანძილზე ტყეებით მდი-
 დარ მიდამოში, რომელიც ზღვის დონიდან 900 — 950 მეტ-
 რის სიმაღლეზეა. თბილისი ბეთანიას უკავშირდება მოასფალ-
 ტებული გზატკეცილით, რომელიც გაივლის კურორტ კოჯორ-
 ზე; სამადლოსთან იგი სცილდება მანგლისში მიმავალ მაგისტ-
 რალურ გზას და უხვევს დასავლეთის მიმართულებით აგარაკ
 ბეთანიისაკენ. მეორე გზა — თბილისიდან კურორტ წყნეთის
 გავლით მნიშვნელოვნად ამცირებს მანძილს ბეთანიაში.

თვით სააგარაკო ადგილი მდინარე ვერის დაბლობის საკ-
 მარისად გაშლილ ნაწილშია. იგი ჩრდილოეთიდან დახურულია
 თრიალეთის ქედით, რომლის სიმაღლე აქ აღწევს 1400 —
 1600 მეტრს; სამხრეთიდან შემოსაზღვრულია შედარებით და-
 ბალი მთის ქედით, დასავლეთიდან მას გადმოჰყურებს საწყი-
 სის ქედი, რომლის სიმაღლე 2000 მეტრით განისაზღვრება.

ბეთანიის რაიონში თრიალეთის ქედის სამხრეთის ფერდო-
 ბები დასერილია ხეობებით, რომლებიც მიმართულია ჩრდი-
 ლო-დასავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. გაშლილი ადგი-
 ლი აღმოსავლეთიდან და თრიალეთის სამხრეთ ფერდო-
 ბებზე არსებული მთის დაბლობის სისტემა, რომლებიც მიე-
 მართება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისა-
 კენ, განსაზღვრავენ რაიონის ვენტილაციის პირობებს და
 ხელშემწყობ გავლენას ახდენენ ბეთანიის კლიმატურ
 კომპლექსზე. ჩრდილოეთიდან თრიალეთის ქედი არბილებს
 მის თერმულ რეჟიმზე ცივი ჰაერის მასების მოქმედებას. ასე-
 თივე შემარბილებელ (გამაგრილებელ) მოქმედებას ახდენს
 ბეთანიის ჰაერის თერმულ რეჟიმზე ტყეების მდიდარი მცენა-
 რეულობა.

ამ საკურორტო რაიონში ქართული ხელოვნების თვალსა-
 ჩინო ძეგლი ბეთანიის ეკლესია საინტერესოა თავისი არქი-
 ტექტურით და შესანიშნავი ფრესკებით. ეკლესია მიეკუთვნება
 XII საუკუნეს.

ბეთანიაში ათეული წლის წინათ აშენდა სამსართულიანი კაპიტალური შენობა, სადაც 1941 წლამდე ისვენებდნენ და ჯანს იკრებდნენ წარმოებათა მოწინავე მშრომელები — დამკვერელები, სამამულო ომის პერიოდში აქ გაშლილი იყო საქართველოს სსრ პროფკავშირების ევაკოპოსპიტალი, ხოლო 1944 წლიდან იგი გადაეცა განათლების სამინისტროს. ამ შენობის გარდა, აქ არის აგრეთვე რამდენიმე დამხმარე ნაგებობა. დამსვენებელთა მომსახურების მიზნით აქ იყო მერძვევობის ფერმა, საფუტკრე, საღორე, გაშენდა ბალ-ბოსტნები და სხვ.

ბეთანია უზრუნველყოფილია წყალსადენით და ელექტროგანათებით. მდიდარი ტყეების მასივებით, გამოირჩევა ხელსაყრელი კლიმატური მაჩვენებლებით მთელი წლის განმავლობაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ მის სიახლოვეს თბილისთან და საკურორტო-სააგარაკო მშენებლობის გაშლისათვის ტერიტორიულ შესაძლებლობას, ბეთანიას უთუოდ აქვს განვითარების პერსპექტივა.

სამკურნალო-პროფილაქტიკური თვალსაზრისით ბეთანია მიზანშეწონილია მეორადი სისხლნაკლებობისათვის, კვების დაქვეითების, ქრონიკული ბრონქიტის, პლევრიტის, მალარიის, ლიმფური ჯირკვლების ანთების და ნევროზების მსუბუქი ფორმების დროს.

კურორტი მოქმედებს მთელი წლის განმავლობაში.

*

მცხეთა. კლიმატურ — ბალნეოლოგიური საკურორტო ადგილი მცხეთა საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქია. იგი მდებარეობს თბილისიდან 20 კმ მანძილზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, იქ სადაც არაგვი უერთდება მტკვარს. ოდესღაც ძლევამოსილი დიდი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი მცხეთა წარმოადგენდა იბერიის სამეფოს სატახტო ქალაქს.

მცხეთის მიდამოებში შემონახულია საქართველოს მატერიალური კულტურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანესა ძეგლები.

აქ შენარჩუნებულია უძველესი ქალაქ — სიმაგრის „არმა-



ზის ციხის“ ნაშთები. „არმაზი“ ყოფილი სატახტო ქალაქი იბერიისა და უძველესი ქართლისა — საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების წარმოშობის პირველი დღეებიდან-მე.

დღევანდელი მცხეთა წარმოადგენს რაიონის ცენტრს, რომელიც მოთავსებულია ქართლის ორი დაბლობის არაგვისა და მტკვრის შესაყარზე. სამხრეთიდან იგი დახურულია თრიალეთის ქედის უშუალოდ მოახლოებული ტოტებით. ჩრდილოეთიდან მას უახლოვდებიან კავკასიონის მთის გვერდობები. მცხეთის ტერიტორია შევიწროებულია ზემონსენებული მთების ქედებით. ჰაერის მასების გაცვლა-გამოცვლა ხდება მტკვრის ხეობის საშუალებით. აქ გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები; ამ რაიონში მათი შეჭრა რამდენადმე შესუსტებულია საგურამოს ქედის არსებობით. ჩრდილო-დასავლეთიდან ღია ჰორიზონტი ხელს უწყობს ამავე მიმართულების ქარების მოქმედებას. დაბლობის სივიწროვე, რომელიც უკავია მცხეთას, ხელს უწყობს სინოტივის კონდენსაციას, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე. მცხეთაში შედარებით გრილი ზაფხული და ცივი ზამთარი იცის, ვიდრე თბილისში. მთების ფერდობები, რომლებითაც გარშემორტყმულია მცხეთა, დაფარულია ფოთლოვანი ტყით.


თავისი კლიმატური თვისებებით და თბილისთან სიახლოვეთ, რომელსაც მცხეთა უკავშირდება მოასფალტებული გზატკეცილით და აგრეთვე რკინიგზით (სულ 25—30 წუთის გზა), მცხეთა წარმოადგენს საკმაოდ ხელსაყრელ კლიმატურ სადგურს და სააგარაკო ადგილს თბილისის მოსახლეობის კოლექტიური და ინდივიდუალური დასვენებისათვის. მცხეთის შემდგომი განვითარება პროფილაქტიკური პროფილით მოხდება.

მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, ჯვრის მონასტრიდან ერთი კილომეტრის მანძილზე ჩრდილოეთ მიმართულებით „წამყარალა ხევში“ მცხეთის გოგირდწყალბადიანი წყლის მრავალი მცირე გამოსავალია გაფანტული. ამ წყაროების დებიტი (პრიმიტიულ მდგომარეობაში) აღემატება 5000 ლიტრს დღე-ღამეში.



წყაროების გამოსავალი დაკავშირებულია ძირითად ქანებთან, რომლებიც აქ წარმოდგენილია ეოცენის ასაკის ნაპრალოვანი ქვიშაქვებით და თხელშრებრივი ფიქალებით. მინერალური წყაროები არ არის კეთილმოწყობილი.

საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1947 წლის დეკემბერში ჩატარებული მცხეთის მინერალური წყლის ქიმიური ანალიზი იძლევა შემდეგ სურათს



მცხეთის მინერალური წყაროების წყალი ეკუთვნის გოგირდწყალბადიან - ჰიდროკარბონატულ-სულფატურ - ქლორიდულ-ნატრიუმთან-მაგნიუმთან წყლებს, რომელთა მინერალიზაცია უდრის 5,2 გ/ლ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გოგირდწყალბადის რაოდენობა ამ წყაროების წყალში აჭარბებს 305 მგ ერთ ლიტრში, რითაც ეს წყალი საქართველოში დღემდე ცნობილ ყველა გოგირდწყალბადიანი წყაროს წყლებზე (მენჯი, გორიჯვარი, ცაიში, „პრიმორსკაია“, ბია, თბილისი) უკეთესია.

მცხეთის რაიონში, რაიონის ცენტრიდან 3 — 4 კმ მანძილზე, ბულჩაურის წყალსადენის გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებით 1951 წელს „ზაჰესსა“ და მცხეთას შორის ჯვრის მონასტრიდან და თვით ზაჰესიდან 1 — 1,5 კილომეტრის დაშორებით აღმოჩენილია გოგირდწყალბადიან-სულფატურ-ნატრიუმთან-მაგნიუმთან მინერალური წყაროების 6 გამოსავალი (13° t). გოგირდწყალბადის კონცენტრაცია ერთ ლიტრ წყალში შეადგენს 90 მგ, საერთო მინერალიზაცია — 12,0 გ, საერთო დებიტი — 100,000 ლ/დღ.

ეს წყალი ეკუთვნის მაღალხარისხოვან გოგირდწყალბადიან სამკურხალო წყლების ჯგუფს და უახლოვდება მენჯისა და მაცესტის მინერალურ წყლებს.

ამ წყლით ეფექტურად შეიძლება ვუმკურნალოთ გულ-სისხლძარღვთა, პერიფერიული ნერვული, მოძრაობის ორგა-

¹ ანალიტიკოსი — ქიმიკოსი ა. ვარშამოვა.



ნოთა სისტემებს და აგრეთვე გინეკოლოგიურ ანთებით დაავადებებს.
ნის ზოგიერთ დაავადებებს.

აქვე გამოვლინებულია მაღალი მინერალიზაციის (37,0 გ/ლ) მინერალური წყალი.

მცხეთის მინერალური წყლების ბაზაზე შესაძლებელი გაბდება დიდი მნიშვნელობის ბალნეოკლიმატური კურორტის მშენებლობა, რასაც ხელს უწყობს ამ რაიონის მეტად ხელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები.

*

მარტყოფი. თბილისის საგარეუბნო სააგარაკო საკურორტო რეზერვებიდან ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მარტყოფს, რომელიც იმყოფება ქალაქიდან 24 კმ მანძილზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 550 — 600 მეტრია. მარტყოფი მდებარეობს ქართლის ქედის სამხრეთ გვერდობებზე და დახურულია ჩრდილოეთიდან აღნიშნული ქედის შტოებით, რაც არბილებს მის კლიმატზე ჰაერის ცივი მასების მოქმედებას.

ქართლის ქედის ტოტები, რომლებიც უშუალოდ ეკვრის მარტყოფს, მთლიანად დაფარულია ფოთლოვანი ტყით, რის გავლენითაც მცირდება ჰაერის ტემპერატურის მერყეობა და ტემპერატურის მაჩვენებლებიც, განსაკუთრებით ზაფხულის თვეების მანძილზე, ქართლის ქედი უზრუნველყოფს მარტყოფის მიდამოების კლიმატს ზომიერი ტენიანობით, რაც ხელშემწყობს გავლენას ახდენს როგორც ადამიანის ორგანიზმზე, ისე მცენარეულობაზე.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აქ უნდა აღინიშნოს მარტყოფის ძველი ეკლესიის ნანგრევები, რომლის ადგილზე საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს ინიციატივით ახალი ეკლესია აშენებულია.

მარტყოფის ძველი ეკლესია დაკავშირებულია ცამეტ სირიელ მამათაგან ერთ-ერთის ანტონის სახელთან, რომელიც დასაფლავებულია შიგ ეკლესიაში. გადმოცემის თანახმად, ამ მონასტრის აშენების შემდეგ „წმინდა ანტონი“ დაშორებია თავის მოწაფეებს და დაუწყია განმარტოებული მოღვაწეობა

ახლო მდებარე გამოქვაბულში. შემდეგ იქვე მახლობლად ცაბო კლდეზე აუშენებია კოშკი პატარა ეკლესიით. ეს კოშკი ამჟამად წარმოადგენს გარკვეულ ღირებულებას არქიტექტურული თვალსაზრისით.

მარტყოფს თავისი ლამაზი ბუნებით, ტყით დაფარული მიდამოებით ორგანიზმისათვის მეტად ხელსაყრელი კლიმატური კომპლექსით და ამასთან ერთად დიდ ქალაქთან სიახლოვით, უდაოდ, შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს თბილისის მოსახლეობას, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელი დღეების განმავლობაში. იგი უნდა ჩაითვალოს თბილისის ერთ-ერთ საგარეუბნო სააგარაკო ადგილად.

ამჟამად მარტყოფში ძირითადად ისვენებენ თბილისის მცხოვრებლები ივნისიდან ნოემბრამდე.

*

საგურამო. საგურამო მდებარობს თბილისიდან ჩრდილოეთით 25 — 30 კმ მანძილზე მცხეთის რაიონში, ზღვის დონიდან 500 — 600 მ სიმაღლეზე. იგი მოთავსებულია მდინარე არაგვის დაბლობის განიერ ნაწილში, საგურამოს მთის წყალგამყოფი ქედის ფერდობებზე, რომელიც მთლიანად დაფარულია ტყეებით.

საგურამო აღმოსავლეთიდან დახურულია ქართლის ქედით, რომლის სიმაღლე აქ აღწევს 1600 მეტრს, რაც იცავს მას კლიმატური თვალსაზრისით არახელსაყრელი აღმოსავლეთის ჰაერის ნაკადებისაგან. ამავე დროს ქედი ხელს უწყობს საგურამოს კლიმატის ტენიანობის საკმარისად გაძლიერებას, რაც დადებით გავლენას ახდენს ამ ადგილის საერთო კლიმატურ კომპლექსზე.

ამჟამად საგურამოში არსებობს მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლი.

საგურამოდან სამხრეთის მიმართულებით, 5 კმ მოცილებით მდებარეობს წიწამური, სადაც ვერაგულად მოჰკლეს დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე და სადაც ამჟამად მგოსნის ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართულია ობელისკი.

ეს ადგილები თავისი სუფთა ჰაერით, ორგანიზმისათვის

ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, ბუნების სილამაზით და თბილისთან სიახლოვით წარმოადგენს მოხერხებულ საზაფხულო სააგარაკო ადგილს ქალაქის მოსახლეობის დასასვენებლად.

საგურამოში მრავალი სააგარაკო სახლია აშენებული, აქ ისვენებენ ძირითადად თბილისის მცხოვრებლები ივნის-ოქტომბრის თვეებში.

*

ლისის ტბა. იმ მრავალი ტბიდან, რომლებიც მდებარეობენ თბილისის გარეუბნებში, საკურორტო-სამკურნალო თვალსაზრისით პირველი ადგილი უჭირავს კუმისის ტბას, რომელიც ტალახის მნიშვნელოვანი მარაგით წარმოადგენს საქართველოში სამკურნალო ტალახის მთავარ ბაზას. ამავე ტბებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ლისის ტბა, რომელიც მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 5 — 6 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 630 მეტრის სიმაღლეზე. აქედან დასავლეთის მიმართულებით სულ 1 1/2 — 2 კმ მოშორებით გაშლილია სოფლები ქვემო ლისი და ზემო ლისი.

ტბა შემოსაზღვრულია მცირეოდენი მაღლობებით, ცრტაოდენი დაქანებით და ღია ჰორიზონტითა და აღმოსავლეთის მიმართულებით.

ტბას აქვს ერთ კმ-მდე სიგრძე, სიგანე კი — 600 — 650 მ-მდე, სიღრმე ზოგან აღწევს 3 მ. ტბის ნაპირები ზოგიერთი გამოწკლისით, ზომიერად დაქანებულია, რაც ქმნის საბანაოდ ხელსაყრელ პირობებს. ტბის წყლის გათბობა უზრუნველყოფილია მზის ინტენსიური სხივადობით. ტბა იკვებება ნიადავ-ქვეშა და ატმოსფერული ნალექების წყლებით, რომლებიც ხშირად ტბის დონეს თითქმის ერთ მეტრამდე სწევენ. მთების ფერდობები, რომლებიც გარს ეკვრიან ტბას მცენარეების მხრივ შედარებით ღარიბად გამოიყურება.

თბილისის ქალაქის საბჭოს კურორტთა სამმართველომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ტბა ხელს შეუწყობს წყლის სპორტის განვითარებას, აგრეთვე იგი სჭირდება თბილისის მოსახლეობას დასვენებისათვის და 1937

წელში ჩაატარეს მნიშვნელოვანი სამუშაოები ტბის ტერიტორიის გამწვანების მიზნით, დარგულ იქნა 1400-მდე საკმაოდ მოზრდილი სხვადასხვა ჯიშის ნარგავი და გამწვანდა უშუალოდ ტბის მოსაზღვრე მიდამო 12 ჰექტარ ფართობზე. მოეწყო ტბიდან წყლის ელექტროსაქაჩი მაღალნიშნულზე გაკეთებული წყლის ვეებერთელა შემკრები აუზით, საიდანაც ხდებოდა გამწვანებული ტერიტორიის სისტემატური მორწყვა. ამ ღონისძიებამ სათანადო ნაყოფი გამოიღო, სადაც მანამდე მხოლოდ ერთი ძირი ნახევრად გამხმარი ხე იდგა, ამჟამად უკვე საკმაოდ მოზრდილი გამწვანებული ხეივანი — ქალაა.

უნდა აღინიშნოს ზაფხულის ცხელ პერიოდში ტბის წყლის ზედაპირის და ადგილობრივი ქარების სისტემატური შემარბილებელ-გამაგრილებელი მოქმედება ლისის კონტინენტურ კლიმატზე.

ამჟამად ლისის ტბა თბილისის ქალაქის საბჭოს მიერ გამოყენებულია, როგორც წყლის სასპორტო სადგური და აგრეთვე დასასვენებელი ადგილი. აქ არის კატერები და ნავეები. ტბის ნაპირი ნაწილობრივ კეთილმოწყობილია. ტბას ესტუმრებიან ხოლმე გარეული ფრინველები, ამიტომ იგი სამეცნიერო-მონადირეთა საყვარელი ადგილიც არის.

თბილისის სანიტარია-ჰიგიენის კვლევითი ინსტიტუტის მიერ (1935 — 1939) ჩატარებული ფიზიკურ-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზებიდან ჩანს, რომ ლისის ტბის წყალს საკმაოდ დიდი საერთო მინერალიზაცია აქვს, მის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გოგირდმჟავა კალციუმის და მაგნიუმის მარილებს. ამავე მონაცემებით, ლისის ტბა მიჩნეულ იქნა ვარგისად წყალჯომადობისათვის.

ლისის ტბა კეთილმოწყობის შემდეგ (ტბის აუზის გაწმენდა მცენარეებიდან, რომლებიც ერთი მხრივ, საშიშროებას უქმნიან ნავეებით მოსეირნეთ და მობანავეთ, მეორე მხრივ, მცენარეების დამპალი ნარჩენები აბინძურებენ როგორც ტბის აუზს, ისე მის სანაპიროს) თუ იგი პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელით დაიფარება, შეიძლება გახდეს მოხერხებული დასასვენებელი ადგილი თბილისის მოსახლეობისათვის.

ამჟამად ტბას ფართოდ იყენებენ წყალსპორტისათვის, სანაპიროს კი ზაფხულის ცხელ თვეებში დასასვენებლად.

გომბორი. მთის კლიმატური სადგური გომბორი მდებარეობს საგარეჯოს რაიონში (გარე კახეთში) ზღვის დონიდან 1150 მეტრის სიმაღლეზე, თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით; გომბორი დაშორებულია რაიონის ცენტრიდან საგარეჯოდან 45 კმ-ით და თბილისიდან 64 კმ-ით.

თბილისთან გომბორი დაკავშირებულია გზატკეცილით, აგრეთვე რკინიგზის სადგურ სართიჭალამდე, შემდეგ კი ავტომანქანით. გომბორის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში გადის რუსიანის ხევი, ჩრდილოეთ ნაწილში კი — მდინარე კილმახი.

ამ კლიმატური სადგურის საკმარისად მოზრდილი მიდამო არაა მჭიდროდ დასახლებული, აქ არის საამშენებლო ტერიტორიის საგრძნობლად გაფართოების საშუალება.

ამჟამად გომბორში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა 3000-ს აღწევს. 1500—2000 — მოაგარაკვა.

სააგარაკო სეზონი ჩვეულებრივ იწყება მაისის დამლევებიდან და გრძელდება სექტემბრის შუა რიცხვებამდე.

გომბორი ცივ-გომბორის ქედის დასავლეთ ფერდობზეა გაშლილი, რომელიც წარმოადგენს კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ სამხრეთ შტოს. მთები, რომლებითაც გარშემორტყმულია გომბორი, ქვედა და საშუალო მესამედში ფოთლოვანი ტყითაა დაფარული; ფერდობების მაღალი ნაწილები კი უკავია ბალახოვანი მცენარეულობით დაფარულ მინდვრებს.

სოფელი ღია დასავლეთისაკენ და დაქანებულია ამავე მიმართულებით. ფერდობი, რომელზედაც მდებარეობს გომბორი, დასერილია ხევებით და იმყოფება ცივ-გომბორის ქედის და დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობიდან ჩამოსული ცივი ატმოსფერული ნაკადის გავლენის ქვეშ.

სახელწოდება „ცივი“ გამართლებულია ამ რაიონის თერმული მაჩვენებლების გამო.

ყველაზე ნისლიანია გაზაფხული, ზაფხული შედარებით მშრალია. ნალექიანი დღეების რაოდენობა აღწევს 115. თოვლის საფარველი სამი თვის განმავლობაში ძლებს.

ზაფხულის პერიოდში ფარდობითი ტენიანობა მერყეობს
60 — 70%-ის ფარგლებში.

რაიონის ვენტილაცია ხდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარებით. ქარის საშუალო სისწრაფე უდრის დაახლოებით 2 მ/წ. ადგილის ოროგრაფიული პირობები ხელს უწყობს მთაბარის ადგილობრივი ქარების წარმოშობას, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონის განმავლობაში, რაც დადებით გავლენას ახდენს გომბორის ჰავაზე.

ლამაზი ბუნება, საუცხოო მთის ჰავა, და მზის სხივების სიუხვე, საუკეთესო პირობებს ქმნიან ზაფხულში დასვენებისათვის. გომბორს შეუძლია შესანიშნავი დახმარება გაუწიოს მისგან ახლო მდებარე დიდი სამრეწველო ქალაქის მოსახლეობას, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მასთან მოხერხებული საავტომობილო გზით და რკინიგზით.

გომბორში შეიძლება დაისვენონ და იმკურნალონ განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში მეორადი, სისხლნაკლებობით, ქრონიკული ბრონქიტით, პლევრიტით, ლიმფური ჯირკვლების ანთებისა და ნევროზების იოლი ფორმებით დაავადებულებმა.

*

ბევრეთი. თბილისის გარეუბნის საკურორტო რეზერვებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს მთის კლიმატური სადგური ბევრეთი, რომელიც მდებარეობს თბილისიდან ლისის ტბის მიმართულებით, ტბიდან ათიოდე კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე.

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1952 წელს ჩატარებული კლიმატოლოგიური დაკვირვების შედეგად მიღებული მასალა ბევრეთს ახასიათებს როგორც მთის კლიმატურ სადგურს. მდიდარი წიწვიანი ტყეების, ბუნების თვალწარმტაცი პეიზაჟებისა და მაღალსაჩინოვანი კლიმატური თვისებების წყალობით იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის საგარეუბნო კურორტად გადაიქცევა. ამას ხელს უწყობს შესანიშნავი წყაროები, რომელებიც სრულიად აკმაყოფილებს მომავალი კუ-

რორტის მოთხოვნილებას სასმელ და სამეურნეო წყალზე.
პირველ რიგში საჭიროა ლისის ტბიდან ბევრეთში მიმავალი საავტომობილო გზის გაყვანა.

*

კრწანისი. კრწანისი მდებარეობს ქალაქ თბილისის მიდამოებში, მის დასავლეთის მხარეზე, თანამოსახელე მდინარის ხეობაში, ზღვის დონიდან 450 — 500 მ სიმაღლეზე. მდინარე სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ფერდობებიდან, მიემართება აღმოსავლეთისაკენ და გაფართოებული ნაწილით უერთდება მდ. მტკვარს.

ხევის ფერდობები ზედა ნაწილში დაფარულია ტყეებით და ბუჩქნარებით. ქვედა ნაწილი ზომიერად დაქანებული ფერდობებით შორეულ წარსულიდანვე ცნობილია ბაღებით და ბოსტნებით.

ხევის ნიადაგი და კლიმატი ხელშემწყობ პირობებს ქმნიდაზის კულტივირებისათვის, რაც დასტურდება აგრეთვე ისტორიული წყაროებითაც.

კრწანისი უკანასკნელად დიდი ისტორიული ბრძოლის მოწმე იყო (1795), როცა ქართველი ხალხი მეფის ერეკლეს ხელმძღვანელობით შეუპოვრად იცავდა წამებული სამშობლოს ღირსებას ალა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვან არმიასთან ბრძოლაში.

ამჟამად კრწანისი წარმოადგენს კეთილმოწყობილ სააგარაკო ადგილს, რომელიც აკმაყოფილებს კულტურული დასვენების თანამედროვე მოთხოვნებს.

*

ოქროყანა. ოქროყანა გაშენებულია მთაწმინდის აღმოსავლეთის ფერდობზე 650—700 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, თბილისიდან 4 — 5 კმ მანძილზე დასავლეთის მიმართულებით, კურორტ კოჯრისაკენ მიმავალ გზაზე. ადგილის რელიეფი შედარებით სწორია, რაც ხელს უწყობს მის ფართოდ გამოყენებას სააგარაკო მშენებლობისათვის და ამავე დროს განსაზღვრავს ამ ადგილის მიკროკლიმატური პირობების ერთფეროვნებას.

ადგილის დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი დაცულია ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარებისაგან. უკანასკნელი წლების მანძილზე აქ ჩატარდა ფართო გამწვანების სამუშაოები. მწვანე ნარგავთა მასივის შექმნა საგრძნობლად შეანელებს ზაფხულის პაპანაქებას და ამავე დროს დაიცავს ამ ადგილს ქარების არასასიამოვნო მოქმედებისაგან, რაც კიდევ უფრო გაზრდის ოქროყანის, როგორც საგარეუბნო მოხერხებულ სააგარაკო ადგილის მნიშვნელობას.

ამჟამად ოქროყანაში აშენებულია სააგარაკო სახლები და იგი თბილისის მოსაზღვრების სააგარაკო ადგილია, განსაკუთრებით მაის-ნოემბრის თვეებში.

*

ძეგვი. სააგარაკო ადგილი ძეგვი უკავშირდება თბილისს რკინიგზის ხაზით და მდებარეობს მისგან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 30 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 600 მ სიმაღლეზე. აღნიშნულ რაიონში თრიალეთის ქედის ფერდობები თითქმის მთლიანად დაფარულია ტყეებით და საშუალებას იძლევა ფართო სააგარაკო მშენებლობის გაშლისათვის.

კლიმატური პირობები განისაზღვრება მისი მდებარეობით მდ. მტკვრის შევიწროებულ ნაწილში და მასთან მერიდიანული მიმართულებით დაახლოებული ქართლის ქედით. ეს იწვევს კონდენსაციის პროცესების საგრძნობ გაძლიერებას, რაც არბილებს ამ რაიონის მშრალ კლიმატს. ძეგვის ტერიტორია მდიდარია მცენარეულობით სხვა ადგილებთან შედარებით, რომლებიც მისგან აღმოსავლეთით ან დასავლეთითაა.

ხელსაყრელი კლიმატური პირობები, თბილი თან სიახლოვე და მასთან მოხერხებული სატრანსპორტო კავშირი ქმნის ძეგვს ადვილად ხელმისაწვდომ დასასვენებელ ადგილად, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონის განმავლობაში დასასვენებლად. მისი ტერიტორია საშუალებას იძლევა აქ ფართო სააგარაკო მშენებლობისათვის.

*

გლდანი. გლდანი თბილისის საგარეუბნო რაიონში ქალაქიდან 15 კმ მანძილზეა, ჩრდილოეთის მიმართულებით. მას

უჭირავს ქართლის ქედის ტყეებით მდიდარი სამხრეთის ფერ-
დობები. გლდანის ტერიტორიას ჭრის თანამოსახელე მდინარე,
მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ-
საკენ. მდინარის ხეობა აგროვებს ამ რაიონის წყლებს და ამა-
ვე დროს უზრუნველყოფს გლდანის მიდამოს კარგ ვენტილა-
ციას ადგილობრივი ქარების საშუალებით. რაიონი მდიდარია
ტყეებით, რაც ხელს უწყობს ჰაერის სათანადო ტენიანობას,
სივრილეს და სისუფთავეს, განსაკუთრებით წლის ცხელ პე-
რიოდში. თბილისთან სიახლოვე გლდანს ხდის მეტად მოხერ-
ხებულ და ხელსაყრელ საგარეუბნო დასასვენებელ ადგილად
ქალაქის მოსახლეობისათვის.

გარდა ზემოხსენებული საკურორტო და სააგარაკო ადგი-
ლებისა, თბილისის საგარეუბნო მიდამოებში არსებული ორ-
ბეთი, კვესეთი, პატარა თონეთი, საყარაულოს ფერდობები,
ახალდაბა, წავკისი, შინდისი, ტაბახმელა და მრავალი სხვა,
რომლებიც დიდ სამსახურს უწევენ თბილისის მშრომელ მო-
სახლეობას ზაფხულის პერიოდში.

ამ ადგილების პროფილაქტიკურ-დასასვენებელი მიზნით
ათვისებას ხელს შეუწყობს და საგრძნობლად გააადვილებს
თბილისისა და მეტალურგთა ქალაქ რუსთავის მშრომელთა-
თვის სააგარაკო ნაკვეთების გაცემა, რაც უზრუნველყოფს მო-
სახლეობის ქალაქგარეთ სუფთა ჰაერზე ოჯახით დასვენებას.

*

კურორტი ახტალა. (ტალახით სამკურნალო-ბალნეოლო-
გიური კურორტი).

კურორტი ახტალა თბილისიდან დაშორებულია 120 კმ-ით,
რკინიგზის სადგურ გურჯაანიდან კი 1/2 კმ-ით (ა/კ რკინიგზის
კახეთის შტო). იგი მდებარეობს ალაზნის თვალწარმტაც ველ-
ზე, ცივ-გომბორის ქედის ძირში, 412 მ სიმაღლეზე ზღვის
დონიდან.

კურორტი გამოირჩევა ზომიერად კონტინენტური კლიმა-
ტით, რბილი ზამთრით, ცხელი ზაფხულით, მთა-ველის მუდ-
მივი ქარებით. ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო ტემ-
პერატურა $+0,4^{\circ}$ -ია, ხოლო ყველაზე თბილი (ივლისი) —
 $+23,5^{\circ}$.

ახტალის ტალახის სამკურნალო თვისებები ძველთაგანვე იცოდა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ავადმყოფები ამოდიდნენ ახლომდებარე სოფლებიდან, ღებულობდნენ ტალახის აბაზანებს ბუნების წიაღში — ღია ცის ქვეშ მზის აბაზანებთან ერთად.

1836 წ. ზაფხულში აქ გაიხსნა სამხედრო ჰოსპიტლის განყოფილება ავადმყოფთა ტალახით მკურნალობისათვის. შედეგი იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ გადაწყდა ახტალაში მოეწყოთ ჰოსპიტლის მუდმივი სამკურნალო, მაგრამ ამ კეთილი განზახვის განხორციელებას ხელი შეუშალა კურორტის ტერიტორიის კერძო მფლობელთა წინააღმდეგობამ.

ახტალის ტალახის ფიზიკურ-ქიმიური და გეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1855 წლიდან.

დადგენილ იქნა, რომ კურორტის ტერიტორიაზე ტალახის ქვებულისა და დედამიწის ზედაპირზე გამოყოფავს ფსევდოვულკანური ტალახი. ფსევდოვულკანები ერთდროულად ერთნაირად აქტიური არ არიან. მათ შორის დადგენილია ფუნქციური კავშირი, მაშინ როდესაც ერთნი იწყებენ აქტიურობას, მეორენი ქრებიან ან სრულებით წყვეტენ მოქმედებას. მოცემულ ეტაპზე საერთო სადღელამისო დებიტი მოქმედი ძირითადი ფსევდოვულკანიდან 5000-დან 12000 ლიტრ ტალახის ხსნარს უდრის. საჭიროა აღინიშნოს, რომ ფსევდოვულკანური ტალახის ხსნარის ზედაპირი ადგილ-ადგილ დაფარულია ნავთობის მასის აკვით.

ტალახის ქვებულში სამკურნალო ტალახის გამოსავალთან აღინიშნება გაზის ნაკადის გამოყოფა, რომელიც მეთანს წარმოადგენს. №4 ფსევდოვულკანთან არის მინერალური წყარო № 1. ამ წყაროს წყალი ფსევდოვულკანური წარმოშობის ტალახის ხსნარის წყლის ანალოგიურია; იგი მიეკუთვნება ქლორიდულ-ნატრიუმიან, რამდენადმე სოდიან მინერალურ წყალს, მაგრამ ტალახის მყარ-მკვრივი მინარევების გარეშე

თვით ტალახის ხსნარი შედგება მინერალური წყლისაგან (45 — 55% ზოგჯერ 85%-მდე აღწევს) კრისტალური ჩონჩხისა და კოლოიდებისაგან. ტალახის ხსნარის მინერალური წყალი წარმოადგენს რა ძირითადად ქლორიდულ-ნატრიუმიან ხსნარს, შეიცავს აგრეთვე ზოგიერთ ფიზიოლოგიურად აქტი-

ურ ქიმიურ კომპონენტს — იოდს, ბრომს, ბორის მჟავას, ბა-
რიუმს, სტრონციუმს და სხვ. კრისტალური ჩონჩხი შედგება სი-
ლიკატური კრისტალების ნამსხვრევებისა და კოლოიდებისაგან.

საქართველოს სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ
ჩატარებულ ჰიდრო-გეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად (1948)
ახტალის ტალახის წარმოშობა (გენეზისი) აიხსნება შემდეგნაი-
რად: მინერალური წყალი მასში გახსნილი გაზით, რომლის
ცირკულაცია ხდება დედამიწის წიაღში (120 მეტრამდე), ამო-
დის დედამიწის ზედაპირზე; აქ მიწის ზედაპირთან წნევის
შემცირების გამო, გაზი მინერალურ წყალთან ერთად იწვევს
თიხის ქანების გამორეცხვას, აქცევს მას ტალახის ხსნარად,
რომელიც ჰიდროსტატური წნევის მეშვეობით გამოდის დე-
დემიწის ზედაპირზე ფსევდოვულკანის სახით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან
იწყება კურორტის გეგმიანი შესწავლა და კეთილმოწყობა.
1922 წ. აქ შენდება ხის დროებითი ტალახით სამკურნალო,
შემდეგ წყალსადენი, ელექტროსადგური, იხსნება პოლიკლინი-
კა საჭირო კაბინეტებით, აშენდა სასტუმრო — პანსიონატი,
რომელიც ამჟამად გადაკეთებულია 100-საწოლიან სანატორი-
უმად.

უკანასკნელ წლებში გაიხსნა 50-საწოლიანი სანატორიუმი,
ბავშვებისათვის, რომელთაც აქვთ პოლიომიელიტის ნარჩენი
მოვლენები. აშენდა ტალახით სამკურნალო კაპიტალური შე-
ნობა, მოწყობილია ტალახის სკრთო აბაზანები მამაკაცებისა
და ქალებისათვის ცალ-ცალკე, საკმაოდ მოზრდილ ნაკვეთზე
გაშენდა პარკი ესტრადით. შენდება ახალი შენობები პოლიკ-
ლინიკისა და სანატორიუმისათვის.

ახტალის ფსევდოვულკანური ტალახი გვაძლევს მაღალ
სამკურნალო ეფექტს სახსრების ქრონიკული, პირველ რიგში
რევმატული ხასიათის, დაავადებების დროს, მნიშვნელოვანი
ეფექტია მიღებული ახტალის ტალახით მკურნალობით პერი-
ფერიული ნერვული სისტემის ქრონიკული დაავადებების —
ნევრიტებისა და ნევრალგიის დროს.

კარგ შედეგს იძლევა ახტალიდან ჩამოტანილი ტალახით გი-
ნეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა (თბილისში), ტალა-
ხი გამოიყენება უმთავრესად აპლიკაციის სახით.

ახტალის ტალახის აღსანიშნავია თერაპიული ეფექტი კანის მთელი რიგი ქრონიკული დაავადების მკურნალობისას.

ავადმყოფებს ტალახი ენიშნებათ უმთავრესად 37 — 42° ტემპერატურის 15¹ ხანგრძლივობის აპლიკაციის სახით; მკურნალობის კურსს შეადგენს საშუალოდ 15 პროცედურა. გინეკოლოგიური დაავადებისას ტალახი გამოიყენება ტამპონების სახითაც.

ჩვენებები: I. საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებანი, რევმატული, ინფექციური, ტრავმული, ენდოკრინული წარმოშობის ქრონიკული ართრიტი და პოლიართრიტი, პირველად — ქრონიკული მადეფორმირებელი პოლიართრიტები, სპონდილართრიტები, სპონდილოზი და სპონდილართროზი.

ძვლის, კუნთისა და მყესების დაავადებანი—ოსტიტი, სხვადასხვა წარმოშობის პერიფერიული სისტემის მიოზიტი, ბურსიტი, ტენდოვაგინეტი, არამყარი კონტრაქტურა დერმატოგენური, მიოგენური, ართროგენური, ქრონიკული ტროფიკული და შეუხორცებელი წყლულები.

II. ნერვულ სისტემის დაავადებანი. რადიკულიტი, ნევრიტი, სხვადასხვა წარმოშობის პლექსიტი, ნევროფიბრომიოზიტი. მენინგომიელორადიკულიტი, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენები.

III. გინეკოლოგიური დაავადებანი. სხვადასხვა ეტიოლოგიის ქრონიკული ან ქვემწვავე ანდექსიტები (გარდა ტუბერკულოზის.), ქრონიკული მეტრო-ენდომეტრიტი და პერი-პარამეტრიტი, საკვერცხეების ფუნქციური უკმარისობა.

IV. კანის დაავადებანი, ქრონიკული ეგზემა (მშრალი ფორმა), ფსორიაზი, ნეიოდერმიტი, კანის ქავილი, ქავანა სკლეროდერმია, პიოდერმიტი.

V. სისხლძარღვთა დაავადებანი: თრომბოფლებიტის ნარჩენი მოვლენები არა უადრეს 3—4 თვისა მწვავე და ქვემწვავე მოვლენათა დაცხრომის შემდეგ. სეზონი მაისიდან — დეკემბრამდე.

*


კურორტი უჯარმა. ბალნეოკლიმატური კურორტი უჯარმა მდებარეობს საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან 48 — 50



კმ მანძილზე, საგარეჯოს რაიონში (კახეთში), ზღვის დონიდან 850 მ სიმაღლეზე. უჯარმა რაიონის ცენტრ საგარეჯოდან დაშორებულია 25 — 30 კმ-ით და უკავშირდება მას და ქალაქ თბილისს საავტომობილო გზით.

კურორტის ბორცვიანი ტერიტორია დაფარულია მდიდარი ფოთლოვანი ტყით. ამ ადგილის გერგრაფიული პირობები ქმნის აქ მშრალ კონტინენტურ კლიმატს. ზამთარი აქ გრილია, ზაფხული კი ზომიერად ცხელი. უხვი მცენარეულობა პაპანაქებაში შვებას აძლევს დამსვენებლებს.

ძირითად 'ამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს 1962 წელს ჩატარებული ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად (ჭერჭერობით პირველი ბურღილით) მიღებული ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყალი, რომელიც ამავდროს შეიცავს ბრომს, იოდს და სილიციუმის მკაფას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს მის ბალნეოთერაპიულ თვისებებს.



T 53° D 250000 ლ/დღ.

წყალი დიდი დებიტითა და მინერალიზაციით, აგრეთვე მაღალი ტემპერატურით კლიმატურ პირობებთან ერთად უზრუნველყოფს მაღალ სამკურნალო ეფექტურობას და კურორტის განვითარების პერსპექტივას სახავს.

1963 წელს აქ აშენდა ძირითადად ექსპერიმენტული დანიშნულების სააბაზანო შენობა ორი საერთო აუზით და ერთი ინდივიდუალური კაბინით. სააბაზანოსთან (სამწუხაროდ, არა მიზანშეწონილად შერჩეულ მოედანზე) აშენებულია საერთო საცხოვრებელი 40 — 50 საწოლით.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ტარდება დაკვირვება სხვადასხვა დაავადებაზე კურორტის სამკურნალო ფაქტორების გავლენის შესახებ.

კურორტზე მკურნალობის ჩვენებები: მოძრაობის ორგანოთა, პერიფერიული ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, აგრეთვე გინეკოლოგიური ანთებითი დაავადებები.



მიზანშეწონილია კურორტის შემდგომი შესწავლა და განვითარება.

კურორტიდან 1,5—2 კმ მანძილზე მდებარეობს სოფელი მუხროვანი, იქვე ახლოსაა შედარებით მცირე პერსპექტივის მქონე სამკურნალო ტალახის საბადო — ტბა, რომელიც მოითხოვს დროულ ექსპლუატაციას მისი შენარჩუნების თვალსაზრისით.

*

კურორტი თორღვას აბანო (ფშავის აბანო). თორღვას აბანო თელავის რაიონშია, თელავიდან (კახეთის მეფეების ყოფილი რეზიდენცია) 58 — 60 კმ მანძილზე, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 1750 — 1800 მ. კურორტის უახლოესი დასახლებული ადგილი სოფელი სვიანა დაშორებულია თორღვას აბანოს 16 — 17 კმ-ით, უახლოესი რკინიგზის სადგურია თელავი. გზა, რომლითაც კურორტი უკავშირდება ქ. თელავს, გაივლის კახეთის ვენახითა და ხეხილის ბაღებით მდიდარ და ლამაზ ალაზნის ველზე. ზევით კურორტამდე უკანასკნელ წლებში გაყვანილი გზა მიჰყვება მთის ფერდობებში მომწყვდეულ მდ. სტორის ვიწრო ხეობას. თორღვას აბანოს, ახასიათებს მთის ჰავა ცივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით.


თქმულების მიხედვით მწყემს თორღვას ლეკებთან შეტაკებისას მიღებული ჭრილობა მალე მოუტრჩენია ამ აბანოს მინერალური წყლით. კახეთის მოსახლეობაში სწრაფად გავრცელდა ეს ამბავი, მადლიერმა ავადმყოფებმა მას თორღვას აბანო უწოდა.

ბილიკი, რომლითაც ავადმყოფები აუყვებიან თორღვას აბანოს, 1948 წელს შეცვალა ახლად გაყვანილმა გზამ, რომელიც გამოირჩევა არნახული სილამაზით — ირგვლივ ჩანჩქერები, მდიდარი ტყით დაბურული მთების ფერდობებია.

მინერალური წყლის გამოსავალი განლაგებულია მდ. სტორის, ალაზნის მარცხენა შენაკადის, ბასეინში სამ ჯგუფად — ზევითა, საშუალო და ქვევითა ჯგუფებად, რომლებიც მდებარეობენ ერთმანეთზე მიყოლებულ ტერასებზე. წყლის საერთო დებიტი განისაზღვრება 600000 ლიტრით დღე-ღამეში. და



მიეკუთვნებიან სუსტ წყალბადიან ჰიდროკარბონატულ რიდულ-ნატრიუმის თერმული წყლების ჯგუფს. ბალნეოლოგიური ფორმულა ასე გამოიხატება:



მინერალური წყალი სათავეებიდან ჩადის ცემენტის ორ აუზში, რომელთაგან თითოეული იტევს 15 კაცს. აქვე არის საერთო საცხოვრებელი რამდენიმე ოთახით. სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფები აწყობენ კარვებს, ლებულობენ ბუნებრივი ტემპერატურის (36°) აბაზანებს, დღეში თითო აბაზანას 15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსს შეადგენს 10 — 15 აბაზანა.

თორღვას აბანოსთვის ნაჩვენებია მოძრაობის ორგანოთა, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური ქრონიკული დაავადებები. მინერალური წყლების გარდა, თორღვას აბანო შესანიშნავია ჰავით, რომელიც მინერალური წყლების აბაზანებთან კომპლექსში იძლევა უფრო მაღალთერაპიულ ეფექტს.

თორღვას აბანო თითქმის სრულებით მოუწყობელია, პრიმიტიულ პირობებში მაინც დიდ სამსახურს უწევს კახეთის მოსახლეობას. საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს, რომ მნიშვნელოვანი ბალნეოლოგიური და კლიმატური საშუალებანი ხელმისაწვდომი გახდეს პირველ რიგში კახეთის მოსახლეობისათვის.

ამჟამად თორღვას აბანო მუშაობს ივნისიდან სექტემბრამდე.


*

კურორტი ოქტომბრიანი. ოქტომბრიანი კახეთში მდინარე ალაზნის ულამაზეს დაბლობში, ყვარლის რაიონშია, რაიონის ცენტრიდან 12 კმ დაშორებით, უახლოესი რკინიგზის სადგურ მუკუხანიდან 18 კმ მანძილზე, იგი მდებარეობს შავი ზღვის დონიდან 450 — 500 მ სიმაღლეზე. ქ. თბილისს ოქტომბრიანი დაშორებულია 145 კმ-ით. ოქტომბრიანამდე გაყვანილია საავტომობილო გზა, რომელიც გაივლის კახეთის საუკეთესო ჯიშის ვენახებით დაფარულ ალაზნის ველს.



ოქტომბრიანის ჰავა სუბტროპიკულია საგრძნობლად ცხელი ზაფხულითა და ცივი ზამთრით.

საკურორტო ადგილის ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს სუსტი გოგირდწყალბადიან-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყალი, რომელიც უპირატესად შეიცავს გაზებს — მეთანს და აზოტს. კურორტზე გამოვლინებულია მინერალური წყლის ორი გამოსავალი საერთო დეპოზიტი 50,000 ლ/დღ. წყლის ბალნეოლოგიური ფორმულა შემდეგია:



გოგირდწყალბადის სუსტი შემცველობით (0,002). კურორტზე მუშაობს სააბაზანო შენობა 12 ინდივიდუალური კაბინით და საერთო საცხოვრებელი. ავადმყოფებს ენიშნებათ დღეში თითო აბაზანა 12 — 15 წუთის ხანგრძლივობით, ტემპერატურა 35 — 38°. მკურნალობის კურსს შეადგენს 15 — 20 აბაზანა.

ოქტომბრიანში მკურნალობენ საყრდენ-სამოძრაო ორგანოების, პერიფერიული ნერვების, გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და ქრონიკული ანთებით გინეკოლოგიურ დაავადებებს.

კურორტი ემსახურება ძირითადად ახლო მდებარე კოლმეურნობათა ოჯახებს, საჭიროა სათანადო ორგანოთა ჩარევა მის კეთილმოსაწყობად.

სეზონი გრძელდება მაისიდან ნოემბრის თვემდე.

ბორჯომის ჯგუფის კურორტები და სამკურნალო ადგილები

ბორჯომი (ბალნეოკლიმატური კურორტი). საქართველოს ბალნეოკლიმატურ და კლიმატურ-ბალნეოლოგიურ ბუნებრივ კურორტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბორჯომის რაიონის კურორტებსა და სამკურნალო ადგილებს.

კურორტი — ქალაქი ბორჯომი და რაიონის ცენტრი (810—850 მ ზღვის დონიდან) მდებარეობს მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების — ბორჯომულას და გუჯარეთის წყლის ლამაზ ხეობაში, ვაჰანისა და თრიალეთის ქედების განშტობათა ფერდობებზე, რომლებიც დაფარულია მარადმწვანე წიწვიანი მცენარეებით.

ბორჯომი, როგორც სამკურნალო ადგილი, ცნობილია შორეული წარსულიდან. საქართველოს ტოპოგრაფიულ აღწერაში, რომელიც გამოცემულია საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1832 წ., აღნიშნულია, რომ პირველად ბორჯომის წყაროებს მიაგნეს ქართველ გრენადერთა ლეგიონის ჯარისკაცებმა, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ გორში. ამ ლეგიონის ნაწილები, ჩვეულებრივ, იგზავნებოდნენ ბორჯომის ხეობის ტყეებში შეშის დასამზადებლად. ერთ-ერთმა ნაწილმა შემთხვევით აღმოაჩინა მინერალური წყლის გამოსავალი. რამდენიმე ხნის შემდეგ ლეგიონის თავმა, რომელსაც ბევრი სმენოდა მინერალური წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ, გამოსცადა ამ წყლის მოქმედება თავის თავზე. ამის შემდეგ უფროსების ნებართვით იგი აგზავნიდა ამ ადგილზე სამკურნალოდ თავის ჯარისკაცებს.

მაგრამ არსებობს ისტორიული ცნობები იმის შესახებაც, რომ ბორჯომის მინერალური წყალი ცნობილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბევრად უფრო ადრე.

1892 წელს საკაპტაეე სამუშაოების ჩატარების დროს წყაროს (ყოფ. ეკატერინეს წყაროს) გრიფონებთან აღმოჩენილ იქნა ტლანქად თლილი ქვის შვიდი აბაზანა. ამ აბაზანების დადგმის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის, მაგრამ ისინი რომ გამოყენებული იყო XIX საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე, ეს ეჭვსგარეშეა.

არსებობს მასალები, რომ აქ ოდესღაც პრიმიტიული კურორტიც ყოფილა და ახლომახლო სოფლებიდან მცხოვრებლები მოდიოდნენ ვიწრო ბილიკებით, რათა ებანავათ სპეციალურად ამოთხრილ ორმოებში.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში ბორჯომი შეადგენდა მესხეთის — საქართველოს ერთ-ერთი მეტად მჭიდრო დასახლებული პროვინციის — ნაწილს. თამარ მეფის დროს მესხეთი ქართული კულტურის კერა იყო და თავისი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობით წამყვანი ადგილი ეკავა. მატერიალური კულტურის ისტორიული ძეგლები (გამოქვამული ქალაქი ვარძია, კოშკები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები და მათი ნანგრევები), რომლებიც წარმოდგენას იძლევა ხუროთმოძღვრების იმდროინდელ დონეზე, დალადებს ქართველი ხალხის მარავალსაუკუნოვან ბრძოლებზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, მესხეთი მკაცრი, სისხლისმღვრელი ომების ასპარეზად იქცა, რაც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა. თურქები მოკლე ხნით შესცვალეს ირანელებმა, შემდეგ მესხეთი ისევ დაიმორჩილეს თურქებმა, რომლებმაც იგი ნანგრევებად აქციეს, მოსახლეობის უმეტესობა ამოჟლიტეს, ნაწილი კი თავს აფარებდა ხეობებს, მთებს, უღრან ტყეებს და ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბრძოლა სამშობლოსაგან მოწყვეტილი მესხეთის დედა-სამშობლოში დაბრუნების მიზნით გამარჯვებით დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომში (1828). აქედან იწყება ბორჯომის ახალი ისტორია და შედარებით მოკლე დროის მანძილზე იგი სახელგანთქმული ბალნეოლოგიური კურორტი გახდა.

ბორჯომის მინერალური წყლები 1837 წელს გადაეცა ქართულ გრენადერულ ლეგიონს, რომელმაც მინერალურ წყარო-

ებთან ააშენა აბაზანები, ხის სახლები და მტკვარზე — ბორჯომი. ამ დროისათვის ბორჯომმა უკვე მიიპყრო ამიერკავკასიის მმართველის გენერალ გოლოვინის ყურადღება. გოლოვინის ქალიშვილმა აქ ჩაატარა მკურნალობის კურსი. ქალიშვილის გამოჯანსაღების აღსანიშნავად მამამ წყაროს მიაკუთვნა თავისი ქალიშვილის — ეკატერინეს — სახელი, მეორე წყაროს კი — თავისი სახელი. ასე წარმოიშვა ეკატერინეს და ევგენის წყაროების სახელწოდება.

ბორჯომის ხეობაში მეფის რუსეთის მოხელეთა თარეშმა შეაძრწუნა ამ ხეობის მემკვიდრე თავადი ავალიშვილები. მათ წარუდგინეს ხაზინას სარჩელი. ავალიშვილებმა მოიგეს საქმე გორის სამაზრო სასამართლოში. აღნიშნული ადგილების შენარჩუნების მიზნით მეფის ადმინისტრაციამ გამართა მოლაპარაკება მეპატრონე ავალიშვილებთან. მოლაპარაკების შედეგად ეს უკანასკნელი იძულებულნი გახდნენ გადაეცათ თავიანთი მამული ხაზინისათვის და კომპენსაციის სახით მიეღოთ 5000 მანეთი — ყოველთვიური იჯარის თანხა.

ამიერკავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვმა 1846 წელს დაამტკიცა ბორჯომის მინერალური წყლების მმართველობის წესები, ხოლო შემდეგ წელს ბორჯომი სამხედრო უწყებიდან გადავიდა სამოქალაქო უწყებაში.

ვორონცოვის შემცვლელმა მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ბორჯომი თავის საზაფხულო რეზიდენციად აირჩია და აქ სასახლე აიშენა. 1871 წელს ბორჯომში ჩამოვიდა ალექსანდრე II, რომელმაც იმავე წელს ბორჯომის მამული ტყეებით და წყლებით აჩუქა მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელმაც იგი შემდეგში მემკვიდრეობით მამულად აქცია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბორჯომი მეფის ჩინოვნიკებისა და პრივილეგირებული პირების დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბორჯომი და მთელი ბორჯომის ხეობა ხალხის საკუთრებად იქცა და ამიერიდან მოსახლეობის ფართო მასების სამსახურში ჩადგა, როგორც ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ბალნეოკლიმატური კურორტი. აქედან დაიწყო მისი აღორძინება და ნამდვილი კეთილმოწყობაც.

კურორტ ბორჯომის ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მისი მსოფლიოში სახელგანთქმული ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმისანი სამკურნალო წყალი. ბალ-

ნეოლოგიური ფორმულა $CO_2 \cdot 1,2 M6,0$ $\frac{HCO_3^- 85}{Na 89}$, წყარობის ტემპერატურა მერყეობს 31 — 38° ფარგლებში.

ბორჯომის წყალზე მოთხოვნის სწრაფ ზრდასთან, ამასთან მისი წყაროების დებიტის გაზრდის საჭიროებასთან დაკავშირებით 1954 წლიდან ბორჯომის რაიონში გაიშალა ფართო ჰიდროლოგიური დაზვერვითი სამუშაოები. ამ სამუშაოთა შედეგად ბორჯომის მინერალური წყლის საერთო დებიტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 200000 ლ-მდე ცენტრალურ უბანზე და 700000 ლ-მდე დღე-ღამეში ვაშლოვან-ყვიბისის უბანზე ზოგადი მინერალიზაციით 6,0 — 6,8 გ/ლ ფარგლებში.

ბორჯომის მეორე მნიშვნელოვან ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს თბილი, ზომიერად ტენიანი ჰავა, მკვეთრი მერყეობის გარეშე.

მზის რადიაციის რეჟიმისა და აგრეთვე ატმოსფერული პროცესებისა და ნალექების რაოდენობის მიხედვით ბორჯომის ჰავა მიეკუთვნება ზომიერად ტენიანი ტიპის ჰავას.

იღვლიმდებარეობის შედარებით მცირე სიფართო და ნაკლები ღრუბლიანობა განაპირობებს ბორჯომში მზის ნათების საათების მნიშვნელოვან რაოდენობას წლის ყველა სეზონში; ზამთრის თვეებში მზე ანათებს აქ 4 — 5 საათი დღე-ღამეში, ზაფხულში კი — 9—10 საათი.

კურორტის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით გადაჭიმული ახალციხე-იმერეთის ქედი ძლიერ ასუსტებს დასავლეთიდან ჰაერის ტენიანი ნაკადების მოქმედების ეფექტს; ამის შედეგად ნალექების წლიური რაოდენობა კურორტის ტერიტორიაზე შედარებით მცირეა, იგი აღწევს 600 მმ. თვეში საშუალოდ 20 დღე მზიანი, წყნარი ამინდია, ხშირია დადებითი ტემპერატურული მაჩვენებლები დღის საათებში. ზამთარი აქ შედარებით ცივია, იანვრის საშუალო ტემპერატურა

1. კლიმატოლოგ მ. თ. კორძაბას მიხედვით.

უდრის 2,5 — 3°. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი მერყეობს 10 — 23° ფარგლებში.



თოვლის მდგრადი საფარით იფარება საშუალოდ დეკემბრის მესამე დეკადაში და გრძელდება მარტის პირველ დეკადამდე. თოვლის საფარველის ყველაზე მეტი სიმაღლე აღწევს თებერვლის მეორე დეკადაში, ზამთარში აქ გამეფებულია სამხრეთის ქარები; მათი საშუალო სისწრაფე აღწევს 3,2 მეტრს წამში; ძლიერი ქარიანი დღეების რაოდენობა თვეში უდრის 1 — 2, ნისლიანობა იშვიათი მოვლენაა; გაზაფხულზე, განსაკუთრებით გაზაფხულის მეორე ნახევარში, ამინდი ხასიათდება მერყეობით — მატულობს ნალექიანი დღეების რაოდენობა და ნალექების თვიური ოდენობა. აპრილიდან ოქტომბრამდე ქარბობს ქარი, რომელიც ქრის დაბლობიდან ზემო მიმართულებით.

განსაკუთრებით ხშირია ქარიანობა ზაფხულის თვეებში, დღის საათებში დაბლობის ქარების ძლიერი განვითარების შედეგად. შემოდგომა ხასიათდება წყნარი და მშრალი დღეების დიდი რაოდენობით.

მზის სხივადობის სიუხვე, სუფთა, ცოტა გაიშვიათებული მთის ჰაერი, ზომიერი ტენიანობა, ზომიერად ცივა ზამთარა და ზომიერად ცხელი ზაფხული, ზაფხულობით გამავრილებელი მთა-ბარის ქარები, ძლიერი ქარების გარეშე, მდიდარი შერეული ტყე (წიწვიანი ჯიშების სიჭარბით) უზრუნველყოფს ბორჯომის ხელსაყრელ კლიმატურ პირობებს.

კურორტის ტერიტორიის ცალკეული ნაწილების მიკროკლიმატური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ყველაზე ხელსაყრელი კლიმატური პირობებით ხასიათდება სადგარის პლატო (950—1000 მ ზღვის დონიდან).

მდინარე ბორჯომულას ვიწრო ხეობა (მინერალური წყლების პარკი) უფრო ნაკლებად არის განათებული მზის სხივებით, ვიდრე კურორტის სხვა რაიონები და აქ ტენიანობაც უფრო მაღალია.

კურორტზე კომპლექსური მკურნალობისათვის ხელშემწყობ დამატებით ფაქტორს მიეკუთვნება აერსოლარიუმები, ტერენკური და ბალნეოფიზიოთერაპიული, ფოტო-ელექტრო-ჰიდრო და ბალნეოთერაპიის საშუალებები (ბორჯომის მი-

ნერალური წყლის აბაზანები, ხელოვნური ნახშირბადი და წიწვიანი აბაზანები და სხვ.) და აგრეთვე სამკურნალო ფიზიკულტურის კაბინეტები სანატორიუმებში. კომპლექსურ მკურნალობას ავსებს საკმაოდ ორგანიზებული დიეტური კვების ფართო გამოყენება.

ბორჯომში ლიჯანის უბანში მთავრდება სანატორიუმის მშენებლობა 500 საწოლზე, სანატორიუმ „მთის ხეობის“ (ყოფ. მიხეილის სასახლე) ტერიტორიაზე, დამთავრდება აგრეთვე 26 კონსტრუქციის პლატოზე დასასვენებელი სახლის მშენებლობა 250 საწოლით.

ბორჯომის წყლის თერაპიული ეფექტურობა სხვადასხვა დაავადების მკურნალობისას შეისწავლება, შეიძლება ითქვას, მთელი საუკუნის მანძილზე. დადგენილ იქნა ჩვენებები, წინააღმდეგჩვენებები და ამ კურორტზე მკურნალობის მეთოდები.

იმ დაავადებათა შორის, რომლებიც ნაჩვენებია კურორტზე სამკურნალოდ, ძირითადი ადგილი უჭირავს საჭმლის მომწელებელი სისტემის ორგანოთა, განსაკუთრებით კი კუჭისა და ნაწლავების დაავადებებს. ბორჯომის წყალი წარმატებით გამოიყენება ღვიძლისა და სანაღვლე გზების, ნივთიერებათა ცვლის, შარდგამომყოფი გზების, ენდოკრინული სისტემის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

შემდგომმა განმეორებითმა დაკვირვებებმაც დაადასტურეს უკვე მიღებული დასკვნები ამ წყლის მაღალი სამკურნალო ღირსების შესახებ. ამას მოწმობს ასობით სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომი, რომლებიც ეხება ბორჯომის წყლების სამკურნალო მოქმედებას.

ბორჯომის მინერალური წყლის კუჭის სეკრეციულ, ევაკუაციურ, მოტორულ და შეწოვით ფუნქციებზე გავლენის შესასწავლად ჩატარებულ დაკვირვებათა შეჯამების შედეგად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ბორჯომის წყალი, მიღებული 1 — 1,5 საათით ადრე ჭამის წინ, შემაკავებლად მოქმედებს კუჭის სეკრეციულ ფუნქციაზე; იგი აძლიერებს ტონუსს და აჩქარებს კუჭის ევაკუაციურ ფუნქციას; გარდა ამი-

სა, იგი ასრულებს კუქის შეწოვითი ფუნქციის მარეგულირებელ როლს.

დადგენილია აგრეთვე ბორჯომის წყლის დადებითი თერაპიული მოქმედება ღვიძლისა და სანადვლე გზების ქრონიკულ დაავადებათა დროს.

დამაკმაყოფილებელი შედეგებია მიღებული აგრეთვე საშარდე გზების დაავადებათა შემთხვევაში ბორჯომის წყლით მკურნალობის დროს, ამ ჯგუფის ავადმყოფთა მკურნალობისას ზუსტად უნდა გამოვიკვლიოთ როგორც თვით დაავადების ხასიათი, ისე ავადმყოფის შარდის რეაქცია. მნიშვნელობა აქვს წლის პერიოდს, ვინაიდან ამ დაავადებათა მკურნალობა ბორჯომში ნაჩვენებია ძირითადად წლის თბილ და მშრალ პერიოდში.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ბორჯომი, როგორც კარდიოლოგიური კურორტი, ბორჯომის ღირსება იმაშიც მდგომარეობს, რომ იმ ავადმყოფებს, რომელთათვისაც ძირითადად ნაჩვენებია ბორჯომში მკურნალობა, საჭმლის მომნელებელ სისტემაში შემავალი ორგანოების დაავადებასთან ერთად ხშირად აქვთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებიც. ამ ავადმყოფებისათვის ბორჯომი პირდაპირ ნაჩვენებია თავისი ნახშირმჟავა-ტუტე მინერალური წყლის აბაზანებით, სიმაღლით (ზღვის დონიდან) და სხვ.

რა თქმა უნდა მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობა ბორჯომში წარმატებით შედეგებს იძლევა არა მარტო ბორჯომის წყაროების წყლის სამკურნალო თვისებებით, არამედ აგრეთვე ბორჯომის კლიმატური პირობების გამო. საუკეთესოდ ეხამება ადგილის კლიმატური ფაქტორები და მაღალი სანკურნალო ეფექტური მინერალური წყლები; სწორედ ამით აიხსნება ბორჯომის სამკურნალო ფაქტორების გამოყენების ესოდენ ფართო დიაპაზონი.

ყოველწლიურად ბორჯომი ათასობით ავადმყოფს და დამსვენებელს იზიდავს. კურორტი მოქმედებს მთელი წლის მანძილზე. ყველა ყოფილი სასახლე რეკონსტრუირებულია სანატორიუმებად და დასასვენებელ სახლებად.

ლიკანის სანატორიუმის პირველი კორპუსი 1934 წლიდან ექსპლოატაციაში შევიდა 250 საწოლით, ხოლო 1937 წლი-

დან მუშაობს სანატორიუმის მეორე კორპუსი 300 საწოლით. ეს ორი ვეებერთელა შენობა და მთელი რიგი დამხმარებელი შენობები უჭირავს სანატორიუმს ლიკანის მდიდარ წიწვიან ტყეში. იქვე, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს IV სამმართველოს სანატორიუმი. საძილე კორპუსი მოთავსებულია ყოფილ სასახლეში, რომელიც აგებულია რენესანსის სტილით გასული საუკუნის დამლევს.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, ბორჯომში მუშაობს დასასვენებელი სახლი 26 კომისრის სახელობის პლატოზე. აქვე მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს უახლესი აპარატურით მოწყობილი ბალნეოფიზიოთერაპიული სამკურნალო. ფიზიოთერაპიული დანადგარებით უზრუნველყოფილია კურორტის ყველა სანატორიუმი.

კურორტის პოლიკლინიკა ემსახურება არა მარტო სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ავადმყოფებს, არამედ მათაც, ვინც ჩამოდიან კურორტზე სამკურნალოდ ე. წ. საკურსოებით.

კურორტი ბორჯომი მდიდარია პარკებით და სკვერებით. ყველაზე დიდია ორჯონიკიძის სახელობის პარკი, რომელშიც მოთავსებულია ბორჯომის მთავარი წყაროს № 1 ბიუვეტი (ყოფ. ეკატერინეს). პარკი გადაჭიმულია მდ. ბორჯომულას ხეობაში ზევით, სადგერის მინერალურ წყაროებამდე. ამ ხეობაში პარკის ხეივნების გავლით მოჩუხჩუხებს მდ. ბორჯომულა; აქვე თავისებური ხმაურით ეცემა პლატოდან წყალვარდნილი და ამიტომ იგი დამსვენებლების საყვარელი ადგილია. პარკი ზემოთ ბოლოვდება სადგერის პლატოთი, რომელიც დაფარულია ასწლოვანი წიწვიანი ტყით. აქედან კურორტზე მშვენიერი ხედია. სადგერის პლატო შედარებით უკეთეს კლიმატურ პირობებშია და წარმოადგენს დიდებულ კლიმატურ-თერაპიულ სადგურს.

ბორჯომში ბევრი ამბულატორიული ავადმყოფებია, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში. მათი მომსახურება ძირითადად ხდება საკურსოებით. იგი უზრუნველყოფს სისტემატურ საექიმო დაკვირვებას, სპეციალისტთა კონსულტაციას და მკურნალობას კურორტზე არსებული ყველა საშუალებით.

ავადმყოფები იკვებებიან სპეციალურ სასადილოებში, თავსდებიან პანსიონატში, საერთო საცხოვრებლებში, სასტუმროსა და კერძო ბინებში.

ამბულატორიულ ავადმყოფებს ემსახურება პოლიკლინიკა, რომელიც უზრუნველყოფილია დიაგნოსტიკური განყოფილებით, ლაბორატორიებით, ფიზიო, მასაჟის, ინიექციის, კუჭის და ნაწლავების გამოსარეცხი კაბინეტებით, გინეკოლოგიური კაბინეტით და სხვ. პოლიკლინიკას აქვს სპორტული მოედნები და აგრეთვე მოედნები ჰაერისა და მზის აბაზანებისათვის.

უპირატესობა ეძლევა მინერალური წყლის მიღებას უშუალოდ ბიუვეტიდან. ამ შემთხვევაში ავადმყოფი ღებულობს წყალს ბუნებრივ პირობებში მისი ყველა სამკურნალო ფიზიკური და ქიმიური თვისებით.

მინერალურ წყლებს გარეგანად იყენებენ ძირითადად აბაზანების სახით. აბაზანების გარდა, ბორჯომში მინერალურ წყალს უნიშნავენ კუჭისა და ნაწლავების გამოსარეცხად ნაწლავების სიფონური გამორეცხვის, სუბაქვალური აბაზანების, გინეკოლოგიური შესხურების, ინჰალაციის და სხვა სახით.

ფიზიოთერაპიულ მეთოდებს მიეკუთვნება ბორჯომში ფართოდ გამოყენებული წყლის პროცედურები (მტკნარი წყლის, წიწვიანი აბაზანები; შხაპები, სველი შეფუთვები და სხვ.).

სამკურნალო ფიზკულტურა ფართოდაა დანერგილი სპეციალური კომპლექსების სახით სათანადო დაავადებათა შემთხვევებში. მიმართავენ აგრეთვე მასაჟს, სამკურნალო სიარულს (ტერენკური) და სხვ.

ჩატარებული კლინიკური და ექსპერიმენტული დაკვირვებები ბორჯომის მინერალური წყლის კუჭის სეკრეციულ და ევაკუაციულ ფუნქციებზე მოქმედების გამოვლინების მიზნით გვიჩვენებს შემდეგს:

ბორჯომის მინერალური წყალი (ბუნებრივი ტემპერატურა 29—30), მიღებული 200—300 მლ რაოდენობით ჭამამდე ერთი საათით ადრე, აქვეითებს კუჭის წვენის გამოყოფას და მის მჟავიანობას. ეს წყალი, მიღებული ჭამის წინ ერთი საათით

ადრე, როგორც ტუტესნარი, გადადის კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში და მოქმედებს რა ამ ნაწლავის ლორწოვანი გარსის რეცეპტორებზე, რეფლექსურად იწვევს კუჭის სეკრეციული აპარატის ფუნქციის შეკავებას (დამუხრუჭებას), ამის შედეგად ქვეითდება როგორც სეკრეცია, ისე ამ წვენის მჟავიანობა. აქედან გასაგებია, რომ იმ დაავადებათა დროს, რომელთაც თან სდევს კუჭის წვენის მჟავიანობის მომატება, ავადმყოფს ბორჯომის წყალი უნდა მიეცეს უვაზოდ, ბუნებრივი ტემპერატურის (30° და მეტი) 1,0—1,5 საათით ადრე ჭამის წინ.

ბორჯომის მინერალური წყალი, მიღებული 5—10 წუთით ადრე ჭამამდე ან საჭმელთან ერთად, აძლიერებს კუჭის სეკრეციულ ფუნქციას და მისი წვენის მჟავიანობას. ამ შემთხვევაში ქიმიური რეაქციის შედეგად, რომელსაც ადგილი აქვს ბორჯომის მინერალური წყლის წამყვან კომპონენტსა (NaHCO_3) და საჭმლით გამოწვეული კუჭის სეკრეციული აპარატის გაღიზიანების საპასუხოდ გამოყოფილი კუჭის წვენის შემადგენლობაში არსებულ მარილმჟავას (HCl) შორის, წარმოიშვა ნახშირმჟავა გაზი (CO_2) და სუფრის მარილი NaCl ($\text{NaHCO}_3 + \text{HCl} = \text{NaCl} + \text{H}_2\text{CO}_3$), ხოლო H_2CO_3 , როგორც სუსტი მჟავა იშლება $\text{H}_2\text{CO}_3 \rightarrow \text{H}_2\text{O} + \text{CO}_2$ ორივე შენაერთი, როგორც NaCl , ისე CO_2 წარმოადგენს კუჭის სეკრეციული აპარატის ამგზნებს და აძლიერებს კუჭის წვენის სეკრეციას და მჟავიანობას. აქედან გამომდინარე, იმ დაავადებათა დროს, რომელთაც თან სდევს კუჭის წვენის მჟავიანობის დაქვეითება, ბორჯომის მინერალური წყალი უნდა მიეცეს ავადმყოფს საჭმელთან ერთად, ან 5—10 წუთით ადრე ჭამამდე. ბორჯომის მინერალური წყალი აძლიერებს კუჭის ევაკუაციურ და მოტორულ ფუნქციას; ამ წყლის ასეთი მოქმედების შედეგად საჭმელი მალე გადადის კუჭიდან თორმეტგოჯა ნაწლავში; ამით მცირდება საჭმლის მიერ კუჭის ლორწოვან გარსზე და მის სეკრეციულ აპარატზე გამაღიზიანებელი მოქმედება, მაშასადამე მცირდება კუჭის წვენის გამოყოფის დრო, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქრონიკული გასტრიტებისა და ქრონიკული წყლულოვანი დაავადებების შემთხვევებში. ნახშირმჟავა გაზი, რომელსაც ბორჯომის წყა-

ლი შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობით, წარმოადგენს კუჭის ლორწოვანი გარსის გამლიზიანებელს და კუჭის სეკრეციული აპარატის ამგზნებლს. იმ დაავადებათა დროს, რომელთა თანამგზავრია კუჭის წვენის მქავეიანობის მომატება, ბორჯომის წყალი უნდა მიეცეს ავადმყოფს დეგაზირებული და შემთბარი. ამ სახით მიღებული ტუტე მინერალური წყალი ადვილად ხსნის და მექანიკურად ჩამორეცხავს ლორწოს, რომელიც ფარავს კუჭის ლორწოვან გარსს, განსაკუთრებით ლორწოვანას კატარის შემთხვევაში, და არღვევს, ხელს უშლის კუჭის წვენის ნორმალურ სეკრეციას. ამავე დროს თბილი, დეგაზირებული ბორჯომის წყალი იჩენს თავის ანტიკატარულ (ანთების საწინააღმდეგო) და ანალგეტიკურ (ტკივილების გამაყუჩებელ) მოქმედებას კუჭის ანთებით პროცესში მყოფ ლორწოვან გარსზე. ლორწოს გამხსნელი, მისი ჩამომრეცი და აგრეთვე ანტიკატარული და ანალგეზიური თვისებებით უნდა აიხსნას ბორჯომის თბილი წყლის გამოყენების მიზანშეწონილება კუჭის გამოსარეცხად და სიფონური ოცნების სახით და ავადმყოფის სუბიექტური მდგომარეობის გაუმჯობესება ქრონიკული ლორწოვანი გასტრიტების შემთხვევებში.

ბორჯომის წყლის ნაღველმდენი და ნაღველგამათხიერებელი, ჩამომრეცი და ანტიკატარული თვისებები (განსაკუთრებით თბილი ბორჯომის წყლის) უდევს საფუძვლად ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების დაავადებებისას ამ წყლის განსაკუთრებული სამკურნალო ეფექტით გამოყენებას.

ჩატარებული ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებებით დადგენილია ბორჯომის მინერალური წყლის შარდმდენი, გამატუტებელი და აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მარეგულირებელი მოქმედება. გაძლიერებული დიურეზი ხელს უწყობს შარდგამომყოფი გზებიდან პათოლოგიური პროცესების შედეგად დაგროვილი ნივთიერებების — ლორწოს, ჩირქის და სხვათა გამორეცხვას. თუ ამას დაემატებთ ტუტე-მინერალური წყლების ანტიკატარულ, ლორწოსგამხსნელ და ანალგეტიკურ მოქმედებას, აშკარა ხდება ბორჯომის მინერალური წყლის გამოყენების მიზანშეწონილობა პიელიტის, ცისტიტის, ურეთრიტის და აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მოშლისა და მქავე დიათეზის დროს. ასეთ დაავადებულებს

ბორჯომის წყალი უნდა დაენიშნოთ უფრო მეტი დოზით, ვიდრე ეს მიღებულია სხვა, ზემონახსენები კუჭ-ნაწლავის დაავადებათა შემთხვევებში.

ბორჯომის მინერალური წყალი, როგორც ცნობილია, საკმაო კონცენტრაციით შეიცავს ნახშირმჟავა გაზს. როცა ეს გაზი კანის საშუალებით შეიწოვება სისხლში, იგი ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობით იწვევს განსაზღვრულ ჰემოდინამიკურ ძვრებს, რაც გამოიხატება, კერძოდ, გულის კუნთის ტონუსის აღდგენაში (დიგიტალისის ან ნარზანის აბაზანების მსგავსად). მიზანშეწონილად არის ცნობილი ბორჯომის ნახშირმჟავა-ჰიდრო-კარბონატულ-ნატრიუმიანი წყლის აბაზანები გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა დროს.

მთელი რიგი დაკვირვებებიდან დამტკიცებულია აგრეთვე ბორჯომის წყლის თბილი აბაზანების დამამშვიდებელი მოქმედება ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებების დროს. ბორჯომის ნახშირმჟავა-ჰიდრო-კარბონატულ-ნატრიუმიანი წყლის ინჰალაცია იწვევს ანტიკატარულ მოქმედებას, ათხელებს ლორწოს და ამსუბუქებს მის გამოყოფას ზემო სასუნთქი გზების კატარის დროს.

ჩ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი:

I. კუჭისა და ნაწლავების დაავადებები

1. ქრონიკული გასტრიტები კუჭის წვენის მომატებული ან ნორმალური მჟავიანობით (დასაშვებია აგრეთვე კუჭის წვენის დაქვეითებული მჟავიანობით).

2. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლული (წყლულოვანი დაავადება) გამწვავების პერიოდის და სისხლდენის გარეშე.

3. კუჭის სეკრეციის ფუნქციური დარღვევა მჟავიანობის მომატების მხრივ.

4. ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი (ამებურისა და წყლულოვანის გარეშე).

1. ქრონიკული ქოლეცისტიტი და ქოლანგიტი.
2. ქრონიკული ჰეპატიტი და სიყვითლის განანგრძლივებულ ფორმები.
3. ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება სანაღვლე გზების დახშობის გარეშე.

III. ნივთიერებათა ცვლის დაავადებები

1. დიაბეტის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმები.
2. პოდაგრა მწვავე შეტევებისა და სახსრების მკვეთრი დეფორმაციების გარეშე.
3. სიმსუქნე.
4. შარდმეყავა და მყაუნმყავა დიათეზი.

IV. შარდგამომყოფი გზების დაავადებები

1. თირკმლის ფიალების, შარდსაწვეთების და საშარდე ბუშტის ქრონიკული ანთებითი პროცესები შარდის მყავე რეაქციით.

V. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები

1. მიოკარდიოდისტროფია გადაღლილობის შედეგად, აგრეთვე ტოქსიკური, ინფექციური, ნივთიერებათა ცვლის ან ენდოკრინული წარმოშობის სისხლის მიმოქცევის პირველი და მეორე სტადიის (ლანგის მიხედვით) უკმარისობის მოვლენები.
2. კარდიოსკლეროზი მიოკარდული ან ათეროსკლეროზული სისხლის მიმოქცევის პირველი და მეორე ხარისხის უკმარისობის მოვლენებით, გულის ანგინის შეტევებისა და ანამნეზში მიოკარდის ინფარქტის გარეშე.
3. პირველი და მეორე სტადიის ჰიპერტონიული დაავადება, ტვინის სისხლმიმოქცევის დარღვევის მოვლენების, გულის ანგინისა და თირკმლების დაზიანების გარეშე.


საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

VI. ნერვული სისტემის დაავადებები (როგორც თანამგზავრი ზემოჩამოთვლილი დაავადებებისა)

1. ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები (ნევრასთენია, ვეგეტონევროზები) ნევრასთენიული რეაქციის სახისა.

VII. სუნთქვის ორგანოების დაავადებები (როგორც თანამგზავრი ზემოჩამოთვლილი დაავადებებისა)

1. ზემო სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები.

2. ფილტვების ემფიზემისა და ბრონქული ასთმის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმები.

ჩამოთვლილი დაავადებები ნაჩვენებია ბორჯომში მკურნალობისათვის მთელი წლის განმავლობაში, მკურნალობის ვადა — ერთი თვის ფარგლები. გამონაკლისს შეადგენს წყულლოვანი დაავადება, რომლის კურორტული მკურნალობის ვადა საჭიროა გაგრძელდეს 1,5—2 თვემდე.

წინააღმდეგე ნებები: ბორჯომში მკურნალობისათვის წინააღმდეგნაჩვენებია (გარდა იმ დაავადებებისა, რომლებიც საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია კურორტული მკურნალობისათვის) შემდეგი დაავადებები: კუჭის ორგანული დაავადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს კუჭის ევაკუაციურ ფუნქციას და იწვევს კუჭის შიგთავსის შეკავებას, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყულლოვანი დაავადება მწვავე პერიოდში და სისხლდენისადმი მიდრეკილებით; წყულლოვანი ენტეროკოლიტი, ქრონიკული დიზენტერია, ჩირქოვანი ქოლევსტიტი, ქოლანგიტი და ნაღვლის სადინრების დახშობა; მძიმე ნეფრიტი და ნეფროზი, ნეფროსკლეროზი, მწვავე ნეფროზონეფრიტი; დიაბეტის მძიმე ფორმები, ფოსფატურია; ენდოკარდიტებისა და მიოკარდიტების მწვავე, დაუშთავრებელი ფორმები; მკვეთრად გამოხატული ათეროსკლეროზი ტვინის და გვირგვინოვანი არტერიების ჩართვით; გულის დაავადებები II და III ხარისხის დეკომპენსაციით; ფილტვების ტუბერკულოზის აქტიური ფორმები, ცენტრალუ-

რი ნერვული სისტემის დაავადებები, მძიმე ნევროზები, უმცირესი ლეფსია, ბაზედოვის დაავადების მძიმე ფორმები.

*

ბორჯომ-ბაკურიანის რაიონის საკურორტო ზონა

საქართველოს კლიმატურ-ბალნეოლოგიურ და ბალნეო-კლიმატურ კომბინატებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის კურორტებს. აქ განლაგებულია სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლების გამოსავალი და მთელი რიგი სხვადასხვა სიმაღლის მთის კლიმატური სადგურები. დაწყებული 750 მ დამთავრებული 2000 მ ზღვის დონიდან. კომბინატის ტერიტორია თანდათან გადადის ალპურ ზონაში და კიდევ უფრო ზემოთ მთავრდება ცხრაწყაროს მთის მწვერვალით (2680 მ), რომელიც ტურისტთა და ექსკურსანტთა საყვარელი ადგილია. ისინი სპეციალურად მიდიან აქ, რათა იხილონ მზის ამოსვლის განსაცვიფრებელი სურათი.

რაიონის ღირსშესანიშნავი საკურორტო-სამკურნალო ადგილებია ბორჯომი, სადგერი, ლიკანი, დაბა, წაღვერი, დიდი ცემი, ტბა, ლიბანი, პატარა ცემი, ბაკურიანი, ციხისჯვარი, მზეთამზე, ტიმოთეს უბანი, მაჭარწყალი, ახალდაბა, ნექვი, ქვიშხეთი და სხვ. ისინი მაღალხარისხოვანი მთის კლიმატური სადგურებია, აქვე იღებს სათავეს ძვირფასი სამკურნალო წყლები: ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმისანი ესენდუკის ტიპის (მაჭარწყალი, ტიმოთეს უბანი და სხვ.), ნახშირმჟავა-რკინიან-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმისანი (წაღვერი, ტბა, ლიბანი და სხვ.), ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმისანი საირმის ტიპის (წინუბანი, ნექვი და სხვ.), თერმულ გოგირდიანი (აბანოს ღელე, სადგერი და თვით ბორჯომი), თერმული რადიქტიური (ციხისჯვარი) და სხვა მრავალი.

ეს კურორტები და სამკურნალო ადგილები თავისი სამკურნალო კლიმატური და ბალნეოლოგიური ფაქტორებით სათანადო ათვისების პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოთქმის ყველა დაავადების სამკურნალოდ, რომლებიც საერთოდ ნაჩვენებია კურორტული მკურნალობისათვის.



ბორჯომის ხეობის სხვადასხვა ხასიათის კურორტები და სამკურნალო ადგილები, სხვადასხვა სიმაღლის კლიმატური სადგურები (სუბალპიურისა და ალპიურის ჩათვლით) მრავალნაირი მინერალური წყლებით ქმნიან ადგილზე მათი კომპლექსური გამოყენების ყველა პირობას, განსაკუთრებით კომბინირებულ დაავადებათა სამკურნალოდ და აგრეთვე სხვადასხვა ტიპის (ბორჯომი, ესენტუჯი, საირმე) მინერალური წყლების ჩამომსხმელი მძლავრი კომბინატის ორგანიზაციისათვის.

დაბა. რკინიგზასა და გზატკეცილზე, ზემოთ, ბორჯომიდან ბაკურიანისაკენ განლაგებულია მთელი რიგი მთის კლიმატური სადგურები და დასახლებული ადგილები, მათ შორის ბორჯომთან ყველაზე ახლოსაა სააგარაკო ადგილი დაბა, თანამოსახელე რკინიგზის სადგურით. გზა გადის მთების ფერდობებით დახურულ და მარადმწვანე წიწვიანი ტყით დაფარულ ხეობაში. რკინიგზის სადგურიდან მარჯვნივ, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მიემართება ზემოთ — დაბის მონასტერთან, რომელიც ყურადღებას იმსახურებს ფრესკებით და წარწერებით. დაბის მონასტერი მიეკუთვნება XIII საუკუნეს.

დაბის კლიმატური პირობები, მისი ულამაზესი ლანდშაფტი და მდიდარი წიწვიანი მცენარეები ხელს უწყობს დაბაში მთელი რიგი დაავადებებით (მეორადი ანემია, ლიმფადენიტი, სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური დაავადება) შეპყრობილთა დასვენებასა და მკურნალობას (განსაკუთრებით თბილ პერიოდში).


წალვერი. საშუალო მთის კლიმატური სადგური კურორტი წალვერი მდებარეობს ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის კურორტებისა და სამკურნალო ადგილების თითქმის ცენტრში (ბორჯომიდან 14 კმ მანძილზე) და უკავშირდება მას რკინიგზით და გზატკეცილით. კურორტს სჭრის მდინარე შავი წყალი და გუჯარეთის წყალი, რომელიც აქვე უერთდება მდ. შავ წყალს.

წალვერის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების შესწავლა ძირითადად დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

წალვერის მინერალური წყაროების წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა-რკინიან-ჰიდრო-კარბონატულ-ნატრიუმ-კალცი-



უმიანი წყლების ჯგუფს, მისი ბალნეოლოგიური ფორმულა



წაღვერის მინერალური წყლების მაღალი ბალნეოთერაპიული ღირსების გამო საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველოს მიერ აქ ჩატარებულია მნიშვნელოვანი ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები, რომელთა შედეგად 6 მინერალური წყაროს (მათ შორის 5 ბურღილის) დებიტი გაიზარდა 10000 ლიტრიდან 70000 ლიტრამდე დღე-ღამეში.

წაღვერის მინერალური წყლის სისტემატური მიღება იწვევს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებას, წაღვერის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები (ჰავა და მინერალური წყალი) დადებით გავლენას ახდენს სისხლის შემადგენლობაზე; ეს აიხსნება კურორტის მთის ჰავისა და მინერალური წყლის კომპლექსური მოქმედებით. განსაკუთრებულ როლს უნდა ასრულებდეს წაღვერის მინერალური წყლის შემადგენლობაში შემავალი აქტიური რკინა. წაღვერის მინერალური წყალი უმეტეს შემთხვევაში აძლიერებს კუჭის წვენის სეკრეციას, ამაღლებს წვენის მჟავიანობას და დადებით გავლენას ახდენს მთელ რიგ გასტრიტულ მოვლენებზე, ანალოგიური დასკვნებია მიღებული ექსპერიმენტების შედეგადაც. წაღვერის მინერალური წყალი კარგად მოქმედებს კუჭის ევაკუაციურ ფუნქციაზე.

წაღვერში ამჟამად მოქმედებს დასასვენებელი სახლი 550 საწოლით. ზაფხულობით აქ ათასობით ბავშვი ისვენებს საბავშვო სახლებში, პიონერთა ბანაკებსა და სხვა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში. კურორტის ჰავის თავისებურება ბალნეოთერაპიასთან შეხამებით დადებითად მოქმედებს ბავშვთა ორგანიზმზე; წაღვერი საერთოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს, ბავშვები იმატებენ წონაში და შემდეგაც მთელი ზამთრის განმავლობაში კარგად გრძნობენ თავს.

მოხერხებული სატრანსპორტო საშუალება, ბორჯომთან სიახლოვე, მდიდარი ბუნება, წიწვიანი ტყეებით დაფარული ლამაზი მთები, რომლებიც ერთდროულად იცავს მას ჩრდილოეთის ქარებისაგან და უზრუნველყოფს კურორტს მშრალი

მთის ჰავით, მზის რადიაციის დიდი ხანგრძლივობა და საშუალო სიმაღლე (1020 — 1050 მ ზღვის დონიდან) ქმნის წალვერს, როგორც საშუალო მთის კლიმატურ სადგურს. კურორტი ამჟამად გამოყენებულია ძირითადად მხოლოდ წლის თბილ პერიოდში.

წალვერში ყველა პირობაა შექმნილი მისი მთელი წლის მანძილზე მუშაობისათვის.

სამკურნალოდ ნაჩვენებია სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები, მალარია, მეორადი ანემია, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები, ბრონქული ასთმა და აგრეთვე საკმლის მომწვდომელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებები კომბინირებული ზემო-ჩამოთვლილ დაავადებებთან.

ტიმოთეს უბანი. მთის კლიმატური სადგური სოფელი ტიმოთეს უბანი მდებარეობს წალვერის რკინიგზის სადგურიდან 2 — 3 კმ დაშორებით, მდ. გუჯარეთის წყლის მარჯვენა ნაპირზე, მის ზემოთა მიმართულებით, ზღვის დონიდან 1150 მ სიმაღლეზე.

ლამაზი მიდამოები და ჯანსაღი ჰავა ქმნის დასვენებისა და მკურნალობის ხელსაყრელ პირობებს. მშვენიერ ხეობაში, პატარა მდინარის ნაპირზე, რომელიც აქვე ერთვის მდინარე გუჯარეთის წყალს, არის ტიმოთეს უბნის ძველი მონასტერი (რომელიც მიეკუთვნება XIII საუკუნეს), ახლა კი დარჩენილია მხოლოდ პატარა ბაზილიკისა და სამეურნეო შენობათა ნანგრევები. ამ ნანგრევთა შორის კარგად შენახული დიდი გუმბათიანი მონასტერი ითვლება საქართველოს იმ პერიოდის აგურის ნაგებობათა არქიტექტურის იშვიათ ნაირსახედ.

მონასტრის მახლობლად, ტიმოთეს უბანში, გამოდის სუსტი მინერალიზაციის ნახშირმჟავა მინერალური წყალი, რომელსაც მოსახლეობა იყენებს სასმელად. ტიმოთეს უბანი ახლო კურორტებზე დამსვენებელთა სასიამოვნო გასასეირნებელი და საექსკურსიო ადგილია.

მზეთამზე. სადგურ წალვერიდან სულ ერთი-ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე გაშლილია სოფელი მზეთამზე (ზღვის

დონიდან 1150 — 1200 მ). იგი წადვერს უკავშირდება კარგით
გზით და მთის საცალფეხო ბილიკით.

პლატო, რომელზედაც გაშლილია სააგარაკო ადგილი,
იყოფა ორ ნაწილად — ზემო და ქვემო მზეთამზედ. პლატო
გარშემორტყმულია მაღალი მთებით, რომლებიც დაფარულია
ხელშეუხებელი წიწვიანი ტყის მასივებით. აქ პოულობს გამო-
სავალს არაერთი მთის წყარო, რომლებიც გამოიყენება სას-
მელად. აქვე, მიწის ზედაპირზე, გამოდის სუსტი მინერალი-
ზაციის ჰიდრო-კარბონატულ-კალიუმ-მაგნიუმიანი წყლის
წყარო. წყაროს გამოსავალთან კოლმეურნეობის სასოფლო-
სამეურნეო არტელის მიერ დადგმულია ერთი აბაზანა. წყალს
ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს აბაზანების სახით მო-
ძრაობის ორგანოთა, პერიფერიული ნერვული სისტემისა და
კუჭ-ნაწლავის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ.

ამ შესანიშნავ მთის კლიმატურ სადგურზე ყველა ბუნებ-
რივი პირობაა მთელი წლის მანძილზე მკურნალობისა და და-
სვენების ორგანიზაციისათვის.

მზის რადიაციის მხრივ მზეთამზე ცნობილ პირველხარის-
ხოვან კლიმატურ სადგურთა შორის საუკეთესოა. ამიტომაც
დაიმსახურა მან სახელი „მზეთამზე“.

წადვერის მინერალური წყაროების წყლის ამოყვანა მზე-
თამზეში არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს (სულ 800 მეტრის
მანძილითაა დაშორებული). ეს კი კიდევ უფრო აამაღლებდა
მომავალი კურორტის ღირებულებას. აქ შესანიშნავი ბუ-
ნებრივი პირობებია ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური
კურორტის განვითარებისათვის შავი ზღვის სანაპირო „არ-
ტეკის“ ტიპის — „მთის არტეკის“ ორგანიზაციისათვის.

მზეთამზეს კლიმატოლოგიური შესწავლის პარალელურად
ჩვენ 1940 წელს ვაწარმოეთ დაკვირვებები დამსვენებელთა
სისხლის მორფოლოგიურ შემადგენლობაზე და ზოგიერთი და-
ავადების დროს ორგანიზმზე მზეთამზის კლიმატური კომპ-
ლექსის გავლენის შესასწავლად.

ერთი თვის განმავლობაში ავადმყოფებმა წონაში მოიმა-
ტეს 1-დან 6,5 კილოგრამამდე. კურორტზე მატულობს სის-
ხლის წითელი ბურთულების რაოდენობა და ჰემოგლობინი,
ლეიკოციტების რაოდენობა უახლოვდება ნორმას, თუ მკურ-

ნალობის დასაწყისში მომატებული იყო — ქვეითდება, როგორც წესი, ნორმას უახლოვდება ლეიკოციტების დალექვის რეაქციაც.


განსაკუთრებით კარგი შედეგია მიღებული ქრონიკული ბრონქიტის, მშრალი პლევრიტის, ტუბერკულოზის ფიბროზული ფორმების, მალარიის და აგრეთვე მეორადი ანემიის მკურნალობაში.

მზეთამზიდან აღმოსავლეთით, წალვერიდან 13 კმ დაშორებით, გუჯარეთის წყლის თვალწარმტაც ნაპირზე, ზემოთ განლაგებულია სამკურნალო ადგილების მთელი წყება — აბანოს ღელე, მაჭარწყალი, წინუბანი, ვარდევანი, ტყემლოვანი, პატარა მიტარბი და სხვ. აქ სულ მცირე მანძილზე — ერთიდან ხუთ კილომეტრამდე — ნანახია სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლების გამოსავალის მთელი სერია. აქამდე არსებული ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი მხოლოდ მათ ძირითად დახასიათებას იძლევა. სისტემატური დაკვირვება ორგანიზმზე ამ წყაროების გავლენის შესახებ დღემდე არ ჩატარებულა, მაგრამ ნაწილობრივი, არასრული მონაცემებიც, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მათ მაღალ ბალნეოთერაპიულ თვისებებზე. ეს წყლები, ძირითადად, მიეკუთვნება ესენტუკის, საირმის, ნარზანების და აგრეთვე თბილი გოგირდიანი და გოგირდწყალბადიანი წყლების ტიპებს.

წყაროები დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობას შორის მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობის დროს. საჭიროა მათი მეცნიერული გამოკვლევა და ყოველმხრივი შესწავლა.


აბანოს ღელე (გვირგვინა). ტიმოთეს უბნიდან გუჯარეთის წყლის ზემო მიმართულებით, სამი-ოთხი კილომეტრით სოფელ მაჭარწყალამდე, მარცხნივ თვალს ეცემა ძთა გვირგვინას დიდებული მწვერვალი, რომელიც თითქოს ამ რაიონის წიაღში დამალულ სიმდიდრეთა სადარაჯოდ დგას. გვირგვინას კლდოვანი მწვერვალები გარშემორტყმულია მთისა და ვაკეების რამდენიმე იარუსით, რომლებიც დაფარულია ადამიანის მზრუნველი ხელით გაშენებული წიწვიანი და ნაწილობრივ ფოთლოვანი ჯიშის ტყეებით.

მთის მასივის სამხრეთ ფერდობის ძირთან, მდ. გუჯარეთის წყლის ხეობაში, მდ. აბანოს ღელეს მარცხენა ნაპირზე, კლდის ნაპრალიდან გამოდის თერმული მინერალური წყლის მძლავრი ნაკადი (22°), რომლის დებიტი დღე-ღამეში უდრის 300 000 ლიტრს. წყალს აქვს გოგირდწყალბადის სუნი. ბალნეოლოგიური ფორმულა შემდეგია:




წყალი პრიმიტიულ პირობებში ფართოდ გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოძრაობის ორგანოების (სახსრების, კუნთების, ნერვების) და კანის დაავადებათა სამკურნალოდ.

მაჭარწყალი. წაღვერიდან 13 კმ დაშორებით, მდ. გუჯარეთის წყლის ნაპირის ზემო მიმართულებით, თანამოსახლე ხეობაში, ზღვის დონიდან 1200—1300 მ სიმაღლეზე მდებარეობს სოფელი მაჭარწყალი. ადგილის ტერიტორია დაფარულია მდიდარი წიწვიანი ტყეებით. აქ ერთმანეთისაგან მცირე მანძილზე მოჩუხჩუხებს მინერალური წყაროები. მაჭარწყლის ძირითადი წყაროს წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ქლორ-ნატრიუმ-კალციუმიანი წყლების ჯგუფს. მისი ბალნეოლოგიური ფორმულაა:




წყალი ესენტუკის ტიპისაა, მხოლოდ მეტი რაოდენობით შეიცავს კალციუმის იონებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად უფრო ღრმა ფენებიდან ამოვა კალციუმის იონების უფრო დაბალი შემცველობის მქონე წყალი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს იგი გამოვიყენოთ საჭმლის მომწელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებების მკურნალობისათვის, განსაკუთრებით თუ კუჭის წვენის მჟავიანობა დაქვეითებულია. წყალს ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობა ხმარობს სასმელად.

ვარდევანი (ან ვარდუბანი) მდებარეობს სოფელ მაჭარწყლის მახლობლად. მინერალური წყალი გამოდის გუჯარ-




რეთის ხეობაში; სოფელ მაქარწყლიდან ვარდუბანში მიმავალ გზაზე, მდინარე გუჯარეთის წყლის ნაპირზე. ვარდუბანის წყაროს წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა-რკინიან-პიდრო-კარბონატულ-ქლორ-ნატრიუმ-კალციუმიანი წყლების ჯგუფს. ნისი ბალნეოლოგიური ფორმულაა:



ადგილის კლიმატური პირობები და სამკურნალო მინერალური წყლები ბუნების იშვიათ სილამაზესთან ერთად ხელსაყრელ პირობებს ქმნის საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოების დაავადებათა მკურნალობისათვის, განსაკუთრებით, როდესაც ეს დაავადებები კომბინირებულია მეორად ანემიასთან და სხვა ისეთ დაავადებასთან, რომელიც საჭიროებს მთის ჰავით მკურნალობას.

წინუბანი ჰავითა და მინერალური წყლებით სამკურნალო ადგილია. იგი მდებარეობს გუჯარეთის ხეობაში, სოფელ მაქარწყლის მეზობლად. ადგილი ლამაზი, ჯანსაღი და ხელსაყრელია დასვენებისა და მკურნალობისათვის. მინერალური წყალი გამოდის ველზე, რომელიც მდებარეობს სოფელ მაქარწყლიდან წინუბანში მიმავალ გზაზე, მდინარე გუჯარეთის წყლის მარჯვენა ნაპირზე. ცემენტით მოპირკეთებულ ჭაში მოჩუხჩუხებს მინერალური წყალი ქვემოდან საკმაოდ მძლავრი ნაკადით და გაზის (ნახშირმჟავა) საკმარისი შემცველობით. წყაროს გარშემო შესამჩნევია უანგისფერი ნალექი.

არის აგრეთვე სხვა მრავალი მინერალური წყაროს გამოსავალი. ძირითადად წყაროს წყლის ბალნეოლოგიური ფორმულა ასეთია:



წყალს მოსახლეობა იყენებს სასმელად.

ტყემლოვანი. მინერალური წყაროების გამოსავალი მდებარეობს სოფელ წინუბნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით 6 კმ მანძილზე და თვით სოფელ ტყემლოვანიდან 3 კმ დაშორებულია მდინარე ძამის აუზის ზემო ნაწილის ერთ-ერთ გვერდით ხეობაში. აქ სხვადასხვა ადგილზე არის

ერთიდაიმავე ტიპის მინერალური წყაროს სამი გამოსავალი თავისი ქიმიური შემადგენლობით ამ წყაროების წყლები მიეკუთვნება ნახშირმჟავა-ჰიდრო-კარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიანი წყლების ჯგუფს. მათი ბალნეოლოგიური ფორმულაა: CO_2 1,1 M 3,4 $\frac{\text{HCO}_3 \text{ 72 Cl } 27}{\text{Na } 68 \text{ Ca } 21}$

მინერალურ წყალს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სასმელად საქმლის მომწელებელ ორგანოთა ზოგიერთი დავადების დროს.

პატარა მიტარბი. წადვერიდან გზა მიდის გუჯარეთის ლამაზი ხეობით, სოფელ ტიმოთეს უბნის გავლით შეუხვევს მარჯვნივ და მიადგება სოფელ პატარა მიტარბს. თანამოსახელე პატარა მდინარის ნაპირზე არის მინერალური წყლის გამოსავალი, მის გვერდით მოწყობილია სამკურნალო აბაზანები.

ქიმიური შემადგენლობით პატარა მიტარბის მინერალური წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა-რკინიან-ჰიდრო-კარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიანი წყლების ჯგუფს. მისი ბალნეოლოგიური ფორმულაა:

CO_2 1,2 Fe 0,012 M 1,5 $\frac{\text{HCO}_3 \text{ 95}}{\text{Ca } 50 \text{ Na } 42}$ t 13° დ 10,000 ლ/დღ.

მინერალური წყალი ხელსაყრელ კლიმატურ და ბუნებრივ პირობებთან ერთად ამ ადგილს კარგ სამკურნალო და დასასვენებელ ადგილად ხდის.

ცემი. კურორტი ცემი მდებარეობს ბორჯომიდან 18 კმ-ზე ცემის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დადებითმა მოქმედებამ დიდი ხანია მიიქცია ყურადღება, რის შედეგადაც ჯერ კიდევ 1904 წელს აქ გაიხსნა რკინიგზის სანატორიუმი, რომელიც დღემდე მუშაობს.

დამტკიცებულია ცემის საკურორტო ფაქტორების მაღალი ეფექტურობა ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობისას. ცემში ყოფნის პერიოდში ამ ავადმყოფების საერთო მდგომარეობა სწრაფად უმჯობესდება, ნორმას უბრუნდება ტემპერატურა, ისინი მატულობენ წონაში (3—4 კგ) და საერთოდ მოკლე ხნის განმავლობაში ხდება ტუბერკულოზური

პროცესის კომპენსაცია და შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი აღდგენა.

მაღალი სამკურნალო ეფექტურობის გამო ცემში სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს (განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში) და უკანასკნელ წლებში 7—8 ათასს აღემატება, მიუხედავად ცემის საბინაო ფონდისა და აქ არსებული სტაციონარული საწოლების რაოდენობის სიმცირისა (ამჟამად ცემში მუშაობს 200-საწოლიანი სანატორიუმი სრულსაკოვანთათვის, 100-საწოლიანი ბავშვებისათვის და აგრეთვე პიონერთა ბანაკები).

ბორჯომის ჯგუფის კურორტების რაიონული დაგეგმარების მიხედვით (მ. ი. ნოდია), ცემში სამკურნალოდ ნაჩვენებია შემდეგი დაავადებები: ლიმფადენიტი, ქრონიკული პერიტონიტი, ძვლების, სახსართა და მეზენტერიული ჯირკვლების ტუბერკულოზი, ექსუდაციური და მშრალი პლევრიტი, მეორადი ანემია, მალარია და აგრეთვე სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები.

მხედველობაში ვიღებთ რა ადგილის ხელსაყრელ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს და აგრეთვე ამ კურორტზე მრავალი ათეული წლის მანძილზე მკურნალობის დამაკმაყოფილებელ შედეგებს, ცემი უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვან მთის კლიმატურ სადგურად, სამკურნალო-პროფილაქტიკური პროფილის მთელი წლის მანძილზე მომუშავე კურორტად ძირითადად ტუბერკულოზის დახურული ფორმებით დაავადებულთა სამკურნალოდ. საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირველ რიგში თვით ცემის პლატო და მისი უშუალო გაგრძელება — საკურორტო ადგილის, სოფელ ტბის ტერიტორია.

სადგერი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანძილი ბორჯომიდან ლიბანიამდე რკინიგზით აღწევს 22 კილომეტრს, საცალფეხო-საურმე გზით კი ეს მანძილი მცირდება სამჯერ და სულ 7 კილომეტრს უდრის. გზა ჩამოდის ლიბანიდან სოფელ ტბის, სადგერის და 26 კომისრის პლატოს გავლით და ჩადის ბორჯომში.

ამგვარად, მთის კლიმატური სადგური სოფელი სადგერი

მდებარეობს ბორჯომსა და ტბას შორის 1100—1150 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და უჭირავს პლატო მდინარე ბორჯომულასა და გუჯარეთის წყლის ხეობათა შორის. მთის ფერდობები, რომლებითაც გარსშემორტყმულია სადგური და თვით ამ სოფლის ტერიტორიის ნაწილი, დაფარულია წიწვიანი ტყით. აქ არის შორეული წარსულიდან ცნობილი თერმულ-გოგირდოვანი მინერალური წყაროების (24,4°) გამოსავალი, რომლის ბაზაზე აგებულია პრიმიტიული საბაზანო შენობა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად საკურორტოდ ჩამოსული ავადმყოფები და დამსვენებლები წყალს იყენებენ მოძრაობის ორგანოთა (სახსრების, კუნთებისა და ნერვების) და აგრეთვე კანისა და გინეკოლოგიურ დავადებათა სამკურნალოდ.

1954 წელს ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად აღნიშნული მინერალური წყაროების დებიტი მნიშვნელოვნად გადიდა.

ტბა. მეტად ლამაზი მთის კლიმატური სადგური ტბა წარმოადგენს კურორტ ცემის ტერიტორიის გაგრძელებას. იგი მდებარეობს ბორჯომიდან 18 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე. ამ ადგილიდან 2 კმ დაშორებით აღმოჩნდა ნახშირმჟავა-რკინიან-ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის მინერალური წყაროების გამოსავალი. წყალს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს კუჭ-ნაწლავის დაავადებისა და სისხლნაკლებობის დროს. ტბაში ზაფხულობით დასასვენებლად ჩაჰყავთ საბავშვო სახლების, ბაგებისა და პიონერთა ბანაკებისათვის ბავშვი.

ლიბანი. ცემიდან ზემოთ, 1373 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან მდებარეობს მთის კლიმატური სადგური ლიბანი. ლამაზმა მდებარეობამ, თანაბარმა, ზომიერად ტენიანმა ჰავამ, უქარობამ და მზის სხივადობის სიუხვემ გაუთქვა მას გამაჯანსაღებელი ადგილის სახელი. აქ 1927 წლიდან მთელი წლის განმავლობაში მუშაობს სანატორიუმი 200 საწოლით, სადაც მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულებს.

სანატორიუმს უჭირავს სწორი პლატო, რომელიც მდებარეობს თანამოსახლე რკინიგზის სადგურიდან დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე. პლატო მთლიანად დაფა-

რულია ხშირი წიწვიანი ტყით, რაც რამდენადმე ასუსტებს ამ ადგილზე ტერიტორიის სავენტილაციო პროცესებს, რის გამოც ატმოსფეროში (ტენიანი ნიადაგის ანაორთქლი) შემოსული ტენიანობა უმეტეს შემთხვევაში რჩება ადგილზე და ამადღებს ჰაერის შეფარდებით ტენიანობის მაჩვენებელს. ამავე დროს კურორტის გაშლილი ტერიტორია უზრუნველყოფს აქ მზის სხივადობის მაქსიმალურ ხანგრძლივობას (2200—2300 საათი წელიწადში). მზის სხივების მოქმედება ლიბანში იწყება ადრე დილიდან და მთავრდება საღამოს გვიან საათებში (ცნობები ეყრდნობა 1926 წლიდან მოწყობილ მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებს).

ჩატარებული სამეცნიერო დაკვირვებები ადასტურებს ლიბანის კლიმატურ-თერაპიულ ღონისძიებების მაღალ ეფექტურობას ფილტვის ტუბერკულოზით დაავადების დროს. ჩვენი საკუთარი დაკვირვებებით (1324 ავადმყოფზე), ფილტვის ტუბერკულოზით დაავადების ისეთი შემთხვევები, როდესაც ანამნეზში აღინიშნება სისხლიანი ნახველი, არ არის წინააღმდეგნაჩვენები ლიბანში მკურნალობისათვის (ზღვის დონიდან 1370 მ სიმაღლეზე), რადგანაც სისხლიანი ნახველი ძირითადად დაკავშირებულია დაავადებულ ფილტვებში პათოლოგიურ-ანატომიურ პროცესებთან და არა ადგილმდებარეობის სიმაღლესთან.

პატარა ცემი. ლიბანთან ახლოს, თანამოსახელე რკინიგზის სადგურთან, ზღვის დონიდან 1370 მ სიმაღლეზე, მდებარეობს სახელგანთქმული საბავშვო კლიმატურ-თერაპიული სადგური **პატარა ცემი**. კურორტს უკავია ლამაზი ფერდობი, რომელიც დაქანებულია მდ. ბაკურიანის ხეობისაკენ და მთლიანად დაფარულია მდიდარი წიწვიანი ტყით.

ვენტილაციური პროცესების მიხედვით პატარა ცემს აქვს ზოგიერთი უპირატესობა ლიბანთან შედარებით, რადგან დაქანებული ფერდობი და მდ. ბაკურიანის ხეობასთან სიახლოვე უზრუნველყოფს აქ ადგილობრივი ქარების შემოჭრას, რაც ხელს უწყობს ამ ადგილის განტვირთვის ზედმეტი ტენიანობის განთავსებას.

პატარა ცემში არის სანატორიუმი — სატყეო სკოლა 80 საწოლით, რომელიც მუშაობს ძირითადად ზაფხულის თვე-

ეზში. დადგენილია პატარა ცემის კლიმატური პირობების განსაკუთრებული დადებითი გავლენა ბავშვთა ორგანიზმზე.

ბაკურიანი. ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის უკანასკნელი სადგური, მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ბაკურიანი მდებარეობს ბორჯომიდან 37 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 1700 მ სიმაღლეზე. მისი ტერიტორია, განსაკუთრებით მთის ფერდობები, დაფარულია ფიჭვისა და სხვა ჯიშის წიწვიანი ტყეებით. ბაკურიანი გარშემორტყმულია მაღალი მთებით, რომლებიც საიმედოდ იცავს მის ტერიტორიას ძლიერი ქარბუქისაგან. რკინიგზა იწყება 810 მ სიმაღლიდან (ბორჯომი), თანდათან მიემართება ზევით და ბოლოს სადგურ ბაკურიანში აღწევს 1650 მ სიმაღლეს.

ბორჯომიდან ბაკურიანამდე მიდის აგრეთვე ლამაზი გზატკეცილი, რომელიც გრძელდება ბაკურიანის იქით, ქ. ახალქალაქამდე. ეს გზა მიემართება სულ ზემოთ და ზემოთ, ხშირ მარადმწვანე ტყეთა შორის, მკვეთრი მიხვეულ-მოხვეულებით და გაუვლის გვერდით მრავალ კურორტს. არსებობს აგრეთვე საცალფეხო-საურმე გზაც, რომელიც საგრძნობლად ამცირებს მანძილს ამ კურორტებს შორის.

მთები, რომლებიც გარს არტყია ბაკურიანს, ერთმანეთისაგან დაშორებულია, რაც ხელს უწყობს კურორტის ტერიტორიის გაშლას. თავისუფალი ჰორიზონტი და მარადმწვანე ლანდშაფტი ბაკურიანს განსაკუთრებულ ლაზათს მატებს წლის ყველა პერიოდში. ბაკურიანის ტყიანი სივრცე უფრო ზემოთ გადადის ალპურ ზონაში, მისთვის დამახასიათებელი თვალწარმტაცი მინდვრებით. ხელსაყრელი კლიმატური პირობები ხელს უწყობს აქ მრავალფეროვან მცენარეთა ზრდას, რის გამოც ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღში შეიძლება შეგვხვდეს თითქმის ყველა სახის ალპური და სუბალპური ფლორა. ბაკურიანის ბუნების არაჩვეულებრივი სილამაზე, საუცხოო მცენარეებით დაფარული გორაკები და მთები, მზის სიუხვე, ჰაერის განსაკუთრებული სისუფთავე და მყუდროება ქმნის განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს დასვენებისა და მკურნალობისათვის. ჩატარებული დაკვირვებები ასაბუთებს ბაკურიანის მაღალ თერაპიულ ეფექტურობას (ლიმფადენი-

ტის, მეორადი ანემიისა და სხვ. დროს) მთელი წლის განმავლობაში.

ბაკურიანისა და მისი ახლომდებარე ადგილების ბუნებრივი სილამაზე ყოველწლიურად იზიდავს არა მარტო ავადმყოფებს და დამსვენებლებს, არამედ აგრეთვე ფიზკულტურელებს, ტურისტებსა და ექსკურსანტებს — ზამთრის სპორტის მოყვარულებს. ბაკურიანში არსებობს ტურისტული ბაზა და სამთო-სათხილამურო სადგური, რომელიც მუშაობს ზამთრის თვეების განმავლობაში.

ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო ხელსაყრელი პირობები ზამთრის სპორტის სხვადასხვა სახეობათა განვითარებისათვის, როგორც არის ბაკურიანში, როდესაც თოვლით იფარება კურორტის ხეივანი. ღია პორიზონტი, გამჟვრვალე ჰაერი და მზის უხვი რადიაცია უზრუნველყოფს აქ ულტრაიისფერი სხივების მაღალ ინტენსივობას.

ზამთარში აქ, როგორც წესი, ტარდება საკავშირო სათხილამურო შეჯიბრებები. დაუსრულებლად მოემართებიან დაუღალავი ტურისტები, რომელთაც თავიანთ წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ ცხრაწყაროს მთის მწვერვალზე ასვლა, რათა აქედან უყურონ ულამაზეს სანახაობას — მზის ამოსვლას.

ცხრაწყაროსაკენ მიმავალი გზა (ბაკურიანიდან 12 კმ), რომელიც ბაკურიანზე, 1100 მ უფრო მაღლა მდებარეობს, უღრან ტყეებში გადის. სიმაღლესთან ერთად ტყის საფარი თანდათან თხელდება და თითქმის შეუმჩნევლად უთმობს ადგილს ბუჩქნარებს და ალპური საძოვრების ზონას. ქვემოთ გაშლილა ბაკურიანი და ციხისჯვარი ტყეების მასივებში ჩაფლული საცხოვრებელი სახლებით. მედიდურად აღმართულა ცხრაწყაროს ყინულოვანი თავი (2780 მ ზღვის დონიდან), რომლის მწვერვალიდან მოჩუხჩუხებს სახელგანთქმული ცხრაწყარო. აქვე, მთის ძირთან, შენახულა თამარ მეფის დროის წყალსადენის ნაგებობათა ნაშთები, ცხრაწყაროს მწვერვალიდან ნათელ ამინდში ზღაპრული ხედი იშლება კავკასიონის მთავარ ქედსა და მის ყველა მთაგრეხილზე. განსაცვიფრებელ სანახაობას წარმოადგენს მზის ამოსვლა. თოვლით დაფარული მწვერვალები ლივლივებს მზის სხივებში.



აქედან კარგად მოჩანს ორთავა იალბუზი, კონუსისებური ტუბა, ლამაზი თეთნულდი და ყაზბეგი.

ცხრაწყაროზე ასვლის შემდეგ ტურისტები მიემართებიან მაღალმთიანი ტაბაწყურის ტბაზე, რომელიც მდებარეობს ალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 1920 მ სიმაღლეზე. ტბას უჭირავს 14 კვ კმ ფართობი, მისი სიღრმე 33 მეტრია. გარდა კალმახისა, უკანასკნელ წლებში ამ ტბაში მოშენებულია სხვადასხვა გემრიელი ჯიშის თევზი, მათ შორის ჭაპალა. ეს ჯიში ჩამოუყვანიათ ჩრდილოეთის რაიონებიდან და აქ გამრავლებისათვის იმდენად ხელსაყრელი პირობები უპოვია, რომ უკვე ყოველწლიურად იძლევა თევზის მნიშვნელოვან მარაგს.

ტაბაწყურის ტბაზე ბაკურიანიდან მიდის გზატკეცილი, რომელიც გადის წიწვიანი ტყეების მასივებში და შემდეგ ალპური ზონით, მაღალი უღელტეხილით — ტბაზე. გზა ტურისტებსა და ექსკურსანტებზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. რაიონი მდიდარია ქართველი ხალხის შორეული წარსულის მატერიალური კულტურის ჯეგლებით.

ბაკურიანის ხელსაყრელი კლიმატური და ლანდშაფტური პირობები განაპირობებს მნიშვნელოვან თერაპიულ ეფექტს ლიმფადენიტის, მეორადი ანემიის, რიუმათის, სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზურ დაავადებათა, ბრონქული ასთმის, ფუნქციური ნევროზებისა და ზოგიერთი სხვა დაავადების მკურნალობის დროს.

ბაკურიანს, როგორც მაღალმთიან კლიმატურ კურორტს, აქვს განვითარების დიდი პერსპექტივა. იგი ამჟამად წარმოადგენს ერთერთ კურორტს საქართველოში, რომელიც ასეთ სიმაღლეზე მდებარეობს და ამავე დროს აქვს ესოდენ მოხერხებული მისადგომი გზები.


ბაკურიანი იზიდავს ათასობით ავადმყოფს და დამსვენებელს. სააგარაკოდ ჩამოსული დამსვენებლები ეწყობიან საცხოვრებლად ძირითადად კერძო სახლებში. აქ მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს საბავშვო სანატორიუმი 70 საწოლით. ზაფხულის თვეებში მუშაობს საკურორტო პოლიკლინიკა, სხვადასხვა უწყების სასტუმროები, ტურბაზა და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აქ არსებული სამხეცე — შავწითელა მელიების საბჭოთა მეურნეობა.

ციხისჯვარი. ბორჯომიდან 30 და ბაკურიანიდან 9 კმ დაშორებით, 1800 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ფიჭვის ტყით დაფარულ ტერიტორიაზე მდებარეობს კურორტი ციხისჯვარი. როგორც ბაკურიანი, ისე ციხისჯვარი დაცულია მთების მწვერვლებით ძლიერი ატმოსფერული დინებისაგან. ამ კურორტის კლიმატური პირობები თითქმის იგივეა, რაც ბაკურიანისა. ციხისჯვრიდან სამი კილომეტრის მანძილზე არის ციხისჯვრის სახელგანთქმულ : მინერალური წყლების გამოსავალი. ამ წყაროების საერთო დებიტი დღე-ღამეში ნახევარ მილიონ ლიტრს აღემატება, თავისი ქიმიური შემადგენლობით ყველა წყაროს წყალი იდენტურია და მიეკუთვნება თბილ ტუტიან-გოგირდიან წყლებს.

კურორტის ტერიტორია წყაროების გამოსავალის ადგილთან ერთად გამოქვაბულს წააგავს, რომელიც დაფარულია ფიჭვის ტყეებით და გარშემორტყმულია მარადმწვანე მთებით. მთებს შორის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოიყოფა მთა ცხრა-წყაროს მწვერვალი, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეზე — მთა კოდიანი.

ციხისჯვარი და მისი მოსაზღვრე სოფლის — საკოჭაოს ტერიტორია (ანდეზიტის მოპოვების რაიონი) უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მთელი. კურორტის ტერიტორიაზე გადის მდინარე ციხისჯვარი, რომელიც სათავეს იღებს ცხრა-წყაროს მწვერვალიდან და ერთვის მდინარე შავ წყალს. ამ ადგილის კლიმატური დახასიათება, მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ძირითადად ისეთივე უნდა იყოს, როგორც ბაკურიანისა. ამ ადგილების სპეციალური მეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემები დღესდღეობით არ მოგვეპოვება.

ციხისჯვარის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მაღალი მთის ჰავა მზის მდიდარი რადიაციით და თბილი ტუტე-გოგირდწყალბადიანი წყაროების წყალი. ციხისჯვრის თერმების მცირე გამოსავალი ბევრია, აქედან მთავარი წყარო არის ოთხი. ამ ერთი და იმავე ტიპის მინერალური წყაროების წყლის ბალნეოლოგიური ფორმულა (№ 1



რადიაქტივობა = 1,48 მახეს ერთეულს; № 2 წყაროს წყლის ტემპერატურა უდრის 38°, № 3 და № 4 წყაროსი კი 31,5°. სამკურნალო დაწესებულებებიდან აქ მუშაობს ძველი სააბაზანო შენობა რამდენიმე აბაზანით და ცემენტის საერთო აუზით. აქვეა საექიმო პუნქტი.

ციხისჯვრის მინერალურ წყალს შორეული წარსულშივე იყენებდნენ რევმატული და სახსრების სხვადასხვა ეტიოლოგიის დაავადების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და კანის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ გოგირდიანი, სუსტად მინერალიზებული მინერალური წყლები (12°) და სამკურნალო ტალახი, რომელთა საბადო მდებარეობს 3 კმ მანძილზე სოფელ ციხისჯვრის დასავლეთით, მთა კოდანის აღმოსავლეთ კალთებზე. აღნიშნულ წყლებს და ტალახს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სახსრების, კუნთების, პერიფერიული ნერვებისა და კანის დაავადებათა სამკურნალოდ.

მაღალი მთის კლიმატი, თერმული ტუტე-გოგირდ-სულფიდური მინერალური წყაროები მნიშვნელოვანი დებიტით, ფართო სამშენებლო ტერიტორია უზრუნველყოფს ციხისჯვრის კლიმატურ-ბალნეოლოგიური რესურსების კომბინირებულ გამოყენებას.

ციხისჯვარში წარმატებით მკურნალობენ მეორადი ანემიის, მალარიის, პერიფერიული ნერვული სისტემის (ნევრალგია, ნევრიტები და სხვ.) და სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური დაავადების მქონე ავადმყოფებს, და აგრეთვე მოძრაობის ორგანოთა, გულ-სისხლძარღვთა, გინეკოლოგიურ, კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მქონე პირებს და რეკონვალესცენტებს, როდესაც მკურნალობა ნაჩვენებია ბალნეოთერაპიისათვის. უნდა იგზავნებოდნენ ციხისჯვარში უპირატესად ისეთი ავადმყოფები, რომლებიც მოითხოვს ერთი-დაიმავე დროს კლიმატოთერაპიასაც.

ბორჯომის რაიონში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე საკურორტო ადგილები: ქვიშხეთი, ტაშისკარი, ახალდაბა, დვირის აბანო, ჭობისხევი, დაბაძველი და მთელი რიგი სხვა სოფლები.

ქვიშხეთი. ადმინისტრაციული განაწილებით, ქვიშხეთი შე-



დის ხაშურის რაიონში. იგი დაშორებულია რაიონის ცენტრიდან — ქალაქ ხაშურიდან 5—7 კმ-ით. ბორჯომიდან 26 კმ, ხოლო თბილისიდან მდებარეობს 145 კმ-ის მანძილზე. ტაშისკართან განუყოფელია (დაშორებულია ერთმანეთისაგან 1 კმ); ორივე მდებარეობს თრიალეთის ქედის განშტოებებზე. საშუალოდ 700 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მთის კალთები დაფარულია შერეული ტყით და მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მდინარე მტკვრის ხეობისაკენ. აქ ეს ხეობა საკმარისად გაშლილია; იგი წარმოადგენს ქართლის დიდი ველის ნაწილს, რომელიც შემდეგ მიემართება აღმოსავლეთისაკენ, გაშლილი ადგილის მდინარე მტკვრისაკენ და ჩრდილოდასავლეთით მდებარე მაღალი მთის ქედი ხელს უწყობს საკმაოდ ძლიერი ადგილობრივი ქარების წარმოშობას. რაიონი კარგადაა განათებული მზის სხივებით, მზის ნათების ხანგრძლივობა აღწევს 2200 საათამდე წლის მანძილზე. ტენიანობის მხრივ მიეკუთვნება ზომიერად ტენიანს.

მდიდარი კლიმატური და ბალნეოთერაპიული ფაქტორები, ლამაზი ბუნება და თბილისთან სიახლოვე ქმნის ისეთ პირობებს, რომ მომავალში კურორტი განვითარდება მაღალხარისხოვან კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტად.

ქვიშხეთი და ტაშისკარი მე-17 საუკუნის გმირული ბრძოლების მოწმენი არიან, როდესაც სახელგანთქმულმა ქართველმა სარდალმა გიორგი სააკაძემ ბორჯომის ხეობის შესავალთან, სოფელ ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა თათრების ჯარები, რომლებიც 1609 წელს შემოესია ქართლს. ბორჯომის ვაწრო ხეობაში დღესაც არის დარჩენილი ციხესიმაგრე ტაშისკარის ნანგრევები.

სამკურნალო და საკურორტო-სააგარაკო დაწესებულებებიდან აქ მუშაობს საავადმყოფო, პოლიკლინიკა, პიონერთა სამი ბანაკი 550 საწოლით, 13 საბავშვო ბაღი, ბაგები და მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლი, ფინური სახლების კომპლექსის სახით 50 ოჯახზე. მოაგარაკეები, რომელთა რაოდენობა ხშირად 7500 კაცს აღემატება, ძირითადად ეწყობიან საცხოვრებლად კოლმეურნეთა სახლებში.

კურორტი უზრუნველყოფილია ელექტროგანათებით, წყლით, ჰიგიენური აბანოთი და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.



რების სხვა ობიექტებით (მაღაზიები, პურის საცხობი, ფოსტა, კლუბი, ბიბლიოთეკა, რადიოკვანძი და სხვ.). 1955 წელს ჩატარებული გეოლოგიური დაზვერვის შედეგად ღრმა ბურ-ლიდან (900 მეტრი) მიღებულია თბილი გოგირდიანი მინერალური წყალი (34°) საკმაოდ მნიშვნელოვანი დებიტით (400 000 ლიტრამდე დღე-ღამეში). წყლის ბალნეოლოგიური

ფორმულა: $M \frac{HCO^3_{82}}{Na 90} t 34^\circ \text{ დ } 300\ 000 \text{ ლ/დღ.}$

სილიციუმის მქავას მაღალი შემცველობით (18 მგ). წყალს ამჟამად გათბობის გარეშე ფართოდ იყენებს მოსახლეობა ჰიგიენური, სამეურნეო და სამკურნალო მიზნით სახსრების, კუნთების, ნერვების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

მინერალური წყალი გამოიყენება სპეციალურად აშენებულ სააბაზანოში (13 ინდივიდური კაბინა და 8 შხაპი). აბაზანა ენიშნებათ ავადმყოფებს დღეში ერთხელ (ტემპერატურა ბუნებრივია), 15 წუთის ხანგრძლივობით, სულ 15—20 აბაზანა.

ახალდაბა. კლიმატურ-ბალნეოლოგიური სადგური ახალდაბა მდებარეობს მდ. მტკვრის ხეობის ვიწრო ნაწილში, მარჯვენა ნაპირზე ბორჯომსა და ქვიშხეთს შორის. მის ტერიტორიაზე მთების ფერდობები დაფარულია შერეული ტყით. ახალდაბის მიდამოებში გამოდის მინერალური წყლების ოთხი წყარო. ამ წყაროთაგან ერთ-ერთი გამოსავალი მდებარეობს ახალდაბიდან 5 კმ მანძილზე სავანის, ანუ წითელხევში. აქ კოლმეურნეობის მიერ აშენებულია პატარა სააბაზანო შენობა ოთხი აბაზანით. წყალი მცირე დებიტის (5000 ლიტრი დღე-ღამეში) და მცირე მინერალიზაციისაა (0,15 გ/ლ), მაგრამ შეიცავს გოგირდწყალბადის შესამჩნევ რაოდენობას (0,033 გ/ლ). მეორე წყაროს გამოსავალი მდებარეობს ახალდაბიდან 1,5—2 კმ მანძილზე „პატარა ახალდაბის აბანოს“ სახელწოდებით. ეს წყალი ზემოხსენებული წყაროს წყლის ტიპისაა და გამოიყენება როგორც პირველი (მხოლოდ უფრო პრიმიტიულ პირობებში — საჭიროა გათბობა), სახსრების და პერიფერიული ნერვების დაავადებათა სამკურნალოდ.

ახალდაბიდან ორი კილომეტრის მანძილზე, მდინარე ნეძურას ორივე ნაპირზე, მიწის ზედაპირზე გამოდის თბილი (20,4°) გოგირდწყალბადიანი წყალი (H_2S 0,033 გ/ლ), რომელსაც შორეული წარსულიდან ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სამკურნალო მიზნით.

ახალდაბიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით 8—9 კმ მანძილზე, მდინარე ნეძურას ხეობაში, 1000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან თანამოსახელე სოფელში არის ნეძვის მინერალური წყლის გამოსავალი. აქ მდინარის მარცხენა ნაპირზე აღნიშნულია მინერალური წყლების სამი გამოსავალი; ისინი ერთი და იმავე ტიპისაა და მიეკუთვნება ნახშირმჟავა (1,3 გ/ლ) — რკინიან (0,011 გ/ლ) — ჰიდრო-კარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიანი წყლების ჯგუფს — საირმეს ტიპს, მაგრამ რკინის შემცველობით. ამ წყალს ადგილობრივი მოსახლეობა ხმარობს სასმელად. იგი ცივი და გემრიელი სასმელია.

ღვირის აბანო. მდინარე მტკვრის ხეობაში ზემო მიმართულებით, ბორჯომიდან 10—12 კმ მანძილზე მდებარეობს სოფელი ღვირი. ამ სოფლიდან 2—3 კმ მდინარე ღვირულას მარცხენა ნაპირზე, კლდის ნაპრალიდან გამოდის გოგირდწყალბადის სუნიანი მინერალური წყალი (27°), საკმაოდ მნიშვნელოვანი დებიტით (200 000 ლიტრზე მეტი დღე-ღამეში, პროფ. ა. მ. ოვჩინკოვის მონაცემებით). აქ ჩითახევჯესის მშენებლობის მიერ აგებულია სააბაზანო შენობა ხუთი კარგად მოწყობილი სააბაზანო კაბინით. მეზობელი სოფლების მოსახლეობაც ფართოდ იყენებს ამ აბაზანებს სახსრების, პერიფერიული ნერვებისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

დაბაძველი. ბორჯომიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, 10 კმ დაშორებით და ჭობის ხევიდან 2,5—3 კმ მანძილზე მდებარეობს ლამაზი პლატო, დაფარული მდიდარი წიწვიანი ტყით. ამ ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან 1200 მ აღწევს. აქ არსებული მთის ტბები მდიდარია კალმახით; ერთ-ერთი ამ ტბის სიფართოე აღწევს 4 კვადრატულ კილომეტრს. მომავალში ეს ტბები ხელს შეუწყობს აქ წყლის სპორტის განვითარებას.

ზემოხსენებული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტებისა და სამკურნალო ადგილების გარდა, ბორჯომის რაიონში ცნობილია კიდევ მრავალი სხვა ადგილი, მდიდარი საკურორტო-სამკურნალო ფაქტორებით — შესანიშნავი მთის ჰაერით, მინერალური წყლებით, ლამაზი ლანდშაფტით, თვალწარმტაცი პეიზაჟებით (ზემო და ქვემო ჭაჭარაქი, ვაშლოვანი, საკოჭო, ჩითახევი, დიდი მიტარბი, გვერდუბანი, თორი, კობისხევი, ბანისხევი, ქვაბისხევი და სხვ.), რომელთა შესწავლა სამკურნალო პროფილაქტიკური მიზნით ახლო მომავლის საქმეა. ამ მხრივ პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს მთის კლიმატურ სადგურში ჩითახევიში 1958 წელს კურორტ სურამიდან ძვალ-სახსართა ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო სანატორიუმის გადატანა.

სურამი

(კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი)

სურამი თბილისიდან დაშორებულია 146, ხოლო ხაშურიდან 4 კმ-ით. სურამი მდებარეობს 700—800 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მის გარშემო ტერასებად მოთავსებულია დასახლებული პუნქტები: გვერისუბანი, ბაიანთხევი, ზინდისი, იტრია, ჩუმათელეთი, ბუგაურა, ბიჯნისი, ჯაპანაური, ნარვანი და სხვ. ძირითადად ამ სოფლებში ისვენებენ სურამში ჩამოსული მოაგარაკეები. თითოეული სოფელი სურამიდან 1-დან 6 კილომეტრის მანძილზეა. ეს ადგილები ისე გადადის ერთიმეორეში, რომ ძნელია მათ შორის საზღვრის დადგენა. ასე რომ, სურამი მთლიანად ტოვებს ერთი მთლიანი დასახლებული პუნქტის შთაბეჭდილებას, რომელიც გაშლილია ქართლიმერეთის ქედის კალთებზე. სურამის უღელტეხილის ფერდობები დაფარულია ფოთლოვანი ტყით. აქვეა ხელოვნურად გაშენებული წიწვიანი ტყეების ცალკეული მასივები, რომელთა საერთო ფართობი 120 ჰექტარს აღემატება.

სურამში აღსანიშნავია ძველი სურამის ციხე-სიმაგრის ნაშთები, ლესია უკრაინკას ძველი და მისივე სახელობის ბი-

ბლიოთეკა-მუზეუმი, რაც წარმოადგენს ქართველ და უკრაინელ ხალხთა საუკუნეობრივი მეგობრობის ძეგლს.

ზელსაყრელი კლიმატური პირობები — ფიჭვის სურნელებით გაყენილი სუფთა ჰაერი და სამკურნალო მინერალური წყლები ყოველ ზაფხულს ათასობით ავადმყოფს და დამსვენებელს იზიდავს. ზაფხულობით სურამში ისვენებენ პიონერთა ბანაკებისა და საბავშვო ბაღების ბავშვები. გარდა ამისა, კურორტზე მუშაობს სრულსაკოვანთა და ბავშვთა სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პოლიკლინიკა და სხვ.

სურამის ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მისი კლიმატური პირობები — თბილი ზაფხული, გრილი შემოდგომა, ღრუბლიანი დღეების მცირე რაოდენობა და მზის უხვი რაღიაცაა.

მალარიით დაავადებულები, განსაკუთრებით ბავშვები, აქ სრულიად იკურნებიან მომქანცველი სენისაგან ან შვებას გრძნობენ. 3—4 კვირის მანძილზე სურამში ყოფნის შედეგად ავადმყოფები წონაში 3—4 კგ-ს იმატებენ; სისხლში ჰემოგლობინი 20% მდე იწევს.

ექიმების მონაცემებით, სურამში ჩამოსვლისთანავე მალარიით დაავადებულები, როგორც წესი, 2—3 შეტევას გადაიტანენ, შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, შეტევები ქრება. სურამის კლიმატური კომპლექსი იძლევა მაღალ თერაპიულ ეფექტს მეორადი ანემიისა და ლიმფადენიტის დროს. ჰაერის მასების ნაკადი, რომელიც მოემართება შავი ზღვის სანაპიროდან, არბილებს კურორტის ჰავას, შეაქვს რა მის შემადგენლობაში ზღვის ჰავისათვის დამახასიათებელი ელემენტები.

სურამის ღირსება არ განისაზღვრება მხოლოდ მისი კლიმატით. აქ არის აგრეთვე ბალნეოთერაპიის ფართო განვითარების შესაძლებლობა — კურორტის ცენტრიდან 6 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ბიჯნისში, თანამოსახელე მდინარის ხეობაში არსებობს სუსტი მინერალიზაციის ჰიდრო-კარბონატულ-გოგირდიან-კალციუმ-ნატრიუმის წყლების გამოსავალი დღე-ღამეში 400 000 ლიტრი დებიტით; ეს დებიტი უზრუნველყოფილია 1958 წ. ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური

ბურღვითი სამუშაოების შედეგად (ბურღილის სიღრმე ალ-
წევს 50 მ). მანამდე წყაროების დებიტი აღწევდა 10 000
ლ/დღ.

1928 წლიდან მოქმედებს პატარა სააბაზანო შენობა სა-
ერთო საცხოვრებლით, რომელიც ემსახურება სამკურნალოდ
ჩამოსულ ავადმყოფებს. წყალს აქვს გოგირდწყალბადის
სუნი.

კურორტის ცენტრიდან ოთხი კილომეტრის მანძილზე,
სოფ. ჩუმათელეთში, გამოდის ანალოგიური მინერალური წყა-
ლი, რომელიც აგრეთვე გოგირდწყალბადის სუნით გამოირ-
ჩევა. პრიმიტიული სააბაზანო შენობა 1950 წელს რეკონს-
ტრუირებულ იქნა საკმაოდ კეთილმოწყობილ ბალნეოლოგიურ
დაწესებულებად. ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად
ხსენებული წყაროს დებიტი გადიდებულია 40 000 ლიტრამდე
დღე-ღამეში.

მინერალურ წყალს იყენებენ (წინასწარი გათბობის შემ-
დეგ) სახსრების ქრონიკული დაავადების, აგრეთვე პერიფე-
რიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური, კანის, გულ-
სისხლძარღვთა სისტემისა და ნერვული სისტემის ფუნქციურ
დაავადებათა დროს, რომლებიც გვხვდება კომბინირებული
სახით ძირითადად ნაჩვენებ დაავადებებთან (მეორადი ანე-
მია, მალარია, ლიმფადენიტი, სუნთქვის ორგანოთა არატუ-
ბერკულოზური დაავადებები, ბრონქული ასთმა და სხვ.).

სურამის ცენტრში, მდინარე სურამულას ნაპირზე, არის
ე. წ. „რკინის“ წყალი, რომელიც მტკნარ წყალში განზავების
გამო უმნიშვნელო მინერალიზაციით ხასიათდება და ასევე
უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს რკინას. წყლის დებიტი
აღწევს დაახლოებით 50—60 ათას ლიტრს დღე-ღამეში და
მოსახლეობა მას სასმელად იყენებს.

1949 წლიდან სურამი გამოცხადებულია რესპუბლიკური
მნიშვნელობის კურორტად და გადავიდა საქართველოს სსრ
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი
სამმართველოს სისტემაში. მისი კეთილმოწყობისათვის ზრუნ-
ვის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს წყალსადენის, კანალიზაცი-
ის, სანიტარიული დაცვის ზონისა და კურორტის გენერალუ-
რი დაგეგმარების საკითხების მოგვარება.

(მთის კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი)

აბასთუმანი მდებარეობს ადიგენის რაიონში, თბილისიდან 225 კმ და ქალაქ — კურორტ ბორჯომიდან 75 კმ მანძილზე. ზღვის დონიდან 1200—1650 მ სიმაღლეზე. მგზავრობა მოხერხებულია თბილისიდან ა/კ რკინიგზის სადგურ ბორჯომის გავლით ახალციხემდე, ხოლო შემდეგ კურორტამდე — ავტომობილით.

აბასთუმანი გაშლილია აჭარა-იმერეთის ქედის ერთ-ერთი ხეობის მდინარე ოცხეწყლის ქალაზე და დაცულია ჩრდილოეთიდან ქედებით, რომლებიც შემოსილია მდიდარი წიწვიანი მცენარეულობით, მათ შორის გვხვდება ფოთლოვანი ჯიშებიც.

კურორტის ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მთის კლიმატი. მიუხედავად იმისა, რომ კურორტი მთებითაა შემორკალული, მზის რადიაციის წლიური ჯამი დღეღამეში 2000 საათამდე აღწევს. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა კი — $+6,5^{\circ}$ -ს. ყველაზე ცივი თვის (იანვრის) ტემპერატურა — $6,3^{\circ}$ -ია, ყველაზე თბილის (ივლისის) — $+17,3^{\circ}$. ზამთარი საკმაოდ ცივია. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი 25° -ს, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი $+35^{\circ}$ -მდე აღის. საშუალო წლიური ტენიანობა 77-ს უდრის; ზამთარში იგი მერყეობს 50—70%-მდე, ხოლო ზაფხულში 50%-ის ფარგლებში. ყველაზე მშრალი თვეებია აგვისტოსექტემბერი. იმის გამო, რომ აბასთუმანი დაცულია ზღვის ტენიანი ატმოსფეროს დინების უშუალო გავლენისაგან, ნალექების ოდენობა შედარებით არაა დიდი და საშუალოდ წელიწადში მხოლოდ 620 მმ-ს უდრის. ნალექების მეტი ნაწილი მაისისა და ივნისის თვეებზე მოდის. თოვლიანი დღეების ოდენობა საშუალოდ წელიწადში 49 იქნება. გაბატონებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარები. მთა-ველის ქარები, რომლებიც აქ სჭარბობენ, ხელს უწყობენ აბასთუმანის ხეობის კარგ ვენტილაციას. ქარების საშუალო წლიური სისწრაფე 1,2 მ/წ.

კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორის — კლიმატის გარდა, აბასთუმანი ძველთაგანვე განთქმულია თავისი ჰიპერთერმული ქლორ-სულფატ-ნატრიუმის მინერალური წყლებით. დედამიწის ზედაპირზე აქ გამოსავალი პპოვა სამმა ცხელმა წყარომ: გოლიათის, გველის, სუროვანდის წყაროებმა საერთო დებიტით ერთ მილიონამდე ლ/დღ. წყაროების წყალი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ერთნაირი ტიპისაა, სუსტი საერთო მინერალიზაციით (0,4—0,5 გ/ლ). გოლიათის წყაროს ტემპერატურა უდრის 48,5°-ს, გველის — 42°-ს, ხოლო სუროვანდისა — 39°-ს. გოლიათის წყაროს ბალნეოლო-

გიური ფორმულაა. $M 0,5 \frac{Cl 52 SO_4 46}{Na 78}$

~~მინერალური წყლები გამოიყენება აბაზანის სახით საყრდენ-სამოძრაო აპარატის (სახსრები, კუნთები, მყესები) ქრონიკული დაავადებების, პერიფერიული ნერვული სისტემის (ნევრიტი, ნევრალგია — რადიკულიტი, პლექსიტი და სხვ.), აგრეთვე ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებების დროს, რომლებიც თან ახლავს ნაჩვენებ ძირითად დაავადებებს.~~

აბასთუმანში ბალნეოტექნიკური თვალსაზრისით შესანიშნავად მოწყობილი სააბაზანო შენობაა (აბასთუმნის ღირს-შესანიშნაობა) მარმარილოს 32 კაბინით, აუზებით, ჰიდროპათიული განყოფილებებით, და აგრეთვე ცალკე შენობაში ორი დიდი საცურაო აუზიც არის. კურორტს აქვს პოლიკლინიკა, აეროსოლარიუმი, ფიზკულტურის მოედანი, კინოთეატრი, ფოსტა და სხვა აუცილებელი ობიექტები და დაწესებულებანი.

ნაძენარში მშვენიერ პარკში, სადაც გადის ოცხესწყალი, აბასთუმანში ფუნქციონირებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი 250 საწოლით.

აბასთუმნის სანატორიუმებიდან უნდა აღინიშნოს „არაზინდო“ 250 საწოლით, „აღობილი“ 150, „ზეკარი“ 200, № 1 სანატორიუმი 200 საწოლით, სსრკ თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სანატორიუმი, საბავშვო სანატორიუმი და სხვ.

სანატორიუმებში მოწყობილია დიაგნოსტიკური და კურნალო კაბინეტები.

საექსკურსიო ადგილებიდან აღსანიშნავია „მომხიბლავი ალაყაფის კარი“, რომელიც მდებარეობს 6 კმ ზევით ოცხეწყლის ხეობაში, საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიული ძეგლი — თამარის ციხე, კურორტიდან 3 კმ. ავადმყოფები დიდი სიამოვნებით აწყობენ გასეირნებას ზეკარის უღელტეხილზე, საიდანაც მოწმენდილ ამინდში მოჩანს შავი ზღვის პირი, კურცხანის ხეობა. ბილიკებით აუყვებიან თვალწარმტაც ადგილებს.

ჩვენებანი: ქრონიკული დისემინირებული ტუბერკულოზი. კეროვანი და ინფილტრაციული ტუბერკულოზი პროცესის განვითარების ყველა ფაზაში, ქრონიკული ფიბრო-კავეროზული ტუბერკულოზი ყველა ფაზაში არაშორს წასული პროცესით; ზომიერად გამოვლინებული ინტოქსიკაციისა და ფილტვების სასუნთქი ზედაპირის არამნიშვნელოვანი შეზღუდვით, მწვავე და ქრონიკული პნევმოპლევრიტი; პირველადი კომპლექსი ინფილტრაციის რღვევისა და მოთესვის ფაზაში. ბრონქოადენიტების აქტიური ფორმები: ტუბერკულოზი თოროკალური ოპერაციის შემდეგ გულის ფუნქციის დარღვევის გარეშე; ფილტვების ტუბერკულოზი ეფექტური და არაეფექტური პნევმოთორაქსით როგორც ერთმხრივი, ისე ორმხრივი პიპოქსემიის მოვლენებით და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის დარღვევის გარეშე. ყელის ტუბერკულოზი — ინფილტრაციული ფორმა გამოხატული დისფაგიის გარეშე, გაძნელებული სუნთქვით; ყელის ტუბერკულოზის წყლულოვანი ფორმა დისფაგიის მოვლენების გარეშე (მხოლოდ ზაფხულის პერიოდში).

სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

კურორტი ზეკარი

ზეკარი მდებარეობს თანამოსახელე ულამაზესი უღელტეხილის (2200 მ ზღვის დონიდან) დასაწყისში, რომელიც ეშვება ქვევით საკავშირო მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტ აბასთუმანში (1700—1200 მ). თუ გზას გა-

აგრძელებთ ქვევით, იგი მიიყვანთ მსოფლიოში სახელგანთქმულ კურორტ ბორჯომში (80 მ).

კურორტი ზეკარი მაიაკოვსკის (ყოფ. ბალდადის) რაიონშია და დაშორებულია რაიონის ცენტრთან ქ. მაიაკოვსკიდან 20 კმ, ქუთაისიდან კი — 50 კმ-ით. კურორტი მოქცეულია მდინარე კერშავეთის ვიწრო ხეობაში ზღვის დონიდან 800 მ სიმაღლეზე.

კურორტ ზეკარის ჰავა ზომიერად ტენიანი სუბტროპიკულია, შედარებით მშრალი და თბილი ზაფხულით. აქ სისტემატურად მოქმედი მთა-ბარის ქარები განაპირობებს ადგილის კარგ ვენტილაციას.

ზეკარში გამოვლინებულია თერმული მინერალური წყლის 4 ბუნებრივი გამოსავალი საერთო დებიტით 400 000 ლიტრი დღე-ღამეში. წყლის ბალნეოლოგიური ფორმულაა:

$H^2SO_4, 008 \text{ M } 0,5 \frac{HCO^3 \text{ } 70 \text{ Cl } 21}{Na \text{ } 82} \text{ T } 36^\circ \text{ D } 400000 \text{ ლ/დღ.}$

კურორტზე არსებობს ორსართულიანი სააბაზანო შენობა, რომლის პირველ სართულზე მოთავსებულია ხუთი აუზი; ამათგან თითო ერთდროულად იტევს 6—7 ავადმყოფს. სააბაზანო საათში საშუალოდ 50 ავადმყოფს ატარებს. მეორე სართულზე ამავე შენობაში მოთავსებულია საერთო საცხოვრებელი — სასტუმრო 30 საწოლით.

სააბაზანოდან 100—120 მ დაშორებით ოდნავ ამაღლებულ ადგილზე მოწყობილია მეორე საერთო საცხოვრებელი 130 საწოლზე. აქვე არის ფურნე, სასადილო. კურორტი უზრუნველყოფილია ელგანათებით, კარგი სასმელი წყლით.

ბუნებრივი ტემპერატურის (35—36°) აბაზანა ავადმყოფებს ენიშნებათ თითო ყოველ დღე 15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსი განისაზღვრება 15—20 აბაზანით.

უახლოესი დასახლებული სოფელი ზეკარი კურორტიდან 4 კმ დაშორებული.

კურორტ ზეკარში მკურნალობისათვის ნაჩვენებია: მოძრაობის ორგანოების ქრონიკული დაავადებები, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, აგრეთვე ქრონიკული გინეკოლოგიური და კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადებები.

თავისი მდიდარი ბალნეოლოგიური და კლიმატური ფაქტორების გამო ზეკარში უნდა გაიშალოს საკურორტო მნიშვნელობა.

ამჟამად კურორტი მუშაობს მაისიდან ნოემბრის ჩათვლით.

კურორტი გორიჯვარი

ბალნეოლოგიური კურორტი გორიჯვარი მდებარეობს გორის რაიონში, რაიონის ცენტრიდან 4 კმ მანძილზე — მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 600—650 მ სიმაღლეზე. ქალაქ თბილისიდან კურორტი გორიჯვარი დაშორებულია 88 კმ და უკავშირდება მას ასფალტირებული გზით, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზით.

გორიჯვრის მინერალურ წყლებს წლების მანძილზე იყენებდა ახლომახლო მოსახლეობა პრიმიტიულ პირობებში.

ჩატარებული ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად გადიდებულ დებიტის ბაზაზე აქ აშენდა ახალი სააბაზანო შენობა 15 კაბინით და საერთო საცხოვრებელი.

მინერალური წყლების სისტემური ანალიზების შედეგად დადგენილია, რომ ეს წყლები მიეკუთვნება გოგირწყალბადიან (გოგირდწყალბადის 50—60 მგ/ლ შემცველობით) ჰიდრო-კარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიან წყლებს საერთო მინერალიზაციით 0,8—0,9 გ/ლ. წყლების (№ 4 ბურღ.) ბალნეოლო-

გიური ფორმულა შემდეგია: $H_2S, 0,49 \text{ M } 0,8 \frac{HCO_3 36 Cl 30}{Na 82} T 13^\circ$

გორიჯვარში არსებობს აგრეთვე სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყლების გამოსავალი.

ამჟამად არსებული ბურღილების მინერალური წყლების რაოდენობა აღწევს 70 000 ლ/დღ. ადგილის გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობს ზომიერად მშრალი ჰავის ფორმირებას ზომიერად ტენიანი თბილი ზაფხულითა და გრილი ზამთრით.

გაშლილი ჰორიზონტი და მცენარეულობის უკმარისობა განაპირობებს იმას, რომ აქ ხშირად იცის ქარები.

მიუხედავად იმისა, რომ გორიჯვრის ბალნეოთერაპიული ეფექტი აშკარაა; იგი ჯერჯერობით არ არის კეთილმოწყობი-

ლი და უზრუნველყოფილი სათანადო კურორტული ობიექტებით. კურორტი იმსახურებს ყურადღებას, მით უმეტეს, რომ გორის რაიონის მოსახლეობა, რომელიც სწრაფად იზრდება განსაკუთრებით ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ხარჯზე (ბამბის, სელის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა) და სხვ. საჭიროებს ბალნეოთერაპიულ მომსახურებას წარმოებიდან მოუწყვეტილად.

კურორტ გორიჯვარში ნაჩვენებია სამკურნალოდ შემდეგი დაავადებები: სამოძრაო ორგანოების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, აგრეთვე გინეკოლოგიური ანთებითი და კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადებები (ფსორიაზი, ეგზემა, სხვადასხვა დერმატოზი და სხვ.).

კურორტი მუშაობს მაისიდან ნოემბრამდე.

კურორტი ასპინძა

ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი ასპინძა რაიონცენტრიდან 1,5—2 კმ-ით და კურორტ ბორჯომიდან 80 კმ-ითაა დაშორებული, უახლოესი რკინიგზის სადგურ ქ. ახალციხედან 35—40 კმ მანძილია. ზღვის დონიდან კურორტი ასპინძა 1100 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

ასპინძის ჰავა ხასიათდება ზომიერი სიმშრალით, წლის საშუალო ტემპერატურა 7—8° ფარგლებშია; აქ იცის მშრალი და რამდენადმე ცხელი ზაფხული. ატმოსფერულ ნალექების ოდენობა საშუალოდ 550 მმ-ია.

ასპინძის ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს თერმული მინერალური წყალი (40°t) სუსტი მინერალიზაციით (0,6—0,8 გ/ლ) ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიანი გოგირდწყალბადის სუსტი შედგენილობით (2—3 მგ/ლ). წყლის დებიტი მერყეობს 300 000 ლიტრის ფარგლებში. მიწის ზედაპირზე წყალი ამოდის მდ. მტკვრის ნაპირიდან 1,5—5 მ მანძილზე რამდენიმე გრიფონის სახით.

ადგილობრივი მცხოვრებლები მინერალურ წყალს იყენებდნენ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში რევმატული და ქალური დაავადების სამკურნალოდ.

ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოთა შედეგად 1958 წ. ბუნებრივი წყაროებიდან 100 მ მანძილზე 300 მ სიღრმეზე მიღებულია 42° ტემპერატურის მინერალური წყალი 500 000 ლ/დღ დებიტით, რომელიც ფიზიკურ-ქიმიურათვისებებით ბუნებრივი წყაროების წყლების ანალოგიურია წყლის ბალნეოლოგიური ფორმულა:

$$H_2S \ 0,005 \ M \ 0,8 \ \frac{Cl_{85}}{Na_{67}Ca_{27}} \ T_{40^{\circ}D} \ 500 \ 000 \ \text{ლ/დღ.}$$

ასპინძაში არსებობს რამდენიმე მცირე მოცულობის სააბაზანო შენობა საერთო სააბაზანო აუზებით.

თითოეული აუზი (სულ 5) ერთდროულად ატარებს 6—8 ავადმყოფს.

კურორტის საბინაო ფონდი განისაზღვრება 100—120 საწოლით. უკანასკნელ წლებში ასპინძაში აშენდა სააბაზანო შენობა ინდივიდუალური კაბინებით.

ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად კურორტიდან 15—18 კილომეტრის მანძილზე ვარძიის მიმართულებით ამოყვანილია მიწის ზედაპირზე ნახშირმჟავა-დარიშხანიან-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმის თერმული (39,6°) მინერალური წყალი მაღალი მინერალიზაციით (11,2 გ/ლ) და დიდი დებიტით (500 000 ლ/დღ), რომელიც გამოიყენება ამჟამად აბაზანების სახით და აგრეთვე სასმელად საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებათა სამკურნალოდ, რომელთაც თან სდევს სისხლნაკლებობა (ეს არის მინერალური წყალი „ვარძია“).

ასპინძის მინერალური წყალი ენიშნებათ აბაზანების სახით, 36—38° ტემპერატურის თითო აბაზანა 12—15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსს შეადგენს 15—18 აბაზანა.

ასპინძაში მკურნალობისათვის ნაჩვენებია: მოძრაობის ორგანოთა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და გინეკოლოგიური ანთებითი დაავადებები.

კურორტი მუშაობს მაისიდან ნოემბრის თვემდე.

ასპინძასთან დაკავშირებულია ქართველი ხალხის გმირუ-



ლი წარსული: აქ მეფე ერეკლემ მაღალი მხედრული ნიჭისა და სიმამაცის წყალობით 2000 მეომრით დაამარცხა ოსმალეთის 10 000-იანი ჯარი, უშუალო ხელჩართულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დასჭრა მტრის ცხენოსანთა წინამძღოლი, ოსმალები გაიქცნენ და ომი ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

წყალტუბო

(ბალნეოლოგიური კურორტი)

საქართველოს ბალნეოთერაპიულ საშუალებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წყალტუბოს თბილ რადიაქტიურ-გაზიან წყლებს, რომელთაც თავიანთი იშვიათი სამკურნალო ეფექტით შორს გაითქვეს სახელი. წყალტუბო საკავშირო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია. იგი მდებარეობს ქ. ქუთაისიდან 12 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 100—120 მ სიმაღლეზე.

გორაკები, რომლებითაც გარშემორტყმულია კურორტი. მდიდარია მცენარეებით. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან 45 კმ მანძილზე სამგურალის ქედია (ზღვის დონიდან 2000 მ), ჩრდილოეთით სამგურალის ქედის იქით — კავკასიონის ერთ-ერთი განშტოების უმაღლესი ლეჩხუმის ქედი, სამხრეთიდან აჭარა-ახალციხის მთები.

წყალტუბოს მინერალური წყლის მაღალეფექტიანობა მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობის დროს წინათაც ცნობილი იყო ქუთაისში მომუშავე ექიმებისათვის, მიუხედავად მრავალნაირი კომისიის დადგენილებისა, კურორტის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების საქმის ორგანიზაცია წინ არ წაწეულა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

წყალტუბოს საკურორტო მშენებლობას საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება საქართველოს კურორტების — ბორჯომის, აბასთუმნის და წყალტუბოს გეგმიანი განვითარების შესახებ.

ამ დადგენილების შემდეგ სულ მოკლე ხანში წყალტუბო

გახდა საკავშირო მნიშვნელობის კეთილმოწყობილი ბალნეო-ლოგიური კურორტი.

წყალტუბოს კლიმატი თბილი და ზომიერად ტენიანია. ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში ზომიერია. წლის საშუალო ტემპერატურა მაღალია (15°), ყველაზე ცივი თვეების ტემპერატურა (იანვარი, თებერვალი) $5-6^{\circ}$ -ს უდრის.

წყალტუბოს ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს თერმული გაზიანი რადიაქტიური წყლები, რომლებიც გამოდის მიწის ზედაპირზე ასეული გრიფონის სახით. წყლები სუსტი მინერალიზაციისაა, მათი ზოგადი მინერალიზაცია არ აღემატება $0,7$ გ ერთ ლიტრში. რადიუმის ემანაციის (რადონის) რაოდენობა ყველა წყაროში ერთი და იგივე არ არის. იგი მერყეობს $2,5-92$ მახეს ერთეულის ფარგლებში, ხოლო იმ წყაროების წყლებში, რომლებიც ექსპლოატაციაშია, უდრის $2-10$ მახეს ერთეულს. წყალტუბოს წყლების მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მათი ბუნებრივი ტემპერატურა, რომელიც სხვადასხვა წყაროში $23-35^{\circ}$ ფარგლებში მერყეობს, ე. ი. წყალტუბოს წყლები იზოთერმული წყლებია — მათი ტემპერატურა უახლოვდება ადამიანის სხეულის ზედაპირის ტემპერატურას, ეს საშუალებას იძლევა წყალტუბოს წყალი გამოყენებულ იქნეს აბაზანების სახით გათბობის ან გაცივების გარეშე. წყალტუბოს წყლის და თვით აბაზანების დიდი ღირსებაა წყაროს ტემპერატურის მუდმივობა და ამავე დროს როგორც აუზებში, ისე ინდივიდუალურ აბაზანებში წყლის გამდინარობა პროცედურის მიღების პერიოდში. ეს განსაკუთრებით ხელს უწყობს მინერალური აბაზანების ტემპერატურის მუდმივობას, რაც ამაღლებს ბალნეოთერაპიულ ეფექტს. რადიუმის ემანაციასთან ერთად წყალტუბოს წყლები დიდი რაოდენობით შეიცავს აზოტს და აგრეთვე მცირე რაოდენობით ჰელიუმს. მიუხედავად სუსტი ზოგადი მინერალიზაციისა, წყალტუბოს წყლის ქიმიურ შედგენილობაში (მისი ბალნეოლოგიური ფორმულის მიხედვით) წამყვანია ანიონებიდან ჰიდროკარბონატის, სულფატის და ქლორის იონები, კათიონებიდან კი — კალციუმის, ნატრიუმისა და მაგნიუმის იონები. ამგვარად, წყალტუბოს წყალი მეტად რთული შედგენილობის თერმულ-გაზიან-რადიაქტიური წყალია.

რომლის ანალოგი, ცნობილი ქიმიკოსის პროფ. ს. ა. შჩუკა
რევის აზრით (1932), არ მოიპოვება არც საბჭოთა კავშირში
და არც საზღვარგარეთ.

წყალტუბოს განვითარებას დიდ პერსპექტივას უქმნის დე-
ბიტი; რომელიც აღემატება 20 მლნ ლიტრს დღე-ღამეში. ამ-
ჟამად წყალტუბოში სამკურნალოდ გამოიყენება მინერალუ-
რი წყაროების საერთო დებიტიდან მხოლოდ დღის დებიტი.
უკვე შესწავლილია ღამის დებიტის გამოყენების შესაძლებ-
ლობისათვის საჭირო პირობები. იგი უზრუნველყოფს წყალ-
ტუბოში გამდინარე აბაზანების გამოყენებას, რაც თავის მხრივ
ხელს უწყობს ადამიანის კანზე რადიუმის ემანაციისა და მისი
ღაშლის პროდუქტების დალექვა-დაგროვებას.

წყალტუბოს აბაზანაში ადამიანის კანი იფარება მცირე
აიროვანი ბუშტუკებით. ეს ბუშტუკები ძირითად აზოტის
აირთან ერთად შეიცავს ჰელიუმისა და რადიუმის ემანაციას.
ამასთან აღსანიშნავია, რომ რადიუმის ემანაცია ბუშტუკებში
3-ჯერ მეტია, ვიდრე თვით წყალში. აირის ბუშტუკები აბა-
ზანაში წყლის გამდინარეობასთან დაკავშირებით ხელს უწყ-
ობს რადიუმის ემანაციის ახალი ნაკადების დაგროვება-და-
ლექვას კანზე ე. წ. „რადიაქტიური ნალექის“ წარმოშობას.

წყალტუბოს აბაზანა იწვევს კანის კაპილარების შევიწ-
როებას — კანის გაფითრებას ე. წ. მკრთალ, ანუ „გაფითრე-
ბის რეაქციას“, მაშინ როდესაც მაცესტის (გოგირდწყალბა-
დიანი) და ნარზანის (ნახშირორჟანგიანი) აბაზანებს თან სდევს
კანის ჰიპერემია — „წითელი რეაქცია“. კანის გაფითრება
აიხსნება რადიუმის ემანაციის ზემოქმედების შედეგად კანის
კაპილარების შევიწროებით.

წყალტუბოს წყლის დადებით თავისებურებად უნდა ჩი-
თვალოს აგრეთვე ის, რომ იგი თავის ქიმიურ შედგენილობაში
არ შეიცავს ტოქსიკურ (მომწამლავ) ელემენტებს; წყალტუ-
ბოს აბაზანა არ იწვევს ორგანიზმში მკვეთრ ცვლილებებს და
ავადმყოფის ზედმეტ დაღლას, პირიქით, იგი გამოირჩევა ნაზი
მოქმედებით; წყალტუბოს აბაზანები აღნიშნული თვისების
გამო ზოგჯერ ავადმყოფს ენიშნება დღეში ორჯერ და ადვილი
ასატანია როგორც ახალგაზრდა, ისე ღრმა მოხუცებულობის
ასაკში. ეს თვისება დიდ უპირატესობას აძლევს წყალტუბოს

სხვა სახელგანთქმული კურორტების გოგირდწყალბადიანი და ნახშირბადავად წყლების აბაზანებთან შედარებით (მაცესტა, ტალგი, კისლოვოდსკი, არზნი და სხვ.), რომლებიც ხშირად იწვევენ ორგანიზმში მკვეთრად გამოხატულ ცვლილებებს და ძლიერ დაღლას; რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ წყალტუბოს აბაზანა განურჩეველია ავადმყოფისათვის და ის შეიძლება დაენიშნოს მას სათანადო საექიმო კონტროლს გარეშე; იგი იწვევს ორგანიზმში მთელ რიგ მეტად საგულისხმო ცვლილებებს და საპასუხო რეაქციას, რომელიც გამოვლინდება ე. წ. ბალნეორეაქციის სახით — სახსრების ან სხვა ტკივილებს, გულისცემის აჩქარებას, სიმძიმის შეგრძნებას გულის არეში, უძილობას, ნერვულობას და სხვ., რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესებად. ასეთი რეაქცია, ჩვეულებრივ, იწყება 4—5 აბაზანის შემდეგ, გრძელდება 2—3 დღე და მთავრდება მდგომარეობის გაუმჯობესებით. წყალტუბოს წყალი ფართოდ გამოიყენება აგრეთვე გინეკოლოგიური შესხურების სახით, სასმელად (კუჭის წყალი), საინჰალაციოდ და სხვ. სასმელად წყალტუბოს წყალი ენიშნებათ ძირითადად შეკრულობის (ყაბზობის) დროს — დღეში 3—4 ჭიქა. წყალტუბოს აბაზანები ენიშნებათ დაავადებისა და ინდივიდუალური მდგომარეობის მიხედვით დღეში ერთი ან ერთნახევარი 15—20 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსს შეადგენს 20 დღის განმავლობაში ბუნებრივი ტემპერატურის 20—30 აბაზანა.

უკანასკნელი წლების მეცნიერული დაკვირვებით, მთელი რიგი დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა ჰიპერტონიული, გინეკოლოგიური დაავადებანი პერიფერიული ნერვული სისტემის მოშლილობა და სხვ.) დროს დღეში ერთჯერადი აბაზანა უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე ორჯერადი.

აბაზანები ენიშნებათ არა უზმოზე ან მაძლარ კუჭზე, არამედ მსუბუქი საუზმის შემდეგ ან სადილობიდან არა უადრეს 2—2½ საათისა. აბაზანის მიღების შემდეგ ავადმყოფი ისვენებს 15—30 წუთი.

წყალტუბო საკავშირო მნიშვნელობის კეთილმოწყობილი კურორტია, მას აქვს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესე-

ბულებათა, ფართო ქსელი, რომელიც მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

მკურნალობის ჩვენებები: 1) მოძრაობის ორგანოთა ქრონიკული დაავადებები: ა) ქრონიკული ართრიტები — რევმატული (ბუიოს დაავადება) ინფექციური, ენდოკრინული, ტრავმული, ბ) ძვლების, კუნთების და მყესების დაავადებები (მიოზიტი, ბურსიტი, ტენდოვაგინიტი, კონტრაქტურა, ოსტიტი, პერიოსტიტი, ძვლის მოტეხილობა ცუდად განვითარებული და მტკივნეული ძვლის კორძებით;

2) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (წყალტუბოსათვის ნაჩვენებ სხვა დაავადებებთან კომბინირებული):

ა) მიოკარდიოდისტროფია, მიოკარდიტი, კარდიოსკლეროზი, სარქველების მანკები, სისხლძარღვთა დაავადებები — ზოგადი ათეროსკლეროზი სისხლის მიმოქცევის მსუბუქი ან საშუალო ხარისხის უკმარისობით, თრომბოფლებიტის ნარჩენი მოვლენები მწვავე და ქვემწვავე მოვლენებიდან 2—3 თვის შემდეგ, ჰიპერტონიული დაავადება.

3) ნერვული სისტემის დაავადებები: ა) პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები — რადიკულიტი, ნევრიტი, პლექსიტი, ნევრალგია, ბ) ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები — ვეგეტონევროზი.

4) ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებები: მეტროენდომეტრიტი, აღნექსიტი, ცერცვიციტი, კოლპიტი, პარამეტრიტი, საკვერცხეების ფუნქციის უკმარისობა.

5) ნივთიერებათა ცვლის დაავადებები: პოდაგრა, სიმსუქნე, დიაბეტი.

6) კანის ქრონიკული დაავადებები: ფსორიაზი, სკლეროდერმიის დასაწყისი ფორმები, ნეიროდერმიტი, პიოდერმიტი, ქრონიკული ეგზემა.

წინააღმდეგჩვენებები: ტუბერკულოზის ყველა ფორმა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში (II და III სტადია ლანგის მიხედვით), ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებები, ეპილეფსია, ფსიქოზი, ისტერია, ავთვისებიანი სიმსივნე, ყველა სახის დაავადება მწვავე პერიოდში.

ამჟამად წყალტუბოში მოქმედებს 20-ზე მეტი სანატორი-



უმი, აგრეთვე პანსიონატები — სასტუმრო „თბილისი“
 რორტის ორი პოლიკლინიკა, 9 სააბაზანო შენობა, აგრეთვე
 კერძო სექტორიდან იჯარით აღებული ოთახები 1500 საწო-
 ლამდე, რომლებიც განკუთვნილია ამბულატორიული ავად-
 მყოფებისათვის. ეს ავადმყოფები ბალნეო-ფიზიოთერაპიულ
 მკურნალობას ღებულობენ საერთო წესით, ხოლო იკვებებიან
 პანსიონატების დიეტ-სასადილოებში და აგრეთვე სანატო-
 რიუმ „რიონის“ სასადილოში.

გარდა ამისა, კურორტზე მშენებლობის პროცესშია მთელი
 რიგი სანატორიუმები და პანსიონატები.

სანატორიუმებს შორის აღსანიშნავია „დრუჟბა“ — 600
 საწოლით, „შახტიორი“ — 350 საწოლით, „ველენოდოროფ-
 ნიკი“ — 300, სსრკ თავდაცვის სამინისტროს—500, „მეტა-
 ლურგი“—225, „წყალტუბო“—100, ბავშვთა სანატორიუმი—
 60 საწოლით, სარეწაო კავშირის—100, საქ. უშიშროების სამი-
 ნისტროს სანატორიუმი — 100, საქართველოს ჯანდაცვის სა-
 მინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუ-
 ტის ფილიალი — 100 საწოლით და სხვ.

სანატორიუმები უზრუნველყოფილია დიაგნოსტიკური და
 სამკურნალო ობიექტებით (ლაბორატორიები, რენტგენკაბი-
 ნეტები, ფიზიოთერაპიულ და ფიზკულტურის განყოფილებე-
 ბი და კაბინეტები), კლუბებით, ფიზკულტურის მოედნებით,
 ბიბლიოთეკებით, კინოთეატრით და სხვა დამხმარე დაწესე-
 ბულებებით.

საექსკურსიო თვალსაზრისით საინტერესო ადგილებიდან
 ყურადღების ღირსია 11 კმ მანძილით დაშორებული ქ. ქუ-
 თაისი. ეს ქალაქი მეორეა საქართველოში თავისი მნიშვნელო-
 ბით. — ყოფილი იმერეთის სამეფოს სატახტო ქალაქია, დღეს
 დასავლეთ საქართველოს კულტურული და სამრეწველო ცენ-
 ტრია. მის ტერიტორიას ჭრის მდინარე რიონი, რომელიც
 თავისი სიდიდით აგრეთვე მეორეა საქართველოში.

ქუთაისში ჩვენს დრომდე შენარჩუნებულია ბაგრატის
 ტაძარი, რომელიც აშენებულია მე-11 საუკუნეში და წარმო-
 ადგენს ძვირფას არქიტექტურულ ძეგლს.

ქუთაისთან დაკავშირებულია ცხოვრება და მოღვაწეობა
 აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, დავით კლდიაშვილის

ნიკო ნიკოლაძის, ზაქარია ფალიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასი და სხვათა.

ტურისტებისათვის ღირსშესანიშნავ ობიექტს წარმოადგენს საშა წულუკიძის სახელობის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

წყალტუბოდან 43 კმ მდებარეობს რაიონის ცენტრი ბაღდადი — ამჟამად მაიაკოვსკი; სახლში, სადაც დაიბადა მაიაკოვსკი, მოწყობილია პოეტის მუზეუმი. მაიაკოვსკიდან გზა გრძელდება ბალნეოკლიმატურ კურორტ საირმემდე, რომელიც ცნობილია უპირატესად, როგორც ბალნეოთერაპიული უროლოგიური კურორტი. წყალტუბოდან 10 კმ დაშორებულია ნაკრძალი სათაფლია სტალაქტიკის გამოქვაბულებით. პირველ გამოქვაბულში გადის წყარო, რომელიც სათავეს იღებს ჩამქრალი ვულკანიდან და ერთვის მდ. გუბისწყალს — ამ წყაროს მიაწერენ აღნიშნული გამოქვაბულის წარმოშობას. ამავე ტერიტორიაზე აღმოჩენილია (1938) თიხა-მერგელოვან ქანებზე უძველესი დროის ცხოველის დინოზავრების ნაკვალევი. ნაკვალევის სიმრავლით სათაფლიას მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო საბჭოთა კავშირში — პირველი.

წყალტუბოდან 23 კმ მანძილზე გელათის მონასტერია თანამოსახელე ნაკრძალით. მონასტერი აშენებულია მეფე დავით აღმაშენებლის მიერ 1106 წ., ხოლო მშენებლობა დამთავრებულია მისი ვაჟის დიმიტრის მეფობის ხანაში 1130 წელს. მონასტერი საქართველოს საშუალო საუკუნეების ერთ-ერთ საინტერესო არქიტექტურის ძეგლს წარმოადგენს. აქ, დიდი ტაძრის გარდა, დარჩენილია გელათის აკადემიის ნანგრევები, აქვეა დავით აღმაშენებლის საფლავი.

გელათის აკადემია წარმოადგენდა იმ დროს საქართველოს მეცნიერული და კულტურული მნიშვნელობის ცენტრს.

წყალტუბოს ახლომახლო საექსკურსიო ადგილებიდან უნდა მოვიხსენიოთ გორდი — სამეგრელოს მთავარის თავადი დადიანების საზაფხულო რეზიდენცია, რომელიც წყალტუბოდან 12 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 650 სიმაღლეზე მდებარეობს. აქ დღესაც დარჩენილია დადიანების სასახლე მდიდარი ბაღით. აქედან იშლება თვალწარმტაცი ხედი კოლხეთის დაბლობზე, შავი ზღვის სანაპიროზე, მოჩანს ზღვაც.

(მთის ბალნეოკლიმატური კურორტი)

საირმე მაიაკოვსკის (ყოფ. ბაღდადის) რაიონშია, სარაიონო ცენტრის ქ. მაიაკოვსკიდან 25, ქ. ქუთაისიდან 55 კმ დაშორებით.

კურორტი მდებარეობს მდ. წაბლარისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 900—950 მ სიმაღლეზე, მდ. წაბლარისწყალი, რომელიც კურორტის ტერიტორიას შუაგულში ჩამოედის, სათავეს იღებს აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილოეთ-დასავლეთის კალთაზე. იგი მრავალრიცხოვან შენაკადს იერთებს და ქმნის თვალწარმტაც ხეობას.

მთების კალთები დაფარულია საუკუნეობრივი წიწვიანი ტყით, რომელშიც სჭარბობს ნაძვი და სოჭი. ტყეების მიღმა 8—10 კმ იწყება აჭარა-იმერეთის ქედის ალპიური მდელოები, რომლის იქით გადაშლილია კავკასიონის მთავარ ქედზე ახალციხე-ახალქალაქის პლატო, რიონის ჭალა და მწვერვალები (დიდმაღალი), 2585 მ, მენისწყარო, 2848 მ და ა. შ.

1945 წლამდე კურორტი საირმე ძნელი მისასვლელი იყო. ნახევარზე მეტი მანძილი ქ. მაიაკოვსკისა და საირმეს შორის საჩალანდრო ბილიკებით უნდა გაევიდნო. დღეისათვის ქ. ქუთაისიდან კურორტ საირმემდე შეიძლება მგზავრობა ავტომანქანით. სხვა საინტერესო გზებიც არის ტურისტული თვალსაზრისით. ვინაიდან ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტ სულორზე (ყოფილი დვალიშვილები), აჭარა-იმერეთის ქედზე (უღელტეხილი 2000 მ ზღვის დონიდან) და აბასთუმან-საირმე ქუთაის-აბასთუმნის გზატკეცილით ზეკარის უღელტეხილზე.

კურორტი საირმე ხასიათდება საშუალო სიმაღლის ზონის თბილი და ზომიერად ტენიანი მთის კლიმატით; აქ იცის რბილი ზამთარი, გრილი ზაფხული მუდმივ მოქმედი მთა-ველის ქარებით. ქარები განაპირობებენ ჰაერის ვენტილაციას. ტემპერატურა ყველაზე ცივი თვეები იანვარში — 0,8°, ყველაზე თბილი თვეში — 17,2° აღწევს. კურორტის ტერიტორიაზე შემოჯარული მთები იცავენ მას გარედან ძლიერი ატმოსფერუ-

ლი დინების შემოჭრისაგან. მეტეოროლოგიური ელემენტების საერთო კომპლექსით იქმნება კლიმატური პირობები, რომლებიც შეეფერება პირველ კლასის მთის კლიმატურ სადგურს, რაც ხელს უწყობს მთელი რიგი დაავადებების ეფექტურ კლიმატოთერაპიას.

კურორტ საირმეს ძირითად სამკურნალო ფაქტორს მაინც შეადგენს არა კლიმატი, არამედ მისი მინერალური წყლები.

საირმეს მინერალურ წყლებს 60 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. საირმე ე. ი. ირმების ადგილი — ზამთარში ტყეებიდან საირმეს წყლებთან ჩამოდინდნენ ირმები და შვლები, მონადირეები ერთიანად სპობდნენ მათ, ეს კეთილშობილი ცხოველები ახლა ამ რაიონში თითქმის გადაშენდნენ.

საირმეს წყაროებიდან პირველად მიაგნეს (მწყემსმა გაბედავამ) № 3 წყაროს; ათი წლის შემდეგ (1899) ახლომდებარე სოფელ ზეგანის მცხოვრებმა (ი. გორგოძე) აღმოაჩინა № 1 წყარო; ხოლო შემდეგ კი — № 2 წყარო.

საირმე შორეულ წარსულში დასახლებული ადგილი ყოფილა, რასაც ადასტურებს სიძველის ძეგლები როგორც მის შემოგარენში, ასევე მისკენ მიმავალ გზაზე ეკლესიების, ციხესიმაგრეების, სარდაფების, ღვინის მარნების ნანგრევების სახით და ა. შ.

მინერალური წყლის პირველი ქიმიური ანალიზი ჩატარდა პეტერბურგში 1912 წ. სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორის ცვეტის მიერ; მისი დასკვნით, „საირმის წყალი თვისობრივად ნარზანზე მალლა დგას“.

1932 წლიდან საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იწყებს კურორტის სამკურნალო ფაქტორების შესწავლას. ამ დროიდან რამდენიმე წელიწადს საირმეში ზედიზედ იგზავნებოდა სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია.

1934 წ. საირმეში დაიწყო ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები. ჭაბურღილის საშუალებით მიღებულ იქნა მინერალური წყალი ძირითად ტიპებთან შედარებით საგრძნობლად მეტი მინერალიზაციით, კალციუმის ნაკლები შემადგენლობით. სამი მინერალური წყაროდან, რომელთაც კურორტის რაიონში ჰპოვეს ბუნებრივი გამოსავალი დედამიწის ზედაპირზე, ყვე-

ლაზე მძლავრია № 3, 4, 5 წყარო საერთო მინერალიზაციით 3, 2 გ/ლ, შემდეგ მოსდევს № 1 წყარო. ეს ის წყაროებია, რომელთა მინერალური წყლების ექსპლუატაცია ხდება თავიდანვე ჩამოსხმით. ქიმიური შემადგენლობით სამივე წყაროს წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა—ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიან წყლების ჯგუფს, ჰაბურდილის წყალი (№ 4) კი ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიან წყლებს (ბორჯომის ტიპისა) მნიშვნელოვნად მეტი საერთო მინერალიზაციით (9,0 ლიტრზე).

№ 3 წყაროს მინერალური წყლის ბალნეოლოგიური ფორ-

$$\text{HCO}^3_{86}$$

 მულა გამოიხატება ასე: $\text{CO}^2_{1,2M3,2}$ $\frac{\text{Na}50\text{Ca}30}{\text{T } 10,5}$

აღნიშნული წყაროების გარდა, საირმის მინერალური წყალი პოულობს გამოსავალს მრავალრიცხოვან წვრილი წყალქვეშა გრიფონების სახით მდ. წაბლარისწყლის კალაპოტში.

საირმის მინერალური წყლების მთელი რიგი ფიზიკურ-ქიმიურ გამოკვლევებით, რომლებიც ჩატარებულია კურორტზე და კურორტის გარეთ სხვადასხვა დროს, დადგინდა, რომ იგი ტრანსპორტირება-გადაზიდვისას და შენახვისას არსებით ქიმიურ ცვლილებებს არ განიცდის.

თავისი ქიმიური შემადგენლობით საირმის ბუნებრივი წყაროების მინერალური წყალი წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილ ვილდუნგენის (გერმანია) წყლის ანალოგს, ასევე იგი ემსგავსება ჟელეზნოვოდსკის სმირნოვის წყაროს მინერალურ წყალს. საქართველოში ანალოგიური მინერალური წყლები სხვა ადგილებშიც მოიპოვება (მუაში, ნაბელლავი, ვაჟასწყალი, ლებარდე, ბორჯომის რაიონში და სხვ.).

მეცნიერული დაკვირვება სწარმოებდა როგორც ადგილობრივად წყაროების თავზე — ბიუვეტებთან მიღებულ წყალზე, ასევე კლინიკის პირობებში, ქ. თბილისში ბოთლის წყალზე.

დადგინდა საირმის მინერალური წყლის კეთილი გავლენა დიურეზზე, კუჭის სეკრეციულ-ევაკუაციურ ფუნქციებზე, აგრეთვე მთელ რიგ დაავადებათა მიმდინარეობაზე (პიელიტი, ცისტიტი, თირკმლის კენჭოვანი დაავადება, ქრონიკული გასტრიტი, წყლულოვანი დაავადება, ჰეპატო-ქოლეცისტიტი, ნევთიერებათა ცვლის მოშლა და სხვ.).

სუბიექტურად და ობიექტურად გამოხატულია დადებითი თერაპიული შედეგები საირმის მინერალური წყლის გამოყენებისას ანთებითი პროცესების დროს ქრონიკული გასტრიტის, ენტეროკოლიტის, ქოლეცისტიტის, პიელიტისა, ცისტიტის და სხვა კატარული მოვლენებისას, რაც მთავარია დიურეზის გაძლიერებით.

ეს ძნელი ასახსნელი არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში მის ანტიკატარულ, ტკივილებგამაყუჩებელ, ლორწოს გამსხნელ მოქმედებას. იგი ათავისუფლებს ამა თუ იმ ორგანოების გარსებს ლორწოსაგან.

დიურეზის გაძლიერება ხელს უწყობს ლორწოვანი გარსის გაწმენდას ლორწოსთან ერთად მცირე კონკრემენტებისაგან, რომლებიც, როგორც გარეშე სხეულაკები, თავისთავად ხელს უწყობენ მარილების დალექვას და კენჭების წარმოშობას.

საშარდე გზების დაავადებისას საირმეს მინერალური წყალი გამოიყენება ერთიდან ერთნახევრამდე და ორ ლიტრამდე. კუჭ-ნაწლავთა დაავადებისას კი ეს წყალი ავადმყოფმა უნდა მიიღოს 1—1,5—2 ჩაის ჭიქა სამჯერ დღეში, ამასთან სხვადასხვა დროს კუჭის წვენის სიმჟავიანობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მომატებული მჟავიანობის დროს (შემთბარი) 1—1½ საათით ადრე საჭმლის მიღებამდე, ხოლო დაქვეითებული მჟავიანობისას — საჭმელთან ერთად ან 10—5 წუთით ადრე ჭამამდე.

საირმეს მინერალურმა წყალმა სახელი გაითქვა მთელ საბჭოთა კავშირში. საირმე დღეს ერთადერთი კურორტია ამკარად გამოხატული უროლოგიური პროფილით.

საირმეში ამოქმედდა სანატორიუმი 100 საწოლით, ორი პანსიონატი 400 საწოლით, დასასვენებელი სახლი, სასტუმრო, რესტორანი, მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა, შენდება 16-სართულიანი კურზალის შენობა.

ჩვენებანი: I. თირკმლების დაავადებანი: თირკმელ-კენჭოვანი დაავადება, ქრონიკული პიელიტი და პიელოცისტიტი.

II. კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებანი — ქრონიკული გასტრიტი, უმთავრესად ნორმალური ან მომატებული მჟავიანობით კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლული, ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი

წყულლოვანი ან (ამებურის გამოკლებით), ღვიძლისა და სანაღვლე გზების სხვადასხვა ეტიოლოგიის ქრონიკული ანთებითი დაავადებანი, ჰეპატიტი, ქოლევცისტიტი, ჰეპატოქოლევცისტიტი, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება (თუ საოპერაციო არ არის).

III. ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი: შარდმევა დაითევი, ოქსალურია და დიაბეტის მსუბუქი ფორმა.

სეზონი: 15 ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე.

კურორტი შოვი

(მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი)

შოვი და უწერა ტერიტორიული სიახლოვის გამო შეადგენს ერთ საკურორტო-სამკურნალო კომბინატს. აქ შესანიშნავად შერწყმულია კლიმატური და ბალნეოლოგიური პირობები.

შოვი მდებარეობს ზემო რაჭაში, ქ. ქუთაისიდან 146 კმ. მანძილზე მამისონის უღელტეხილიდან სამხრეთით 16 კმ-ია, სიმაღლე ზღვის დონიდან 1600.

შოვიდან მიმავალი მთავარი გზა ქუთაისიდან ზევით მდ. რიონის ხეობაზე გადის, გადასჭრის რაიონულ ცენტრს ქ. ონს, გვერდს აუვლის კურორტ უწერას და მიგვიყვანს შოვის ტერიტორიაზე. შემდეგ უფრო მაღლა მამისონის უღელტეხილია, გზა ეშვება ჩრდილოეთ კავკასიაში. თვალწინ იშლება ბუნების ულამაზესი პანორამა. ისტორიული ძეგლებიც უხვადაა ამ ადგილებში, რომელიც მდიდარია აგრეთვე ტურისტული მარშრუტებით.

კურორტ შოვის ტერიტორია და ირგვლივ შემოჯარული მთები, რომლებიც დაფარულია წიწვიანი ტყეებით, მუდმივი თოვლით დაფარული მისი მწვერვალები ამდიდრებენ კურორტს ანარეკლი ულტრაიისფერი რადიაციით.

კავკასიონის მთავარი ქედის შტო, რომლის სამხრეთის კალთაზე გაშლილია შოვი, მჭიდროდ ებჯინება კურორტს ჩრდილოეთის მხრიდან და იცავს მას ჩრდილოეთის ცივი ჰაერის უშუალო ზეგავლენისაგან.

შოვის კლიმატი, მისი ჰაერის გამჭვირვალობა, ზომიერი

ტენიანობა, მზის რადიაცია, კარგი ვენტილაცია, სითბოს საკმაო ბალანსი, ამასთან დიადი ბუნება შოვს პირველ ხარისხის კლიმატურ სადგურად აქცევს. ზამთრის კლიმატური პირობები, თოვლის მუდმივი საბურველი, მაღალი ინსოლიაციით და საკმაო სითბოს ბალანსი, აი როგორ შეიძლება დახასიათდეს შოვი, ყველაზე ცივი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურაა — $5,8^{\circ}$, ხოლო ყველაზე თბილისა (ივლისი) — $15,7^{\circ}$.

შოვი თავისი ბუნებრივი სამკურნალო თვისებებით წარმოადგენს არა მარტო მაღალხარისხოვან კლიმატურ კურორტს, მისი ტერიტორიის მიწის ზედაპირზე გამოდის დღემდე გამოვლინებული და გამოკვლეული მინერალური წყლების 13 წყარო მნიშვნელოვანი დებიტით.

წყლები ფიზიკურ-ქიმიური მონაცემებით და საერთო მინერალიზაციით ძირითადად შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს.

I ჯგუფს ეკუთვნის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმის წყლები — № 1, 2 და II წყაროები, აქედან შეიძლება გამოიყოს № 1 წყარო რკინის მნიშვნელოვანი ნარევით (0,0099 ლიტრზე).

დადგენილია შოვის საკურორტო ფაქტორის კეთილი გავლენა სისხლის შემადგენლობაზე, ფილტვებისა და ჯირკვლების ტუბერკულოზით დაავადებულებზე და აგრეთვე ნერვულ სისტემის ფუნქციური დაავადების დროს.

შოვის წყაროების მინერალური წყლები პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში კუჭის და ნაწლავების, ღვიძლის, ნაღვლის და საშარდე გზებისა და სხვათა მკურნალობის დროს.

კუჭისა და ნაწლავების დაავადებებისას მინერალური წყალი ენიშნებათ კუჭის წვენის მეჯვინობის გათვალისწინებით: მაღალი მეჯვინობის დროს 1—1,5—2 ჩაის ჭიქა სამჯერ დღეში 1—1 $\frac{1}{2}$ საათით ადრე ჭამამდე, შემთბარი ($30—35^{\circ}$) და დეგაზირებული; ხოლო დაქვეითებული მეჯვინობისას — ბუნებრივი სახით 1,5 ჩაის ჭიქა საჭმელთან ერთად ან ჭამამდე 10 წუთით ადრე.

შოვი ღირსშესანიშნავია ერთდროულად როგორც მაღალხარისხოვანი კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ შოვი უწინარეს ყოვლისა კლიმატური კურორტია და იქ უნდა გაიგზავნონ პირ-

ველ რიგში ავადმყოფები, რომლებიც კლიმატით მკურნალობას
საჭიროებენ და ერთდროულად მინერალურ წყლებსაც მი-
იღებენ.

შოვი საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. ოთხი-ხუთი ათე-
ული წლის წინათ კურორტის ტერიტორია გაუვალი ტყეებით
იყო დაფარული.

სამკურნალო-პროფილაქტიკური საკურორტო დაწესებუ-
ლებების ქსელიდან აღსანიშნავია ორი პანსიონატი, № 1
სანატორიუმი — 100, და სანატორიუმი № 2 — 50 საწოლით,
დასასვენებელი სახლები, პოლიკლინიკა სამკურნალო დიაგ-
ნოსტიკური კაბინეტებით და აეროსოლარით, სასტუმრო, დიე-
ტური სასადილო, წყალსადენი, ელექტროსადგური, ფოსტა-
ტელეგრაფი, ტურბაზა და საკურორტო მნიშვნელობის სხვა
ობიექტები.

ჩვენება: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური
დაავადებანი: ქრონიკული ბრონქიტი, ტრაქეიტი, მშრალი
პლევრიტი და პლევროპნევმონიის ნარჩენი მოვლენები, ბრონ-
ქული ასთმის არამძიმე ფორმები, ფილტვების სუსტად გა-
მოხატული ემფიზემა, მეორადი სისხლნაკლებობა, ნევრასთე-
ნიის მსუბუქი ფორმები, უმადობა, გადატანილ ავადმყოფობა-
თა შემდეგ რეკონვალესცენციის მდგომარეობა, კუჭ-ნაწლავის
ტრაქტის ქრონიკული დაავადებები, ქრონიკული გასტრიტი,
კოლიტი (ქოლეცისტიტი); შარდგამტარი გზების ქრონიკული
ანთება, კუჭ-ნაწლავის დაავადება ნაჩვენებია, როგორც ძი-
რითადი დაავადების თანამგზავრი.

ტუბერკულოზის ჭირკვლოვანი და პლევრული ფორმები
გამოხატული ინტოქსიკაციის გარეშე, გადატანილი პლევრი-
ტის ნარჩენი მოვლენები; პერიფერიული ლიმფური ჭირკვლე-
ბის ტუბერკულოზი.

სეზონი: 15 ივნისიდან 15 ოქტომბრამდეა.

კურორტი უწერა

(მთის ბალნეოკლიმატური კურორტი)

კურორტი უწერა მდებარეობს ონის რაიონში 1042 მ სი-
მაღლეზე ზღვის დონიდან.

კურორტის ტერიტორია მდ. რიონის ხეობაში ქალაქ ქუთაისიდან 130 კმ დაშორებული; მის ზევით მამისონის უღელტეხილის მიმართულებით 16 კმ მანძილზე მაღალმთიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი შოვია (1600 მ და მეტი ზღვის დონიდან). ოსეთის სამხედრო გზა, რომელიც მიმართება ქუთაისიდან უწერისაკენ, ჭრის კურორტის ტერიტორიას და შემდეგ კურორტ შოვსა და მამისონის უღელტეხილზე გავლით გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში.

უწერა პატარა სოფელია (250 კომლი), შედის თანამოსახელებ სოფლის საბჭოში. კურორტი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე გაშლილი კურორტის განკარგულებაშია უმნიშვნელო საბინაო ფონდი — ამის გამო სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფები ძირითადად თავსდებიან კოლმეურნეთა სახლებში.

უწერას აქვს კოლბერაციაული სავაჭრო და სასაღილო.

კურორტის გარშემო მთის საძოვრები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მესაქონლეობისათვის, კურორტი უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი რძის ნაწარმით და ხორციით.

უწერაში არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სამკითხველო, წიგნის მაღაზია, საშუალო სკოლა, აფთიაქი.

1938 წელს უწერაში აშენდა კურორტის პოლიკლინიკა, მის შენობაში მოთავსდა აფთიაქი, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია და ძირითადი კაბინეტები. პოლიკლინიკა კარგ დახმარებას უწევს ავადმყოფებს, დამსვენებლებს და ადგილობრივ მოსახლეობასაც.

კურორტი მოთავსებულია მთავარ კავკასიონის სისტემაში შემავალი შიდა კედლის ქედის სამხრეთ კალთებზე. ქედი დაშორებულია უწერისაგან ჩრდილოეთ მიმართულებით 40 — 50 კმ და იცავს კურორტს არქტიკული ცივი ჰაერის მასებისაგან.

კურორტის ტერიტორია სიგრძით 1 კმ, სიგანით კი დაახლოებით 1/2 კმ. ტერიტორია მდ. რიონის მარცხენა მხარეზე გადადის უზარმაზარ მთაგრეხილებზე, რომლებიც დაბურულია წიწვიანი ტყეებით, ხოლო მდ. რიონის მარჯვენა მხარეს კი კურორტს აკრავს შერეული ტიპის წიწვიან-ფოთლოვანი ტყეები, რომელთა იქით მოჩანს მუდმივი თოვლით დაფარული უმაღლესი მთის მწვერვალები, რაც ამდიდრებს

კურორტს ანარეკლი ულტრაიისფერი ინსოლაციით და იზი-
დავს ტურისტებისა და ექსკურსანტების ყურადღებას.

უწერის ჰავა ხასიათდება იზონირებული ჰაერით, უხვი ინ-
სოლაციით (2200—2300 საათი წლის განმავლობაში),
ღრუბლიანი და წვიმიანი დღეების სიმცირით, ჰაერის ზომიერი
მოძრაობით, რაც უზრუნველყოფს კურორტის ტერიტორიის
სათანადო ვენტილაციას და ჰაერის ზომიერ ტემპერატურას
ზაფხულის თვეებში (ზაფხულის საშუალო ტემპერატურა
მერყეობს 18°-ის, — საშუალო წლიური ტემპერატურა კი—
9°-ის ფარგლებში, ყოველივე ამის და აგრეთვე მშრალი
ზომიერი ზაფხულის სითბოს ბალანსის, თბილი ხანგრძლივი
შემოდგომის გამო უწერა მაღალხარისხოვანი მთის კლიმატუ-
რი კურორტია.

უწერა თავისი სამკურნალო წყლებით შორეულ წარსული-
დანვე იპყრობდა ახლო მოსახლეობის ყურადღებას.

ცნობილი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, ასევე აკადე-
მიკოსი გიულდენშტედტი აღნიშნავენ უწერაში „სასუნებელი
მიწის“ არსებობას და მის სამკურნალოდ გამოყენებას.

უწერაში დღესაც მკავე წყლის მახლობლად მიწიდან ამო-
დის თავისებური სუნის გაზი. წინათ მის სასუნთქებლად აუა-
რებელი ხალხი ჩამოდიოდა.

უწერაში მდ. რიონზე გადასასვლელ ხიდთან არის ერთი
ადგილი, რომლის ახლომახლო მცენარე ვერ ხარობს. მიწი-
დან ამოდის გაზი. ადგილობრივ მცხოვრებლებს აქ ხშირად
უნახავთ მკვდარი ფრინველი; გადმოცემით ცნობილია, რომ
თუ ამ მიწასთან რომელიმე ფრინველი მიფრინდა, იგი აუცი-
ლებლად დაიღუპება.

ძველად საქართველოში განთქმულ სამკურნალო წყლებს
შორის ერთ-ერთ პირველს იხსენიებდნენ უწერის სამკურ-
ნალო წყლებს.

ისტორიული ძეგლებიდან უწერაში აღსანიშნავია კურორ-
ტის დასასვენებელ ეზოში თამარ მეფის დროინდელი ეკლე-
სიის ნანგრევები; მდ. რიონის მარცხენა მხარეს, მინერალური
წყლის სამხრეთით ნახევარ კილომეტრის მანძილზე, მთის
მწვერვალზე ლამაზი წიწვიანი ხეებით გარშემორტყმული ძვე-

ლი კოშკის ნანგრევებია, რომელსაც აგრეთვე თამარ მეფის სახელს უკავშირებენ.

კურორტ უწერის ზონაში სულ აღრიცხულია 18-მდე მინერალური წყარო: მინერალური წყაროების გამოსასვლელებია მდინარე რიონის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეზე. ამ წყაროების ნაწილი აღრიცხულია უწერას ქვემოთ, მდ. რიონის შენაკადთა ხეობებში ქ. ონის მიმართულებით.

თავიანთი ქიმიური შემადგენლობით მდ. რიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის მინერალური წყლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

რიონის მარცხენა ნაპირის მინერალური წყაროებიდან მთავარია №1 წყარო, ეგრეთწოდებული „გვერიტა“ ან კუშის წყალი (ყოფ. გამყრელიძის წყარო). ეს ის წყაროა, რომელმაც პირველმა მოუპოვა უწერას კურორტის სახელი. ამ წყაროს გამოსავალი მდებარეობს ხვარის მთის ფერდობზე ზღვის დონიდან 1080 მ სიმაღლეზე. მინერალური გაზიანი წყალი ამოდის კლდიდან თავისებური გრიალით და გროვდება გათლილ ქვის აუზში, საიდანაც მომხმარებლები ონკანის საშუალებით ღებულობენ წყალს. წყარო თავისი აუზით მოთავსებულია დახურულ ქვის შენობაში, რომლის გვერდით აგებულია ფარდული მერხებით. აქ ავადმყოფები ღებულობენ წყალს და თან ისვენებენ. კურორტის საცხოვრებელი ბინებიდან №1 წყარომდე 10 — 12 წუთის სავალია. მდ. რიონის ხიდზე გასვლისთანავე წყაროსაკენ შეუყვებით ბილიკს, გზადაგზა ჩადგმულია მერხები დასასვენებლად.

უწერის მინერალური წყაროები, მათ შორის უწერის №1 წყაროს წყალი კლასიფიკაციის მიხედვით (პროფ. ალექსანდროვი) ეკუთვნის ნახშირმეყავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან წყლების ჯგუფს. მინერალიზაციის წამყვანი ელემენტებია ჰიდროკარბონატი (HCO_3) ნატრიუმი (Na) და გაზებიდან — ნახშირმეყავა (CO_2).

უწერას №1 წყაროს წყალი მინერალიზაციით ყველა თავის ანალოგზე მაღლა დგას, მისი საერთო მინერალიზაცია აღწევს 9,99 მ/ლ მაშინ, როდესაც ბორჯომის მთავარი №1 წყაროს (ყოფ. ეკატერინეს) წყლის მინერალიზაცია უდრის 6,0, ვიშის — 4-4, ნაბეღლავის — 7,8, საირმის (ბურღი-

ლი №4) — 9,0 უწერის №1 წყაროს წყალი საგრძნობი რაოდენობით შეიცავს თავისუფალ ნახშირმჟავა გაზს (1,1 ჰლიტრში).

მეორე ჯგუფის წყაროების წყლები, მიუხედავად მათი შედარებით სუსტი საერთო მინერალიზაციისა, შეიცავენ დიდი რაოდენობით ნახშირმჟავა გაზს (CO_2), აქტიურ რკინას (Fe_2O_3), ჰიდროკარბონატ იონს (HCO_3), კალციუმს (Ca), ზოგიერთი მათგანი ამავე დროს შეიცავს ნატრიუმის (Na) მნიშვნელოვან რაოდენობას. ეს წყლები მიეკუთვნებიან ნახშირმჟავა-რკინის-ჰიდროკარბონატულ-კალციუმის წყლების ჯგუფს. ეს წყლები გამოყენებულია კურორტის ტერიტორიაზე არსებულ სააბაზანო შენობაში აბაზანების სახით.

უწერის ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის (ტუტე ნახშირმჟავა) წყლების მაღალი სამკურნალო ეფექტიანობა, განსაკუთრებით საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადების დროს, იმდენად იყო ცნობილი, რომ საფრანგეთის ერთ-ერთი საზოგადოება ცდილობდა 1913 — 14 წლებში ამ წყაროების იჯარით აღებას 45 წლის ვადით წყლის ჩამოსხმისა და საფრანგეთში ექსპორტის მიზნით.

უწერის მთავარ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მისი ძვირფასი მინერალური წყლები, ამიტომაც იგი ძირითადად ბალნეოლოგიური კურორტია.

უწერის მინერალური წყლით მკურნალობენ უმთავრესად საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებს, მათ შორის პირველ რიგში, კუჭის წვენის მომატებულ მჟავიანობით, განსაკუთრებით კი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკულ წყლულს. ამ შემთხვევაში მინერალურ წყალს ავადმყოფს აძლევენ შემთბარს 1.1,5 ჩაის ჭიქას დღეში სამჯერ ერთი საათით ადრე ჭამის წინ.

კუჭის სუბაციდური კატარის დროს, როცა კუჭის წვენის მჟავიანობა დაქვეითებულია, მინერალური წყალი ავადმყოფს უნდა მიეცეს იმავე რაოდენობით საჭმელთან ერთად ან 5 — 10 წუთით ადრე. კუჭის ნორმაციდური კატარის დროს უწერის მინერალური წყალი ეძლევათ 40 — 45 წუთით ადრე ჭამის წინ.

ლვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ანთე-
ბით დაავადებათა სამკურნალოდ უწერის მინერალური წყა-
ლი შეიძლება გამოყენებულ იქნას ისევე ფართოდ, როგორც
ამავე ტიპის სხვა ტუტე ნახშირმჟავა წყლებს (ბორჯომი, ვი-
ში, ნაბელავი და სხვ.) ვიყენებთ, რასაც საფუძვლად უდევს
ამ წყლების ნაღვლისმდენი, ანტიკატარული და გამომრეცხავი
მოქმედება.

უწერაში სამკურნალოდ ნაჩვენებ დაავადებებს ჩვეულებ-
რივ თან ახლავს სხვადასხვა ინტენსივობით გამოხატული მეო-
რადი ანემია, როგორც თანამგზავრი ან ზედდართული დაავა-
დება. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კურორ-
ტის მთის კლიმატის სპეციფიკურ გავლენას სისხლმბად ორ-
განოებზე. ამასთან, არა ნაკლებ საყურადღებოა კურორტის
რკინიანი ტუტე ნახშირმჟავა წყლები.

ჩვენებანი:

კუჭის ქრონიკული კატარი მომატებული ან ნორმალური
მჟავიანობით.

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული დაავადე-
ბა — წყლულოვანი (გამწვავებისა და სისხლდენის გარეშე).
ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი.

ლვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებანი:

ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების ქრონიკული ან-
თება.

ნაღველ-კენჭოვანი დაავადება, სანაღვლე გზების დახშობის
მოვლენების გარეშე.

ლვიძლის ანთებითი პროცესები.

საშარდე გზების დაავადებანი:

თირკმლების ფიალების, შარდსადინარებისა და შარდის
ბუშტის ქრონიკული ანთებითი პროცესები შარდის მჟავე
რეაქციის პირობებში. სხვა დაავადებები, როგორც ზემოთჩა-
მოთვლილ ძირითად დაავადებათა თანამგზავრი.

ქრონიკული ბრონქიტი, მშრალი პლევრიტი და ლიმფური
ჯირკვლების ანთებითი პროცესები (ლიმფადენიტი).

მეორადი სისხლნაკლებობა, ქლოროზი და მალარია.

ნევრასთენიის მსუბუქი ფორმები, ნევრალგია და ნევრიტი.

კურორტი მენჯი

(ბალნეოლოგიური კურორტი)

მენჯი მდებარეობს მდინარე ცივის ხეობაში, ქ. ცხაკაიადან 3 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 35—50 მ სიმაღლეზე, ეკის ქედი იწყება მენჯიდან ცოტა მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, იმ ადგილას, სადაც მიწის ზედაპირზე დღესაც ამოდის ნოქალაქევის მინერალური წყლები, მთის პლატოზე მოჩანს ძველი კოლხეთის დედაქალაქის აიას ნანგრევები. ბერძნული მითოლოგიით, აქ ცხოვრობდა კოლხეთის მეფე აიეტი, რომლის ქალიშვილმა მედეამ გადაარჩინა იაზონი და სხვა არგონავტები ოქროს ვერძის დარაჯის დრაკონის კლანჭებს.

სიტყვა „მენჯი“ მეგრულია და ნიშნავს მინერალურ წყაროს. მენჯი, ანუ მინერალური წყარო სამეგრელოს რაიონებში ბლომად მოიპოვება. ასეთებია მენჯი სკური, მენჯი ცაიში, მენჯი ლუგელა; კურორტ მენჯთან თავდება სამეგრელოს მთიანი ნაწილი, ეკის ქედით, რომელიც აქ ზღვის დონიდან 150 მ სიმაღლეზეა და იწყება კოლხეთის დაბლობი. მენჯში ტერიტორიას ჭრის ამიერკავკასიის რკინიგზა. მატარებელი ჩერდება ამავე სახელწოდების ბაქანზე. აქვე გადის რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზა, რომელიც აკავშირებს კურორტ მენჯს და ქ. ცხაკაიას სხვა რაიონებთან. აქედან გზატკეცილი მიდის მთის კლიმატურ კურორტ ლებარდეში, რომელიც ცნობილია ასწლოვანი წიწვიანი ხეებით, მინერალური წყლებით და მდიდარი ბუნებით.

მენჯის აბაზანებით წარმატებით მკურნალობამ სახელი გაუთქვა მის მინერალურ წყლებს.

1931 წლიდან იწყება მენჯის გეგმიანი შესწავლა და კურორტის კეთილმოწყობა — მშენებლობა.

1938 წლიდან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მენჯი ცხადდება რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად და გადადის მთავარ საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში. 1939 წელს გაიხსნა პირველი კეთილმოწყობილი სანატორიუმი 150 საწოლით, 1946 წელს — სააბაზანო. შენობა 28 ინდივიდუალური კაბინით, რამაც

შექმნა პირობები მეცნიერული მუშაობისა და ავადმყოფთა მკურნალობისათვის.

ამჟამად მენჯში სამკურნალოდ ჩადიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაც კი.

დღეს მენჯი საკმარისად კეთილმოწყობილი კურორტია, სადაც ყველა შესაძლებლობა არსებობს ავადმყოფთა მკურნალობისა და კულტურული მომსახურებისათვის. აქ არის კარგად მოწყობილი 150-საწოლიანი სანატორიუმი, ბალნეოტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აშენებული ახალი სააბაზანო შენობა, ამიერკავკასიის რკინიგზის სანატორიუმი; კოლხიდმშენის სამმართველოს მიერ აშენებული ახალი სანატორიუმი, კურორტის პოლიკლინიკა ყოველგვარ საექიმო დახმარებას უწყევს სამკურნალოდ ჩამოსულებს.

კურორტს აქვს პარკი, დარბაზი კონცერტებისა და კინოსათვის, ესტრადა, წიგნთსაცავი — სამკითხველო, კავშირგაბმულობის სახლი, რესტორნები და სხვა. მენჯის რაიონში ღრმა ბურღვის შედეგად მიღებული მაღალი ტემპერატურის ცაიშის ანალოგიურმა მინერალურმა წყალმა გადაჭრა წყლის გათბობის პრობლემა.

მენჯის კლიმატურ პირობებს განსაზღვრავს კოლხეთის დაბლობის ზღვისა და სამეგრელოს ქედის სიახლოვე.

მიკროკლიმატის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკის მთას.

ზღვის სიახლოვე უპირველეს ყოვლისა გავლენას ახდენს კურორტის ქარების რეჟიმზე. აქ თავისუფლად აღწევს ზღვის ნიავი, რომელიც მოქმედებას ახდენს მენჯზე წელიწადის თბილ პერიოდში. მას მოაქვს სიგრილე და ზღვის კლიმატის ელემენტები, რაც დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე.

კურორტი მეორე მხრიდან ექცევა ფიონური ხასიათის ატმოსფერული დინების გავლენის ქვეშ, რომელიც კავკასიიდან ზღვის მიმართულებით ჰქრის უმთავრესად ზამთრობით (ზოგჯერ ზაფხულობით). ეს ქარები მშრალი და თბილია, მათი მოქმედება ხანგრძლივია. ფიონები ამცირებენ ჰაერის ტენიანობას, მენჯის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის

14°-ს, ცივი თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 4°-ს. თბილი თვის — 23°-ს. ზამთრობით ყინვები იშვიათია. მაქსიმალური ტემპერატურა ზაფხულის თვეებში ზოგჯერ აღის 40°-მდე. კლიმატური რეჟიმის მიხედვით მენჯი ზღვის ტიპის სუპტროპიკული კურორტია.

მენჯში ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ 1200 — 1300 მმ აღწევს. ნალექთა რაოდენობა ყველაზე მეტია შემოდგომისა და ზამთრის თვეებში, ყველაზე ნაკლებია — გაზაფხულსა და ზაფხულში; ნალექი უმთავრესად წვიმების სახით იცის, თოვლი კი ნაკლებად მოდის.

მზიანი საათების რიცხვი წლის განმავლობაში უდრის 2200-ს, ზაფხულობით დღის მანძილზე იგი საშუალოდ შეადგენს 8 — 8,5 საათს, ასეთი ხანგრძლივი მზიანობა სხვა მონაცემებთან ერთად ხელსაყრელ პირობებს ქმნის მზით მკურნალობისათვის.

ეკის მთის ქედი კურორტის ტერიტორიაზე დაფარულია საკმაოდ ხშირი ფოთლოვანი ტყით, ვხვდებით დაფნას, თითქმის ყველა საკარმიდამო ფართობზე გაშენებულია მანდარინის ბაღი, უფრო იშვიათად — ლიმონი და ფორთოხალი. აქა-იქ ხარობს ბანანი, რომელსაც ძირითადად დეკორაციული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ნაყოფი აქ არ მწიფდება. ქ. ცხაკაიას ქუჩებსა და ბაღებში დარგულია მარადმწვანე ქაფურის ხეები, ევკალიპტი, პალმები, აგავა, პირამიდული კიპარისები და სხვ.

რაიონში დიდი ყურადღება ექცევა მევენახეობას; უფრო მეტად გავრცელებულია ვაზის საღვინე ჯიშები. ყველგან იზრდება ხეხილი; ხილი უპირატესად საზაფხულო ჯიშისაა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ ხელი მოჰკიდეს ძვირფასი კულტურების მოშენებას. მენჯის ახლომახლო მინდვრები დაფარულია ჩაის პლანტაციებით. მეზობლად ეთერ-ზეთოვანი კულტურის საბჭოთა მეურნეობაა.


მინერალური წყლის გამოსავალი მდ. ცივის მარცხენა ნაპირზეა. პირველად აღმოჩენილი მინერალური წყალი გამოდიოდა თვით მდ. ცივის პლატოში (№ 1 წყარო); აქვე სიყო მოწყობილი პირველი აბაზანა. შემდეგ გაკეთდა ბეტონის აუზი და დაგროვილი მინერალური წყალი მიღებით მიდიოდა

ძველ საბაზანო განყოფილებაში; ასე გრძელდებოდა 1946 წლამდე.

№2 და №3 წყაროები მდებარეობს პირველის გვერდით და ისე როგორც №1 წყარო, ხასიათდება მცირე დებიტით. №8 წყარო კურორტის სამხრეთით, მდინარე ცივის მარცხენა ნაპირზეა. იგი ცნობილია მოსახლეობაში როგორც „კუჭის წყალი“ და მას ხმარობენ კუჭ-ნაწლავის ზოგიერთი დაავადების დროს.


№4, №8 და №10 ჭაბურღილები მდ. ცივის მარცხენა ნაპირზეა. მინერალური წყლის საერთო დებიტი ამჟამად შეადგენს 200.000 ლიტრს დღე-ღამეში.

მათი ბალნეოლოგიური ფორმულა:



მინერალური წყლის მთელი რაოდენობა გროვდება შემკრებ აუზში, საქაჩის საშუალებით ადის 13 მეტრის სიმაღლეზე ხის კასრებში. აქედან კი თვითღინებით მიდის საქვაბე განყოფილებაში, სადაც თბება ხის „ბოილერებში“, შედის საბაზანო შენობაში და ნაწილდება კაბინებში.

უკანასკნელ წლებში ღრმა ბურღვით მიღებულია მაღალი ტემპერატურის და დიდი დებიტის მინერალური წყალი, მისი ფორმულა შემდეგია (ბურღ. № 2 სახარბედიოში).



მენჯის ძველი მინერალური წყალი ეკუთვნის გოგირდ-წყალბადიან-ქლორ-ნატრიუმისანი წყლების ჯგუფს; იგი შეიცავს გოგირდწყალბადს 40 — 70 მგ რაოდენობით ერთ ლიტრ წყალში, რაც სავსებით საკმარისია სამკურნალო მიზნებისათვის. მასში არის სხვა აირებიც — აზოტი, ნახშირორჟანგი, მეთანი. აქ წყლის მინერალიზაცია უდრის 5 — 14 მ/ლ. წყლის ტემპერატურა ცალკე წყაროების მიხედვით მერყეობს 17- დან 56°-მდე; მინერალური წყლის რადიაქტივობა აღწევს 1,8-დან 3,8 მახეს ერთეულამდე.

უკანასკნელ წლებში მიღებული წყლის მინერალიზაცია უდრის 2,14 მ/ლ; ტემპერატურა კი — 56°-ს.



ახალი ბურღილიდან მაღალია ტემპერატურის (56°) და განსაკუთრებით დიდი დებიტის მინერალური წყლის მიღება და ამავდროს სხვადასხვა ტიპის წყლების არსებობა კურორტზე ზრდის კურორტის განვითარების პერსპექტივებს და აადვილებს მეტი ბალნეოტექნიკისა და საერთოდ ექსპლოატაციის საკითხს — პირველ რიგში მინერალური წყლის გათბობის საკითხს.

ავადმყოფებს ენიშნებათ საშუალოდ 35—37° ტემპერატურის მენჯის მინერალური წყლის აბაზანები დღეგამოშვებით ან ყოველდღე დაავადების ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით; აბაზანის ხანგრძლივობაც მერყეობს 7-დან 15 წუთამდე. მკურნალობის კურსს შეადგენს 12—15 აბაზანა.

კურორტ მენჯში ამჟამად მოქმედებს სამი კარგად მოწყობილი სანატორიუმი, კომფორტაბელური სააბაზანო შენობა, პოლიკლინიკა, სასტუმრო, სასადილო და სხვა მრავალი საკურორტო დამხმარე კულტურული და სამეურნეო დაწესებულება.

ჩვენებები: მოძრაობის ორგანოთა (სახსრების, ძვლების, კუნთების), გულ-სისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები, აგრეთვე გინეკოლოგიური ანთებითი და კანის ზოგიერთი დაავადებები.

კურორტი მენჯი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში.

კურორტი ნუნისი

(ბალნეოლოგიური კურორტი)

კურორტი ნუნისი მდებარეობს ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონში. ზღვის დონიდან 900 — 950 მ სიმაღლეზე, ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ მოლითიდან 8—9 კმ დაშორებით, რაიონის ცენტრ ორჯონიკიძისაგან კი — 25 კმ-ით.

კურორტიდან უახლოესი დასახლებული ადგილია სოფელი ნუნისი 1,5—2 კმ მანძილზე. რკინიგზის სადგურ მოლითთან კურორტი დაკავშირებულია საავტომობილო გზით, რომელიც გაივლის კურორტ ზვარეზე (3 კმ). კურორტის ტერიტორია და მის გარშემო მთების ფერდობები დაფარულია ფოთლოვანი და აგრეთვე ხელოვნურად გაშენებული წიწვით.

ნი ტყით. ტერიტორიას კვეთს მდინარე ნუნისის წყალი, მელიც, იქვე ახლო ერთვის მდინარე ზვარულას.

ნუნისის მინერალურმა წყლებმა პირველად მიიპყრო მახლობელი სოფლების, შემდგომ შორეული რაიონების მოსახლეობის ყურადღება თავისი მაღალი, სამკურნალო ეფექტით, პირველ რიგში მუნის მკურნალობისას.

ნუნისში მთის სუბტროპიკული ჰავაა, ცივი ზამთრითა და ზომიერად თბილი ზაფხულით.

ნუნისის მინერალური წყლის ბუნებრივი გამოსავალი გამოვლინებულია ხუთი გრიფონით. ჩატარებული ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად 100 მ სიღრმის ბურღილით მიღებულია იმავე ტიპის მინერალური წყალი, როგორც ბუნებრივი წყაროებიდან.

ნუნისის წყალი მიეკუთვნება სუსტ გოგირდწყალბადიან-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმთან, სუსტად მინერალიზებულ თერმულ წყლებს. წყლების ბალნეოლოგიური

ფორმულა შემდეგია: H_2S 0,006 M 0,24 $\frac{HCO_3 46 Cl 142}{Na 86}$ T 27.

ნუნისის მინერალური წყალი საგრძნობი რაოდენობით შეიცავს სილიციუმის მყავას (H_2SiO_3 —30 მგ).

ნუნისის სააბაზანო შენობა შედგება 4 საერთო აუზიდან, თითოეული ატარებს ერთდროულად 6 ავადმყოფს. არსებობს მეორე სააბაზანოც 14 ინდივიდუალური აბაზანით და ერთი საერთო აუზით 5 ავადმყოფზე. სააბაზანო შენობების გარდა, აქ რამდენიმე ორსართულიანი და ერთსართულიანი სახლებია, რომლებშიც მოწყობილია საერთო საცხოვრებელი 100 საწოლზე. კურორტზე არის აგრეთვე სასადილო, ფურნე, წყალსადენი.

ავადმყოფებს ენიშნებათ ბუნებრივი ტემპერატურის აბაზანა 15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსი განისაზღვრება 15 — 20 აბაზანით. პირველი სააბაზანოები მინერალურ წყალს ღებულობენ წყლის შემკრები აუზიდან.

ჩვენებები: კანის ქრონიკული დაავადებები (ეგზემა, ფსორიაზი, ნეიროდერმიტი, პრურიტუსი და სხვ.); სახსრების ქრონიკული დაავადება, პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადება და სხვ.



ნუნისის მინერალური წყლები დიდი პოპულარობით გებლობს როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში, სომხეთში და ამიერკავკასიის გარეთაც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კურორტს მეტი ყურადღება სჭირდება კეთილმოწყობის მხრივ.

კურორტი მუშაობს მაისიდან ნოემბრის თვემდე.

კურორტი ზვარე

(ბალნეოლოგიური კურორტი)


კურორტი ზვარე ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონშია, რკინიგზის სადგურ მოლითიდან 4 კმ მანძილზე. რაიონის ცენტრ ორჯონიკიძიდან 20 კმ, ხოლო თბილისიდან 145 კმ-ითაა დაშორებული. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 650—700 მეტრია.

ზვარე რკინიგზის სადგურ მოლითს უკავშირდება საავტომობილო გზით. კურორტის ტერიტორიაზე გადის ზვარულა. მისი ტერიტორია დაფარულია მდიდარი მცენარეულობით.


კურორტი ზვარე მდებარეობს მთის წინა ზონაში და ხასიათდება სუბტროპიკული კლიმატით — მშრალი ზაფხულით და ცივი ზამთრით. აქ სისტემატურად მოქმედი მთა-ბარის ქარები დადებით გავლენას ახდენს კურორტის კლიმატურ კომპლექსზე. ჰაერის მასების დინება დასავლეთიდან მნიშვნელოვნად არბილებს კლიმატს.

ზვარეს მინერალური წყლების გამოსავალი მდებარეობს მდ. ზვარულას მარცხენა ნაპირზე.

ზვარეს ძირითადი მინერალური წყაროები მიეკუთვნება ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმის წყალს (ესენტუკის № 17 ტიპის). წყლის ბალნეოლოგიური



წყალს იყენებენ სამკურნალოდ ადგილზე და აგრეთვე ასხამენ ზვარეს მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხანაში. ზვარეში არსებობს მეორე სახის მინერალური წყალიც:



ნას ხმარობენ აბაზანებისათვის.

ჰიდროგეოლოგიური მონაცემებით ზვარეს მინერალური წყლების ღრმა ჰორიზონტებში წარმოიშობა მაღალი მინერალიზაციის ნახშირმჟავა-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყალი, ხოლო აქვე ზემო ჰორიზონტებში—ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი (ბორჯომის ტიპის) წყალი; ამ ორი ტიპის წყლების შერევის შედეგად ვიღებთ № 17 ესენტუჯის ტიპის წყალს.

ზვარეში არსებობს სააბაზანო შენობა, სადაც შემოდის გამთბარი მინერალური წყალი. აბაზანების სახით ენიშნებათ 35—37° ტემპერატურის წყალი 10—15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსი 12 — 15 აბაზანაა.

ზვარეს ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყალი ავადმყოფებს ეძლევათ იმისდა მიხედვით, თუ როგორია კუჭის წვენის მჟავიანობა; კუჭის წვენის მჟავიანობის მომატებისას აძლევენ თითო ჩაის ჭიქას 3-ჯერ დღეში. 1—1,5 საათით ადრე ჭამის წინ, კუჭის წვენის მჟავიანობის დაქვეითებისას ჭამის წინ 5 — 10 წუთით ადრე ან უშუალოდ ჭამის წინ, ან საჭმელთან ერთად იმავე რაოდენობით. კუჭის წვენის მჟავიანობის დაქვეითებისას წყალს აქვს უპირატესობა ბორჯომის ტიპის წყლებთან შედარებით.

ზვარეს წყლების სამკურნალო ჩვენებები შემდეგია: კუჭნაწლავის დაავადებები, უპირატესად კუჭის წვენის მჟავიანობის დაქვეითებით.

კურორტი მუშაობს ივლისიდან ნოემბრამდე.

კურორტი სულორი


(ყოფ. დვალიშვილების აბანო)

სულორი ვანის რაიონშია. რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 8 კმ, უახლოეს რკინიგზის სადგურ სამტრედიიდან კი — 25 კმ-ით. კურორტი მდებარეობს მდ. ვანის ხეობაში ზღვის დონიდან 200—250 მ სიმაღლეზე.

სულორის ჰავა ზომიერად ტენიანია, ცხელი ზაფხულით და გრილი ზამთრით. აქ მოქმედი ზღვის ბრიზები დადებით გავლენას ახდენს კლიმატურ კომპლექსზე და აგრილებს ზაფხულის სიცხეს, ადგილობრივი მთა-ბარის ქარები კურორტის ტერიტორიაზე ჰაერის ვენტილაციას უწყობს ხელს.



სულორის მინერალური წყლები სუსტი მინერალიზაციის გოგირდწყალბადიან სულფატურ ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან წყლებს მიეკუთვნება. მათი ბალნეოლოგიური ფორმულაა:



სულორში გამოვლინებულია მინერალური წყლის ექვსი გამოსავალი საერთო დებიტით 300.000 ლ/დლ. წყლების ბაზაზე მუშაობს 3 სააბაზანო შენობა. წყლების ტემპერატურა მერყეობს 33 — 36°-ის ფარგლებში. ყველა სააბაზანოს აქვს აუზი, რომლებიც ერთდროულად ატარებენ 40 ავადმყოფს. აქვე მოწყობილია აივანი პროცედურის მიღების შემდეგ დასვენებისათვის (10 საწოლი). სულორს აქვს თავისი საბინაო ფონდი 80 საწოლზე, კურორტის ტერიტორიაზე არის აგრეთვე უბნის საავადმყოფო 15 საწოლზე, სასადილო, ფოსტა, შემნახველი სალარო და სხვ. კურორტი საქართველოს საკურორტო სამმართველოს განკარგულებაშია.

ავადმყოფს ენიშნება დღეში თითო ბუნებრივი ტემპერატურის მინერალური აბაზანა 15 წუთის ხანგრძლივობით, მკურნალობის კურსს შეადგენს 15 — 20 აბაზანა.

კურორტზე მკურნალობისათვის ნაჩვენებია სახსრებისა და პერიფერიული ნერვების ქრონიკული დაავადებები, გულსისხლძარღვთა სისტემისა და ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებები, კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება.

სულორში ჰიდრო-გეოლოგიური საძიებო სამუშაოები არ ჩატარებულა. ექვვარეშეა კურორტზე სათანადო მაღალი მინერალიზაციისა და ტემპერატურის წყლის არსებობა. კურორტს სჭირდება კეთილმოწყობა, ელგანათება და მისასვლელი გზა.

კურორტი დიდ სამსახურს უწევს ვანისა და ახლომდებარე რაიონების, ძირითადად კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობათა მუშებს.

სეზონი მაისიდან ნოემბრამდე გრძელდება.

კურორტი კვერეთი

კვერეთი საჩხერის რაიონშია, რაიონის ცენტრიდან და უახლოესი რკინიგზის სადგურ საჩხერიდან 7 კილომეტრის

მანძილზე. მისი სიმაღლე 500—600 მეტრია ზღვის დონიდან. თბილისიდან კვერეთს 265 კილომეტრი აშორებს. იგი მოქცეულია მდინარე ჩიხურას ხეობაში, ქ. ჭიათურიდან 20 კილომეტრია. შემოჯარული მთები დაფარულია მდიდარი ფოთლოვანი ტყით.

კვერეთის ჰავა ზომიერად ტენიანია გრილი ზაფხულით და ცივი ზამთრით. წლის საშუალო ჰაერის ტემპერატურა აღწევს 10—11°-ს, ადგილის განიავებას ხელს უწყობს მდ. ჩიხურას ხეობა.

კურორტის ძირითად ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მინერალური წყალი, რომელიც ხასიათდება სუსტი საერთო მინერალიზაციით და გოგირდწყალბადის სუსტი შემცველობით. წყლის ბალნეოლოგიური ფორმულა

ასეთია: $H_2SO_4, 002MO, 6 \frac{Cl82}{Na77Ca20} T 15^\circ D 50,000$ ლ/დ.

კურორტს ემსახურება 2-სართულიანი სახლი, რომელიც აკაკი წერეთლის მამას ეკუთვნოდა. ამ სახლის პირველ სართულზე მოთავსებულია 17 ინდივიდური სააბაზანო კაბინა, ხოლო მეორე სართულზე მოწყობილია სასტუმრო სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფებისათვის. გარდა ამისა, აქ ამუშავებულია სააგარაკო სახლები 120 საწოლზე.

კვერეთში ჭიათურ-მარგანეცის ტრესტის მიერ აშენდა კაპიტალური შენობა დასასვენებელ სახლისათვის 120 საწოლით, აგრეთვე ახალი სააბაზანო შენობა, სასადილო, კინოთეატრი და საბაგრო გზა, რომელიც აკავშირებს ხეივანს პლატოსთან.


ავადმყოფებს ენიშნებათ ყოველდღე თითო 36—37° ტემპერატურის აბაზანა 15 წუთის ხანგრძლივობით; მკურნალობის კურსს შეადგენს 15—20 აბაზანა.

ჩვენებები: საყრდენ-სამოძრაო ორგანოების დაავადებები, პერიფერიული ნერვული სისტემის, აგრეთვე ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები, გინეკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები.

კურორტი მუშაობს მაისიდან ნოემბრამდე.

ტყიბულის ნახშირსაბადოდან კურორტი კურსებს 22 კმ აშორებს, კურორტიდან ქ. ქუთაისამდე 13—15 კილომეტრია, კურორტი ზღვის დონიდან 400 მ სიმაღლეზე მდებარეობს, კურსების უახლოესი რკინიგზის სადგურია ორპირი, იგი უკავშირდება ქ. ქუთაისს და ტყიბულს კეთილმოწყობილი საავტომობილო გზით.

კურორტის ტერიტორია დაფარულია მდიდარი ფოთლოვანი ტყით. ჰავა აქ ზომიერად ტენიანი სუბტროპიკულია რამდენადმე ცივი ზამთრით და თბილი ზაფხულით, მზის უხვი რადიაციით. კურსების ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს გოგირდწყალბადიან ჰიდრო-კარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიანი მინერალური წყლები შემდეგი ბალნეოლოგიური ფორმულით:



მთავარი წყაროდან მინერალური წყალი მიღების საშუალებით გროვდება შემკრებ აუზში, საიდანაც გათბობის შემდეგ შედის სააბაზანო შენობაში. კურორტს ჩამოსული ავადმყოფებისათვის აქვს საერთო საცხოვრებელი. აქვე კურორტის ტერიტორიის მახლობლად მოწყობილია პიონერთა ბანაკი, რომელიც ეკუთვნის ქუთაისის მანქანათსაშენებელ ქარხანას.

კურსებში სამკურნალოდ ნაჩვენებია პერიფერიული ნერვული სისტემის, სახსრების (არატუბერკულოზური), გულ-სისხლძარღვთა და გინეკოლოგიური ანთებითი ხასიათის დაავადებები. ყველა ჩამოთვლილი დაავადება ნაჩვენებია ქრონიკულ პერიოდში.

ავადმყოფებს ენიშნება თითო აბაზანა ყოველდღიურად 12—15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსი განისაზღვრება 15 აბაზანით.

მიუხედავად იმისა, რომ კურსებთან სულ ახლოსაა (25 კმ) სახელგანთქმული ბალნეოლოგიური კურორტი წყალტუბო, იგი მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს ახლო რაიონების მოსახლეობაში. ამასთან მხედველობაში თუ მივიღებთ

ტყიბულის ნახშირის საბადოსთან სიახლოვეს, კურსებს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.


ამჟამად კურორტი მაისიდან ნოემბრამდე იღებს დამსვენებლებს.

კურორტი ხრესილი

ხრესილი ტყიბულის რაიონშია ქ. ქუთაისიდან 15—17 კმ. მანძილზე. ხრესილი ზღვის დონიდან 400 მ სიმაღლეზე მდებარეობს. კურორტის ტერიტორიაზე გაივლის მდინარე წყალწითელა.

ხრესილი ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული ჰავით, შედარებით გრილი ზამთრითა და ზომიერად ცხელი ზაფხულით, მასზე კეთილმოქმედ გავლენას ახდენს შავი ზღვისპირეთიდან შემოჭრილი ბრიზები.

ხრესილის მინერალური წყალი წარმოადგენს სუსტ გოგირდწყალბად-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან - კალციუმიან წყალს სუსტი ზოგადი მინერალიზაციით. წყლის ბალნეოლოგიური ფორმულაა:



წყალი წყაროდან გროვდება შემკრებ აუზში, იქიდან კი გათბობის შემდეგ შედის სააბაზანოში. აქ არის საერთო საცხოვრებელი 35—40 საწოლით. ჩამოსული ავადმყოფება აქვე მახლობლად სოფელ ლედვას კოლმეურნეთა სახლებშიც ეწყობიან საცხოვრებლად.

ავადმყოფებს ენიშნებათ ხელოვნურად გამთბარი 36—37° ტემპერატურის მინერალური წყლის თითო აბაზანა ყოველდღიურად 15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსს შეადგენს 15—20 აბაზანა.

კურორტ ხრესილში მკურნალობისათვის ნაჩვენებია საზრდენ-სამოძრაო, პერიფერიული ნერვული სისტემის, გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და გინეკოლოგიური ქრონიკული დაავადებები.

კურორტის სეზონია მაის-ნოემბერი.

(მაღალმთიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი)

მაღალმთიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლე-
 ბარდე დაახლოებით ერთდამივე მანძილით არის დაშორებუ-
 ლი სამტრედიიდან, აბაშიდან, ცხაკაიდან და ზუგდიდიდან
 (70—85 კმ). იგი შედის კურზუს სოფლსაბჭოში; რაიონის ცენ-
 ტრიდან გეგეჭკორიდან (ყოფ. მარტვილი) 55 კმ-ია, კურორ-
 ტის ტერიტორიას უჭირავს ძირითადად სამეგრელოს ქედის
 სამხრეთი კალთა. მდ. ტეხურის ზემო ნაწილში, მისი სიმაღლე
 ზღვის დონიდან 1600—1800 მეტრით განისაზღვრება. კუ-
 რორტს ჭრის მდ. ლებარდე, მდ. ტეხურის მარცხენა შენაკადი,
 რომელიც აქედან იღებს სათავეს.

ლებარდემ, როგორც სამკურნალო ადგილმა, 50—60 წლის
 წინათ მიიპყრო ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ მისა-
 სვლელი გზა ძალზე სახიფათო იყო, ზაფხულის სულ 2—3
 თვის განმავლობაში დამსვენებელთა რიცხვი ძირითადად და-
 სავლეთ საქართველოს რაიონებიდან 7—8 ათას აჭარბებდა.
 ისინი საცხოვრებლად ნაჩქარევად აგებულ ზის კარავებს იყე-
 ნებდნენ.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე და
 სამეგრელოს რაიონების მშრომელთა აქტიური მონაწილეო-
 ბით 1948—50 წლებში გაიყვანეს საავტომობილო გზა სო-
 ფელ კურზუდან ზევით მდ. ტეხურის ხეობაში; კურორტამდე
 4 კმ მანძილზე ეს გზა ტოვებს ტეხურის ხეობას, უხვევს მარ-
 ცხნით და მიემართება ზევით მდ. ლებარდეს ხეობით კურორ-
 ტის ტერიტორიამდე.

ლებარდეს ტერიტორია და მის გარშემო მთების ფერდო-
 ბები და მწვერვალები დაფარულია ასწლოვანი წიწვიანი
 ტყეებით. კურორტს ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავ-
 ლეთიდან ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასების შემოჭრისაგან
 იცავს მთაგრეხილები. ხეობები სამხრეთ დასავლეთისაკენ რომ
 მიემართებიან, აკავშირებენ კურორტის ტერიტორიის მთიან
 ადგილებს კოლხეთის დაბლობთან, შემდეგ კი შავი ზღვის
 აღმოსავლეთ ნაპირთან. ამ დაბლობიდან იჭრება ზღვის ჰაე-
 რის მასები ლებარდეს რაიონში, რომლებიც დადებით გავ-

ლენას ახდენს კურორტის ჰავაზე, სვანეთის მთების მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარული მწვერვალები ზემოდან დაჰყურებენ ლებარდეს და მას უხვი ულტრაიისფერი რადიაციით ამდიდრებენ. ტერიტორია 2000—2200 სიმაღლიდან ალპურ ველებში გადადის.

კურორტ ლებარდეს ძირითად სამკურნალო ფაქტორებს წარმოადგენს მაღალი მთის ჰავა და მინერალური წყაროების წყალი. ლებარდეს ჰავა ხასიათდება ზომიერად გრილი ზაფხულით და არამკაცრი ცივი ზამთრით. კურორტის ტერიტორიის ვენტილაციაში მთა-ბარის ქარებთან ერთად მონაწილეობს ლებარდეს ტერიტორიაზე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან შემოჭრილი ზღვის ბრიზები. ლებარდეს ჰავით მკურნალობენ სუნთქვის ორგანოებისა და სასუნთქი გზების როგორც არატუბერკულოზური, ისე ტუბერკულოზური ხასიათის დაავადებებს, მეორად სისხლნაკლებობას, ლიმფადენიტსა და სხვ. ლებარდესში მნიშვნელოვანი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია აგრეთვე მინერალური წყალი.

კურორტის ტერიტორიაზე არსებობს წყაროების ხუთი გამოსავალი: აქედან 3 მინერალურია, ხოლო — 2 მტკნარი. ლებარდეს მინერალური წყლები მიეკუთვნება ნახშირმჟავა რკინიან-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმ-მაგნიუმიანი წყლების ჯგუფს.

მინერალური წყლების საერთო დებიტი დღეისათვის მერყეობს 40 000 ლიტრის ფარგლებში დღე-ღამეში. საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიური განყოფილების მონაცემებით, ბურღვითი სამუშაოების შედეგად მინერალური წყალი უფრო დიდი დებიტით მიიღება და მათ უფრო გამოხატული ფიზიკურ-ქიმიური და სამკურნალო თვისებებიც ექნება. წყალს ამჟამად ეფექტურად იყენებენ მეორადი სისხლნაკლებობის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, საშარდე გზების და ნივთიერებათა ცვლის დაავადებათა სამკურნალოდ.

ლებარდეს ზევით 3—4 კმ მანძილზე მდებარეობს სამკურნალო ადგილი ჩეგოლა, რომლის ტერიტორიაზე ათზე მეტი სამკურნალო მინერალური წყალი გამოდის; მათ შორისაა ლებარდეს ტიპის მინერალური წყლები, დანარჩენი წყაროები

შაბისწყლის სახელწოდებით მიეკუთვნება ნახშირმკვავა-პილ-
როკარბონატულ-სულფატურ-კალციუმ-ნატრიუმიან წყლებს.
იქვე ახლოს გამოსავალს პოულობენ დვირისთავის მიდამოებ-
ში მინერალური წყლები.

ახლომდებარე ლებარდეს ჩეგოლა, დვირისთავი და კემ-
ლარ-კესა შეიძლება გაერთიანდეს სამკურნალო პროფი-
ლაქტიკური კლიმატურ-ბალნეოლოგიური კომბინატის სა-
ხით.

საავტომობილო გზის მშენებლობის დამთავრებასთან და-
კავშირებით 1951 წელს კურორტის ტერიტორიის მშენებ-
ლობა სწრაფი ტემპით წავიდა წინ. ამაზე მეტყველებს ის
ფაქტიც, რომ 1951 წლის სეზონში აქ დამსვენებელთა რაო-
დენობა 5—6 ათასიდან 12 ათასამდე გაიზარდა.

მთავრობის ახალი დადგენილების თანახმად, მიმდინა-
რეობს 1950 წელს გაყვანილი ტრასის კაპიტალური შეკეთება-
გაფართოება. ამასთან არ შეფერხებულა საერთო კეთილმოწყ-
ობითი ხასიათის ფართო, საკურორტო მშენებლობა (გზები,
წყალსადენი, განათება და სხვა) ასევე დასასვენებელი სახლე-
ბის, პანსიონატების, სამკურნალო დაწესებულებათა და
ცალკე სააგარაკო სახლების, კოტეჯების მშენებლობა და
სხვ.

მაღალი მთის კლიმატი, მინერალური წყლები, ულამაზესი
ლანდშაფტი, წიწვიანი ტყეების მძლავრი მასივები, ზევით
რომ ალპურ მინდვრებში გადადის, სუფთა გამჭვირვალე ჰაე-
რი, მდიდარი ულტრაიისფერი რადიაციით და ზღვის ბრიზე-
ბით, მზის სხივადობა და ვენტილაცია ლებარდეს პირველ ხა-
რისხოვანი მაღალმთიანი კლიმატური ბალნეოლოგიური კუ-
რორტის სახელს უხვევს. კურორტზე მკურნალობა სულ მცი-
რე დროში მაღალ სამკურნალო ეფექტს იძლევა.

ლებარდესში ზაფხულის სეზონში მუშაობს პოლიკლინიკა,
დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ბავშვთა გამაჯან-
სალებელ დაწესებულებათა მთელი რიგი.

ჩვენებები: მეორადი ანემია, მალარია, ბრონქიტი, ბრონ-
ქული ასთმის მსუბუქი ფორმები, ლიმფადენიტი, მშრალი
პლევრიტი, პნევმონიის ნარჩენი მოვლენები, ნევრასთენიის
მსუბუქი ფორმები და ამ დაავადებათა თანამგზავრი ქრონი-

კული გასტრიტი, ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი და საშარდე გზების დაავადებები.

წინააღმდეგევენებად უნდა ჩაითვალოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დეკომპენსაციის სტადიაში, ფილტვების და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზის ღია ფორმები, ნერვული სისტემის ფუნქციურ დაავადებათა მძიმე ფორმები, ჰიპერტონიული დაავადება მესამე სტადიაში და სხვა დაავადებები, რომლებიც საერთოდ წინააღმდეგ ნაჩვენებია მაღალმთიან კურორტზე მკურნალობისათვის.

სეზონია ივნის-ოქტომბერი.

კურორტი ნაქალაქევი

ნაქალაქევი მდებარეობს მდინარე ტეხურის ნაპირზე ზღვის დონიდან 400—500 მ სიმაღლეზე, რკინიგზის სადგურ ცხაკაიდან (სენაკი) 15—17 კმ დაშორებით. ნაქალაქევი უკავშირდება ქ. ცხაკაიას და თბილის-სოხუმის მთავარ მაგისტრალს საავტომობილო გზით.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, აქ ოდესღაც ყოფილა კოლხ-ეგრისთა (მეგრელთა) სამეფოს სატახტო ქალაქი — ციხე-სიმაგრე (ციხე გოჯის სახელწოდებით). ამ ადგილებში, სადაც ეგრისელებს სასტიკად დაუმარცხებიათ რომელიღაც ლეგიონერები, ამჟამად დარჩენილია ქალაქი — სიმაგრის ნაშთი „ჯიხას“ სახელწოდებით, რაც მეგრულად სიმაგრეს ნიშნავს.

ნაქალაქევის ჰავა დამახასიათებელია სამეგრელოს დაბლობის მთიანი ნაწილისათვის და მიეკუთვნება ზომიერად ტენიან სუბტროპიკულს ზომიერად თბილი ზაფხულით და გრილი ზამთრით, ჰავის ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს ზღვის სიახლოვე.

ნაქალაქევის მინერალურ წყლებს უძველეს დროიდან იყენებდა ახლო რაიონების მოსახლეობა სახსრების, პერიფერიული ნერვებისა და კუნთების დაავადებათა სამკურნალოდ. გადმოცემით, რომაელთა ლეგიონების მებრძოლები მინერალურ წყლებით ორგანიზმს იკაჟებდნენ.

ნაქალაქევის უძველესი მინერალური წყაროების გამოსა-

ვალი მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზეა. აქედან წყალი შედის საერთო აუზში, სადაც მას ხმარობენ გათბობის გარეშე, მისი ბუნებრივი ტემპერატურა 33°-ია, აქვე მოწყობილია ავადმყოფთა 7—8-ბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლები.

მინერალური წყალი სუსტად რადიაქტიურ (მახეს 3—5 ერთეული) ჰიდროკარბონატულ-კალციუმის თერმულ წყლებს მიეკუთვნება.

ნაქალაქევის მიდამოებში ტრესტ „კავნახშირგეოლოგიის“ მიერ 1954 წელს ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგად ძველი წყაროებიდან ერთი კილომეტრის მანძილზე მდინარე ტეხურის ქვედა მიმართულებით მარჯვენა ნაპირზე ღრმა ბურღილიდან მიღებულია ჰიპერთერმული (75°) გოგირდწყალბადიან სულფატურ-კალციუმ-ნატრიუმისანი მინერალური წყალი შედარებით მეტი მინერალიზაციისა და მეტი დებიტით (1 000 000 ლ/დღ.).

ამ წყლის ბაზაზე მდ. ტეხურის ნაპირზე აშენდა სააბაზანო, საერთო საცხოვრებელი ავადმყოფებისათვის, სასადილო და სხვა საკურორტო ობიექტები.

მდ. ტეხურაში ძველი წყაროების რეჟიმი დაირღვა. ამიტომ საჭიროა ჩატარდეს აღდგენითი სამუშაოები წყლის რეჟიმისა და მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების აღდგენის მიზნით.

ავადმყოფებს ენიშნებათ აბაზანები 35—38°t, ყოველდღიურად, დღეში ერთხელ, 15 წუთის ხანგრძლივობით; მკურნალობის კურსია 15—18 აბაზანა.

ჩვენებები: მოძრაობის ორგანოთა და პერიფერული ნერვების, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებები.

გეოლოგების დასკვნით, აქ მოსალოდნელია სხვადასხვა ტიპის წყლების აღმოჩენა. სასურველია ახლო მომავალში კეთილმოეწყოს კურორტი.

სეზონი იწყება მაისიდან და გრძელდება ნოემბრამდე.

კურორტი სქური

სქური წალენჯიხის რაიონშია, რაიონის ცენტრიდან 18 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ჭანისწყლის ნაპირზე. მი-

სი სიმაღლე ზღვის დონიდან 450—500 მ. უახლოესი რკინიგზის სადგურამდე ქ. ზუგდიდამდე 40 კმ-ია. კურორტის ტერიტორია გარშემორტყმულია ფოთლოვანი ტყით დაფარული მთებით.

სქური ხასიათდება ზომიერად ტენიანი სუბტროპიკული ჰავით, გრილი ზამთრით და რამდენადმე ცხელი ზაფხულით. ზღვიდან შემოჭრილი ბრიზები ანელებენ ზაფხულის სიცხეს.

1937 წელს აქ ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოთა შედეგად მცირე სიღრმის ბურღილიდან მიღებულია ქლორიდულ-სულფატურ-კალიუმ-ნატრიუმისანი მინერალური წყალი 300 000 ლიტრი დებიტით ლ/დღ. წყლის ბალნეოლოგიური

ფორმულა ასე გამოიხატება: $M1,7 \frac{Cl72SO_426}{Ca71Na28} T17,2^{\circ}D 300 000$ ლ/დღ.

იგი შეიცავს აგრეთვე ბრომს და რკინას, რაც ამდლებს წყლის სამკურნალო თვისებებს. სქურის ქარხანაში ჩამოსხმული მინერალური წყალი იგზავნება საბჭოთა კავშირის რაიონებში. კურორტზე აშენებული სააბაზანო შენობა 5 ინდივიდუალური აბაზანით, საერთო საცხოვრებელი სამკურნალოდ ჩამოსული ავადმყოფებისათვის. ერთი ასეთი სახლი კაპიტალურია (36 ოთახი), დანარჩენი 32 ბინა ხისაა. კურორტს აქვს სასადილო და სხვ.

სქურის მინერალური წყალი გამოიყენება შიგნით მისაღებად და აბაზანების სახით. სასმელად წყალი ენიშნებათ თითო ჩაის ჭიქა 3-ჯერ დღეში. კუჭის წვენის მკურნალობის მომატებისას მინერალური წყალი ავადმყოფმა უნდა მიიღოს ჭამის წინ 1—1,5 საათით ადრე, ხოლო მკურნალობის დაქვეითებისას — 5—10 წუთით ადრე ჭამის წინ ან საჭმელთან ერთად.

ავადმყოფებს ენიშნებათ 36—38° ტემპერატურის აბაზანები 15 წუთის ხანგრძლივობით, მკურნალობის კურსი განისაზღვრება 15—18 აბაზანით.

ჩვენებები: კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებები, უპირატესად კუჭის მკურნალობის დაქვეითებით, ჰეპატო-ქოლეცისტიტები, საშარდე გზების დაავადებები. სქურის მინერალური წყლის აბაზანები ნაჩვენებია სამოძრაო ორგანოების, პერი-

ფერიული ნერვული სისტემისა და კუნთების დაავადებების დროს.

კურორტი სქური ფუნქციონირებს მაისიდან ნოემბრამდე.

კურორტი გორდი

გორდი წულუკიძის რაიონშია, რაიონის ცენტრ წულუკიძიდან დაახლოებით 20 კმ მანძილზე. ზღვის დონიდან გორდი 800 მ სიმაღლეზეა. მდინარე ცხენისწყალზე გადებულ ხიდზე გასვლის შემდეგ გზა მიემართება ზევით და მიგვიყვანს პლატოზე.

წარსულში გორდი დადიანების საზაფხულო რეზიდენცია იყო; 90 ჰექტარზე გაშენებულ ბაღს ამშვენებდა აუზები, შადრევნები, კურორტის ხეივანი სასახლემდე გრძელდებოდა.

გორდის ჰავა ზომიერად ტენიანი სუბტროპიკულია თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით.

ზღვას (აქედან მოჩანს შავი ზღვა) მოაქვს გორდამდე ბრიზები, რაც მნიშვნელოვნად ანელებს ზაფხულის სიცხეს და არბილებს ზამთრის სიცივეს. გორდის ტერიტორია და მისი მთების ფერდობები დაფარულია შერეული ფოთლოვან-წიწვიანი ტყით.

ყოფილ სასახლეში მოთავსებულია სკოლა-ინტერნატი. დასასვენებლად ჩამოსული მოაგარაკეები სოფელ გორდის კოლმეურნეთა სახლებში ეწყობიან.

გორდი შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ მშრომელთა საზაფხულო დასასვენებლად, ამისათვის საჭიროა სათანადო კეთილმოწყობითი ღონისძიებების ჩატარება.

აქ შეიძლება წარმატებით იმკურნალონ ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულებმა, მათთვის, ვინც უჩივის საერთო გადაღლას, მწვავე დაავადებების გადატანის შემდგომ პერიოდში.

გორდში სიამოვნებით ისვენებენ მაისიდან ნოემბრის თვემდე.

სამკურნალო მინერალური წყალი ლუგელა

ლუგელას მინერალური წყლის გამოსავალი წყაროები სამეგრელოს მთიან ჩრდილოეთ ნაწილშია, მდ. ხობისწყლის


ხეობის ზემოთ, სოფ. ლუგელას ტერიტორიაზე (ჩხოროწყის რაიონში), რომელიც დაფარულია ბზისა და წითელი ხის ტყით.

ლუგელას (მუხურის) წყალს შორეული წარსულიდან იყენებდნენ სამკურნალოდ როგორც ადგილზე, ისე დაშორებულ რაიონებშიც, მას უმთავრესად კანის დაავადების დროს ხმარობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სამკურნალო წყალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ სამეგრელოსა და მის მეზობელ რაიონებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აზრად არავის მოსვლია მისი თვისებების შესწავლა.

1934 წელს სპეციალურმა ექსპედიციამ გამოავლინა ლუგელას მინერალური წყლის ახალი გამოსავალი, 1935 წელს ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური ბურღვითი სამუშაოების შედეგად მინერალური წყლის დებიტი გადიდდა 22,000 ლიტრამდე დღე-ღამეში, რამაც შექმნა პირობები ლუგელას მინერალური წყლის სამრეწველო ექსპლუატაციისათვის. 1936 წელს სადაზვერვო ბურღილი დაკაპტაჟების შემდეგ გადაეცა საექსპლუატაციოდ. აღმოჩნდა ლუგელას მინერალური წყლის ხუთი გამოსავალი, აქედან ორი (№ 1 ჩათვლით) მდებარეობს მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, სამი კი — მარჯვენა ნაპირზე.

თავისი ქიმიური შედგენილობით ლუგელას მინერალური წყალი მიეკუთვნება მაღალი მინერალიზაციის ქლორ-კალციუმიან წყლებს. მისი ბალნეოლოგიური ფორმულაა:



ლუგელას მინერალური წყლის მშრალი ნაშთი ლიტრ წყალში 53 გ აღემატება, ამასთან, საერთო მინერალიზაციის 88% ქლორ-კალციუმზე მოდის. თავისი ბუნებრივი შემადგენლობით ლუგელას წყალი შეეფარდება კრისტალურ ქლორ-კალციუმის 95% ხსნარს, ე. ი. ისეთ ხსნარს, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება პრაქტიკაში.

ლუგელას წყალი სასარგებლო რაოდენობით შეიცავს ბრომს (180 მგ ლ/წყალში), დასაშვები რაოდენობით — იოდს,

ფლორს, მაგნიუმს, ნატრიუმსა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ჯერჯერობით ცნობილი არაა ისეთი რთული შემადგენლობის მინერალური წყალი, როგორც არის ლუგელა. იგი ქლორ-კალციუმის ხელოვნური 10% ხსნარის ნაცვლად თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭომ ცნო იგი როგორც უნიკალური და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი შეტანა ფარმაცოპეაში.

ლუგელა მნიშვნელოვანი უპირატესობით გამოიყენება იმ დაავადებების დროს, როდესაც ნაჩვენებია ქლორ-კალციუმის 10% ხსნარი. ეს დაავადებებია ფილტვების, ლიმფური ჯირკვლების, ძვლების, სახსრების, აგრეთვე სეროზული გარსების ტუბერკულოზი (ექსუდაციური და მშრალი პლევრიტი, პოლისეროზიტი), ბრონქული ასთმა, თირკმლების ანთებითი პროცესი შარდში სისხლის გამოყოფით, გულყრის ზოგიერთი ფორმა, სახსრების ანთებითი პროცესი, კანის ზოგიერთი დაავადება (ეგზემა, ნევროდერმატიტი, ფსორიაზი და სხვა), ნერვული სისტემის ზოგიერთი ფუნქციური დაავადება, კუჭის კატარი (კუჭის წვენის მუავიანობის დაქვეითებით), ორგანიზმის ალერგიული დაავადებანი და სხვა.

ლუგელას მინერალური წყლის მიღება დასაშვებია მხოლოდ ექიმის დანიშნულებით. რაც შეეხება წყლის დოზირებას, იგი განისაზღვრება სრულსაკოვანებისათვის სუფრის კოვზით სამჯერ დღეში, ბავშვთა ასაკში — ჩაის კოვზით სამჯერ დღეში. შეიძლება ლუგელას მინერალური წყლის ვენაში შეყვანა (5—10 მლ, სტერილიზაციის შემდეგ).

საკმაოდ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოიყო ლუგელას საკურორტო ზონა, მოეწყო მინერალური წყლის ჩამოსხმა. ლუგელას მინერალური წყლით მარაგდებოდა როგორც საქართველო, ისე სხვა მოძმე რესპუბლიკები. 6—7 წლის წინათ ფლორის ზედმეტი შემცველობის მოტივით შეჩერდა ლუგელას მინერალური წყლის სამკურნალო მიზნით გამოყენება. მაგრამ ხელახალი გამოკვლევების შედეგად ლუგელა, როგორც სასარგებლო სამკურნალო თვისებების მინერალური წყალი, აღდგენილ იქნა ფარმაცოპეაში.

კურორტი ბია

ბალნეოლოგიური კურორტი ბია ხობის რაიონშია და დაშორებულია რაიონის ცენტრს 6 კმ, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 50 მ-ია.

ადგილმდებარეობა აქ ოდნავ ბორცვიანია და დაფარულია მდიდარი მცენარეულობით. ჰავა ტენიანი სუბტროპიკული ზომიერად ცხელი ზაფხულით და თბილი ზამთრით გამოირჩევა, ზღვის ბრიზები ანელევენ ზაფხულის სიცხეს, ზამთარში ყინვა იშვიათია.

ბიაში გამოვლინებულია მინერალური წყლის ორი გამოსავალი — ორივე წყაროს მინერალური წყალი ერთი და იმავე ტიპისაა — სუსტი გოგირდწყალბადიან (0,003 გ/ლ) ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმიანი.

ბიაში არსებობს პატარა სააბაზანო შენობა 4 ინდივიდუალური კაბინით და საერთო საცხოვრებელი, რომელიც აშენდა კოლმეურნეობის სახსრებით. აბაზანები მუშაობს წლის თბილ პერიოდში.

ავადმყოფებს ენიშნებათ დღეში თითო აბაზანა 15 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსი განსაზღვრულია 15—18 აბაზანით.

ბიაში მკურნალობისათვის ნაჩვენებია სახსრების ქრონიკული და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები.

სამკურნალო სეზონად ითვლება მაისი-ნოემბერი.

კურორტი მუაში

კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მუაში მდებარეობს ქვემო სვანეთში, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ლენტეხის რაიონში, კავკასიონის ქედის ფერდობზე, შავი ზღვის დონიდან 1250 — 1300 მ სიმაღლეზე.


გზა, რომელიც მიდის ქ. ქუთაისიდან მუაში, მიჰყვება მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირს ზევით მამისონის უღელტეხილის მიმართულებით, ხოლო 55-ე კილომეტრზე — სოფელ ალპანასთან შორდება ამ გზას და გადაუხვევს რაიონის ცენტრ ცაგერისკენ, შემდეგ ქვემო სვანეთში, ლენტეხის გავლით მიგიყვანთ კურორტ მუაში.



სოფელ ალპანიდან მუაშამდე მანძილი 50 კმ-ია. კურორტი უკავშირდება ქალაქს და რკინიგზის სადგურ ქუთაისს კეთილმოწყობილი საავტომობილო გზით. აქ ქვემო სვანეთისა და ზემო სვანეთის საზღვარზე გადაჭიმულია მთაგრეხილები და დიაში, ფიჭხორი, გორეაში და სხვები. ქვემო სვანეთი მეორე მიმართულებით ესაზღვრება რაჭასა და ლეჩხუმს.

მუაში ხასიათდება ზომიერად თბილი მთის ჰავით — ცივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით. კურორტის კლიმატურ კომპლექსს არბილებს აქ მოქმედი ჰაერის მასები, რომლებიც შემოიჭრებიან შავი ზღვის სანაპიროდან.

მუაში გამოვლინებულია მინერალური წყლის 5 გამოსავალი, აქედან სამი მდებარეობს კურორტის ცენტრალურ ნაწილში, დანარჩენები უფრო ზევით, დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე. პირველი სამი წყარო გვაძლევს ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმის (საირმეს ტიპის) წყალს, რომელიც გამოიყენება სასმელად. დანარჩენი ორი წყაროს მინერალურ წყალს უნიშნავენ აბაზანების სახით. პირველი სამი წყაროს წყლის კუროლოვისეული ბალნეოლოგიური ფორმულა ასეთია:



კურორტზე, სააბაზანო შენობის გარდა, საზაფხულოდ ჩამოსული ავადმყოფებისა და დამსვენებლების განკარგულებაშია 20-ზე მეტი სახლი. აქვეა საექიმო პუნქტი, სასადილო, ფურნე, ფოსტა და სხვ. კურორტი ელექტრიფიცირებულია.

მინერალური წყალი ავადმყოფებს ეძლევათ ჩაის ჭიქით 3-ჯერ დღეში, კუჭის წვენის მჟავიანობის მომატებისას 1—1,5 საათით ჭამის წინ (შემთბარი), მჟავიანობის დაქვეითებისას — 5—10 წუთით ადრე ჭამის წინ ან საჭმელთან ერთად.

საშარდე გზების დაავადებისას უნიშნავენ 1—1,5 ჩაის ჭიქას 4—5-ჯერ დღეში.

აბაზანების სახით ხმარობენ 35—37° ტემპერატურის მინერალურ წყალს 10—15 წუთი ხანგრძლივობით, სულ იღებენ 12—15 აბაზანას.

ჩვენებანი: კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებები (გას-

ტრიტი, წყლულოვანი დაავადება, ჰეპატოქოლეცისტიტი, პიე-ლიტი) ნივთიერებათა ცვლის დაავადებები, (დიაბეტი, პოდაგრა, სიმსუქნე) და შარდგამომყოფი გზების დაავადებები.

აბაზანები მიზანშეწონილია სახსრების, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაავადების დროს.

მუაში მთის ბალნეოკლიმატური კურორტია, იქ სასიამოვნოა მკურნალობა განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში. საჭიროა მისი კეთილმოწყობა-გაფართოება, მინერალური წყლების დებიტის გადიდება და წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის მოწყობა.

კურორტი მოქმედებს მხოლოდ ზაფხულის თვეებში — ივნის-სექტემბერში.

კურორტი ბახმარო

(მაღალმთიანი კლიმატური კურორტი)

ბახმარო ჩოხატაურის რაიონშია, რაიონის ცენტრიდან 40 კმ, ხოლო ქ. მახარაძიდან 50 კმ მანძილზე. იგი მდებარეობს აჭარა-იმერეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 1950 — 2000 მ სიმაღლეზე. კურორტის ტერიტორია გაშლილია მდინარე ბახვისწყლის ნაპირებზე და გარშემორტყმულია მაღალი მთებით, მხოლოდ დიაა შავი ზღვის სანაპიროსკენ, იქამდე უმოკლესი გზით 35—40 კმ-ია. ეს ხელს უწყობს კურორტის ტერიტორიაზე ზღვის ჰავის ელემენტების შემოჭრას, რაც ამდიდრებს ბახმაროს მთის ჰავას და ამაღლებს მის სამკურნალო თვისებებს.

ბახმაროს, როგორც ჰავით სამკურნალო ადგილს, მწყემსებმა გაუთქვეს სახელი, მათი ოჯახის წევრები, რომლებიც თან მიჰყავდათ ზაფხულობით საძოვრებზე, კარგად ხდებოდენ ამ ადგილებში, გაკაყებულნი ბრუნდებოდნენ შინ. შემდეგ ახლო სოფლების მოსახლეობამაც დაიწყო აქ საზაფხულო კარვებისა და პატარა სახლების აშენება. წინათ ბახმაროზე მხოლოდ საცალფეხო გზით შეიძლებოდა ასვლა, მაგრამ ამის მიუხედავად, ზაფხულობით მოაგარაკეთა რიცხვი მაინც თანდათან მატულობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

შემდეგ ბახმაროს ყურადღება მიექცა. იგი საქართველოს მთავრობის დადგენილებით ცხადდება რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად და იქ მთელი რიგი კეთილმოწყობითი სამუშაოები ტარდება.

1945 წლიდან ბახმაროზე გაიყვანეს საავტომობილო გზა, რამაც გაადიდა კურორტზე მშენებლობის გაშლის შესაძლებლობა. აშენდა 75-საწოლიანი სანატორიუმი, პოლიკლინიკა, საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის 100-საწოლიანი ბავშვთა სანატორიუმი, ქ. მახარაძის ბავშვთა სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკი, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს უსინათლოთა საზოგადოების სანატორიუმი, აეროსოლარიუმი, სხვადასხვა დაწესებულებისა და მოქალაქეთა ინდივიდუალური აგარაკები და სხვ.

ბახმარო მაღალხარისხოვანი მთის კლიმატური კურორტია.

წლის საშუალო ტემპერატურა აქ აღწევს 4°-ს. ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა 1400 მმ ზღრის, საშუალო ტენიანობა — 70%-ს, ადგილი მდიდარია მზის რადიაციით. დასავლეთიდან — შავი ზღვისპირიდან ბრიზები დადებით გავლენას ახდენს ბახმაროს კლიმატურ კომპლექსზე, აქ მოქმედებს აგრეთვე ადგილობრივი მთა-ბარის ატმოსფერული დინება.

ბახმაროს კლიმატურ კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მზის უხვი რადიაცია დიდძალი ულტრაიისფერი სხივებით, რაც ამდიდრებს ბახმაროს კლიმატოთერაპიულ თვისებებს, ჰაერი სუფთაა მტვრისაგან, ამიტომ ძალზე გამჭვირვალეა. ჰაერის სისუფთავეს უზრუნველჰყოფს ბახმაროს მდიდარი წიწვიანი ტყის მასივი, რაც კურორტის ჰაერს სასიამოვნო სურნელებით აზავებს. ბახმაროს მწვანე საფარველი აძლიერებს ჰაერში ფიტონციდებს და მათ ბაქტერიციდულ მოქმედებას. კურორტს დიდი პერსპექტივა აქვს. ბახმაროს გზაზე არსებობს ბალნეოკლიმატური კურორტი ნაბელღავი, რომლის მინერალური წყალი წარმოადგენს სახელგანთქმული ბორჯომის წყლის ანალოგს.

ბახმაროზე მკურნალობის ჩვენებები: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები — ქრონიკული ბრონქიტი, მშრალი პლევრიტი, მეზენტერიული ბრონ-

ქული და პერიფერული ლიმფური ჯირკვლების, ქრონიკული ტუბერკულოზური ანთებითი პროცესების დახურული ფორმები, რაქიტი, მეორადი ანემია, ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები.

კურორტი მუშაობს ივნისიდან — ოქტომბრამდე.

კურორტი ნაბელავი

კურორტი ნაბელავი მდებარეობს მდინარე გუბაზოულის ხეობაში, 475 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. კურორტი ნაბელავის სოფლის საბჭოს სახელით ადმინისტრაციულად შედის ჩოხატაურის რაიონში, ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ საჯავახოდან დაშორებულია 42 კმ-ით.

მინერალური წყლების გამოსავლებთან გაშენებულია პატარა სოფელი „მეჟვე წყლის“ სახელწოდებით. სახელწოდება „ნაბელავი“ თითქოს წარმოსდგება „ბელელიდან“, რომელიც გაუშენებია რომელიღაც მემამულეს გლეხებისაგან აკრეფილი ღალის შესანახად.

ფოთლიან ტყეს, რომელიც ფარავს კურორტის ტერიტორიას, თანდათან უფრო მაღლა ერევა წიწვიანი ჯიშები.

ნაბელავს აქვს საექიმო პუნქტი, სამკითხველო, კოოპერატიული სავაჭრო, სასადილო. კურორტის განკარგულებაშია ორი 34-ბინიანი სახლი და ხის სააბაზანო შენობა 4 აბაზანით, 75-საწოლიანი პანსიონატი.

გარდა ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყლებისა, ნაბელავში არის აგრეთვე ნახშირმჟავა-რკინიანი და ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიანი წყლები. ამჟამად ნაბელავის სამკურნალო წყლების მთავარი წყაროა №1 მექანიკური ჭაბურღილი, რომლის დებიტი დღე-ღამეში 65000 ლიტრია. დანარჩენი წყაროები ჭებისა და ბუნებრივი წყაროების სახით წარმოდგენილია შედარებით მცირე დებიტით და დაბალი მინერალიზაციით. № 6 წყარო რკინიანი ჯგუფის წყლების წარმომადგენელია და მდებარეობს მდინარე გუბაზოულის მარცხენა მხარეზე. ეს ის წყაროა, რომელსაც ამჟამად იყენებენ პრიმიტიულ პირობებში სამკურნალო აბაზანებისათვის. № 1 წყარო მდებარეობს მდინარე გუ-

ბაზოულის მარჯვენა ნაპირზე. მის ქიმიურ შემადგენლობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კალციუმის შენაერთებს და ცნობილია, როგორც ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმის მინერალური წყლების წარმომადგენელი საირმის ტიპისა.

გარდა მინერალურ წყლებისა, კურორტის ტერიტორიაზე გამოდის მტკნარი წყლის სუფთა წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურორტს სასმელი წყლით.

ნაბელღავის მინერალური წყლები ცნობილია ჩოხატაურის რაიონის მოსახლეობაში 1905—1910 წლიდან.

ავადმყოფები და დამსვენებლები ჩამოდიან საქართველოს ყველა რაიონიდან. მათ განკარგულებაშია ახლო მდებარე სოფლებისა და კურორტის საბინაო ფონდი. სეზონი იწყება 1 ივნისიდან და გრძელდება 15 სექტემბრამდე. წყალს ხმარობენ სასმელად შემდეგ დაავადებათა დროს: კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულების, ქრონიკული გასტრიტის, კოლიტის და აგრეთვე ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმლების და საშარდე გზების ქრონიკული დაავადებების დროს. გამთბარ მინერალურ წყალს აბაზანების სახით იყენებენ ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადების, სახსრების ქრონიკული ანთების, პერიფერიული ნერვული სისტემის და გულის ზოგიერთ დაავადებათა სამკურნალოდ.

კურორტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერულმა საბჭომ და საქართველოს ჯანსაჯკომის სწავლულთა საბჭომ ნაბელღავის მინერალური წყალი მიაკუთვნა ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის წყლების ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნის ცნობილ ბორჯომისა და ვიშის (საფრანგეთი) სამკურნალო წყლები. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ნაბელღავის სამკურნალო წყლის ფართოდ გამოყენების მიზნით მისი ბოთლებში ჩამოსხმის ორგანიზაცია.

ნაბელღავი დაშორებულია შავი ზღვის სანაპიროდან 55—60 კმ-ით. ზღვიდან ძლიერი ატმოსფერული დინება შორს იჭრება ხეობაში და ავრცელებს თავის გავლენას კურორტის ზონაშიც. მთების ფერდობებზე და უფრო ზევით ხეობებში ჰაერის ნოტიო მასების იძულებითი ასვლა ქმნის ხელსაყრელ

პირობებს ნამის კონდენსაციისათვის, კონდენსაციის პროცესების საწინააღმდეგო გავლენას ახდენს ატმოსფერული ღინება, რომელიც მიემართება მთებიდან დაბლობისაკენ. ამ ღინებას ფიონების ხასიათი აქვს, განტვირთავს რაიონის ზედმეტი სინოტივისაგან და აძლიერებს თერმულ მაჩვენებლებს. რელიეფის სხვადასხვაობა, მაღალი ქედების და ველების არსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ადგილობრივი ატმოსფერული ღინების წარმოშობისათვის მთა-ველის ქარების სახით, რომელთა სისტემატური მოქმედება უზრუნველყოფს მდინარე გუბაზოულის ხეობის, კერძოდ, ნაბელღავის ზონის კარგ ვენტილაციას.

ზღვის ბრიზები, რომლებიც ბატონობენ შავი ზღვის რაიონში, გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში იჭრება კურორტის ზონაში და იქ ავრცელებს თავის გავლენას.

ნაბელღავის № 1 ბურღილის წყლის ბალნეოლოგიური ფორმულა ასეთია: $CO_2 1,8M7,2 \frac{HCO^3 91}{Na74} T 13 5^\circ D 100, 000$ ლ/დღ.

ნაბელღავის № 1 ჰაბურღილის წყლის და ბორჯომის № 1 წყაროს წყლის ანალიზებიდან ჩანს, რომ ეს წყლები ერთი და იმავე ტიპისაა, ე. ი. ეკუთვნიან ჰიდროკარბონატული კლასის ჰიდროკარბონატულ ნატრიუმის წყლების ჯგუფს. ნაბელღავის მინერალური წყალი (№ 1 ბურღილი) ეძლევა ავადმყოფს კუჭის წვენის მკვებების მომატებისას 1,5 ჩაის ჭიქა 3-ჯერ დღეში, თბილი უგაზო 1—1,5 საათით ადრე ჭამის წინ, ხოლო მკვებების დაქვეითებისას იგივე რაოდენობით 5—10 წუთით ადრე, ჭამის წინ, ნორმალური მკვებებისას კი — 40—45 წუთით ადრე ჭამის წინ.

კურორტ ნაბელღავში, გარდა იმ ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმის წყლისა, რომელიც ითვლება მთავარ წყაროდ და კურორტის ძირითად სამკურნალო ფაქტორად, არსებობს წყაროების მთელი რიგი, რომლებიც უფრო მდიდარია რკინით და კალციუმით. ეს წყლები საინტერესოა სამკურნალო თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კურორტზე მკურნალობისათვის ნაჩვენებ ძირითად დაავადებებს თან სდევს სისხლნაკლებობა და სხვ.

ამჟამად ამ წყლებს აბაზანების სახით (თუმცა პრიმიტიულ ბალნეო-ტექნიკურ პირობებში) სამკურნალოდ იყენებენ მთელ რიგ დაავადებათა დროს, მაგალითად, სახსრების ქრონიკული დაავადებების, პერიფერიული ნერვული სისტემის, ნევრასთენიისა და სხვა დაავადებათა დროს.

ჩვენებანი: კუჭ-ნაწლავის დაავადებები.

ქრონიკული გასტრიტი მომატებული ან ნორმალური მჟავიანობით.

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულები (გამწვავებისა და სისხლდენისაკენ მიდრეკილების გარეშე).

ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი (ამებური და წყლულოვანი ფორმების გარდა).

ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებები:

ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების დახშობის მოვლენების გარეშე.

საშარდე გზების დაავადებები:

თირკმლების ფიალების, შარდსადინარებისა და შარდის ბუშტის ქრონიკული ანთება შარდის მჟავე რეაქციის პირობებში.

კურორტი ნასაკირალი

ნასაკირალი მახარაძის რაიონშია, იგი დაშორებულია ქ. მახარაძიდან 7—8 კმ-ით. ნასაკირალი უკავშირდება ქ. მახარაძეს და საქართველოს სხვა რაიონებსა და ქალაქებს კეთილმოწყობილი საავტომობილო გზით. კურორტის სიმაღლე ზღვის დონიდან 180—200 მ. განისაზღვრება.

ნასაკირალის ჰავა ტენიანია, სუბტროპიკული ზომიერად ცივი ზამთრით და რამდენადმე ცხელი ზაფხულით.

ზღვის სანაპიროს სიახლოვის გამო აქ სისტემატურად ქრის ბრიზები, რაც მნიშვნელოვნად არბილებს ჰაერის ტემპერატურას, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. რაიონი მდიდარია ხეხილისა, ჩაისა და ციტრუსების კულტურებით.

ნასაკირალის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მისი ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური



წყალი შემდეგი ბალნეოლოგიური ფორმულით (№ 1 ბურღილით)
 (ლილი): M3,8 $\frac{Cl98}{Na82}$ — T 19° D 140 000 ლ/დღ.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოთა შედეგად ყოფილი შვიდი ბუნებრივი გამოსავალის მაგიერ № 2 ბურღილით წყლის დებიტი გაიზარდა 400, 000—500,000 ლიტრამდე დღე-ღამეში და ამავე დროს საგრძნობლად იმატა მინერალური წყლის საერთო მინერალიზაციმ (7,8 გრ/ლ). წყლის ბაზაზე აშენებულია სააბაზანო შენობა ორი საერთო აუზით და რამდენიმე ინდივიდუალური კაბინით. აქვე მოწყობილია საერთო საცხოვრებელი მომსახურე პერსონალისა და ავადმყოფებისათვის, აგრეთვე არის ჩაისა და აბრეშუმის მეურნეობათა კაპიტალური შენობები.

კურორტ ნასაკირალიდან 5 კმ-ის დაშორებით აღმოაჩინეს სამკურნალო ტალახი.

ხელოვნური გათბობის შემდეგ ავადმყოფებს ენიშნებათ 36—37° ტემპერატურის ნასაკირალის მინერალური წყლის აბაზანა 12—15 წუთის ხანგრძლივობით დღეში ერთხელ. მკურნალობის კურსს შეადგენს საშუალოდ 15 აბაზანა.

კურორტ ნასაკირალში სამკურნალოდ ნაჩვენებია მოძრაობის ორგანოთა, პერიფერიული ნერვული სისტემის, ანთებითი ხასიათის გინეკოლოგიური ქრონიკული დაავადებები, დასაღვეად წყალს იყენებენ კუჭ-ნაწლავის ანთებითი ხასიათის დაავადების დროს, უპირატესად კუჭის წვენის მკავიანობის დაქვეითებისას.

ამჟამად კურორტი ნასაკირალის სეზონი ითვლება მაისიდან ნოემბრის თვემდე.

კურორტი ანაკლია

ანაკლია მდებარეობს ზუგდიდის რაიონში და დაშორებულია ქ. ზუგდიდიდან 30 კმ, ხოლო ქ. ფოთიდან 25 კმ-ით. ანაკლია შავი ზღვის პირზეა, იქ სადაც მდ. ენგური უერთდება ზღვას. უახლოესი რკინიგზის სადგურია ინგური, რომელიც

კურორტიდან 24 კმ-ზეა. კურორტი და მისი თანამოსახლე სოფელი ანაკლია უკავშირდება ქ. ზუგდიდს ფართო ასფალტირებული გზით.

ანაკლიის ჰავა სუბტროპიკულ ტენიანია, ცხელი ზაფხულითა და გრილი ზამთრით. აქ ზღვიდან მუდამ ქრის ნიავი (ბრიზები), რომელიც მნიშვნელოვნად აგრილებს ზაფხულის სიცხეს და არბილებს ზამთრის სიცივეს. ანაკლიას ახასიათებს მზის ხანგრძლივი რადიაცია (წლის განმავლობაში 2200 საათი საშუალოდ).

ანაკლიაში თვალუწვდენელი სიგრძის (10—12 კმ) და დიდი სიფართის (50—80 მ) მცირე დაქანების წმინდა ქვიშიანი პლაჟია. ნაპირიდან 100—150 მ მანძილზე ზღვის სიღრმე არ აღემატება 1—1,5 მ-ს, ამავდროს ზაფხულის ცხელ თვეებში ბრიზები ხელს უწყობენ ჰაერის ტემპერატურის კომფორტული პირობების შექმნას.

წარსულში ანაკლია, რომელიც კოლხიდის დაბლობის დაჭაობებულ ნაწილში იყო მოთავსებული, მალარიის საშიშ კერას წარმოადგენდა. ტრესტ „კოლხიდმშენის“ მიერ ჩატარებული რადიკალური მელიორაციული ხასიათის ღონისძიებათა შედეგად, იგი და მის მეზობლად მდებარე თიკორი ბავშვთა კურორტების ძირითად ბაზად იქცა. აქ შეიძლება მოეწყოს ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე არსებული არტეკის ტიპის საბავშვო კურორტი, აგრეთვე სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა, სასტუმრო-კოტეჯების, მშენებლობა. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ჩვენება: სუნთქვის ორგანოების და სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები — ლიმფადენიტი, ბრონქიტი, ფუნქციური და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და სხვა. 1959—1960 წლებში ჩატარდა საორიენტაციო დაგეგმარება და ზუგდიდის კოლმეურნეობებმა ააშენეს 30 სააგარაკო სახლი-კოტეჯები, სასადილო და სხვ. ჩამოსული მოაგარაკეები ისვენებენ ძირითადად კოლმეურნეთა სახლებში. კურორტი მუშაობს მაისიდან — ნოემბრამდე.

ფოთიდან 3—4 კმ დაშორებით სამხრეთის მიმართულებით მდებარეობს მალთაყვა. მალთაყვის ტერიტორია — სამკუთხედის ფორმის პატარა ნახევარკუნძული, ერთი მხრივ მოქცეულია ზღვის, მეორე მხრივ — პალიასტომის ტბისა და მდინარე კაპარჭინას შორის, მალთაყვას სამხრეთიდან ჩაუვლის მდ. კაპარჭინას, მდ. დედაბრისა და მდ. მალთაყვის საერთო შესართავი. მალთაყვა თავისი მდებარეობით ქ. ფოთის გავრძელებაა. ღია ჰორიზონტის გამო ყოველი მხრიდან შესანიშნავი ხედებია. ეს ის ადგილებია, სადაც გადმოსხდნენ ლეგენდარული არგონავტები ოქროს საწმისის მოსატაცებლად. წარსულში ფოთის (ფაზისი) ახლომახლო რაიონები მალთაყვის ჩათვლით განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა ხეხილის ბაღებით, ციტრუსებით და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურით. მალთაყვის გაშლილი ტერიტორია ხელს უწყობს ჰაერის მასების ნაკადის მოძრაობას როგორც ზღვიდან ხმელეთისაკენ ისე, პირიქით, მალთაყვა გამოირჩევა ჰაერის სიმშრალით და ნალექების სიმცირით.

მალთაყვის ქვიშის პლაჟი იმდენად სუსტი დაქანებისაა, რომ აქ ნაპირიდან რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე ზღვის სიღრმე 1—1,5 მ არ აღემატება.

ბრიზებს შემოაქვთ სიგრილე და მნიშვნელოვნად ანელებენ ზაფხულის სიცხეს. მზის რადიაცია ხანგრძლივია — იგი წლის განმავლობაში საშუალოდ 2200 საათს აღწევს.

მალთაყვაში ჩატარებული დაკვირვებით დადგენილია მისი სამკურნალო ფაქტორების კეთილმოქმედება ბავშვისა და მოზარდის ორგანიზმზე. ისინი ხელს უწყობენ განსაკუთრებით სისხლის შემადგენლობის გამდიდრებას.

ქვიშიანი ზღვის სუფთა სანაპირო, მზის უხვი რადიაცია და ბრიზების მუდმივი მოქმედება, ქვიშის აბაზანების ჩათვლით ხელსაყრელ პირობებს ქმნის აქ მკურნალობისათვის. მალთაყვას, როგორც ბავშვთა ზღვის სანაპირო კურორტს, დიდი პერსპექტივები აქვს.

მალთაყვაში მკურნალობისათვის ნაჩვენებია შემდეგი ავადებები: ლიმფადენიტი, ბრონქიტი, ძვლისა და სახსრების

ტუბერკულოზი, მშრალი პლევრიტი, რაქიტი, სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებები, მეორადი ანემია, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და აგრეთვე ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები.

მაღთაყვამი სეზონი მაისიდან ნოემბრის თვემდე გრძელდება.

კურორტი კულევი

ზღვის სანაპირო ბალნეოკლიმატური სადგური კულევი ხობის რაიონშია, მდინარე ხობის მარცხენა მხარეზე, ქ. ფოთიდან ჩრდილოეთ მიმართულებით 10 კმ დაშორებით. უახლოესი რკინიგზის სადგურ ხობიდან 20 კმ.

კულევს ახასიათებს ტენიანი სუბტროპიკული ჰავა ცხელი ზაფხულით, ზომიერად თბილი ზამთრით და მზის უხვი რადიაციით. კულევის ზაფხულის სიცხეს მნიშვნელოვნად არბილებს ზღვის ზედაპირიდან ხმელეთისაკენ გადმოადგილებული ჰაერის მასები (ბრიზების ხასიათის). ატმოსფერული ნალექების ოდენობა კულევში ნაკლებია, აჭარის ზღვის სანაპიროზე საერთოდ ურეკისა და ფიჭვნარის ჩათვლით, იგი წლის განმავლობაში აღწევს 1400 მმ, ხოლო ჰაერის წლის საშუალო ტემპერატურა უდრის 14° -ს.

აქ ჩატარებული ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად ღრმა ბურღილიდან მიღებულია ჰიპერთერმული მინერალური წყალი (50°) დებიტით 650,000 ლ/დღ.

მინერალური წყალი თავისი ქიმიური შედგენილობით წარმოადგენს ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან წყალს. მის ბაზაზე აშენებულია სააბაზანო, რომელსაც ფართოდ იყენებენ ახლო მოსახლეობის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

კულევში ზღვის კომპლექსითა და ცხელი მინერალური წყლის აბაზანებით მკურნალობისათვის ნაჩვენებია გულ-სისხლძარღვთა, პერიფერიული ნერვული სისტემის ფუნქციური, სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები, რაქიტი, მეორადი ანემია, ლიმფადენიტი და აგრეთვე გინეკოლოგიური ანთებითი დაავადებები.

აქ სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოდიან მაისიდან ნოემბრის თვემდე.

აფხაზეთის კურორტები და საკურორტო სიმდიდრენი

(მოკლე მიმოხილვა)

ადგილმდებარეობის რელიეფის ნაირსახეობა, კლიმატური და ბალნეოლოგიური ფაქტორების სიმრავლე აფხაზეთის ასსრ-ში ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ ტერიტორიის სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისათვის ფართოდ გამოსაყენებლად. ეს აყვავებული მხარე უხსოვარი დროიდან იზიდავდა ზღვისა და მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარეულობის ურიცხვ მოყვარულებს.

სანაპიროს ვიწრო ზღვისპირის ზოლი გადადის მთიან სიმაღლეებში, შემდეგ კი მოსჩანს კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალები მზეზე მოკაშკაშე მუდმივ თოვლით და მყინვარებით.

ამ სანაპიროს კლიმატი გავრიდან ვიდრე გულრიფშამდე ტენიან სუბტროპიკულია, საშუალო წლიური ტემპერატურა —14°-ია, აღსანიშნავია მზის სხივადობის დიდი ხანგრძლივობა, თბილი შემოდგომა და რბილი ზამთარი.

ამჟამად აქ გამოვლინებულია ასზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა უმრავლესობა შესწავლილია ქიმიური შემადგენლობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი უკავია ნახშირმყავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმისანი წყაროებს, რომელიც ავადხარას რაიონში შეიცავს დარიშხანს.

საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის აფხაზეთის ფილიალთან სოხუმში ამ წყაროების ბაზაზე მოქმედებს კლინიკური განყოფილება კუჭ-ნაწლავით დაავადებულთათვის, სადაც სამკურნალოდ იყენებენ ბოთლებში ჩამოსხმულ ავადპარის მინერალურ წყალს.

ტყვარჩელის თერმულ-რადიაქტიური წყლების ბაზაზე მო-



წყობილია სანატორიუმი „ტყვარჩელქვანახშირის“ მშრომელებისათვის.

კურორტ ახალი ათონიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ 8 კილომეტრზე, სოფ. სანაპიროს რაიონში გამოვლინდა ქლორნატრიუმიანი წყლის რამდენიმე სათავე, გოგირდწყალბადის საკმარისი შენაერთით (12 მლ-მდე), მდიდარი გაზებით (აზოტისა), სადღელამისო დებიტით 300.000 ლიტრი. ამ უბანზე წარმოებული ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები მიგვანიშნებს ახალი ათონის ზღვისპირის კლიმატურბალნეოლოგიური კურორტის დიდ პერსპექტივაზე.

მთელ კავშირში სახელგანთქმული სანაპიროს კურორტები ყოველწლიურად იზიდავს ათი ათასობით მშრომელებს საბჭოთა კავშირის ყველა რაიონებიდან.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აფხაზეთის ასსრ დაიფარა დასასვენებელი სახლებით, სანატორიუმების, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების, ბალნეო-ფიზიო სამკურნალოს, სამედიცინო პლაჟების ტურბაზების ფართო ქსელით.

ძირითადად საკურორტო სეზონი იწყება აპრილიდან და გრძელდება წლის ბოლომდე. გულრიფშის ლენინის სახელობის სანატორიუმი, სადაც მკურნალობენ ტუბერკულოზით დაავადებულებს, ზაფხულის ცხელ თვეებში იხურება (ივლის-აგვისტო).

გაგრა

(კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი)

საქართველოს შავი ზღვისპირეთის კურორტებს შორის გაგრა ყველაზე უფრო კეთილმოწყობილია.

გაგრას უჭირავს ზღვისპირის ვიწრო ზოლი; რელიეფისა და კლიმატის სპეციფიკური პირობებით იგი აფხაზეთის სხვა კურორტებისაგან განსხვავდება.

მთის ქედებით გარშემორტყმულ კურორტს კვეთენ მდინარეების ჟოეკვარასა და გაგრიფშის ხეობები, ხოლო ახალი გაგრის საზღვარზე მდინარე ციხვერას ხეობა უხვდება.

სოხუმიდან კურორტამდე 106 კმ-ია, თბილისიდან კი — 600 კმ.

მიმოსვლა მოხერხებულია გზატკეცილით, ზღვით, გზითა და საჰაერო გზით.

კურორტი ორი ნაწილისაგან შედგება — ძველი და ახალი გაგრა.

ძველი გაგრა კურორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, ხოლო ახალი გაგრა ამ რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. კურორტის სწრაფმა ზრდა-განვითარებამ ძველსა და ახალ გაგრას შორის საზღვარი შეუმჩნევლად წაშალა — გააერთიანა.

კურორტის ზღვისპირის მხარეზე 2—3 კილომეტრზე გადაშლილია თვალწარმტაცი პარკი უმშვენიერეს სუბტროპიკული ნარგავებით — ფინიკის პალმებით, მაგნოლიების, ევკალიპტებისა და ჭადრის ხეივნებით.

მთის კალთები უმთავრესად დაფარულია ფოთლოვანი მცენარეულობით, სადაც ჭარბობს წიფელა. პარკის ტერიტორიაზე განლაგებულია კურორტის პოლიკლინიკა, აფთიაქი, სააბაზანო შენობა ზღვის თბილი წყლისა და ფიზიოთერაპიული პროცედურებისათვის, კაფე და კინოთეატრი.

ზღვის დონიდან 60—100 მეტრის სიმაღლის მთების კალთებზე აღმართულია სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და ცალკეული აგარაკები, რომლებიც ჩაფლულია მდიდარ სუბტროპიკულ მცენარეულობაში.

ძველი ციხე-სიმაგრის შემონახული ნანგრევები მოწმობენ მის ისტორიულ წარსულზე. 1870 წ. გაგრაში პირველად აშენდა ლაზარეთი აქ დისლოცირებული სამხედრო გარნიზონისათვის.

გაგრა — კურორტის განვითარება დაიწყო 1901 წლიდან, როდესაც საძირკველი ჩაეყარა პრინც ოლდენბურგის სასახლეს (ამჟამად დასასვენებელი სახლი). ამას მოჰყვა ცალკეული აგარაკების, ვილების, კერძო ოტელების მშენებლობა უმთავრესად მთების კალთებზე, ზღვის დონიდან 60—70 მ სიმაღლეზე, ასევე „ციხე-სიმაგრე“ უოეკვარას ხეობის გარშემო. 1903 წლისათვის ძირითადად დამთავრდა სასტუმროების, აგარაკების და კომუნალური ნაგებობების (წყალსადენი, კანალიზაცია და ელექტროსადგური და სხვა) მშენებლობა. ამავე პერიოდში გაშენდა კურორტის პარკი (ძვ. გაგრა).

1912—1914 წლებისათვის გაგრა კეთილმოწყობილ რორტად ითვლებოდა, სადაც თავშესაქცევად მეფის რუსეთის დიდკაცობა ჩამოდიოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში კურორტი ხელმისაწვდომი გახდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებისათვის. გაგრა გამოცხადებულ იქნა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტად.

ყოფილი სასახლეების, კერძო ვილებების და ოტელების ბაზაზე შეიქმნა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. ამასთან დაიწყო ახალი კომფორტაბელური სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობა.

ამჟამად კურორტზე 20-ზე მეტი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლია, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა უწყებს. ბევრი დამსვენებელია აგრეთვე პანსიონატში, სასტუმროებში.

გაფართოვდა და კეთილმოეწყო პარკი, ზღვის მხრიდან ქვით შემოკავდა სანაპირო. მოწყობილია სპეციალური სამედიცინო პლაჟი და სხვ.

კურორტის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ზღვისპირეთის კლიმატური პირობები, ზღვის წყალი, ფართო პლაჟი, კურორტის უმნიშვნელოვანესი ლანდშაფტი და სხვ. ამას დაემატა ჰიპერთერმიული მინწყლების გოგირდწყალბადიანი აბაზანები; წყალი დედამიწის ზედაპირზე გამოსავალს პოულობს დიდი დებიტით (1,5—2 მლ ლ/დღ.), აშენდა ახალი სააბაზანო შენობა, შენდება სტაციონარი.

გაგრა მიეკუთვნება ზღვისპირა კურორტებს თბილტენიანი ზღვის კლიმატით, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა $+15^{\circ}$ -ია, აქ იცის თბილი ზამთარი, ზომიერად ცხელი ზაფხული, გამოირჩევა მზიანი დღეების სიუხვით და ზღვის ნიავის (ბრიზების) სისტემატური მოქმედებით.

ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურა $+6,8^{\circ}$, ხოლო ყველაზე თბილის — (ივლისი) $+23,8^{\circ}$ -ია.

ქედის კალთების მიკროკლიმატური პირობები სხვადასხვა სიმაღლეზე მთა-ზღვის მთელი რიგი კლიმატური სადგურების შექმნის პერსპექტივას ქმნის.

კურორტის კლიმატური ელემენტების კომპლექსში აღ-

სანიშნავია ჰაერის სისუფთავე, მასში ოზონის, იონების, ზღვის მარილების, კერძოდ, იოდის, ბრომისა და სხვა იონების რაოდენობა, რომლებიც ამდიდრებს ჰაერს ზღვის ნიავის გამუდმებული ქროლვის მეოხებით ზღვის წყლის შხეფებით.

გაგრის ზღვის წყალი შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს კურორტებისაგან (სოჭა, იალტა) განსხვავდება უფრო მაღალი ტემპერატურით და საბანაო სეზონის ხანგრძლივობით — მაისიდან — ნოემბრის ჩათვლით.

კურორტის სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მისი უმდიდრესი ლანდშაფტი თვალწარმტაცი შემოგარენით (მდინარეები გაგრიფში, ჟოეკვარა, ტბის რიწის რაიონი და ა. შ.).

გაგრის ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორები ამშვიდებს ავადმყოფის ნერვულ სისტემას და ხელს უწყობს მისი ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ტონუსის ამაღლებას.

კურორტის პროფილი სამკურნალო-პროფილაქტიკურია, იგი მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს.

სანატორიუმებიდან ყველაზე კომფორტაბელურია „ჩელიუსკინელთა“ სანატორიუმი 225 საწოლით, რომელსაც დაემატა ახალი კორპუსი 200 საწოლით, უსსრ ჯანმრთელობის სამინისტროს სანატორიუმი „უკრაინა“ 110 საწოლით, „XVII“ პარტყრილობის სანატორიუმი 200 საწოლით, სანატორიუმი „საქართველოს ჩაი“ 120 საწოლით, სსრკ სამხედრო ფლოტის სანატორიუმი 180 საწოლით, სანატორიუმი „ჟოეკვარა“ 250 საწოლით, ავტომრეწველობის სამინისტროს სანატორიუმი 250 საწოლით და სხვ.

კურორტის პოლიკლინიკას აქვს კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, რენტგენის კაბინეტი, საბაზანო შენობა ზღვის თბილი წყლის აბაზანისა და ზღვის წყალზე ხელოვნური ნახშირმჟავა აბაზანებისათვის, პიდროთერაპიული დარბაზი შხაპებითა და გინეკოლოგიური განყოფილება (ზღვის წყლის შესხურებით), სამედიცინო პლაჟი და სხვ.

დამსვენებლებს ემსახურება აგრეთვე სასტუმრო „გაგრიფში“ 120 საწოლით, ტურბაზა 150 საწოლით და სხვა.

გაგრა პროფილაქტიკური კურორტიცაა, აქ მშრომელები

ალიდგენენ და იკაეებენ ჯანმრთელობას. ტურისტებიც თავიანთ საყვარელ ადგილად თვლიან.

ჩვენებანი: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები: ქრონიკული მშრალი და ადლეზიური პლევრიტი, ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები, პნევმოკონიოზი, ბრონქული ფარინგიტი, ლარინგიტი და რინიტი.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი: მიოკარდიოდისტროფია, კარდიოსკლეროზი და გულის სარქველების მანკოკომპესირებული ან სისხლმიმოქცევის და I—II ხარისხის უკმარისობის მოვლენებით; I და II სტადიის ჰიპერტონიული დაავადება, ანგიონერვოზი, კორონალური სისხლის მიმოქცევის არამკვეთრად გამოხატული უკმარისობა, ნივთიერებათა ცვლის დაავადებები: ალიმენტური და ენდოკრინული სიმსუქნე.

ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები: ნევრასთენიული რეაქციები.

სხვადასხვა დაავადების გადატანის შემდეგ რეკონვალესცენციის მდგომარეობა.

სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

კურორტი ბიჭვინთა

კურორტი ბიჭვინთა მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე. გაგრიდან დაშორებულია 22 კმ-ით, ხოლო ქ. სოხუმიდან 105 კმ-ით. უახლოესი რკინიგზის სადგური — ახალი გაგრა ბიჭვინთიდან 18 კმ-ზეა. ბიჭვინთა უკავშირდება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ქალაქებს კეთილმოწყობილი ასფალტირებული გზით.

კურორტის ტერიტორია დაფარულია მდიდარი სუბტროპიკული მცენარეულობით, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ბიჭვინთის ფიჭვი. ეს რაიონი გამოცხადებულია სახელმწიფო ნაკრძალად. თვით სახელწოდება ბიჭვინთა წარმოსდგება სიტყვა ფიჭვისაგან.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან შემორჩენილია X—XII სს. ტაძარი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

შემდეგ ბიჭვინთაში არსებული ჭაობების ამოშრობის მიზნით ჩატარებულია მელიორაციული სამუშაოები, რის შემდეგ შემადგენელი გახდა ამ რაიონში ციტრუსების, რძის, ბოსტნეულისა და აგრეთვე ფრინველების ფერმების მოწყობა.

ბიჭვინთის ჰავა ტენიან სუბტროპიკულია ცხელი ზაფხულითა და თბილი ზამთრით. ჰაერის წლის საშუალო ტემპერატურა $+14,5^{\circ}$ -ია, მუდმივად მოქმედი ზღვის ნიავე (ბრიზები) მნიშვნელოვნად ანელებს ზაფხულის სიცხეს და არბილებს ზამთრის სიცივეს.

1959—1960 წლებიდან ბიჭვინთაში მთავრობის დადგენილებით გაიშალა გრანდიოზული საკურორტო მშენებლობა, გათვალისწინებულია სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების არნახული ქსელის შექმნა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე განხორციელდა — ამჟამად მოქმედებს კურორტული კომპინატი 3000 საწოლით, თავის მოცულობით ეს უნიკალური მშენებლობა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ჩქარი ტემპით გრძელდება.

ბიჭვინთაში მუშაობს აგრეთვე ტურბაზა 120 საწოლით, პანსიონატი; აქვეა სხვადასხვა ორგანიზაციის, აგრეთვე მოქალაქეთა ინდივიდუალური აგარაკები, კოლმეურნეთა საბინაო ფონდსაც ფართოდ იყენებენ მოაგარაკეები.

ჩვენებანი: სუნთქვის ორგანოებისა და სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები (ქრონიკული ბრონქიტი, ლიმფადენიტი, მშრალი პლევრიტი, ქრონიკული ლარინგიტი, რინიტი, ფარინგიტი, ტონზილიტი), რაქიტი, ნერვული სისტემის ფუნქციური (ვეგეტონევროზი, ნევრასთენია, და სხვ.), გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ჰიპერტონიული დაავადებები, მეორადი ანემია და სხვ.

მ ზ ი უ რ ი

მზიური წარმოადგენს ზეგანს, რომლის კალთები მთლიანად დაფარულია წიწვიანი ტყით, ხოლო ზემოთ მთების მწვერვალებამდე გადაშლილია ალპური მდელო; მზიური იწყება კურორტ ძველი გაგრის ჩრდილო-დასავლეთით მე-2—3 კილომეტრიდან და თავისი სამხრეთი ნაწილით მას მიეკუთვნება.

ძველი გაგრიდან მზიურზე მიმავალი გზა თანდათან მიიწვევს სამხრეთ კალთებისაკენ და ადის მწვერვალამდე, ზღვის დონიდან 1800 მ სიმაღლეზე, გზაზე ჩამოიტოვებს სხვადასხვა სიმაღლის დატერასებულ მინდვრებს. ისინი უმრავლესად მიმართებიან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და მზის სხივების ხანგრძლივ ზეგავლენას განიცდიან, ზღვის ნაპირიდან მდებარეობენ პირდაპირ ხაზით 8—10 კმ მანძილზე.

ტერასები მოხერხებულია კლიმატური კურორტების მშენებლობისათვის — საშუალო მთიანიდან — მაღალმთიანამდე.

ხშირად გვიან შემოდგომით, როცა მზიური თოვლითაა დაფარული, ქვემოთ მის ძირში — გაგრაში მოაგარაკენი ზღვაში ბანაობენ.

მზიურის სამკურნალო ფაქტორია ულტრაიისფერი რადიაციით მდიდარი მთა — ზღვის კლიმატი.

ამის შესაბამისად მზიური მთა — ზღვის კურორტზე მკურნალობის მაჩვენებლები განსხვავებულია გაგრისაგან, რომელიც ძირითადად წარმოადგენს სამკურნალო-პროფილაქტიკურ კურორტს.

ლესელიძე მდებარეობს 14 კმ-ზე გაგრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ლესელიძეში მისვლა შესაძლებელია რკინიგზით, ზღვითა და ავტომანქანით.

ლესელიძე გაშლილია ზღვისპირა ვაკეზე, რომლის სიგრძე 4 კმ-ზე მეტია.

დავაკების ზემოთ მიემართება კავკასიონის ქედის ტოტების მთიანეთი, რომელიც იცავს ლესელიძეს ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარების არასასურველი გავლენისაგან.

ხელსაყრელი ტოპოგრაფიული პირობები, ღია ჰორიზონტი და შესანიშნავი ქვიშიან-ხრეშიანი ფართო პლაჟი ამ ადგილის საკურორტო მშენებლობის პერსპექტივებს სახავს.

ამჟამად აქ მუშაობს სანატორიუმი „დედა და ბავშვი“ 125 საწოლით და სპორტული საზოგადოება „დინამოს“ სპორტული ბაზა 150 საწოლით.

განთიადი. საკურორტო ადგილი განთიადი მდებარეობს ლესელიძიდან 5—6 კმ, ლესელიძესა და გაგრის შუა, ახასიათებს ამ სანაპიროს ტიპიური კლიმატი.

განთიადის სამკურნალო საშუალება ზღვისპირის კლიმატი
და ზღვაში ბანაობაა.

ჩვენებები იგივეა, რაც გაგრისა.

ახალი ათონი

(ზღვის პირის კლიმატური კურორტი)

ახალი ათონი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე ქ. სო-
ხუმიდან 22 კმ ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ახალ ათონში შეიძლება მისვლა ზღვით, რკინიგზითა და
ავტომანქანით.

ჩრდილოეთის მხრიდან კურორტი გარშემორტყმულია კავ-
კასიონის ქედის ტოტებით, რომლებიც იცავენ მას ჩრდილო-
ეთის ცივი ქარების შემოჭრისაგან, სამხრეთიდან ეკვრის შავი
ზღვა. კურორტის ტერიტორია მიმართულია სამხრეთისაკენ,
რაც მზის რადიაციით უზრუნველყოფს.

ახალი ათონის ტერიტორია სამ ზონად იყოფა.

ზღვის პირის ზონა 50 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სა-
დაც განლაგებულია სანატორიუმები „აფხაზეთი“ და „ზღვის-
პირეთი“, სასტუმრო, პოლიკლინიკა, წყალსამკურნალო და
პარკი.

მცირე სიმაღლის ზონა — 100 მ ზღვის დონიდან, აქ და-
სასვენებელი სახლია.

მთის ზონა ზღვის დონიდან 800—1000 მ სიმაღლეზე, რო-
მელიც წარმოადგენს ტყით დაფარულ ვრცელ პლატოს.

ადგილმდებარეობის ოროგრაფიის ნაირსახეობა ზღვისა და
მთის კლიმატით მკურნალობის შესაძლებლობას იძლევა.
ზღვის პირი ჩაფლულია პალმებში, ბანანებში, დაფნაში; მალ-
ლობსა და გორაკებზე მიმავალი გზების კიდეებზე ჩარაზმუ-
ლია კვიპაროსები. კურორტის მეორე ზონის გორაკები და-
ფარულია ციტრუსების ნარგავებით, მავნოლიებით, დაუნისა
და ზეთისხილის წარაფებით, ახალი ათონი განთქმულია ტბო-
რებითა და ჩანჩქერებით.

კურორტ ახალი ათონის კლიმატი ზომიერად ტენიან
სუბტროპიკულია, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა
საკმაოდ მაღალია $+14,8^{\circ}$, აქ შეხამებულია მთისა და ზღვის

კლიმატის თავისებურებანი. ნალექები ზომიერია, მზის რაღაცა ხანგრძლივია. გაზაფხული თბილია, ზაფხული — ზომიერი, იცის თბილი ხანგრძლივი შემოდგომა და თბილი ზამთარი. ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურა $+5,9^{\circ}$ -ია, ყველაზე თბილისა (ივლისი) $+23,2^{\circ}$.

კურორტის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია მზე, ჰაერი და ზღვაში ბანაობა.

აქ ფუნქციონირებს სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები 750 საწოლით. აქვეა ტურისტული ბაზა, კურორტის პოლიკლინიკა, წყლით სამკურნალო, სამედიცინო პლაჟი.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით.

ამბულატორიული ავადმყოფებისათვის კურორტს აქვს კარგად მოწყობილი სასტუმრო და რესტორანი. მკურნალობა სწარმოებს კურორტის პოლიკლინიკაში.

კურორტ ახალი ათონიდან ჩრდილოეთით 8 კილომეტრზე, ზოფელ სანაპიროს რაიონში, არის ქლორიდულ-ნატრიუმისა და წყლების სათავეები გოგირდწყალბადის მცირე შემცველობით (12 მგ-მდე), დებიტით 300,000 ლ/დღ.

ახლო მომავალში წყაროების წყლებს გამოიყენებენ სამკურნალოდ, რაც კიდევ უფრო აამაღლებს კურორტის სამკურნალო ეფექტურობას და აქცევს მას ბალნეოკლიმატურად.

კურორტზე გაშენებულია პარკი მდიდარი და მრავალფეროვანი სუბტროპიკული მცენარეულობით, საზაფხულო ესტრადა, თეატრი, სანაოსნო სადგური, სპორტული და საცეკვაო მოედანი.

ტურისტული და საექსკურსიო ადგილებიდან საგულისხმოა შალაღმთიანი ტბა რიწა, ძველი გამოქვაბულები და სხვა ღირსშესანიშნაობანი.

ჩვენებანი: სასუნთქი გზებისა და სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებანი: რინიტი, ფარინგიტი, ლარინგიტი, ტრაქეიტი, ქრონიკული ბრონქიტი (მშრალი). ფილტვების ემფიზემა, გაჭიანურებული მშრალი და ადლენიური პლევრიტი, სხვადასხვა წარმოშობის ქრონიკული პნევმოკონიოზი.

გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი: მიო-

კარდიოსტროფია, კომპენსირებული კარდიოსკლეროზი და გულის მანკი I და II ხარისხის სისხლმიმოქცევის უკმარისობით, I და II სტადიის ჰიპერტონიული დაავადება, თავის ტვინის, გულისა და თირკმლების არამკვეთრად გამონატული სკლეროზი, ანგიონევროზი, არამკვეთრად გამონატული კორონარული სისხლმიმოქცევის უკმარისობა; ჰიპოტონია.

ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი: ასთენიური მდგომარეობა და ნევრასთენული რეაქციები.

ნივთიერებათა ცვლის მოშლა, სიმსუქნე.

სხვადასხვა ავადმყოფობის გადატანის შემდგომი რეკონვალენსცენციის მდგომარეობა.

სეზონი მთელი წლის განმავლობაში.

გ უ დ ა უ თ ა

(ზღვის პირის კლიმატური კურორტი)

გუდაუთა ზღვის პირის კურორტია, მდებარეობს შავი ზღვის წამოწეულ უბეში, განიცდის ზღვის ნიავის სისტემატურ მოქმედებას, რაც უზრუნველყოფს ვენტილაციას. სოხუმიდან ჩრდილოეთით 45 კმ-ზეა გაშენებული. კურორტი ჩაფლულია სუბტროპიკულ სიმწვანეში.

კურორტის კლიმატი ზომიერად ტენინ სუბტროპიკულია. გრილი ზაფხულით და თბილი შემოდგომით, ზამთარი აქ 1—2°-ით უფრო ცივია, ვიდრე ახალ ათონში, რაც აიხსნება თოვლით დაფარული მთის მწვერვალების სიახლოვით. ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურა +5°, ხოლო ყველაზე თბილის (ივლისი) — +23,2°.

გუდაუთაში მუშაობს 3 სანატორიუმი 375 საწოლით და 2 დასასვენებელი სახლი 230 საწოლით, არის სასტუმრო.

სანატორიუმები უზრუნველყოფილია სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტებით, წყალსამკურნალოთი და სამედიცინო პლაჟით.

კურორტზე ჩასვლა შეიძლება რკინიგზით სადგურ გუდაუთამდე, ზღვით და საავტომობილო გზატკეცილით.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი: სასუნთქი გზებისა და სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებები: რინიტი, ფარინგიტი, ლარინგიტი, ტრაქეიტი.

ქრონიკული ბრონქიტი (მშრალი), მშრალი და ადგილობრივი პლევრიტი, სხვადასხვა წარმოშობის ქრონიკული მკონიოზი.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები: სხვადასხვა ეტიოლოგიის გულის კომპენსირებული და სუბკომპენსირებული მიოდისტროფია, ჰიპერტონიული დაავადება I—II სტადიისა, ათეროსკლეროზი (არამკვეთრად გამოხატული), ჰიპოტონია, გულის მანკი I—II ხარისხის სისხლმიმოქცევის უკმარისობით.

ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი: ასთენიური მდგომარეობა და ნევრასთენული რეაქციები.

ნივთიერებათა ცვლის დარღვევები, სხვადასხვა დაავადებათა გადატანის შემდგომი რეკონვალენსცენციური მდგომარეობა.

სეზონი მაისიდან დეკემბრამდე.

სოხუმი

(ზღვის პირის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტ-ქალაქი)

კურორტ-ქალაქი სოხუმი მდებარეობს შავი ზღვის ფართო უბეში და სამი მხრიდან გარშემორტყმულია მთებით, რომლებიც იცავენ მას ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან.

სოხუმი (დიოსკურია, სევასტოპოლისი, ცხუმი, როგორც იგი წარსულში იწოდებოდა) შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია.

სოხუმი საქართველოს რაიონებთან და მთელ საბჭოთა კავშირთან დაკავშირებულია რკინიგზით, ზღვის, საჰაერო და საავტომობილო გზებით. მას აქვს რკინიგზის სამი და ზღვის ერთი ვოგზალი.

სოხუმის კლიმატი ზომიერად ტენიან-სუბტროპიკული, თბილი ზამთრით, ცხელი ზაფხულით, რომელიც მზიანი დღეების სიმრავლით ხასიათდება. ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა 15° -ს აღწევს, ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურა $+6^{\circ}$ -ია, ხოლო თბილის (ივლისი) — $+23,8^{\circ}$. ზაფხულის პაპანაქებაშიც კი ქრის ნიაგი, რომელსაც ზღვიდან მოაქვს სიგრილე. სოხუმში წლის განმავლობაში ნა-

ლექების რაოდენობა 1400 მმ შეადგენს, წყლის ტემპერატურა 26—27° აღწევს.

ჰაერის და ზღვის ტემპერატურა განაპირობებს საბანაო სეზონის ხანგრძლივობას შვიდი თვის (მაისი-ნოემბრის) მანძილზე. მთებისა და გორაკების კალთების კლიმატი რამდენადმე განსხვავდება წლის ცივ და თბილ პერიოდებში, განსაკუთრებით იქ, სადაც ხდება ვენტილაცია. ვენტილაცია დადებით გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის მაჩვენებლებზე. ეს უნდა გავითვალისწინოთ ამ კალთების საკურორტო-სამკურნალო მშენებლობის დროს.

ხელსაყრელი კლიმატური პირობები, საბანაო, სეზონის ხანგრძლივობა, შავი ზღვის სითბო, ფართო, საკმაოდ დამრეცი ხრეშიან-ქვიშიანი პლაჟი და სოხუმის სხვა ბუნებრივი პირობები (ლანდშაფტი და სხვ.) დიდი ხანია იზიდავს მრავალ ათას ავადმყოფსა და დამსვენებელს მთელი წლის განმავლობაში.

ამჟამად სოხუმში მოქმედებს სტაციონარული საკურორტო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები 1600 საწოლით, აქვეა სააბაზანო შენობა თბილი ზღვის აბაზანებით.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური საძიებო (საბურღაო) სამუშაოების შედეგად მიღებული ქლორ-ნატრიუმისა და გოგირდწყალბადიან თერმული წყლები დიდი დებიტით (100,000 მეტრი ლ/დღ) მნიშვნელოვნად აფართოებს მკურნალობის ჩვენებებს და აგრეთვე სოხუმის, როგორც კურორტის, შემდგომი განვითარების პერსპექტივას სახავს.

მინერალური წყაროების წყლების ბაზაზე მოწყობილია დროებითი სააბაზანო შენობა, რომელიც მალე შეიქმნება კაპიტალური ნაგებობით.

სოხუმში არსებობს საქართველოს სსრ კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი.

ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორების მიხედვით სოხუმი წარმოადგენს კლიმატურ-ბალნეოთერაპიულ ზღვის სანაპირო კურორტს.

სოხუმში ღირსშესანიშნავია „სოხუმის მთა“ — კულტურისა და დასვენების პარკი.



აქ გაშენებულია ბოტანიკური ბაღი სუბტროპიკულ მცენარეულ სამყაროს უიშვიათეს წარმომადგენლებით, აგრეთვე ექსპერიმენტული მედიცინის საკავშირო ინსტიტუტის ფილიალის მაიმუნების საშენი.

საპლაჟო კომპლექსის პროფილაქტიკური მიზნებისათვის ფართო გამოყენება სოხუმს დასვენებისა და ჯანმრთელობის კერად აქცევს.

ჩვენებიანი: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები: ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების ემფიზემა კარდიოპულმონალური სინდრომის გარეშე და სისხლის მიმოქცევის II და III ხარისხის დარღვევის გარეშე; ქრონიკული პლევრიტი (მშრალი და შეხორცებული); ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები; პნევმოკონიოზი; ქრონიკული რინიტი და ფარინგიტი ხშირი გამწვავებით; ქრონიკული ლარინგიტი.

II. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები: მიოკარდიოსტროფია, კარდიოსკლეროზი და გულის სარქველების მანკი, კომპენსირებული I და I—II ხარისხის სისხლმიმოქცევის უკმარისობის მოვლენები, I — II სტადიის ჰიპერტონიული დაავადებები, ტვინის, გულის კუნთის და თირკმელების არამკვეთრად გამოხატულ სკლეროზით; ანგიონევროზი კორონარული სისხლმიმოქცევის არამკვეთრად გამოხატული დარღვევით.

ნივთიერებათა ცვლის დაავადებები — სიმსუქნე, ალიმენტური და ენდოკრინული (არამძიმე ფორმები).

ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები: ასთენიური მდგომარეობა და ნევროზული რეაქციები, განვითარებული ინფექციასთან, ინტოქსიკაციასთან, ნერვული სისტემის ტრავმებთან, შინაგანი ორგანოების დაავადებებთან და არამკვეთრად გამოხატული ვეგეტაციურ-ენდოკრინულ დარღვევასთან დაკავშირებით.

რეკონვალესცენციის მდგომარეობა გადატანილი ოპერაციების, ტრავმებისა და სხვადასხვა დაავადების შემდეგ, რომელიც არ მოითხოვს საავადმყოფოს პირობებს.

სეზონი მთელი წლის განმავლობაში.

გულრიფში

(ზღვის პირის კლიმატური კურორტი)

გულრიფში მდებარეობს სოხუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 კმ და ზღვის ნაპირიდან 3 კმ-ზე. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 120 მ-ია. აქ არის 2 სანატორიუმი ფილტვების ტუბერკულოზის ღია ფორმით დაავადებულთათვის. ერთი მათგანი ემსახურება სამამულო ომის ინვალიდებს (150 სახ-ბიუჯეტის საწოლით), და შედის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში, ხოლო მეორე — ლენინის სახელობის სანატორიუმი 250 საწოლზეა გაშლილი.

ორივე შენობა აგებულია სპეციალურად ტუბერკულოზით ავადმყოფებისათვის და ყურადღებას იპყრობს თავისი არქიტექტურული გაფორმებით. კორპუსები განლაგებულია პარკში, სადაც თავმოყრილია სუბტროპიკული მცენარეულობა. ფართო ბანები და ვერანდები უზრუნველყოფს ავადმყოფთა ყოფნას ჰაერზე მთელი დღე და ღამე.

სანატორიუმს აქვს ქირურგიული (თოროკალური ქირურგიისათვის) და ყელის განყოფილებები და სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები, აღჭურვილი უახლესი მოწყობილობითა და აპარატურით.

კურორტ გულრიფშის მთა-ზღვის კლიმატი თბილტენიანი, სუბტროპიკულია, მზის უხვი რადიაციით, ატმოსფერულ ნალექების საშუალო ოდენობით, გრილი გაზაფხულით, ხანგრძლივი თბილი შემოდგომითა და თითქმის უოვლო ზამთრით. იანვრის საშუალო ტემპერატურა $+6^{\circ}$ -ია, ხოლო ივლისისა — $+23^{\circ}$.

ადგილმდებარეობა მუდმივი ზღვის ნიავის ზეგავლენას განიცდის, რაც დადებით გავლენას ახდენს კლიმატურ კომპლექსზე.

კურორტზე მისვლა შეიძლება ა/კ რკინიგზით — სადგურ სოხუმამდე ან ზღვით სოხუმის ნავსადგურამდე, ხოლო ავტობუსით სანატორიუმამდე.

ჩვენებანი: 1. ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზი პროცესის განვითარების ყველა ფაზაში.

ქრონიკული დისემინირებული ტუბერკულოზი.
ინფილტრაციული ტუბერკულოზი დაშლის ფაზაში.

ქრონიკული ფიბრო-კავერნოზული ტუბერკულოზი არა შორსწასულ პროცესში და მკვეთრად გამოხატული ინტოქსიკაციით.

ტუბერკულოზის ციროზული ფორმები.

პნევმო-პლევრიტი ან ქრონიკული ფილტვების ტუბერკულოზი თორაკალური ოპერაციის შემდეგ.

ფილტვების ტუბერკულოზი ერთმხრივი და ორმხრივი პნევმოთორაქსით.

ტუბერკულოზით დაავადებულები, რომლებიც საჭიროებენ ქირურგიულ ჩარევას (თორაკოპლასტიკა და სხვ).

ხორხის ტუბერკულოზი — ინფილტრაციული და წყლულოვანი ფორმა, დისფაგიის მოვლენების გარეშე, თუ სუნთქვა გაძნელებული არ არის.

თირკმლების ტუბერკულოზი ეფექტური მკურნალობის შემდეგ, ჩამოთვლილი დაავადებები ნაჩვენებია კომპენსაციისა და სუბკომპენსაციის სტადიაში.

სეზონი: სექტემბერ-ივნისი.

რიწა — ავადპარა

(მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი)

რიწა-ავადპარას საკურორტო რაიონი აფხაზეთის თვალმარგალიტია.

რიწის ტბა ძეგს 900 მ ზღვის დონიდან, ტბაზე მიბჯენილი მთების კალთები 1200—1500 მ უტოლდება.

ტბისაკენ გზა იწყება კურორტ გაგრიდან და მთელი 60 კილომეტრის მანძილზე მიჰყვება ზღვის პირს სოფ. ქელდახვარამდე. მდინარეების ბზიფის, გეგისა და იუფშარას თვალწარმტაც ხეობებში გადის საავტომობილო გზა.

უკანასკნელ დრომდე რიწის ტბა და მისი მიდამოები გზების უქონლობის გამო თითქმის მიუვალი იყო.

1946 წლის ბოლოდან ტბის ნაპირებზე დაიწყო საკურორტო მშენებლობა.

რიწის ტბა მდებარეობს ლაშიფსე-იუფშარას ხეობაში.

წყლის სარკის ფართი 2 კვ. კმ-ია. ტბის სიღრმე მის ცენტრალურ ნაწილში 116 მეტრს აღწევს. ტბას კვებავს აღმოსავლეთიდან მისი შენაკადი მდინარე ლაშიფსე; დასავლეთის მხრიდან მისგან სათავეს იღებს მდინარე იუფშარა.

ადგილი ქარებისაგან დაცულია მთის მასივებით, მუდმივი თოვლით დაფარული კავკასიონის ქედის ტოტებით, ტბის გარშემო მთების კალთებზე ხშირი გაუვალი ტყეა. ტბა მდიდარია კალმახით.

რიწის კლიმატი მიეკუთვნება ზომიერად თბილ და ტენიან საშუალო სიმაღლის მთა-ზღვის კლიმატს.

გრილი ზაფხული, შედარებით თბილი შემოდგომა, კრიტალური ჰაერი, ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსივობა და ხანგრძლივობა, ძვირფასი სამკურნალო წყლები ხელსაყრელ პირობებს ქმნის აქ საკურორტო მშენებლობის გასაშლელად.

ტბის ნაპირის გასწვრივ და მდინარე ლაშიფსეს სიღრმეში აშენებულია სასტუმრო-პანსიონატი, ელექტროსადგური, წყალსადენი, კანალიზაცია და აგრეთვე საცხოვრებელი სახლები.

რიწის ტბის მიდამოების ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს საკურორტო ადგილი ავადპარა. იგი მდებარეობს ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან 17 კილომეტრზე და უკავია მდინარე ავადპარას ხეობა, რომელიც ზღვის დონიდან 1500—1700 მ სიმაღლეზეა.

77 კმ სიგრძის საავტომობილო გზას კურორტ გავრაზე გავლით მივყავართ ამ ადგილამდე.

შემოჯარული მთების კალთებზე ხშირი წიწვიანი ტყე ალპურ მდელოებში გადადის.

თვალწარმტაცი ხეობები, ჩანჩქერები, სხვადასხვა ექსპოზიციის მთების ტყიანი კალთები, ზოგან სალი კლდეები მარადიული თოვლის საფარველით, ზოგან კი ალპური მდელოს მწვანე ხავერდი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

ავადპარას ხეობა მთელი დღე განათებულია მზით, დიდია ულტრაიისფერი სხივების ძალა; იგი კარგად ვენტილირებული და დაცულია, მთავარი კავკასიონის ქედით ჩრდილოეთის ქარების შემოჭრისაგან.


აქ ზაფხულის პაპანაქებაშიც კი გრილა; ხოლო ზამთრობით ძლიერი ყინვები იშვიათია.

რაიონი განსაკუთრებით მდიდარია მინერალური წყაროებით. მდინარის ორივე მხარეს და გორაკების კალთებზე გაბნეულია მინერალური წყლების მრავალრიცხოვანი გამოსავალი — სათავე.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების შედეგად ჭაბურღილიდან მიღებულია მინერალური წყალი მნიშვნელოვანი დებიტით.

თავისი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით ავადპარას ძირითად მინერალური წყაროს წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიან წყლებს და ახლო დვას ბორჯომის მინერალურ წყალთან, მაგრამ განსხვავდება მისგან დარიშხანის შემცველობით (2 მგ/ლ).

ავადპარას მინერალური წყაროს № 1 ჭაბურღილის ბალნეოლოგიური ფორმულა ასეთია:



მეცნიერულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მინერალური წყალი ავადპარა დადებითად მოქმედებს კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობით გამოწვეულ კატარზე და კუჭის ფუნქციური ჰიპერსეკრეციული აშლილობის დროს, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკულ წყლულის, ქრონიკული კოლიტისა, ღვიძლისა და შარდგამტარი გზების დაავადებისას, ნივთიერებათა ცვლის დარღვევების დროს და სხვ.

ჩვენებანი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები: ქრონიკული გასტრიტი, კუჭის წვენის მომატებული და ნორმალური მჟავიანობით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული (გამწვავებისა და სისხლდენის მიდრეკილების გარეშე), ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი (წყლულოვანისა და ამებურის გარდა).

ღვიძლისა და ნაღვლის გზების დაავადებები: ქრონიკული კატარი ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის გზების დახშვის გარეშე.

შარდგამტარი ორგანოების დაავადებები: თირკმლის ლეზის, შარდსადენისა და შარდის ბუშტის ქრონიკული ბით, შარდის მყავე რეაქციის პირობებში.

ნივთიერებათა ცვლის დაავადებები: მყავე დიათეზი, ურატურია და ოქსალურია.


გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები: მიოკარდიოდისტროფია (გადაღლის ნიადაგზე) სისხლის მიმოქცევის I ხარისხის უკმარისობით, ათეროსკლეროზი სისხლმიმოქცევის I ხარისხის უკმარისობით, ჰიპერტონიული დაავადება დაწყებით სტადიაში ტვინის სისხლძარღვთა გამონატულ სკლეროზის გარეშე, რეკოელვანსცენცია ფილტვების ანთების გადატანის შემდეგ. არატუბერკულოზური წარმოშობის სასუნთქი გზების დაავადებები: ქრონიკული ბრონქიტი, ბრონქული ასთმის და ფილტვების ემფიზემის მსუბუქი ფორმები. სეზონი: ივნისი-ოქტომბერი.

კურორტი ტყვარჩელი

კურორტი ტყვარჩელი მთის მდინარე გალიზგას ნაპირზეა ოჩამჩირიდან 43 კმ მანძილზე. კურორტიდან ამიერკავკასიის რკინიგზის სადგური კვეზანი 17 კმ-ითაა დაშორებული, ხოლო სოხუმიდან ტყვარჩელამდე 120 კმ-ია. უახლოეს სოფელ აკარმარადან კურორტამდე 2 კმ-ია.

ტყვარჩელის ჰავა სუბტროპიკულია ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით.

ტყვარჩელის ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მინერალური წყლები, რომელთა გამოსავალი მიწის ზედაპირზე მოქცეულია სამ წერტილში. ორი მდინარე გალიზგას მარჯვენა ნაპირზეა, ხოლო მესამე — მარცხენაზე. მინერალური წყლები ერთმანეთისგან 2,5 კილომეტრითაა მოცილებული. წყლები სუსტი მინერალიზაციისაა 0,5 გ/ლ), მათი რადიოაქტიობა მერყეობს 3—10 მახეს ერთეულის ფარგლებში, ტემპერატურა 15°-ს უდრის. წყლების ბალნეოლო-



აქ არის სააბაზანო შენობა თითო აუზით 8 კაცზე და ხუთი ინდივიდუალური კაბინა, სანატორიუმის კორპუსი 120 საწოლზე და დამხმარე ობიექტები. სანატორიუმი უზრუნველყოფილია დიაგნოსტიკური და სამკურნალო კაბინეტებით. ქვედა წყაროების ბაზაზე მოქმედებს ცალკე სააბაზანო შენობა.

ავადმყოფებს ენიშნებათ დღეში თითო აბაზანა 12—15 წუთის ხანგრძლივობით, t 35—37°, მკურნალობის კურსს შეადგენს 15—20 აბაზანა.

ტყვარჩელში სამკურნალოდ ნაჩვენებია მოძრაობის ორგანოთა (სახსრების, ძვლების, კუნთების), პერიფერიული ნერვების, ნერვული სისტემის ფუნქციური, გინეკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები.

მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ საშუალება წარმოებიდან მოუწყვეტლად გამოიყენონ კურორტის თბილი რადიაქტიული აბაზანები. ტყვარჩელის მეშახტეთა ბალნეოთერაპიული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა კურორტის კეთილმოწყობა.

ამჟამად კურორტი მუშაობს მაისიდან ნოემბრის თვემდე.

კურორტი ოჩამჩირე

ოჩამჩირე მდებარეობს ზღვისპირზე, მდინარე გალიზგას ზღვის შესართავ მიდამოებში. აქ გაივლის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი (ოჩამჩირე). დაბლობი, რომელიც უშუალოდ უერთდება ზღვის ნაპირს, მნიშვნელოვნად შევიწროებულია კავკასიონის ქედის განტოტებათა ფერდობებით. შავი ზღვის ნაპირი სწრაფად უხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და განაგრძობს მიმართულებას საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრამდე (მდ. ფსოუ). ადგილი მდიდარია სუბტროპიკული მცენარეებით, ჩაის, თამბაქოს, ტუნგოსა და სხვა კულტურებით.

ჰავა ოჩამჩირეში თბილი ტენიან სუბტროპიკულია. ჰაერის საშუალო ტემპერატურა 13,6°-ია, იგი უფრო დაბალია ვიდრე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სხვა ადგილებში. ყველაზე ცივი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა



უდრის 4,5⁰, ხოლო ყველაზე თბილის (აგვისტო) 23⁰-ს წევს. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა—15⁰, ხოლო ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 41⁰-ს აღწევს.

ოჩამჩირეში იცის ცხელი ზაფხული, ზომიერად თბილი ზამთარი, მზის რადიაცია ხანგრძლივია. ზაფხულის სიცხეს მნიშვნელოვნად ანელებს ზოვის ზედაპირიდან გადმოადგილებული ჰაერის გრილი მასები, რომელთაც გადააქვთ ხმელეთზე სასიამოვნო სიგრილე. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა აქ შედარებით ნაკლებია, ვიდრე აჭარის ზღვის სანაპირო ადგილებში. ოჩამჩირის ფართო და დიდ მანძილზე გაჭიმული ქვიშიანი მცირე დაქანების პლაჟი სამედიცინო თვალსაზრისით ერთგვარად ანაკლია-თიკორისა და მალთაყვა-გრიგოლეთის პირველხარისხოვან პლაჟებთან შედარებით მდარეა, მაგრამ იგი აკმაყოფილებს მაღალხარისხოვანი სამედიცინო პლაჟის მოთხოვნილებას.

ოჩამჩირის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში ჩატარებული გეოლოგიური ბურღვითი სამუშაოების შედეგად გამოვლინებულია მინერალური წყალი გოგირდწყალბადის შემცველობით.

თუ მხედველობაში მივიღებთ ოჩამჩირის ჰავის დადებით მაჩვენებლებს, კარგ პლაჟს და მინერალურ წყლებს, აქ ყველა ბუნებრივი პირობაა ზღვის სანაპირო კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტის განვითარებისათვის, რომელიც შეიძლება მთელი წლის განმავლობაში მოქმედებდეს. ოჩამჩირეში შეიძლება ვუმკურნალოთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სუნთქვის ორგანოებისა და სასუნთქი გზების არატუბერკულოზურ დაავადებებს, ლიმფური ჯირკვლების ანთებით პროცესებს, რაქიტს, ნერვულ სისტემის, აგრეთვე გინეკოლოგიური და მოძრაობის ორგანოთა დაავადებებს.

ოჩამჩირეში ისვენებენ და მკურნალობენ მაისიდან ნოემბრის თვემდე.

კინდლი

ზღვის სანაპირო საკურორტო ადგილები კინდლი და ახალი კინდლი ოჩამჩირის რაიონშია. ტერიტორიას ჭრის შავი



ზღვის რკინიგზის ხაზი, აგრეთვე მაგისტრალური გზატკეცილი რაიონი მდიდარია ხეხილის ბაღებით, ვენახებით, ჩაის და სხვა კულტურების პლანტაციებით.

ჰავა სუბტროპიკულია ტენიანი ცხელი ზაფხულით და ზომიერად თბილი ზამთრით. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1000 მმ-ს აღწევს, ხოლო ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 13,6⁰-ს. კურორტს აქვს ქვიშიანი ფართო პლაჟი. ბრიზები მნიშვნელოვნად აგრილებს ტერიტორიის ჰაერს და ანელებს ზაფხულის სიცხეს.

ახალ კინდლში აშენდა დასასვენებელი სახლი — სხვადასხვა უწყების კოტეჯები და აგრეთვე 100-საწოლიანი პიონერთა ბანაკი, რომელიც ემსახურება ტყვარჩელის ნახშირის ტრესტის თანამშრომელთა ბავშვებს. პლაჟის და ჰავის დადებითი მაჩვენებლები, აგრეთვე ბუნების სილამაზე კურორტის განვითარების დიდ პერსპექტივას სახავს.

კინდლში სამკურნალოდ ნაჩვენებია სუნთქვის ორგანოებისა და სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები, ლიმფადენიტი როგორც პერიფერიული, ისე ბრონქოპულმონალური, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, აგრეთვე რაქიტი, მეორადი სისხლნაკლებობა და სხვა.

ამჟამად ეს საკურორტო სადგური მხოლოდ მაისის თვიდან ნოემბრამდე იღებს დამსვენებლებს.

აჭარის ასსრ კურორტები და საკურორტო რესურსები

(ზოგადი მიმოხილვა)

საქართველოს რესპუბლიკაში შემაგალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უხვად დაჯილდოვებულია ბუნებრივი სიმდიდრით, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საკურორტო რესურსებს.

აჭარის ზღვისპირეთი—ბათუმი, ქობულეთი, მწვანე კონცი, ციხისძირი და მახინჯაური მკვლევარებს ულამაზეს ადგილად მიაჩნდათ.

აჭარის კურორტების გეგმიანი მშენებლობა და მათი გამოყენება მშრომელთა ფართო მასების გაჯანსაღების მიზნით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დაიწყო.

შავი ზღვის სანაპიროს და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეობის მეორე ყრილობამ, რომელიც 1925 წელს შედგა, რეზოლუციაში აღნიშნა აჭარის ზღვისპირეთის მაღალი სამკურნალო-პროფილაქტიკური მნიშვნელობა, რომელიც თავისი ბუნებრივი სამკურნალო თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება სხვა სახელმომხვეჭილ კურორტებს შავი ზღვის ფართო სანაპიროზე.

სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ 1933 წ. აჭარის საკურორტო შესაძლებლობათა ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ აქ უველა პირობა არსებობს საკავშირო მნიშვნელობის მსხვილი საკურორტო მშენებლობისათვის: იმავე წლის დეკემბერში ბათუმში აჭარის პირველი საკურორტო კონფერენცია საკურორტო საქმის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით იმ დას-



კვანამდე მივიდა, რომ აჭარის კურორტებმა თავიანთი ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა დაიკავონ საბჭოთა კავშირში.

მიუხედავად განვითარების ასეთი ფართო პესპექტივებისა, აჭარის ასსრ საკურორტო რესურსები, განსაკუთრებით მისი წინამთიანი და მთიანი რაიონები, დიდხანს რჩებოდა შეუსწავლელი, ხოლო მინერალური წყაროების, ისიც ზოგიერთი ნაწილის, ფიზიკურ-ქიმიური ანალიზები არ იყო სრული, ზოგს კი დღესაც არ შეხებია მკვლევარის ხელი.

კლიმატური დაკვირვების მასალებით დადგინდება, რომ რადიაციური ბალანსის და ატმოსფეროს ცირკულირაციური პროცესების მიხედვით, აგრეთვე ატმოსფერული ნალექების რაოდენობით და ჰაერის ტენიანობით მთელი დასავლეთი საქართველო აჭარის ჩათვლით მიეკუთვნება ტენიან სუბტროპიკებს.

დასავლეთ საქართველოს ზღვის ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის დამახასიათებელი თვისებები ძირითადად აჭარის მთელ ტერიტორიაზეა დაცული, მაგრამ განსაკუთრებით აშკარად გამოხატულია იგი აჭარის ზღვისპირეთში და აჭარა-გურიის ქედის კალთებზე, რომელიც ზღვისკენაა მიქცეული.

აჭარის ზღვის პირის ზოლი 150—200 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან დასავლეთ საქართველოს რაიონებს შორის განსხვავდება თბილი ტენიანი კლიმატით, ნიადაგი და მცენარეულობა აქ აგრეთვე სუბტროპიკულ ტენიანი ზონის კლიმატისათვისაა დამახასიათებელი.

ზამთარი აქ უფრო თბილია; ზამთრის საშუალო ტემპერატურა 4—5°-ით მეტია სსრკ სამხრეთის ყველაზე მაღალ რაიონებთან შედარებით, რომლებიც მდებარეობენ 7—8°-ით უფრო სამხრეთით. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი შესაძლებელია დაიწიოს 8—10°-მდე, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია.

მათი ტერიტორიული განაწილება უმთავრესად დამოკიდებულია ოროგრაფიულ პირობებზე.

ზღვის ბრიზებისა და მცენარეულობის საფარის გავლენით ზაფხული აქ შედარებით არ არის ცხელი; ივლის-აგვის-



ტოს საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა 1,5—2°-ით ნაკლებია ვიდრე იალტისა და გაგრაში.

შემოდგომა გაზაფხულთან შედარებით თბილია (საშუალოდ 5°-ით).

საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა 20⁰-ზე ზევით ჩვეულებრივად ივნისის მეორე დეკადიდან შეიმჩნევა და გრძელდება შუა სექტემბრამდე. ზღვის ნაპირის წყლის ტემპერატურა ამ პერიოდში აგრეთვე 20⁰-ზე მაღალია.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა იშვიათად აღწევს 38°-ს, აღმოსავლეთის ქარები ხშირად ფიონების ხასიათისაა, ბრუნვა მცირეა, ქარის ძალა ამ ფიონების დროს აქ გაცილებით სუსტია, ვიდრე რიონის ხეობაში.

ნალექების სიუხვე, ზღვის სიახლოვე, მოქმედი ფიონების ხასიათი, კონტინენტის მხრიდან მთებით იზოლიაცია ზონაში მაღალი ტენიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

როგორც აბსოლუტური, ისე შედარებითი ტენიანობა აქ სოხუმსა და გაგრასთან შედარებით რამდენადმე მაღალია.

ზღვის ბრიზების გავლენით ჰაერის ტენიანობა თუმცა იწევს, მაგრამ ქარისა და ჰაერის ტემპერატურის დაწვევის გამო ზაფხულში ეფექტური ტემპერატურა აჭარბებს კომფორტულ ზონას საშუალოდ თვეში მხოლოდ 3—4 დღე.

ღრუბლიანი დღეების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის მიუხედავად, მზის სხივადობის ხანგრძლივობა ზონაში ისეთივეა, როგორც სოჭში და რამდენადმე მეტი, ვიდრე დავოსში.

ზღვის დამზოგავი სუბტროპიკული კლიმატი, მზიანი დღეების სიჭარბე, თბილი ზღვა, სუფთა და ვრცელი ხრეშიან-ქვიშიანი პლაჟი ულამაზესი ლანდშაფტებით ზღვისპირეთის კურორტების განვითარების შესაძლებლობას ქმნის.

სამხრეთის სანაპირო ზოლიდახ, ჩაქვისა და ქობულეთის ქედების დასავლეთის კალთებზე ზღვის დონიდან 600 — 700 მ სიმაღლემდე გაშლილია წინამთიანი ზონა, რომელიც იმყოფება ზღვისა და სამხრეთ-დასავლეთის ტენიანი ქარების უშუალო გავლენის ქვეშ. ამ ზონის კლიმატი განსხვავდება სანაპიროს კლიმატისაგან ძირითადად ჰაერის უფრო დაბალი

ტემპერატურით, განსაკუთრებით წლის თბილ ნახევარში და რამდენადმე მეტი ოდენობის ატმოსფერული ნალექებით. ზონა დაბურულია წიწვიანი და ფოთლოვანი ტყით, მარადმწვანე მცენარეულობით.

ზაფხული აქ ხანგრძლივია, მაგრამ არ არის ცხელი.

საშუალო მთიანეთის ზონა, რომელიც მდებარეობს წინამთიანეთის ზონაზე მაღლა, 1100—1200 მეტრამდე ზღვის დონიდან აგრეთვე ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკების კლიმატით, მაგრამ ზამთარი აქ ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ზომიერად თბილი.

იმის მიუხედავად, რომ ზამთრის საშუალო ტემპერატურა (იანვარშიც კი) ამ ზონაშიც ჩვეულებრივ არ იწევს ნულის ქვემოთ, თოვლის საბურველი ჩვეულებრივ რამდენიმე თვის განმავლობაში სძლებს და ინახება. ღრუბლიანი, ნისლიანი დღეების რაოდენობა, აგრეთვე ატმოსფერული ნალექების ოდენობა აქ მეტია, ვიდრე ქვემოთ განლაგებულ ზონაში.

შედარებით მშრალია მდ. აჭარისწყალი და მისი კალთები (აჭარის ხეობა). ჩაქვისა და შავშეთის ქედები, რომლებიც იცავენ ხეობას შავი ზღვის მხრიდან, მნიშვნელოვნად ანელებენ კლიმატზე შავი ზღვისა და ტენიანი ქარების გავლენას, რის შედეგად ხეობის კლიმატი კონტინენტურია.

ნალექების ოდენობა მნიშვნელოვნად მცირეა, ჰაერის ტენიანობა დაბალი, ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა მეტია, ზამთარი უფრო ცივია, ხოლო ზაფხული მშრალი და უფრო თბილი, ვიდრე ზღვისკენ მიქცეულ კალთებზე.

მდ. აჭარისწყლის ხეობის მთელი ტერიტორია დაფარულია ტყით, რომელიც უმთავრესად შედგება ნაძვის, ფიჭვის, წიფლისა და ცაცხვისაგან, ისევე როგორც ჩაქვის ქედის დასავლეთის კალთები, მაგრამ სინოტივის მოყვარული ფართოფოთლიანი ხეები აქ უფრო ნაკლებადაა.

ხეობის კლიმატი ზომიერად ტენიან სუბტროპიკულია. ზღვის დონის სიმაღლეების დიდი სხვაობა განაპირობებს კლიმატური მაჩვენებლების დიდ სხვადასხვაობას. რაიონი იყოფა რამდენიმე კლიმატურ ზონად: ზომიერად ტენიანი მთის კლიმატურ ზონად, არაცხელი ხანგრძლივი ზაფხულით,

მზის სხივების სიუხვით, ძირითადი კლიმატური ელემენტების არამკვეთრი მერყეობით. ტყე უმთავრესად შედგება ნაძვისა და ფიჭვისაგან, ხეობის საშუალო და ზემო წელის მაღალხარისხოვანი მტკნარი სასმელი წყლები უზრუნველყოფს სასურველ კლიმატურ პირობებს.

ხულოს რაიონში, გარდა ცნობილი მაღალმთიანი კურორტი ბეშუმისა, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ადგილები: სოფ. რიკეთი, ზღვის დონიდან დაახლოებით 1500 მ სიმაღლეზე (წიწვიანი ტყე, მშვენიერი სასმელი წყალი); სოფ. დიდი აჭარა (ზღვის დონიდან 1000—1100 მ) სოფ. გელაური (ხულოდან ორ კილომეტრზე) და სხვ.

შუახევის რაიონში — მთა შავი წყალი (ზღვის დონიდან დაახლოებით 1400—2000 მ) 3 კილომეტრზე სოფ. გოგოძეებიდან დაფარულია წიწვიანი ტყით, იგი იმყოფება შავი ზღვისა და დასავლეთის ტენიანი ატმოსფერული დინების გავლენის ქვეშ. სოფ. გოგოძეები ღია პლატოა, მდიდარია ფოთლოვანი ტყით, არის კარგი სასმელი წყალი.

კურორტი ბეშუმი მდებარეობს არსიანის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, გოდერძის უღელტეხილიდან 6—7 კმ, ზღვის დონიდან 1800—1900 მ. სიმაღლეზე.

ბეშუმის ტერიტორია შემოსილია შედარებით ახალგაზრდა ჩამუქებული წიწვიანი ტყით.

კურორტის კლიმატი უფრო კონტინენტურია, ვიდრე კურორტ ბახმაროსი, რომელიც ასეთივე სიმაღლეზე მდებარეობს, რაც იმით აიხსნება, რომ ბახმარო დასავლეთის ტენიანი ატმოსფერული დინების გავლენას განიცდის.

კურორტ ბეშუმის ზომიერად მშრალი მაღალმთიანი კლიმატი განსაკუთრებით სასარგებლოა ტენიანი სუბტროპიკული ზღვის კლიმატის რაიონების მცხოვრებლებისათვის.

ჩვენ მიერ ჩატარებული სარეკოგნოსცირო სამუშაოებით აჭარის ტერიტორიაზე გამოვლინებულ იქნა 70 სხვადასხვა მინერალურ წყაროს სათავე.

ხულოსა და ქედის რაიონებში აღმოჩენილ ნახშირმყავა წყაროებს (დანისპარაული, ხიხაძეები, კოკოტაური, ნამონასტრევი, გომა-საადჯია და სხვა) ახასიათებს სპეციალური ქიმიური ბუნება; ამ ტიპის წყაროები იშვიათია საქართველოში.

(საერთოდ საბჭოთა კავშირშიც) და ძვირფასია საკურორტო თერაპიული თვალსაზრისით (ნახშირმჟავა — ქლორიან-სულფატიან-ნატრიუმ-მაგნიუმიანი ურაველის ტიპისა და სხვ.).

სულფიდურ-გოგირდწყალბადოვანი თბილი და ცივი წყაროები (მახინჯაურის და თბილისის ტიპისა) გვხვდება არა მარტო შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ (მახინჯაური, ჩაქვიხალა, ქვედა კვირიკე, შუა ღელე, ხუცუბანი და სხვ.), არამედ მთიან და მაღალმთიან რაიონებშიც (ბულაურა, შუა ხევი, თომაშეთი, შუბანი და მრავალი სხვ.).

საკურადღებოა რკინა-სულფატური წყალი, რომელიც აქ გავრცელებულია ქვედა მერისის ზოლსა და ხულოს რაიონში. იგი განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ უმრავლეს შემთხვევაში შეიცავენ რკინას, წყალი ტრანსპორტირების დროს არ კარგავს გოგირდოვანი რკინის შენაერთს. წყლების დიდი ნაწილი შეიცავს მანგანიუმს, ალუმინსა და სხვა ელემენტებს.

ცნობილია, რომ აჭარის ასსრ მინერალური წყაროებიდან მხოლოდ მახინჯაურის წყაროს ექსპლუატაცია ხდება შედარებით დასაშვებ პირობებში: წყაროებს პრიმიტიულ პირობებში იყენებს მოსახლეობა, წყლებზე დასასვენებლად ზაფხულობით 2—3 თვე ჩამოდიან ავადმყოფები რესპუბლიკის ყველა რაიონიდან (კოკოტაური, შუახევი, თომაშეთი, ბულაურა და სხვა). ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროქიმიური წინასწარი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ის რაიონები, სადაც მინერალურ წყაროების გამოსავალია, პერსპექტიულია წყაროების დებიტის გაზრდისა და მათი ქიმიური ბუნების გაუმჯობესების შესაძლებლობით. ამასთან, მორფოლოგიური (რელიეფური) პირობები უმრავლესად ხელს უწყობს ჰიდროგეოლოგიურ საძიებო საქმეს და საკურორტო მშენებლობის განვითარებას. ჰიდროგეოლოგებმა და ბალნეოთერაპევტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ პირველ რიგში ნახშირმჟავა და სულფიდურ წყაროებზე.

კლიმატოლოგიური ძიების შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ ნახშირმჟავა და რკინა-გოგირდოვანი წყლების გამოსავალი — სათავეები, როგორც წესი, ისეთ ადგილებშია, რომელთაც დადებითი კლიმატური მაჩვენებლები გააჩნიათ, რაც კომბინირებული კურორტების წარმოშობა-განვითარე-

ბისა და კომპლექსური ბალნეოკლიმატური მკურნალობის შე-
საძლებლობას იძლევა.

წყლის ჩამოსხმა ბოთლებში მნიშვნელოვნად უზრუნ-
ველყოფდა მოსახლეობის, პირველ რიგში აჭარის ფართო ფე-
ნების, მომარაგებას ძვირფასი სამკურნალო სასმელი წყლით.
ეს პირველ რიგში შეეხება ნახშირმჟავა წყლებს (დანისპარა-
ული, ხიხაძეები, კოკოტაური და სხვ.).

ზღვის პირის ზოლის ზოგიერთი წყარო მდებარეობს
ზღვის ნაპირიდან ახლოს (ჩაქვა ან უკეთ ხალა, შუალეღე,
ხუცუბანი, ქვედა-კვირიკე და სხვ.), აგრეთვე რესპუბლიკის
წინამთიანეთისა და მთიანეთის უბნებში (ბულაური, შუახე-
ვი, შუბანი და სხვა). ჰიდროგეოლოგიური ჩარევისა და მცირე
დაფინანსების შედეგად მინერალური წყლები შეიძლება
ფართოდ გამოვიყენოთ სამკურნალოდ, რაც გაამდიდრებს
აჭარის ზღვისპირეთს ბალნეოთერაპიული ფაქტორებით და
მნიშვნელოვნად გაააღწილებს მთიანი რაიონის მოსახლეობის
საკურორტო-სამკურნალო დახმარებას.

ბათუმის საკურორტო რაიონი

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს კურორტთა შორის
აჭარის ასსრ კურორტები ყველაზე უფრო სამხრეთით მდებარე-
ობენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს რაიონი სამი მხრიდან შე-
მოსაღებელია მასიური ქედებით: სამხრეთიდან — არსიანის,
ჩრდილოეთიდან — აჭარა-გურიის (მესხეთის) და სამხრეთით
შავშეთის ქედებით. ეს ქედები მიქცეულია ღია ზღვისაკენ,
ზღვისპირეთის ვიწრო ზოლი ჩრდილოეთისაკენ თანდათან
ფართოვდება, გადადის კოლხეთის დაბლობებში. ქედები ამ-
რავალფეროვანებს რესპუბლიკის რელიეფს, ქმნის ზემო რაი-
ონებში აჭარისწყლის ხეობას, ხოლო ზღვისპირეთის ნაწილ-
ზე — კახაბრისა და კინტრიშის დაბლობებს.

ბათუმის საკურორტო რაიონის ტერიტორია იყოფა სამ
ზონად: ზღვისპირეთის, წინამთის და მთის ზონებად.

კურორტოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყუ-



რადღებას იმსახურებს ზღვისპირეთის ზონა 150—200 მ ზღვის დონიდან. აქ ხრეშიან-ქვიშიან ნაპირებზე ბათუმიდან ჩრდილოეთისაკენ 35 კმ მანძილზე გაშლილია კურორტები მახინჯაური, მწვანე კონცხი, ჩაქვა, ციხისძირი და ქობულეთი. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან რკინიგზით და საავტომობილო გზატკეცილით.

ამ ზოლის საშუალო წლიური ტემპერატურა $+14,6^{\circ}$ -ია, ყველაზე ცივი თვის (იანვრის) $+6,5^{\circ}$, ხოლო ყველაზე თბილს $+23,3^{\circ}$, შემოდგომა-გაზაფხულზე t საშუალოდ 5° -ით მეტია.

მზის ნათების საათების რაოდენობა შეადგენს 1852-ს. საშუალოდ ჰაერის შედარებითი ტენიანობა წელიწადში 80%-ს უდრის, წლის განმავლობაში ნალექების საშუალო ოდენობა 2400 მმ-ია. ზამთრის თვეებში ჰაერის ტენიანობა ნაკლებია, ვიდრე ზაფხულისა. ამასთან სანაპირო ზოლის გაფართოებისა და ბათუმიდან ჩრდილოეთისაკენ ჰორიზონტის გაშლასთან დაკავშირებით ნალექების ოდენობა და შედარებითი ტენიანობა კლებულობს, ხოლო მზის სხივადობის საათების ოდენობა იზრდება. ზოლი განირჩევა ქარების თითქმის არარსებობით, ზაფხულის თვეებში აქ იცის ბრიზები, რომლებიც ქრიან მთელი დღე-ღამის განმავლობაში და არბილებენ ზაფხულის პაპანაქებას. ამგვარად, ეს რაიონი ხასიათდება თბილი, ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით.

აქაური მცენარეულობაც დამახასიათებელია სუბტროპიკული კლიმატის ზონისათვის.

ივნისის თვიდან დაწყებული ზღვის წყლის ტემპერატურა 20° -ზე მნიშვნელოვნად მეტია.

ჩაქვისა და ქობულეთის ქედების დასავლეთ კალთებზე, ზღვის პირის ზონიდან აღმოსავლეთისაკენ, ზღვის დონიდან 600—700 მ სიმაღლეზე მდებარეობს წინამთიანი ზონა. ამ ზონის კლიმატი სანაპირო კლიმატისაგან ძირითადად განსხვავდება ჰაერის უფრო დაბალი ტემპერატურით, განსაკუთრებით წლის თბილ ნახევარში და ატმოსფერული ნალექების რამდენადმე მეტი ოდენობით. ზონა დაფარულია წიწვიანა

და ფოთლოვანი ტყეებით, მარადმწვანე მცენარეულობით.
ზაფხული აქ ხანგრძლივია, მაგრამ არაა ცხელი.

წინამთიანი ზონის ზემოთ მთიანი ზონაა, რომელიც აგრეთვე ხასიათდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით, მაგრამ ზამთარი აქ ზომიერად ცივია და ზაფხული თბილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ზონაში ზამთრის საშუალო ტემპერატურა ჩვეულებრივ არ იწვევს ნულზე ქვემოთ, რამდენიმე თვე ძლებს თოვლის საბურველი.

შედარებით მშრალია აჭარისწყლის ხეობა და ძისი კალთები, ჩაქვისა და შავშეთის ქედები, რომლებიც იფარავენ ზღვის მხრიდან, მნიშვნელოვნად ასუსტებენ ამ ხეობის კლიმატზე შავი ზღვის გავლენას, რის შედეგადაც ხეობის კლიმატი უფრო კონტინენტურია.

საკურადლებოა მთა ცისკარი (7—8 კმ პირდაპირ და 13 კმ გზატკეცილით, რომელიც გაყვანილია ბათუმიდან 1955 წ). ცისკარს უკავია 400 ჰექტარი პლატო, ზღვის დონიდან 1300 მ-ზეა. აქედან იშლება შესანიშნავი სანახაობა შავი ზღვის ნაპირზე, კოლხიდის, კახაბრის დაბლობებსა და რაიონის ხეობაზე.

მთა-ზღვის კლიმატი მზის მდიდარი რადიაციით, თვალწარმატაცი ლანდშაფტით, ჩანჩქერები, მდიდარი მცენარეულობა, მშვენიერი სასმელი წყალი და რესპუბლიკის დედაქალაქთან სიახლოვე განაპირობებს საკურორტო მშენებლობის მიზანშეწონილობას.

ბათუმის საკურორტო რაიონში გამოსავალს პოულობს 70-ზე მეტი მინერალური წყარო, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით.

აჭარის კურორტებზე (უმთავრესად ზღვისპირეთის კურორტები) ამჟამად მოქმედებს 11 სანატორიუმი 1045 საწოლით, 19 დასასვენებელი სახლი 2055 საწოლით და 2 პანსიონატი 150 საწოლით, პოლიკლინიკები, საბაზანო შენობები ზღვის თბილი აბაზანებისათვის (ბათუმი, ქობულეთი, მწვანე კონცხი) და საბავშვო გამაჯანსაღებელი დაწესებულებები. ზღვისპირეთის კურორტებს აქვთ ხრეშიან-ქვიშიანი ფართო პლაჟი (სამედიცინო).

(ზღვისპირეთის კლიმატური სადგური)

ბათუმი ქალაქ-კურორტი, აჭარის ასსრ დედაქალაქი, მდებარეობს 3 მ ზღვის დონიდან. კლიმატი ტენიანი სუბტროპიკული. ყველაზე თბილი თვის (ივლისი) t° უდრის $+23,0^{\circ}$ -ს ზაფხულის თვეებში საშუალოდ შედარებითი სინოტივე 80%-ს აღწევს, ხოლო ზამთრის თვეებში დაიწვეს (75%). ატმოსფერული ნალექების ოდენობა წლის განმავლობაში 2420 მმ-ია. მუდმივად მოქმედი ზღვის ბრიზები კარგ ვენტილაციას უკეთებს ტერიტორიას და აზომიერებს ზაფხულის სიცხეს.


ბათუმის პარკებში, ბაღებსა და ქუჩებში ხარობს პალმა, მაგნოლია, ბანანი, ევკალიპტი, ქაფურის ხეები და სხვა სუბტროპიკული დეკორატიული მცენარეულობა, რაც ქალაქ-კურორტს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს.

ბულვარს ეკვრის ფართე, ქვიშიან-ხრეშიანი სამედიცინო პლაჟი პოლიკლინიკით და ზღვის თბილი წყლის სააბაზანო შენობით.

აქვეა უმდიდრესი იშვიათი ბოტანიკური ბაღი, ტურბაზა, კომფორტაბელური სასტუმროები, რესტორნება და სხვა. ჩვენი ბანი: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური წარმოშობის დაავადებები—ქრონიკული ბრონქიტი, მშრალი პლევრიტი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები — ასთენიური მდგომარეობა და ნევროზული რეაქციები, გულის სისტემის დაავადებანი — მიოკარდიოდისტროფია, კარდიოსკლეროზი, კომპენსაციის ან სისხლის მიმოქცევის უკმარისობის I და I-II სტადიაში, I და II სტადიის ჰიპერტონიული დაავადება, ლიმფადენიტი, მეორადი სისხლნაკლებობა და სხვ. სეზონი მთელი წლის განმავლობაში.

*

ჩაქვა. ზღვისპირეთის კლიმატური სადგური მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, კურორტების ციხისძირისა და მწვანე კონცხს შუა. კლიმატი აქ ტენიანი სუბტროპიკულია. კლიმატური ელემენტების მაჩვენებლები ძირითადად ბათუმის



პორჯომი წყარო № 1 (ყოფ. ეკატერინეს წყარო)




სანატორიუმი „ლიკანი“



სანატორიუმი ლიბანი

ბაკურიანი
ზამთარში






დასასვენებელი სახლი წაღვერში, კეჩხოზში



კურორტი ჯავა (სანატორიუმი)



ბაკურიანი



აბასთუმანი. შადრევანი



კურორტი სურამი. სააბაზანო შენობა



საირმე დღეს. კურორტის ერთ-ერთი კუთხე

კურორტი მენჯი, სანატორიუმი





წყალტუბო, სანატორიუმი „თბილისი“




სანატორიუმი
„ქობულეთი“



გულირფში, ხეივანი



ბიჭვინთა, კვიპაროსის ხეივანი



რიწის ტბა

გაგრა. სანატორიუმი „საქართველო“, ქველა კორპუსი





კურორტი ახალი ათონი, „ვოდოპადი“

გუდაუთა. სანატორიუმი „ვოლგა“, 1 კორპუსი





ბიკვინთა



გაგრა, პარკი



ბიჭვინთის სელი



გაგრა. სანატორიუმი „ჩელიუსკინელები“

მსგავსია. ჩაფლულია მდიდარ სუბტროპიკულ მცენარეულ-ბაში, ხოლო შედარებით ფართო ხეობის მთელი ტერიტორია დაკავებულია ჩაის პლანტაციებით. აქ არის ხრეშიან-ქვიშიანი სუფთა პლაჟი.

ჩვენებანი იგივეა, რაც ზღვისპირეთის კლიმატური სადგურებისათვის.

ქობულეთი.

(ზღვისპირეთის კლიმატური კურორტი)

კურორტი ქობულეთი მდებარეობს ზღვის პირზე ზღვის დონიდან 10 მ სიმაღლეზე, აჭარის ასსრ ჩრდილოეთ მხარეს, ქალაქ-კურორტ ბათუმიდან რკინიგზით 24 კმ გზატკეცილით კი — 33 კმ-ზე მეტი მანძილია.

ძირითადი სამკურნალო ფაქტორია თბილი და ტენიანი ზღვის კლიმატი, რომელიც გამოირჩევა მნიშვნელოვანი სითბოთი, ჰაერის ტემპერატურის სადღეღამისო და სეზონური მერყეობით, აგრეთვე ზღვის ბრიზების სისტემატური ინტენსიური მოქმედებით, რაც ზაფხულის სიცხეს აზომიერებს; მზის სხივადობის ხანგრძლივობა აქ რამდენადმე მეტია (2100 საათი წელიწადში), ხოლო ატმოსფერული ნალექები დაბალია (2300 მმ), ვიდრე ბათუმში. ქარის სისწრაფეა 1,5—2 მ/წ.

ქობულეთის ყველაზე ცივი თვის (იანვარი) ტემპერატურა $+ 4,2^{\circ}$ -ია, ხოლო ყველაზე თბილის (ივლისი) $+ 21,9^{\circ}$.

ხმელეთიდან ღია ჰორიზონტი უზრუნველყოფს რადიაციის მაღალ მაჩვენებლებს; ჰაერის მშრალი დინება, რომელიც შემოდის ქობულეთში აღმოსავლეთიდან (ფიონები), ხელს უწყობს კლიმატის შედარებით სიმშრალეს, ზღვიდან შემოსული ჰაერის ტენიანი მასები აქ არ ჩერდება, მიემართება შემდეგ აღმოსავლეთისაკენ და სტოვებს კურორტის ტერიტორიას, რაც აგრეთვე ამცირებს ჰაერის ტენიანობის მაჩვენებლებს.

ფართო ქვიშიან-ხრეშიანი პლაჟი, რომელიც გაფენილია 12 კილომეტრზე, ფიჭვების მწვანე ზოლი სანაპიროს თითქმის მთელ სიგრძეზე, უდავოდ, კურორტის ღირსებაა.

სამკურნალო დაწესებულებებიდან ქობულეთში მოქმედებს საქართველოს პროფსაბჭოს, საკურორტო სამმართვე-

ლოს და სხვა უწყებების სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, პანსიონატი, პოლიკლინიკა სამკურნალო-ნოსტიკური კაბინეტებით, საბაზანო შენობა თბილისისა და სხვა წყლების აბაზანებისათვის (ნახშირმჟავა და სხვა) ჰიდროპათიული განყოფილებებით, სამედიცინო პლაჟი, აეროსოლარიუმი, ფიზკულტურის მოედანი, სანაპირო პარკი, კურზალი, რესტორნით და კაფეთი, კინოთეატრი, სასტუმრო და სხვა სათავსო და დამხმარე საკურორტო ობიექტები და დაწესებულებანი. ამბულატორიული ავადმყოფები ეწყობიან სასტუმროში, აგრეთვე მათ განკარგულებაშია კურორტის სპეციალური საცხოვრებელი ფონდი. საბანაო სეზონი ქობულეთში თითქმის 8 თვეს გრძელდება, ზღვის წყლის ტემპერატურა 27°-ს აღწევს.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი: სუნთქვის ორგანოებისა და ზემო სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები — ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების ემფიზემის მსუბუქი ფორმები, ქრონიკული მშრალი და ადლეზიური პლევრიტი, პნევმოკონიოზი, ქრონიკული კატარული რინიტი, ფარინგიტი, ლარინგიტი, ტონზილიტი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი — ასთენიური მდგომარეობა და ნევროზული რეაქციები. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები — მიოკარდიოდისტროფია, კარდიოსკლეროზი, ჰიპერტონიული დაავადება, I და —II ხარისხის სისხლის მიმოქცევის უკმარისობით ან კომპენსირებით, არა მკვეთრად გამოხატული სკლეროზული მოვლენებით თავის ტვინის, გულისა და თირკმლების მხრივ.

ქობულეთში მკურნალობენ რაქიტს, ლიმფადენიტს, ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზს, როცა ტემპერატურა მაღალი არ არის.

სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

ც ხ ის ძ ი რ ი

(ზღვისპირეთის კლიმატური კურორტი)

ცახისძირი მდებარეობს ტერასებზე 60—100 მ ზღვის დონიდან, 19 კილომეტრზე ქ. ბათუმიდან (რკინიგზით), ჩაქვსა და ქობულეთს შუა. კურორტის მთელი ტერიტორია ჩაფლუ-

ლია ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლისა და ბამბუკის ნარგავებში.

ციხისძირის ძირითადი სამკურნალო ფაქტორია ზომიერად თბილი ტენიანი ზღვის კლიმატი თბილი ზამთრით, თბილი ზაფხულით. განუწყვეტლივ მქროლავი ზღვის ბრიზები აზომიერებს ზაფხულის სიცხეს.

ციხისძირში ფუნქციონირებს საქართველოსა და სხვა უწყებების სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

მისი პლაჟი ქვიშიან-ხრეშიანია, კურორტს აქვს აგრეთვე აეროსოლარიუმი.

ჩ ვ ე ნ ბ ა ნ ი: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებანი (ქრონიკული ბრონქიტი, მშრალი და ადღეზიური პლევრიტი, პნევმოკონიოზი, რინიტი, ლარინგიტი, ფარინგიტი,) ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი ნერვოზული რეაქციის სახის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები კომპენსაციით ან I და I—II ხარისხის უკმარისობით, მიოკარდიოდისტროფია, კარდიოსკლეროზი I და II სტადიის ჰიპერტონიული დაავადება, მეორადი სისხლნაკლულობა, ლიმფადენიტი და სხვა. სეზონი მთელი წლის განმავლობაში.

მწვანე კონცხი

(ზღვისპირეთის კლიმატური კურორტი)

მწვანე კონცხი აჭარის ასსრ ერთი ულამაზესი ადგილია, ბათუმიდან 9 კმ-ია ზღვის დონიდან 75 მ.

კურორტი ჩაფლულია სუბტროპიკულ მცენარეულობაში.

მწვანე კონცხის კლიმატი ტენიანი სუბტროპიკულია. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 15° -ია. ზაფხული ცხელია, საკმაოდ მაღალ ტენიანი, ზამთარი — თბილი, განუწყვეტელი ბრიზები აზომიერებს ზაფხულის სიცხეს და უზრუნველყოფს კურორტის ტერიტორიის კარგ ვენტილაციას. ყველაზე ცივი თვის (იანვრის) ტემპერატურა $+4,1^{\circ}$ -ია, ხოლო ყველაზე თბილი თვის (ივლისი) $+20$.

ღირსშესანიშნაობიდან უნდა მოვიხსენიოთ ბოტანიკური ბაღი სუბტროპიკულ მცენარეთა უიშვიათეს წარმომადგენ-

ლებით. ამ სამეცნიერო-კვლევით სადგურში მსოფლიოს ყველა მხრიდან შემოტანილი სუბტროპიკული კულტურების აკლიმატიზაციაზე მრავალმხრივ ექსპერიმენტს ატარებენ. ადგილი მდიდარია მანდარინის და ბამბუკის ნარგავებით, ჩაის პლანტაციებით, აქვეა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ჩაის ფაბრიკები.

კურორტზე მოქმედებს სანატორიუმი „აჭარა“ 120 საწოლით. სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტებით, ზღვის თბილი აბაზანებით, აგრეთვე დასასვენებელი სახლები 150 საწოლით. დამსვენებლების განკარგულებაშია სამედიცინო პლაჟი აეროსოლარიუმით. პლაჟიდან სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლამდე საჰაერო-საბაგირო გზაა მოწყობილი.

ფუნქციონირებს საქართველოს სსრ პროფსაბჭოს სატურისტო-საექსკურსიო სამმართველოს ტურბაზა 250 საწოლით.

ჩ ვ ე ნ ბ ა ნ ი: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები (ქრონიკული ბრონქიტი და ფილტვების ემფიზემის მსუბუქი ფორმები, ქრონიკული მშრალი პლევრიტი, რინიტი, ლარინგიტი, ფარინგიტი), ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი (ნერვოზული რეაქციები), გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი კომპენსაციით და I და I—II ხარისხის უკმარისობით. მიოკარდიოდისტროფია, კარდიოსკლეროზი, ჰიპერტონიული დაავადება I და II სტადიაში, მეორადი სისხლნაკლებობა, ლიმფადენიტი და სხვა.

სეზონი — მთელი წლის განმავლობაში.

მ ა ხ ი ნ ჯ ა უ რ ი

(ზღვისპირეთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი)

მახინჯაური მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, აჭარის ასსრ ადმინისტრაციული ცენტრიდან ქ. ბათუმიდან 6 კილომეტრზე, კარა-დერის და მწვანე კონცხებს შუა. კურორტის ტერიტორია, ისე როგორც ბათუმის რაიონის მთელი ზღვისპირა ზოლი, ჩაფლულია ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლი-

სა და სხვა სუბტროპიკული მცენარეების ბაღებსა და პარკებში.

ჩასვლა მახინჯაურში შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებათა ყველა სახეობით (რკინიგზის, საავტომობილო, ზღვისა და საჰაერო გზით).

კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორია ზღვის ზომიერად თბილი ტენიანი კლიმატი თბილი ზაფხულით და ძალზე თბილი ზამთრით, სისტემატურად მოქმედი ზღვის ბრიზებით და აღმოსავლეთის სუსტი ქარებით.

მახინჯაურს აქვს ხრეშიან-ქვიშიანი პლაჟი, რასაც კურორტი ფართოდ იყენებს ზღვაში ბანაობისას. ქვიშის აბაზანების სახით.

საბანაო სეზონია აპრილის ბოლოდან — ნოემბრამდე.

კურორტის ტერიტორიის სიღრმეში, ზღვის ნაპირიდან 1 კმ მანძილზე, განლაგებულია ქლორიდულ-კარბონატულ-ნატრიუმიანი სუსტად მინერალიზებული წყლები გოგირდწყალბადის სუსტი შემცველობით. წყაროების სამკურნალო წყლის ბაზაზე მოწყობილია სააბაზანო შენობა პანსიონატით.

მახინჯაურში მოქმედებს პროფსაბჭოსა და სხვა უწყებათა სანატორიუმები, პანსიონატები და დასასვენებელი სახლები.

დამსვენებლები ჩამოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და ეწყობიან კოლმეურნეთა სახლებში.

ჩვენებანი: 1. სუნთქვის ორგანოებისა და სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები (ქრონიკული ბრონქიტი, ქრონიკული მშრალი პლევრიტი, ფილტვების ემფიზემის მსუბუქი ფორმები, პნევმოკონიოზი, ქრონიკული რინიტი, ფარინგიტი, ლარინგიტი,) — ჩამოთვლილი დაავადებანი ნაჩვენებია აპრილიდან — ნოემბრამდე.

2. ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი — ნერვოზული რეაქციები და ასთენიური მდგომარეობა (მთელი წლის განმავლობაში).

3. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი მიოკარდიოდისტროფია, კარდიოსკლეროზი და I და II სტადიის ჰიპერტონიული დაავადება.

ბალნეოთერაპიისათვის ნაჩვენებია მოძრაობის ორგანიზაციის
ნოების, პერიფერიული ნერვული სისტემისა და ქრონიკული
გინეკოლოგიური დაავადებანი (მაისი-ოქტომბერი).
სეზონი — მთელი წლის განმავლობაში.

კურორტი ბეშუმი

მაღალმთიანი კურორტი ბეშუმი მდებარეობს ხულოს რაიონში შავი ზღვის დონიდან 1850—1900 მ სიმაღლეზე. რაიონის ცენტრ ხულოდან იგი 18—20 კმ, ხოლო ქ. ბათუმიდან 150 კმ არის დაშორებული. გზა ქ. ბათუმიდან ბეშუშამდე გადადის გოდერძის უღელტეხილზე (2000—2100 მ ზღვის დონიდან), შემდეგ ეშვება აბასთუმანსა და ბორჯომში. ეს გზა განსაკუთრებით ლამაზია. კურორტის ტერიტორია დაფარულია მდიდარი წიწვიანი ტყით.

ბეშუმის ჰავა მაღალმთიანია, ზომიერად მშრალი, ძირითადად სუბტროპიკულ კონტინენტური. მერიდიანის მიმართულებით აქ გადის არსეანის ქედი (2200—2500 მ), რომელიც ასრულებს კლიმატგამყოფ როლს. მესხეთის რაიონის ჰავის კონტინენტური ელემენტი აქ რბილდება ჰაერის მასების ტენიანი ნაკადის გავლენით, რომლებიც ამ რაიონში შემოიჭრებიან შავი ზღვის სანაპიროდან (ბათუმიდან) არსეანის ქედის გადალახვით.

კურორტ ბახმაროს ჰავასთან შედარებით ბეშუმის ჰავას აქვს უპირატესობა იმ მხრივ, რომ იგი უფრო კონტინენტურია, ვინაიდან აქ ზღვის ელემენტების გავლენა უფრო სუსტია, ვიდრე ბახმაროზე, ზღვის მიმართულებით უფრო ნაკლები გაშლის გამო.

კურორტიდან 2 კმ მანძილზე აღმოჩენილია რკინა-გოგირდიანი მინერალური წყლის გამოსავალი.

ბეშუმში შესანიშნავი კლიმატური პირობებია, განსაკუთრებელი ლანდშაფტი, სუფთა იონიზებული ჰავა, მზის უხვი ულტრაიისფერი რადიაციით და ადგილის კარგი ვენტილაციით.

არა მარტო აჭარიდან, არამედ აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებიდანაც ჩამოდიან აქ დასასვენებლად. აქ არის

დასასვენებელი სახლი, პიონერთა ბანაკები, აგრეთვე აშენებულია სააგარაკო კოტეჯების ტიპის სახლები.

ბეშუმში ეფექტურად მკურნალობენ ძირითადად სუნთქვის ორგანოების და არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებებს.

ჩვენებანი: ფილტვების ტუბერკულოზის დახურული ფორმები კომპენსაციის სტადიაში, ლიმფური ჯირკვლების პლევრის, ძვლებისა და სახსრების ტუბერკულოზი, ბრონქული ასთმის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმები, ქრონიკული ბრონქიტი, ემფიზემის მსუბუქი ფორმები, მეორადი ანემია, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები (ვეგეტონევროზი).

კურორტის სეზონი ივნისიდან ოქტომბრამდე გრძელდება.

კურორტი ცისკარი

საკურორტო ადგილი ცისკარი მდებარეობს ქ. ბათუმამდე 20 კმ, ზღვის დონიდან 1300 მ სიმაღლეზე (პირდაპირა გზით 11 — 12 კმ); იგი მოქცეულია მთა მტირალაზე, ჩაქვის ქედის განტოტებაზე, რომელიც ზღვიდან წამოსულ ატმოსფერულ მასებს ბუნებრივ ზღუდეს უქმნის. სწორედ ტენიანი ჰაერის მასები განაპირობებენ ნალექების სიუხვეს. ცისკარში შეზავებულია მთისა და ზღვის ჰავა. ცისკრის ტერიტორია დაფარულია მდიდარი ტყით. ღია ჰორიზონტი ხელს უწყობს მზის უხვ რადიაციას. ადგილობრივი მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით ყველაზე მშრალი თვეა აგვისტო. როდესაც ბათუმსა და აჭარის ზღვის მთელ სანაპიროზე შედარებით სიციხეა, აქ არის სასიამოვნო ნიავი (ბრიზი), რომელიც მნიშვნელოვნად აქვეითებს ჰაერის ტემპერატურას.

ცისკარი უზრუნველყოფილია წყაროს წყლით. გამოვლინდა აგრეთვე გოგირდიანი მინერალური წყლის გამოსავალი, უკანასკნელ წლებში გაიყვანეს საავტომობილო გზა, წყალსადენი, ელგანათება, აშენდა სააგარაკო სახლები, იგი ბათუმისა და ახლო რაიონების მოსახლეობის საზაფხულო დასასვენებელი ადგილია. ცისკრის თოვლის საფარი მდგრადია, რაც ხელს უწყობს სათხილამურო სპორტის განვითარებას.

ცისკარში შეიძლება ვუმკურნალოთ სუნთქვის ორგანო-

ბის, ლიმფური ჯირკვლების დაავადებებს, რაქიტს, მეორად ანემიას, შესანიშნავია დასასვენებლად მწვავე დაავადების ვადატანის შემდეგ.

ციკარში მაის-ოქტომბრის თვეები სეზონად ითვლება.

ფიჭვნარი

ზღვის სანაპირო კლიმატური სადგური ფიჭვნარი მდებარეობს ქობულეთის ჩრდილოეთით 9 კმ მანძილზე და უკავშირდება მას საავტომობილო გზით. ადგილს „ფიჭვნარი“ აქ არსებული ფიჭვის ტყის გამო შეერქვა. ფიჭვნარი მდიდარია სუბტროპიკული კულტურებით და ქვიშიან-ხრეშიანი ფართო პლაჟით.


ფიჭვნარის ჰავა მიეკუთვნება ტენიან სუბტროპიკულს ცხელი ზაფხულით, ზომიერი თბილი ზამთრით და მზის ხანგრძლივი რადიაციით. ზღვის ბრიზების მუდმივი გავლენა აზომერებს ზაფხულის სიცხეს. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა აქ საგრძნობლად მეტია, ვიდრე ანაკლიაში, მალთაყვასა და ფოთში, იგი აღწევს წელიწადში 2100 მმ, წლის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 13,8 — 14°-ის ფარგლებში. კარგი პლაჟი და შესანიშნავი ჰავა იმის საწინდარია, რომ იგი ზღვის სანაპირო კურორტად იქცეს მთელი წლის განმავლობაში.

ფიჭვნარის ჩვენებები იგივეა, რაც ქობულეთისა — გულსისხლძარღვთა და სასუნთქი ორგანოების და გზების არატუბერკულოზური დაავადებები, რაქიტი, ლიმფადენიტი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები, მეორადი ანემია, საერთო სისუსტე და სხვა. აქ დასვენება სასიამოვნოა მაისიდან ნოემბრის თვემდე.

კურორტი ურეკი (მაგნიტიტი)

ურეკი მახარაძის რაიონშია შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. სუფსის სამხრეთით. კურორტისა და ახლომდებარე მიდამოების ტერიტორია დაფარულია მდიდარი სუბტროპიკული მცენარეულობით (ჩაი, ციტრუსები და სხვ.).

უკანასკნელ ხანებში ურეკმა ყურადღება მიიქცია თავისი პლაჟითა და კლიმატური პირობებით.



ურეკის ქვიშიანი ფართო პლაჟი სუსტი დაქანების ზღვის ნაპირით და მცირე სიღრმის ზღვა, რომელიც გრძელდება დიდ მანძილზე, საბავშვო კურორტის განვითარების შესანიშნავ პერსპექტივას სახავს.

ურეკის ჰავა ტენიან სუბტროპიკულია, მზის სხივადობის დიდი ხანგრძლივობით, ცხელი ზაფხულით და ზომიერი თბილი, თითქმის უთოვლო ზამთრით.

ურეკში მეტეოროლოგიური სადგურის არსებობის გამო მის ჰავაზე დაკვირვებას აწარმოებს ქ. ფოთისა და ქობულეთის მეტეოსადგურები. მათი მონაცემებით, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა ურეკში უდრის 14 — 14,2°. ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურაა კი — 5⁰-ს. ყველაზე ცხელი თვის საშუალო ტემპერატურა (აგვისტო) მერყეობს 23⁰-ის ფარგლებში. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა 13 — 14⁰-ს უახლოვდება, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი ჰაერას ტემპერატურისა — 40—41⁰-ის ფარგლებშია. ზაფხულის დიდ სიცხეს შავი ზღვის სანაპიროდან მოქმედი ბრიზების ხასიათის ქარები აზომიერებს.

კურორტზე სამკურნალოდ ნაჩვენებია სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები, ძეორადი ანემია, რაქიტი, ლიმფადენიტი როგორც ბრონქოპულმონალური, ისე პერიფერიული ნერვების და სახსრების დაავადებები ურეკს, როგორც კურორტს, დიდი პერსპექტივები აქვს. ამჟამად ურეკში ავადმყოფები ჩამოდიან მაისიდან ნოემბრამდე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კურორტები

სამხრეთ ოსეთი ძველთაგანვე განთქმული იყო სამკურნალო მინერალური წყაროებითა და ადგილებით. აქ გამოსავალს პოულობს მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები — ჯავა (ძაუ-სუარი), ბაგიათი, ქეხვი, ლესე, ნაგუთნი, ახუბათი, ედისი და მრავალი სხვა.

საკურორტო საქმის განვითარების დღევანდელ ეტაპზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჯავის წყაროებს (ძაუ-სუარი) პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო კურორტი ჯავა რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტადაა აღიარებული. სხვა კურორტები კი ადგილობრივი მნიშვნელობისაა (ლესე, ნაგუთნი, და სხვ.), მინერალურ წყალს ბაგიათს, რომლის ჩამოსხმა სწარმოებს, მოსახლეობა იყენებს კუქ-ნაწლავის დაავადების დროს.

ჯ ა ვ ა

(მთის ბალნეოკლიმატური კურორტი)

ჯავა მდებარეობს ზღვის დონიდან 1040 მ, მდინარე დიდი ლიახვის ხეობაში, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ცენტრის ქ. ცხინვალის ჩრდილოეთით, 22 კილომეტრზე. კურორტს უკავია ჯავის ქედის საკმაოდ ღია სამხრეთის კალთა მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. ხეობა წარსულშიც განთქმული ყოფილა მინერალური წყაროებით. ამ რაიონის სამკურნალო წყაროები მოხსენებულია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ.

ჩრდილოეთიდან აღმართული მთიულეთის ქედი იცავს კუ-

რორტს ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან, ხოლო სამხრეთით დან სურამის ქედი ხელს უშლის კურორტის ტერიტორიაზე დასავლეთის ნოტიო ჰაერის შემოჭრას.

ჯავა ხასიათდება შედარებით მშრალი კლიმატით, ატმოსფერული ნალექების მცირე წლიური ოდენობით (580—600 მმ).

შედარებით ხშირი, მაგრამ არა ხანგრძლივი წვიმები (იშვიათად მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში) ხელს უწყობს ჰაერის გაწმენდას, აადვილებს დედამიწის ზედაპირამდე ულტრაიისფერი სხივების მიღწევას, რითაც ამდიდრებს ამ ადგილს მზის უხვი ინსოლაციით.

მეტეოროლოგიური მონაცემებით, კურორტ ჯავაში მზიანი საათების რაოდენობა წელიწადში 2280-მდე აღწევს, საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 8° -ს. ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო თვიური ტემპერატურა გამოიხატება — $3,1^{\circ}$ -ით, ხოლო ყველაზე თბილი თვის (ივლისი) $+18,2^{\circ}$ -ით.

კლიმატური ელემენტების აღნიშნული კომპლექსი, ჰაერის მცირე ტენიანობა და ქარის სისწრაფე (1—3 მ (ს) ბუნების სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ მონაცემებთან ერთად უქმნის ამ ადგილს საშუალო სიმაღლის ზონის მაღალხარისხოვანი კურორტის სახელს.

ჯავის მინერალური წყაროების „ძაუს“ სახელწოდება წარმოსდგება „სუარიდან“, რაც ოსურ ენაზე ნიშნავს მარილიანს.

საშუალო მთის კლიმატმა და სამკურნალო მინერალურმა წყლებმა ჯავა ბალნეოკლიმატურ კურორტად აქცია.

მინერალური წყაროების სათავეები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ძველთაგანვე სამკურნალო მიზნისათვის იყენებს, მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სულ რაღაც 10—12 მ მანძილზე. წყაროები არა ერთხელ გამქრალან მდინარით დატბორვისა ან გადაარეცხვის შედეგად.

მინერალური წყლების სისტემატურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ჯავის წყაროების წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან წყლებს და წარმოადგენს ესენტუკის, ზვარეს, და ემსის (გერმანია) ანალოგს.

საძიებო ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების შედეგად რომელიც ჩატარდა 1935—1937 წლებში, მიღებულია მინერალური წყალი (ბურღ. № 5, № 11 და № 14). წყლები ძირითადად ერთიანი ტიპისაა, განსხვავდებიან მხოლოდ ცალკე ჰაბურდილების საერთო მინერალიზაციით და აგრეთვე იმით, რომ ცალკეული ბურდილის წყლებში შეიმჩნევა ჰიდროკარბონატული იონის, ხოლო სხვებში ქლორის სიჭარბე.

№ 14ა ჰაბურდილის წყლის ბალნეოლოგიური ფორმულა შემდეგია: $\text{CO}_2 1,8\text{M}7,7$ $\frac{\text{HCO}_3 51\text{Cl}48}{\text{Na} + \text{K}85}$ $\text{T}11,5^\circ$

ჯავის მინერალური წყლების ჩამოსხმასთან დაკავშირებით საექსპლუატაციოდ გამოყოფილი იყო 14ა ჰაბურდილი. ჯავის მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობის, რეჟიმისა და სტაბილობის დასაცავად 1947 წ. № 5 ბურდილი ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო № 11 ბურდილი ამოივსო თიხით, რადგანაც № 5 ბურდილი იძლეოდა წყალს ქლორნატრიუმის დიდი კონცენტრაციით (ჯავისათვის არადამახასიათებელი) ხოლო მეორე ბურდილიდან (№ 11) ამოჰქონდათ განზავებული მინერალური წყალი. დღეისათვის ჰაბურდილის (№ 14ა) დებიტი მერყეობს 9600 ლიტრის ფარგლებში დღე-ღამეში; ჰიდროგეოლოგიურ, საძიებო სამუშაოები მინერალური წყლის დებიტის გასადიდებლად გრძელდება.

გამოვლინდა ჯავის ძირითადი საკურორტო ფაქტორების ფიზიოლოგიური და თერაპიული ზემოქმედება ორგანიზმზე.

მინერალური წყალი ძაუ-სუარი ავადმყოფებს ენიშნებათ ძირითადად კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს, უპირატესად კუჭის წვენის მჟავიანობის დაქვეითების ან აქილიის დროს — თითო ჩაის ჭიქა სამჯერ დღეში საჭმელთან ერთად ან 10 წუთით ადრე ჰამამდე. ნორმაციდული გასტრიტის დროს კი 40—45 წუთით ადრე ჰამის წინ.

ჯავაში მოქმედებს სანატორიუმი — 250. საწოლით, აგრეთვე დასასვენებელი სახლი, პოლიკლინიკა, აქვე მუშაობს ჰიდროგეოლოგიური საკონტროლო-საზედამხედველო სადგური და მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა. ჯავაში მოეწყო ფიზკულტურის მოედანი, სასტუმრო, აეროსოლარიუმი, ტურბაზა და სხვ.

ჩვენებანი: 1. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები — ქრონიკული გასტრიტი კუჭის წვენის დაქვეითებული და ნორმალური მჟავიანობით, აგრეთვე აქილია; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული დაქვეითებული და ნორმალური მჟავიანობით; ქრონიკული ენტეროკოლიტი ნაწლავის მოტორული ფუნქციის დარღვევით.

ღვიძლის და სანაღვლე გზების დაავადებები, ქრონიკული ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი, ნაღვლის კენჭოვანი დაავადება სანაღვლე გზების დახშობის გარეშე.

მსუბუქი ფორმის, ნივთიერებათა ცვლის დაავადებები — სიმსუქნე, დიათეზი შეტევების გარეშე, მსუბუქი ფორმის დიაბეტი.

საშარდე გზების დაავადებები — შარდკენჭოვანი დაავადების საშარდე გზების ანთებით გამოწვეული, შარდის მჟავე რეაქციით; ქრონიკული ცისტიტი და პიელიტი.

არატუბერკულოზური ხასიათის სუნთქვის ორგანოების დაავადებები, ქრონიკული ბრონქიტი, მშრალი და სველი პლევრიტი, ბრონქული ასთმის მსუბუქი ფორმები.

სეზონი 15 ივნისიდან ოქტომბრამდე გრძელდება.

საქართველოს სამხედრო გზის რაიონის ბალნეოკლიმატური ფაქტორები

(მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს სამხედრო გზის რაიონი მდიდარია მინერალური წყაროებით, მათ შორის ქარბობს ნახშირმჟავა-ჰიდრო-კარბონატული-ქლორიან-კალციუმიან-ნატრიუმიანი (№ 44 გუდაურის წყარო ნახშირმჟავა-რკინიან-ჰიდროკარბონატულ-ქლორიან-ნატრიუმიან-კალციუმიანი № 4 წყარო სიონში) წყლები. აქვეა ძვირფასი წყაროები ნახშირმჟავა-ქლორიან-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყლებით (№ 54 ფასანაურის წყარო, № 61 კიტოხის წყარო ესენტუჯის ტიპისა).

წყაროების სათავეები განლაგებულია თერგისა და ყაზბეგის შუა ხეობაში — 1700—1940 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ბაიდარის ხეობაში — 2200—2380 მ; კასარის ხეობაში — 2200 მ, თრუსოს ხეობაში — 2200—2380 მ., სადაც მარტო ერთი ნარზან-ვოკლუზა იძლევა 20 მლ ლიტრ ნარზანს (დღე-ღამეში) მთიულეთისა და გუდამაყრის არაგვის ხეობაში — 1100—1300 მ (ფასანაურიდან 10 კმ) ზღვის დონიდან.

საქართველოს სამხედრო გზის რაიონში გამოვლინებული მინერალური წყაროების საერთო რიცხვი 65-ზე მეტია, საერთო დებიტი აღემატება 25 მილიონ ლიტრს დღე-ღამეში.

კობი-ყაზბეგის რაიონის ნარზანები კისლოვოდსკის ნარზანისაგან განსხვავდება კალციუმის სულფატის უმნიშვნელო შემადგენლობით და რამდენადმე ნაკლები მინერალიზაციით, ნახშირმჟავა გაზის უფრო მეტი შემცველობით (კისლოვოდსკის ნარზანი შეიცავს ნახშირმჟავა გაზს 1,5—2,0, ხოლო კობის — 2,1—2,5 გ ლიტრზე).

საძიებო და საკაბატაჟო სამუშაოების შედეგად მოცემულ

რაიონში მინერალიზაცია და დებიტი უნდა გადიდდეს, რაც მტკიცდება ჰიდროლოგიური ძიების მონაცემებით, რომელიც ჩატარდა 1937 — 38 წლებში სიონში საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ, ძიებამდე წყაროს მინერალიზაცია უდრიდა 1,8 გ/ლ, ხოლო დებიტი — 123000 ლ/დღ, ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების შემდეგ მინერალიზაცია გაიზარდა 3,2 გ/ლ, დებიტი კი — 340000 ლ/დღ.

სასმელად ნარზანის წყლებს იყენებენ საჭმლის მომწელებელი და საშარდე გზების დაავადებისას, აბაზანის სახით გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემის დაავადებების დროს. ცნობილია ისიც, რომ ნარზანის წყლები სასიამოვნო სასმელია.

რაც შეეხება ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ქლორიან-ნატრიუმთან წყალს (ესენტუკის ტიპის), მას უნიშნავენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებისას, უმთავრესად კუჭის წვენი დაქვეითებული მჟავიანობის დროს, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის მოშლისას. რაიონის ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმთან-ნატრიუმთან წყალი (საირმეს ტიპისა) შეიძლება დიდი ეფექტით გამოვიყენოთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებისას, პირველ რიგში კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობისას, აგრეთვე სანაღვლე და საშარდე გზების დაავადებისას და ნივთიერებათა ცვლის მოშლის დროს.

კლიმატური პირობები, იმ ადგილებისა რომლებიც მდებარეობენ ჯვრის უღელტეხილის ჩრდილოეთით, განსხვავდება სიმკაცრით და კონტინენტალობით.

მინერალური წყლების იმ რაიონის კლიმატი, რომელიც მდებარეობს ჯვრის უღელტეხილის სამხრეთიდან, კერძოდ, მთიულეთის და გუდამაყრის არაგვის ხეობის და მათ შორის ფასანაურის რაიონიც, ჯვრის უღელტეხილის ჩრდილოეთით მდებარე რაიონის კლიმატისაგან განსხვავებით ხასიათდება ზომიერი ტენიანობით, ატმოსფეროს უფრო მშვიდი მდგომარეობით, ჰაერის ადგილობრივი ცირკულაციის სიჭარბით, ტემპერატურის მცირე მერყეობით და მნიშვნელოვანი სითბური ბალანსით.

რაიონში ხელსაყრელი კლიმატური პირობები აქვს საშუა-

